ოთარ ბაქანიძე

# პრომეთეს მემკვიდრე

Тбіліський державний університет ім. Іване Джавахішвіли
інститут україністики

ОТАР БАКАНІДЗЕ

# НАЩАДОК ПРОМЕТЕЯ

Тбілісі, 2014

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
უკრაინისტიკის ინსტიტუტი

ოთარ ბაქანიძე

# პრობლემის მემკვიდრე

უნივერსიტეტის გამომცემლობა

*წიგნი ეძღვნება უკრაინული ლიტერატურის კლასიკოსის ლესია უკრაინკას ცხოვრებასა და შემოქმედებას. მასში განხილულია პოეტის სვლა ბავშვური, გულუბრყვილო ლექსებიდან ზოგადსაკაცობრიო ფილოსოფიური პრობლემებით გამსჭვალული ნაწარმოებების შექმნისაკენ. ნაჩვენებია, რომ პარნასისაკენ ალმავალი პოეტის გზა საქართველოზე გადიოდა და მსოფლიო ლიტერატურის შედევრები მან სწორედ საქართველოში შექმნა.*

*Книга присвячується життю і творчості класики української літератури Лесі Українки. В ній показаний шлях поету від дитячих, наївних віршів до створіння творів, сповнених загальнолюдськими на філософськими проблемами. Сказано, що підйомний шлях до Парнасу проходиы через Грузію і шедеври світової літератури вона створила в Грузії.*


| | |
|---|---|
| სამეცნიერო რედაქტორები: | Наукові редактори: |
| პროფ. ნელი გოგიტიძე | проф. Нелі Гогітідзе |
| პროფ. ლუდმილა გრიციკი | проф. Людмила Грицик |
| ალმასრულებელი რედაქტორები: | Виконавчі редактори: |
| ივანე მჭედლაძე | Іване Мчедладзе |
| სოფიო ჩხატარაშვილი | Софіо Чхатарашвілі |
| რეცენზენტები: | Рецензенти: |
| პროფ. ლადო მინაშვილი | проф. Ладо Мінашвілі |
| ფილოლოგიის დოქტორი | Доктор філології |
| ნინო ნასყიდაშვილი | Ніно Наскідашвілі |


© თსუ გამომცემლობა, 2014
ISBN 978-9941-13-343-5

# წინათქმა

სურამის ლეგენდარული ციხე-სიმაგრის მახლობლად, ულამაზეს ფიჭვნარში, გასული საუკუნის დამდეგს ხშირად ნახულობდნენ განმარტოებით მყოფ ფერმკრთალ, სევდიანი სახის ქალს, რომელიც ფიქრებში წასული თვალს არ აშორებდა ხეთა ტოტებში მოციმციმე მზის ოქროსფერ სხივებს.

სურამელებიდან, ალბათ, თითო-ოროლამ თუ იცოდა, რომ მძიმე ავადმყოფობის გამო საქართველოს თავშეფარებული ჯანსუსტი ქალი უკრაინის დიდი პოეტი ლესია უკრაინკა იყო.

მრავალტანჯულ მგოსანს ვერც საქართველომ უშველა. ლესია უკრაინკამ ვეღარ გაუძლო მოძალებულ სენს და 1913 წლის 1 აგვისტოს სურამში, პაპავების სახლში შეწყდა მისი გულისცემა.

ჩაქრა ადამიანების ნათელი, მზიანი მომავლისათვის ანთებული მგოსნის სიცოცხლე, ბოლომდე დაიწვა, როგორც კელაპტარი, მაგრამ ის სიტყვა, ფოლადივით მტკიცე და ბასრი, რომელიც პოეტის ლექსთა სტრიქონებში გამოიჭედა, სამარადისოდ დარჩა ადამიანების სამსახურში, მათ გულებში.

შენა ხარ თრთოლვა, იდეა, ცეცხლი,
როგორც რომ სიმი, აგზნებული, სევდანარევი...
*(თარგმნა ნია აბესაძემ)*

ასე მიმართავდა ხალხის სიყვარულით გულანთებულ მგოსანს, ლესია უკრაინკას ახალი უკრაინული პოეზიის ერთ-ერთი ფუძემდებელი მაქსიმ რილსკი.

დიდი და მძიმე გზა განვლო პოეტმა, სანამ უკრაინაში ფეხადგმული გოგონა საქართველოში დაასრულებდა თავის

სიცოცხლეს, როგორც პოეზიის სამეფოში – პარნასში აღზევებული მგოსანი.

უკრაინელმა ხალხმა ლესია უკრაინკა, რომელმაც თავისი სიცოცხლე და ნიჭი ხალხს მიუძღვნა, მითური გმირის პრომეთეს რეალურ განსახიერებად მიიჩნია.

პრომეთე. ადამიანებისათვის ციდან ცეცხლის მომტაცებელი და კავკასიონის ქედზე მიჯაჭვული უგონიერესი ტიტანი.

პრომეთეს სახელი მთელ სამყაროს სწვდებოდა, მთელ ქვეყანას ესმოდა და მრავალი თაყვანისმცემელი თუ მადიდებელი გამოუჩნდა მას. ლესია უკრაინკა განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრო პრომეთეს მითის მნიშვნელობას, პრომეთეს სულის, ე. წ. „პრომეთეიზმის“ პრობლემას, თავისი კუთხით მიუდგა მას და მოძებნა კიდეც მისი მხატვრულად წარმოჩენის საშუალება. „პრომეთეს მემკვიდრეები“ – ესაა პოეტური მიგნება მგოსნის ჩანაფიქრი-შეხედულებისა ამ მოვლენის თუ ფაქტის თაობაზე. „პრომეთეს მემკვიდრეები“ – ეს უდიდესი დაფასება იყო ლესია უკრაინკას მიერ მოღვაწეების, ხელოვანების, ყველა დროისა და ეპოქის უდიდესი წარმომადგენლებისა, რომლებიც ხალხის ნათელი მომავლისათვის, თავისუფლებისათვის შეუდრეკელი მებრძოლები იყვნენ.

ვის, თუ არა, უპირველესად, თავად ლესია უკრაინკას, ეკუთვნოდა ეს მაღალი ტიტული – „პრომეთეს მემკვიდრე“ – ვის, თუ არა მას შეჰფერის „პრომეთეს მემკვიდრედ“ წოდება, უკრაინელ მგოსანს, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე და ხელოვნება ხალხის სამსახურს, ხალხის უკეთესი მერმისისთვის ბრძოლას მიუძღვნა!

გასული საუკუნის უკრაინულ სამყაროში სწორედ იგია უპირველესად ღირსეული მის მიერვე გააზრებული ამ უზენაესი ტიტულისა. ისტორიამ ასე განსაჯა.

უკრაინული პოეზიის მშვენება, უკრაინული მხატვრული აზროვნების სიდიადე – ლესია უკრაინკა – ხალხის ჭეშმარიტი ღვიძლი შვილი იყო. მისი ფიქრები და ოცნებანი, მისი სიცოცხლე მთლიანად ხალხს ეკუთვნოდა. მისი კალამი, საოცრად ფაქიზი, ნათელი იდეალების წარმოსახვისას მშრომელი ადამიანების მიერ მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში იწრთობოდა, ბასრი და დაუნდობელი ხდებოდა.

ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლას შესწირა მან თავისი სიცოცხლე.

მგოსნის პოეტური აღმართი ბავშვური, გულუბრყვილო ლირიკული ლექსებიდან ზოგადსაკაცობრიო, ფილოსოფიური პრობლემებით გამსჭვალული მხატვრული შედევრებისკენ მიემართებოდა. მისი სვლა იდეურ-მხატვრული სრულყოფისაკენ რთული და თავისებური იყო. მგოსანმა გადალახა ათასგვარი წინააღმდეგობა და ხელოვნების მწვერვალს მიაღწია.

ლესია უკრაინკამ მხატვრულად, ესთეტიკურად, იდეურად გაამდიდრა თავისი მშობლიური უკრაინული ლიტერატურა.

* * *

ლესია უკრაინკა (ლარისა პეტრეს ასული კოსაჩი) დაიბადა 1871 წლის 25 თებერვალს ქალაქ ნოვოგრად-ვოლინსკში. მამამისი, პეტრო ანტონის ძე კოსაჩი, საზოგადო მოღვაწე და წიგნიერი ადამიანი იყო. დედა – ოლგა პეტროს ასული დრაგომანოვა უკრაინულ ლიტერატურაში ოლენა პჩილკას ფსევდონიმით იყო ცნობილი.

პეტრო კოსაჩი წარმოშობით ჩრდილოეთ ჩერნიგოვშჩინიდან იყო. დედა მას ადრე გარდაეცვალა. მაშინ პეტრო 7 წლისაც კი არ იქნებოდა. ბავშვების აღზრდა დეიდამ იკისრა. რო-

დესაც პეტრო წამოიზარდა, სასწავლებლად ჩერნიგოვის გიმნაზიაში მიაბარეს. სწავლის პერიოდში იგი იქვე, ჩერნიგოვის გიმნაზიის პანსიონში ცხოვრობდა.

გიმნაზიაში პეტრო წარჩინებულ მოსწავლედ ითვლებოდა. სიტყვიერებას მას ასწავლიდა ცნობილი იგავთმწერალი ლეონიდ გლიბოვი. პეტრო მას ხშირად დიდი სიმპატიითა და სიყვარულით იგონებდა, უყვარდა მისი იგავ-არაკები და შესანიშნავად კითხულობდა კიდეც მათ.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ პეტრომ სწავლა განაგრძო პეტერბურგის უნივერსიტეტში მათემატიკის ფაკულტეტზე. ერთი წლის შემდეგ კი გადავიდა იურიდიულ ფაკულტეტზე. იგი მეორე კურსზე იყო, როდესაც პეტერბურგში დაიწყო „სტუდენტთა არეულობა“. სტუდენტთა ამ გამოსვლებში აქტიური მონაწილეობისათვის პეტრო კოსაჩი უნივერსიტეტიდან გარიცხეს. იგი კიევში გადასახლდა და სწავლა გააგრძელა კიევის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც წარმატებით დაამთავრა.

კიევის უნივერსიტეტში იგი გაეცნო და შემდეგ დაუმეგობრდა კიდეც უნივერსიტეტის სტუდენტებს: მ.პ. დრაგომანოვს, ვ.ბ. ანტონოვიჩს, პ.ი. ჟიტეცკის, მ.ვ. ლისენკოს, მ.პ. სტარიცკის და სხვებს, შემდგომში სახელგანთქმულ უკრაინელ მოღვაწეებსა და ხელოვანებს. იგი განსაკუთრებით დაუახლოვდა მიხაილო დრაგომანოვს (1868 წელს მან ცოლად მოიყვანა მისი და ოლგა დრაგომანოვა).

პეტრო კოსაჩმა 1864 წელს სამსახური ვოლინში დაიწყო ლუცკო-დუბნივსკის მომრიგებელ შუამავალთა ყრილობის თავმჯდომარედ. იქ მუშაობის დროს იგი აირჩიეს საპატიო მომრიგებელ მოსამართლედ, გუბერნიის სტატისტიკური კომიტეტის წევრად.

1866 წელს პეტრო კოსაჩმა მიიღო ახალი დანიშვნა, იგი გაამწესეს ნოვოგრად-ვოლინსკში მომრიგებელ შუამავალთა ყრილობის თავმჯდომარედ. ეს ქალაქი რუსეთის იმპერიაში დიდად გამორჩეული ქალაქი არ იყო, მაგრამ მასთან მაინც არის დაკავშირებული უკრაინელი პოეტების სახელები.

1846 წლის გაზაფხულზე, ამ დროიდან, ოცი წლით ადრე, ამ გზაზე იმგზავრა დიდმა კობზარმა. ტარას შევჩენკო იხსენებდა „მშვენიერ მდინარე სლუჩს“, რომელიც „ნოვოგრად-ვოლინსკიდან ათიოდე კილომეტრზე მდებარეობდა“. დიდმა კობზარმა თავისი შთაბეჭდილებები გამოხატა პოემაში „დევნილი“. სამწუხაროდ პოეტმა ამ ადგილის აღწერა არ დაგვიტოვა. თუმცა მკვლევრებმა და მხარეთმცოდნეებმა დაადგინეს, რომ პოეტი შეჩერებულა სლუჩთან მდებარე ქალაქში, საფოსტო სადგურში.

ნოვოგრად-ვოლინსკს იხსენებს უკრაინელი მწერალი ოლექსანდრა მიხეილის ასული ბილოზერსკა-კულიში, რომლის ლიტერატურული ფსევდონიმი იყო განა ბარვინოკი. იგი იმავე 1846 წელს გავლით იმყოფებოდა ნოვოგრად-ვოლინსკში, ოღონდ ადრეულ გაზაფხულზე.

ესაა იმ მწერლების მოგონებები, რომლებიც ლესია უკრაინკას ჩასვლის წინა წლებში იმყოფებოდნენ ნოვოგრად-ვოლინსკში. ასე რომ, ეს პატარა ქალაქი ლესია უკრაინკამდე სხვა უკრაინელი მწერლებისთვისაც ყოფილა ნაცნობი ადგილი, სადაც შორს მიმავალი მგზავრები ჩერდებოდნენ.

ამ დროიდან, ორი ათეული წლის შემდეგ, 1868 წელს, ამ გზით ნოვოგრად-ვოლინსკში ჩავიდა ფაეტონი, რომელმაც პეტრო კოსაჩის მეუღლე, კიევის კეთილშობილ ქალთა საჩვენებელი პანსიონის კურსდამთავრებული, ოლგა დრაგომანოვა ჩაიყვანა.

პროვინციულ ქალაქს ზვიაგელს 1795 წელს გადაარქვეს სახელი და უწოდეს ნოვოგრად-ვოლინსკი. მაგრამ ისტორიული სახელწოდება ზვიაგელი – დიდხანს, თითქმის მთელი საუკუნე შემორჩა და ქალაქის მცხოვრებლებიც ასე მოიხსენიებდნენ მას.

მომრიგებელ შუამავალთა და მათი წარმომადგენლების ყრილობის ინსტიტუტი შემოღებულ იქნა 1861 წლის რეფორმასთან დაკავშირებით. მათ ჰქონდათ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ძალაუფლება მაზრებში. დააწესეს მეთვალყურეობა სოფლის თვითმმართველობაზე. მათ ფუნქციაში შედიოდა მემამულეთა მიერ გამოყოფილი მიწების განაწილება და საწესდებო სიგელების შედგენა, გლეხების მიერ მემამულეებიდან მიწების გამოსყიდვის პროცედურები და სხვ.

პეტრო კოსაჩს ნოვოგრად-ვოლინსკში მუშაობის დროს, სამსახურებრივი მოვალეობის გამო, ხშირად უხდებოდა დედაქალაქში ჩასვლა. 1867 წლის ბოლოს თავისი მეგობრის, კიევის უნივერსიტეტის პროფესორის, მიხაილო დრაგომანოვის ოჯახში პეტრო კოსაჩმა გაიცნო მისი და ოლგა დრაგომანოვა. მოკლე ხანში ისინი დაქორწინდნენ.

1868 წელს ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ნოვოგრად-ვოლინსკში ჩავიდა. თავდაპირველად ისინი დაბინავდნენ კორეცკის ქუჩაზე. ეს იყო პეტრო კოსაჩის სახლი, რომელიც მას დაქირავებული ჰქონდა, როცა ზვიაგელში დასახლდა. სახლი ახალი იყო, მოზრდილი. აი, ამ სახლში დაიბადა ლესიას უფროსი ძმა მიხაილო. კოსაჩები 1870 წლის შემოდგომაზე სხვა სახლში გადავიდნენ. სახლი დაიქირავეს ვინმე ო. კრუჟკასაგან. „აი ამ სახლში დაიბადა ჩვენი ქალიშვილი ლესია, რომელიც ცნობილია ლესია უკრაინკას სახელით", – იგონებს ოლენა პჩილკა. ჟიტომირის ოლქის სახელმწიფო არქივში, ვოლინის

სასულიერო კონსისტორიის ფონდში, შენახულია საეკლესიო წიგნი, რომელშიც არის ჩანაწერი, რომ 1871 წლის 13 თებერვალს, ძველი სტილით, მომრიგებელ შუამავალთა ყრილობის თავმჯდომარეს, კოლეჟსკი სეკრეტარს პეტრო ანტონის ძე კოსაჩს და მის კანონიერ მეუღლეს ოლგა პეტროს ასულს შეეძინათ ქალიშვილი ლარისა (ლესია).

# ბავშვობა

პატარა ლესია სუსტი დაიბადა. ამას ზედ დაერთო ხელოვნური კვება, რომელიც იმ დროისათვის სიახლეს წარმოადგენდა. ამან, რა თქმა უნდა, სერიოზული საშიშროება შეუქმნა პატარას ჯანმრთელობას. იმასაც კი ფიქრობდნენ – გადარჩება თუ არაო. მაგრამ პეტრო კოსაჩის ზრუნვამ შვილზე თავისი ნაყოფი გამოიღო, ლესია გადარჩა. ამ დროისათვის ლესიას დედა ოლგა კოსაჩი საზღვარგარეთ გაემგზავრა, როგორც მან განაცხადა – სამკურნალოდ, სადაც ექვს თვემდე დაჰყო. ლესიას თავზე ადგა, ღამეებს უთენებდა და, თუ შეიძლება ასე ითქვას, დედის მაგივრობას უწევდა პეტრო კოსაჩი და გამოიყვანა კიდეც მდგომარეობიდან. ჟიტომირის ქუჩის მეზობლად ხშირი ბაღნარი იყო. მალე იქ დასახლდნენ კოსაჩები. როგორც ოჯახის წევრები იგონებენ, ეს იყო ყველაზე უკეთესი მათი სამი სახლიდან. ზვიაგელში, სადაც ჩვენ, კოსაჩები ვცხოვრობდით, იგონებდა ოლენა პჩილკა, გაცილებით დიდი, მართალია ერთსართულიანი, მაგრამ კარგი სახლი გვქონდა. სახლის წინ კი შესანიშნავი ბაღი იყო, ისიც საკმაოდ დიდი. ჩვენი პატარა ბავშვები იმ შესანიშნავ მამულში თავს ლაღად გრძნობდნენ.

ამ სახლში ცხოვრების თაობაზე მოგვითხრობს ლესია უკრაინკას ბიძაშვილი ლიდია შიშმანოვა-დრაგომანოვა. „მახსენდება დიდი და მშვენიერი სახლი ნოვოგრად-ვოლინსკში, – წერს იგი, – იმ სახლში და მის მშვენიერ ბაღში ჩვენ, ბავშვები ვბატონობდით, განსაკუთრებით კი ლესიას უფროსი ძმა მიხაილო და მე – მშფოთვარე, დაუდგრომელი ბავშვე-

ბი. მთელი დღე დავრბოდით აქეთ-იქით და მთელი ზაფხული განსაკუთრებით ერთ თამაშს ვთამაშობდით: ილიადასა და ოდისეას".[1] პატარა ლესიას მაშინ არ სჭირდა ის უბედური ავადმყოფობა – იგონებს იგი. ის თავისი ბუნებით წყნარი, გონიერი, გამგონე ბავშვი იყო და ჩვენ, დაუდეგარ ბავშვებს, ნიმუშად გვისახელებდნენ.

ლესია უკრაინკასთვის ნოვოგრად-ვოლინსკი, სადაც ის დაიბადა, მხოლოდ მშობლიური მხარე როდი იყო. გარემო, ბუნება, სადაც იგი იზრდებოდა და ვისთანაც ჰქონდა მას ურთიერთობა – ის ანკარა წყარო იყო, საიდანაც იგი იკრებდა სიცოცხლის ძალას და მუხტს შემოქმედებითი აღმაფრენისათვის.

ბავშვობის წლები მომავალმა მწერალმა ნოვოგრად-ვოლინსკში, ლუცკში და სოფელ კოლოდიაჟნეში გაატარა. მამისეული ეს სოფელი შემდგომში კოსაჩების ხშირი სამყოფელი გახდა.

თანამედროვეების გადმოცემით პეტრო კოსაჩი კეთილი, გულისხმიერი, მგრძნობიარე და, ამავე დროს, მტკიცე ხასიათის, პირდაპირი ადამიანი იყო (როგორც მკვლევრები აღნიშნავენ ეს თვისებები დამახასიათებელი გახდა ლესია უკრაინკასათვისაც). ლესიას დის, ოლგა კოსაჩ-კრივინიუკის გადმოცემით, პეტრო კოსაჩის შვილებიდან (ჰყავდა 6 შვილი) ლესია ყველაზე მეტად ჰგავდა მამას თავისი თვისებებით – პრინციპულობით, ადამიანების მიმართ ყურადღებითა და კეთილგანწყობით, მგრძნობიარე, რბილი ხასიათით და სხვ. ამავე დროს, იგი გამოირჩეოდა თავისი საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობით, სიმკაცრით.

---

[1] ლიდია შიშმანოვა-დრაგომანოვა, ლესია უკრაინკა, ლესია უკრაინკა თანამედროვეთა მოგონებებში, მ., 1971, გვ. 112.

პეტრო კოსაჩი განათლებული, ლიტერატურის კარგი მცოდნე ადამიანი იყო. სწორედ მან შეაყვარა თავის შვილებს წიგნი. ცოცხალი იუმორითა და საოცარი დაკვირვებულობით დაჯილდოებულ პეტროს გამორჩეულად უყვარდა სალტიკოვ-შჩედრინი. საღამოობით, ლამფის შუქზე, იგი მის ირგვლივ შემომსხდარ ბავშვებს უკითხავდა პუშკინისა თუ გოგოლის, მარკო ვოვჩოკისა თუ ნეკრასოვის ნაწარმოებებს. რუსი კლასიკოსებიდან, იგონებს ლესიას და, მამის ყველაზე საყვარელი მწერალი იყო სალტიკოვ-შჩედრინი. მამის მიერ შჩედრინის კითხვა ბავშვებისათვის დიდი სიამოვნება იყო. მან მშვენივრად იცოდა, თუ როგორ უნდა ამოეხსნა შჩედრინის ყველა ნართაულად ნათქვამი, ასევე კარგად შეეძლო შჩედრინის ყველა ნაწარმოებისათვის კომენტარის გაკეთება.

ლესიას დედა ოლგა პეტროს ასული კოსაჩ-დრაგომანოვა, მწერალი ქალი უკრაინულ ლიტერატურულ სამყაროში ცნობილია ოლენა პჩილკას ფსევდონიმით. მემუარული თუ ბიოგრაფიული ხასიათის ლიტერატურაში ოლენა პჩილკას შესახებ სხვადასხვაგვარი აზრია გამოთქმული. მას ზოგი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ ბანაკს მიაკუთვნებს, ზოგნი დემოკრატად, უკრაინის პროგრესული მოძრაობის მიმდევრად თვლიდნენ, ზოგი კი ზომიერი ლიბერალიზმის წარმომადგენლად მიიჩნევდა და სხვ. ერთ პერიოდში, იგი საკმაოდ პოპულარული ჟურნალის „რიდნი კრაის“ გამომცემელიც იყო და იქ მოღვაწეობისას ნაციონალური ინტერესებისათვის ბრძოლის კონსერვატიულ ტენდენციებთან შეხამება-შეთანხმებას ახერხებდა.

გამოჩენილმა უკრაინელმა მწერალმა მაქსიმ რილსკიმ ერთ-ერთ თავის გამოსვლაში (1963) ასე განსაზღვრა ოლენა პჩილკას წინააღმდეგობების შემცველი როლი ლესია უკრა-



პეტრო კოხანი (1841-1909), ლესია უკრაინკას მამა
ფოტო 1860 წ.

ინკას აღზრდაში: „გენიალური გოგონასათვის ვიწრო იყო ის საზოგადოებრივი წრე, რომელში იგი დაიბადა და ტრიალებდა, ხოლო ოლენა პჩილკამ იზრუნა ქალიშვილის არა მარტო ფართო და ღრმა განათლებაზე, რისთვისაც მას უდიდესი მადლობა, არამედ ცოტა სიმწარე როდი აგემა მას ცხოვრებაში, უბიძგებდა რა მას თავისი საკმაოდ შეზღუდული და ბევრ რამეში კონსერვატული მსოფლმხედველობისაკენ“.[2]

ოლენა პჩილკას მტკიცე, მბრძანებლური ხასიათი ჰქონდა. ამის თაობაზე ლესია უკრაინკა პირდაპირ წერს თავის დას ოლგას, ძმას მიხაილოს და სხვა ახლობლებს და გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ოლენა პჩილკა ყველანაირად ცდილობს მისი შვილის შემოქმედება წარმართოს მისთვის სასურველი მიმართულებით. უთანხმოება დედასა და შვილს შორის შეხედულებათა სხვადასხვაობით იყო განპირობებული. „მე ხომ ბევრ რამეში ვფიქრობ და ვგრძნობ სხვაგვარად, ვიდრე ჩვენი ოჯახის დანარჩენი წევრები“,[3] წერდა ლესია 1901 წლის 27 მაისს თავის დას ოლგას. ეს შინაგანი უთანხმოება თუ დაპირისპირება დედასა და შვილს შორის ლესიას სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდა. თუმცა ეს ჯიუტი დაპირისპირება დედა-შვილს შორის ლესიას სიცოცხლის ბოლო პერიოდში თითქოს შენელდა.

შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით პეტრო კოსაჩი 1878 წლის 7 ნოემბერს ზვიაგელიდან (ნოვოგრად-ვოლინსკიდან) ლუცკში გადაიყვანეს. ზვიაგელში, სადაც პეტრო კოსაჩი 1866 წლიდან მსახურობდა მომრიგებელ შუამავალ-

---

[2] მაქსიმ რილსკი, ლესია უკრაინკას ლირიკა, ლესია უკრაინკა თანამედროვეთა მოგონებებში, მ., 1971, გვ. 9.

[3] ლესია უკრაინკა, თხზ. ტ. V, 1956, გვ. 345.

თა ყრილობის თავმჯდომარედ, დაიბადა კოსაჩების სამი შვილი: მიხაილო, ლარისა (ლესია) და ოლგა. ამჯერად, პეტრო კოსაჩი დასაჯეს „უკრაინოფილობის“ გამო და ლუცკში გადაიყვანეს და აგრეთვე იმიტომ, რომ პარიზში ყოფნისას, იგი შეხვდა სტუდენტობის მეგობარსა და მეუღლის ძმას, ემიგრანტ მიხაილო პეტროს ძე დრაგომანოვს.

1879 წლის გაზაფხულზე ლუცკში გადაბარგდა მთელი ოჯახი. კოსაჩების გასაცილებლად ზვიაგელში უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. ლუცკამდე შორი გზა ჰქონდათ გასავლელი ფაეტონით. ლესია მაშინ რვა წლისა იქნებოდა. მას ასე შორს პირველად უხდებოდა მოგზაურობა. რივნოში ღამის გასათევად შეჩერდნენ. მეორე დღეს კი კოსაჩები ლუცკს მიადგნენ. შორიდანვე გამოჩნდა ლუცკის ეკლესია, მზეზე გაბრწყინებული გუმბათით. კათედრალური ტაძრის ახლოს იდგა ლამაზი ორსართულიანი სახლი. იქვე მდებარეობდა ლუცკის ცნობილი ციხე-სიმაგრე. კოსაჩები სახლის მეორე სართულზე დაბინავდნენ. ბინა სამი ოთახისაგან შედგებოდა. ფანჯრებიდან ქალაქის ხედი ჩანდა.

ლუცკში ჩასულებმა პირველი დღეები ბინის დალაგებასა და გარემოს გაცნობას მოანდომეს, ლესია მაშინვე განმარტოვდა და წიგნების კითხვა დაიწყო.

ბავშვები გიმნაზიაში უნდა მიებარებინათ, მაგრამ ოლგა კოსაჩი ამის წინააღმდეგი იყო. მისი აზრით, სკოლა ვერ მისცემდა ბავშვებს ისეთ განათლებას, როგორსაც ისინი სახლში მიიღებდნენ. გადაწყვიტეს, ლესიასა და უფროსი ძმის მიხაილოსათვის რეპეტიტორები აეყვანათ, ხოლო ვიდრე რეპეტიტორს შეარჩევდნენ, სწავლებას დედა უხელმძღვანელებდა.

ოლგა პეტროვნამ სახელმძღვანელოები შეიძინა და სწავლის საკუთარი პროგრამა, რეჟიმი შეადგინა, რომელიც საკ-

მაოდ საინტერესო იყო, მაგრამ მას არ ჰქონდა სისტემა. ამის გამო, შემდგომში, თვითონ ჩიოდა. მამას დაჟინებით უნდოდა მასწავლებლების მოწვევა გიმნაზიიდან, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. როგორც პოეტის ბიოგრაფები ამბობენ – განა შეიძლებოდა თავისთავში დარწმუნებული ოლგა კოსაჩის გადარწმუნება, რომელსაც მიაჩნდა, რომ ლესიას ცხოვრებაში უმთავრესი მისი დედის გადაწყვეტილებები იყო. მისი ქალიშვილის ბედის გარემოებები, სამწუხაროდ, ხელს უწყობდა ამ მკაცრი რწმენის შემუშავებას. ასე ჩამოცილდნენ გიმნაზიას ლესია და მიხაილო.

ლესიას ყველაზე უფრო ლიტერატურა, ისტორია და უცხო ენები აინტერესებდა. ოლგა კოსაჩი ბავშვებს აცნობდა ტარას შევჩენკოსა და სხვა უკრაინელი მწერლების შემოქმედებას. უნდა ითქვას, რომ უკრაინული ენა და ლიტერატურა დედამ, ოლენა კოსაჩმა გააცნო და შეაყვარა თავის შვილებს.

გარემო, რომელშიც იზრდებოდა პატარა ლესია, დადებითად მოქმედებდა გოგონაზე. ლესიამ კითხვა დაიწყო 4 წლისამ და 5 წლისა უკვე ფორტეპიანოზე უკრავდა. მას ადრე გამოაჩნდა მიდრეკილება მუსიკისადმი. მისი ფაქიზი სული მუსიკისა და პოეზიისადმი ისწრაფვოდა. ბუნებამ უხვად დააჯილდოვა იგი ნიჭით და ავადმყოფობა რომ არა, შეიძლებოდა კარგი მუსიკოსი გამხდარიყო.

ლუცკში ლესია მუსიკის გაკვეთილებსაც იღებდა, ნოტების კითხვაც ისწავლა, უკრავდა მუსიკალურ ეტიუდებს. მასწავლებელმა შენიშნა ლესიას ნიჭი. თქვენს გოგონას არაჩვეულებრივი მონაცემები აქვსო, – უთხრა მან კოსაჩებს. მშობლებიც ხედავდნენ, რომ ლესია მუსიკით იყო გატაცებული, ნიჭი ჰქონდა მუსიკალური. ერთხელ მოსმენილ მელოდიას უმალ იმახსოვრებდა. ლესიას სიმღერაც უყვარდა. არაერთხელ მო-

ხიბლულან მშობლები მათი გოგონას სიმღერით. ხანდახან მას მიხაილიკიც აჰყვებოდა და გაისმოდა ხმაშეწყობილი სიმღერა. ბავშვები ისე კარგად, ემოციურად მღეროდნენ, რომ ხშირად მშობლებსაც აიყოლიებდნენ ხოლმე.

სწორედ ამიტომაც, ერთ მშვენიერ დღეს, პეტრო კოსაჩმა ლესიას ფორტეპიანოც უყიდა და ამით საშუალება მისცა გოგონას, მუსიკას ჩაღრმავებოდა. რა თქმა უნდა, ლესიას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

საღამოობით, როდესაც მთელი ოჯახი შეიკრიბებოდა, ლესია მიუჯდებოდა პიანინოს და ღამის მყუდროებაში ფორტეპიანოს ხმა გაისმოდა. ემოციებით დატვირთული გოგონა მუსიკაში აქსოვდა თავის განცდებს, სიხარულსა თუ სევდას, ნაღვლიანობასა თუ მხიარულ განწყობას.

1880 წლის ზაფხულში ლუცკში მათთან ჩავიდა პეტრო კოსაჩის და, ოლექსანდრა თავისი ორი მცირეწლოვანი ვაჟიშვილით. იმ ზაფხულს მამიდის ქმარი დააპატიმრეს და გადაასახლეს. მამიდა საშა, როგორც მას უწოდებდნენ შინაურები და ლესია დამეგობრდნენ. ეს მეგობრული ურთიერთობა ლესიამ მთელი სიცოცხლის მანძილზე შეინარჩუნა. მამიდა საშა ლესიას ფორტეპიანოზე დაკვრას ასწავლიდა. მამის ნაყიდ პიანინოს „ლესიას ფორტეპიანოს“ უწოდებდნენ. სხვათა შორის, მართალია მოგვიანებით, მაგრამ ლესიას ლექსიც აქვს დაწერილი სათაურით „ჩემს ფორტეპიანოს“.

# ჩემს ფორტეპიანოს

## ელეგია

ო, მეგობარო, დაგშორდე უნდა,
გტოვებ დიდი ხნით და მენანება.
გიზიარებდი ჩემს ფიქრებს მუდამ,
განდობდი სევდას და მწუხარებას.
მე ხომ ბავშვობა შენთან ვატარე,
ხარ მეგობარი ნაცადი, ძველი,
საღამოს, როცა ხელს მოგაკარებ, –
წარმომიდგება წარსული მთელი.
მე ვხედავ სურათს, საღამო არი,
მეგობრებთან ვარ და – უდარდელი,
შენს კლავიშებზე ნაზი, ნარნარი,
საამოდ უკრავს სათუთი ხელი.
მაგრამ აქ ჩუმად ცრემლებს ვინ აფრქვევს?
თავშეკავებით ვინ ჰგოდებს, ნეტავ?
ყმაწვილი თავის სევდას ვეღარ სძლევს,
მწარე ფიქრები სტანჯავენ მეტად.
რისთვის ვგოდებდი, ცრემლი რად ვღვარე?
რომ სიხარული მეხვია გარსა?..
ჩანს, წინასწარ ვცან, რომ ბედი მწარე
დამითალხავდა ღრუბლებით გზასა.
როცა თამაშით ვსევდიანობდი,
ტურფა ქვეყანა ჩემს წინ ბრწყინავდა,
ვით ცისარტყელას, ბედს შევხაროდი, –
ჩემი ოცნება შორს მიფრინავდა...

ახლა დიდი ხნით გშორდები მე, და
ვერ გაგაღვიძებ შენ აკორდებით,
აწ აღარ ვიცი, რა ვუყო სევდას...
ო, მეგობარო, გტოვებ, გშორდები!

*(თარგმნა გრიგოლ ცეცხლაძემ)*

1879 წელს პეტერბურგში დააპატიმრეს პეტრო კოსაჩის მეორე და ელია. ლესია და მისი ძმა მიხაილი პატარაობიდანვე იცნობდნენ მას და კეთილად იყვნენ მისდამი განწყობილნი. მათთან სტუმრობის დროს მამიდა ელიამ ლესიას ასწავლა უკრაინული ხალხური ქარგვა. თვითონ მამიდა ელია დიდოსტატად, ხელოვანად ითვლებოდა ამ დარგში, ქარგვაში. ლესია მისი ნიჭიერი მოწაფე გამოდგა.

კოსაჩების ოჯახი ახლო მეგობრულ თუ ნათესაურ ურთიერთობაში იმყოფებოდა იმ დროის პროგრესულ მოღვაწეებთან. თავად პეტრო კოსაჩი პოლიტიკურად „არაკეთილსაიმედო" ხალხთან მეგობრობდა. თუ ამ კუთხით შევხედავთ კოსაჩების ოჯახს, ასეთი სურათი წარმოგვიდგება: თვითონ პეტრო კოსაჩი პეტერბურგის უნივერსიტეტიდან გააძევეს რევოლუციონერებთან ურთიერთობისა და რევოლუციური საქმიანობის გამო, მისი დები ოლექსანდრა და ოლენა ხალხოსნურ მოძრაობაში მონაწილეობისთვის რეპრესირებულნი იყვნენ, ოლენა პჩილკას ძმა მიხაილო დრაგომანოვი ემიგრირებული რევოლუციონერი იყო, ხოლო უფრო სიღრმეში თუ წავალთ, ოლენა პჩილკას ბიძა იაკობ დრაგომანოვი დეკაბრისტულ აჯანყებაში მონაწილეობის გამო მეფის ხელისუფლებამ ციმბირში გადაასახლა. ასეთი რევოლუციური „თაიგული" შედგა კოსაჩების წრეში.

მამიდის დაპატიმრებისა და გადასახლების შესახებ ლესიამ მოგვიანებით ლუცკში შეიტყო. ამან ძლიერ იმოქმედა

მასზე და დაამწუხრა. სწორედ ამ სტრესის ზეგავლენით ლესიამ 1879 წლის დამლევსა თუ 1880 წლის დამდეგს ლუცკში შექმნა თავისი პირველი ლექსი „იმედი“.

პატარა გოგონაში იფეთქა ნიჭის ნაპერწკალმა.

აი, ეს ლექსიც:

ვერ ვეღირსე ბედს, ვერ ვეღირსე თავისუფლებას,
დამრჩა იმედი და იმედზე ფიქრის უფლება:
ოღონდ მეღირსოს უკრაინა ჩემი ვიხილო,
თუნდ ერთხელ ვნახო, მერე თუნდაც იქ მივიძინო.
ერთი მანახა ლურჯი დნეპრი – ჩემი მდინარე
და თუნდაც მოვკვდე იმწუთშივე – აღარ ვინანებ.
ვნახო ძვირფასი საფლავები, ვრცელი ველები,
სადაც გარბოდა ცეცხლოვანი ჩემი დღეები.
ვერ ვეღირსე ბედს, ვერ ვეღირსე თავისუფლებას,
დამრჩა იმედი და იმედზე ფიქრის უფლება.

*(თარგმნა რუსულიდან ჭანტურიშვილმა)*

აქვე, შეიძლება ითქვას, რომ ლესიას პირველი ცდები ლიტერატურულ ასპარეზზე და ასევე მიხაილიკისაც ოლგას თავის დამსახურებად მიაჩნდა. არ ვიცი, მე რომ არა, გახდებოდნენ თუ არა ლესია და მიხაილო უკრაინელი ლიტერატორები, წერდა ოლენა პჩილკა მოგვიანებით ცნობილ გალიციელ ლიტერატურათმცოდნე ომელიან ოგონოვსკის, მაგრამ შეიძლება გამხდარიყვნენ, უფრო კი არა.

ოლენა პჩილკა თავად იყო პოეტი და ურიგო ლექსებს როდი წერდა, ამასთან სურვილი ჰქონდა, რომ მის შვილებს, ყველას, ექვსივეს (მიხაილოს, ლესიას, ოლგას, ოქსანას, იზიდორას და მიკოლას) პოეზიაში ეცადათ ბედი. ამათგან მიხაი-

ლიკი და ოლგა იბეჭდებოდნენ კიდეც მიხაილო ობაჩნისა და ოლესია ზირკას ფსევდონიმებით.

როდესაც ლესია იხსენებს ლუცკს აგონდება თუ როგორ დადიოდნენ ის და მისი მეგობრები ლუცკის ციხე-სიმაგრის ნანგრევებში და ერთობოდნენ, აწყობდნენ „სერიოზულ შეკრებებს". ბავშვებმა კარგად იცოდნენ ამ ციხე-სიმაგრის ისტორია, ის მოვლენები, რომლებიც ამ ციხე-სიმაგრეში ვითარდებოდა. ბავშვის გონებაში ლუცკი და მისი ციხე-სიმაგრე სამუდამოდ ჩაიბეჭდა. ლესია მას იხსენებს 1910 წლის 10 აგვისტოს დაწერილ ლექსში „ვეჩე" და აგრეთვე 1909 წლის 10 მარტს გალინა კომაროვასადმი თელავიდან გაგზავნილ წერილში, სადაც აღწერს თელავის ცენტრსა და ციხე--სიმაგრესაც „...ქალაქის შუაგულში დიდი ციხე-სიმაგრეა კოშკებით, დაკბილული კედლებით, იგი მე მაგონებს ლუცკის ციხე-სიმაგრესა და ჩემი ყრმობის წლებს"...[4] – წერდა ლესია უკრაინკა.

კოლოდიაჟნეში ახალგაზრდობა წარმოდგენებს მართავდა. ლესიას დედამ დაწერა ისტორიული დრამა ხუთ მოქმედებად – „კარმელიუკი". პიესის დადგმა სოფელში არ მოხერხდა, რადგან არც მსახიობები იყვნენ საამისოდ და არც ფული ჰქონდათ. გადაწყვიტეს, პიესა თოჯინების თეატრში დაედგათ.

ლესია აქტიურად ჩაება სამზადისში. იგი იყო მსახიობიც, მხატვარიც და რეჟისორიც; ბევრი თოჯინაც გააკეთეს, მოამზადეს დეკორაციები. ეფექტური აღმოჩნდა კარმელიუკის

---

[4] ლესია უკრაინკა, თხზ. ტ. V, 1956, გვ. 563, ოლგა კოსაჩ-კრივინიუკი, ჩემი მოგონებებიდან, ლესია უკრაინკა თანამედროვეთა მოგონებებში, მ., 1971, გვ. 45.

მიერ ბატონის ცეცხლწაკიდებული სახლის დეკორაცია. ერთი სიტყვით, ლესიას გარეშე არაფერი კეთდებოდა. დაიდგა წარმოდგენა. თოჯინების თეატრმა დიდი პოპულარობა მოიპოვა კოლოდიაჟნეში, რაშიც მცირე როდი იყო ლესიას დამსახურება.

სოფელს ერთი მხრიდან გაუვალი მუხნარი ეკრა. ლესიას ზვიაგელური ფიჭვნარი აგონდებოდა და მასთან ერთად ფერიები, ქაჯები, წყლის კაცები, სირინოზები და მათ შესახებ გაგონილი ლეგენდები. ბევრჯერ სცადა მათთან შეხვედრა, კუპალაზეც იყო ამისთვის, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ლესიამ ახლა აქ, კოლოდიაჟნეში ჩაიფიქრა ფერიებისა და ქაჯების ნახვა და სცადა კიდეც. გარემოებაც ხელს უწყობდა. ხშირი ტყე, ტბა, მოჩხრიალე ნაკადულები და ლესიამაც გაბედა. ღამით ჩუმად გაიპარა სახლიდან და ტყეში შევიდა. ბოლოს ტბა გამოჩნდა. სარკესავით პრიალებდა მისი ზედაპირი. ტბა ირგვლივ მუხებით იყო გარშემორტყმული. ლეგენდებიდან იცოდა, რომ ფერიებს ბანაობა ყველაზე მეტად მთვარიან ღამეს უყვარდათ. ლესიაც მუხას მიეყრდნო და დაიწყო ლოდინი. დიდხანს იცადა ლესიამ, მაგრამ ვერაფერი იხილა. შემოათენდა კიდეც. ბოლომდე სჯეროდა, რომ ფერიას მაინც ნახავდა. არაფერი გამოუვიდა და ლესია შინ დაბრუნდა. არაერთხელ სცადა ლესიამ ფერიებისა თუ ქაჯების ნახვა. მათთან შესახვედრად ტყეში შესულ ლესიას ხანდახან ეჩვენებოდა კიდეც, რომ რაღაცამ თუ ვიღაცამ ტყეში ადამიანივით იყვირა, ბალახი შეირხა, აშრიალდა და ... ლეგენდები და მნახველთა მოგონებები, კოდოლიაჟნეს ტყეში მიღებული შთაბეჭდილებები ლესიას ღრმად ჩაუჯდა მეხსიერებაში და ბოლოს აისახა კიდეც მის ერთ-ერთ შესანიშნავ ნაწარმოებში, რომელზედაც შემდეგ გვექნება საუბარი.

მძიმედ დაიწყო მომავალი, დიდი მწერლის შემოსვლა ამ ცხოვრებაში.

კოსაჩებს კიევში უხდებოდათ ჩასვლა და ცხოვრებაც. კიევში ლესია თავს კარგად გრძნობდა, ოღონდ ეს იყო – 10 წლის გოგონას მის ტოლ ბავშვებთან უნდოდა თამაში. „კიევში მე კარგად ვგრძნობ თავს, ესაა მხოლოდ – არავინაა, რომ ვეთამაშო, – წერდა ბებიას, – იმიტომ, რომ ვინც ნაცნობები არიან – ან დიდები არიან ჩემზე, – ანდა პატარები, ანდა არ უნდათ ჩემთან მოსვლა".[5] ამის თაობაზე ზოგი მკვლევარი ფიქრობს (ს. ს. კარევინი), რომ ლესიას ბავშვური გაჭირვების მიზეზი „არ უნდა ჩემთან მოსვლაში" კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ დედის, ოლენა პჩილკას ჭირვეულობაში, რომელსაც უნდოდა, რომ შვილს უპირატესად უკრაინული ოჯახის შვილებთან ჰქონოდა ურთიერთობა.

გავა დრო და ოლენა პჩილკა ქებას დაიმსახურებს გამოჩენილი უკრაინელი საზოგადო მოღვაწეებისა და ხელოვანებისაგან უკრაინული ენის სიწმინდისათვის მისი ამგვარი დამოკიდებულების გამო. „თქვენ უკრაინას მიეცით პირველი მაგალითი განათლებული ოჯახისა, სადაც სათუთად ეპყრობიან მშობლიურ ენას", ეტყვიან ისინი. ივან ფრანკო, მიხაილო გრუშევსკი, ვოლოდიმირ გნატიუკი მისასალმებელ სიტყვებში ოლენ პჩილკასადმი საგანგებოდ აღნიშნავენ მწერალი ქალის ერთგულებას მშობლიური უკრაინული ენისადმი.

1881 წლის 6 იანვარს კოსაჩებს უბედურება დაატყდათ თავს. ნათლისღების დღესასწაულზე, რომელიც უკრაინაში ზამთარში ტარდება ლესია წავიდა მდინარეზე იმის სანახავად, თუ როგორ აკურთხებდნენ წყალს. ლესია მდინარეში

---

[5] ლესია უკრაინკა, თხზ., ტ. V, 1956, გვ. 5.

ჩავარდა და მთლიანად დასველდა. იგი მაშინვე შეეცადა წყლიდან გამოსულიყო ნაპირზე, მაგრამ ხალხმრავლობამ შეუშალა ხელი. როდესაც მოახერხა წყლიდან ამოსვლა და სახლში მისვლა, სულ სველი და გათოშილი იყო. ლესია ჩაწვა ლოგინში. იგი მძიმედ გახდა ავად, ლოგინად ჩავარდა. მას ძლიერი ტკივილები აწუხებდა. პირველად მარტო ფეხის ტკივილი დაეწყო. თავდაპირველად გადაწყვიტეს, რომ მას მწვავე რევმატიზმის შეტევა აქვსო. მკურნალობდნენ აბაზანებით, მალამოებით, ბალახებით, მაგრამ უშედეგოდ. ტკივილმა მარცხენა ხელზეც გადაინაცვლა.

ექიმებმა საბოლოოდ დაადგინეს, რომ ეს ძვლის ტუბერკულიოზი იყო. ლესიას მუსიკალურ კარიერას ჯვარი დაესვა. 1883 წელს ხელზე პირველი რთული ოპერაციის შემდეგ, რომელიც უშედეგო აღმოჩნდა, ხელი დაუსახიჩრდა. აი, მაშინ პატარა გოგონას თვალებში დაიბუდა ნაღვლიანმა გამოხედვამ, სევდამ. იმიერიდან, იგი, როგორც მსუბუქი ნისლი, არ მოსცილებია მის თვალებს და დაეფინა მის შემოქმედებას. იმიერიდან თვეების განმავლობაში ლესია საწოლს იქნება მიჯაჭვული, მტანჯველი შეუნელებელი ტკივილი ხელ-ფეხს შუბორკავს გოგონას და 30 წლის განმავლობაში თავის ტკივილებში ამყოფებს. ლესიამ დაკარგა იმედი და შესაძლებლობა, ღრმად დაუფლებოდა მუსიკალურ ხელოვნებას. ხანდახან მეჩვენება, რომ ჩემგან გაცილებით უკეთესი მუსიკოსი გამოვიდოდა, ვიდრე პოეტი, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ბუნებამ მწარედ დამცინა – აღნიშნავდა ლესია უკრაინკა.

ლესიას მშობლებმა ხელები ჩამოყარეს. მათ ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ შეემსუბუქებინათ ავადმყოფი შვილის ტანჯვა. მათ დაჰყავდათ ლესია ზღვაზე, უკეთებდნენ ტალახის აბაზანებს, მიმართეს სახალხო მედიცინას, გამო-

ჩენილ გერმანელ ექიმებს... მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. ავადმყოფობა მცირე ხნით იხევდა უკან, მერე კი ახალი ძალით უტევდა გოგონას. ლესია ახლა მხოლოდ იგონებდა ღამის საიდუმლო სეირნობას მამის მამულში, კოლოდიაჟნეში, როდესაც იგი უსმენდა ბუნებას და ეგონა, რომ ესმოდა ხეებისა და ფოთლების ღამის სუნთქვა, საუბარი, ხედავდა ტბაში მობანავე წყლის ფერიებს, მავკას, რომელიც თავის გაშლილ თმებში იწნავდა ყვითელსა და თეთრ ყვავილებს, ხელებით იჭერდა მთვარის სხივებს...

პატარა ლესიას საოცარი ნიჭი გამოაჩნდა. მან იოლად დაძლია ევროპული ენები, ფართოდ გაეცნო რუსულ, უკრაინულ და ევროპულ ლიტერატურას, დაინტერესდა ისტორიით და სხვ. თავისი ნიჭისა და შრომისმოყვარეობის წყალობით ახალგაზრდა მწერალი შემდგომში დაეუფლა გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ, ბერძნულ, ლათინურ, პოლონურ, ბულგარულ და სხვა ენებს. ლესიამ იმდენად საფუძვლიანად შეისწავლა ისტორია, რომ თავისი პატარა დებისათვის 20 წლის ქალიშვილმა დაწერა სახელმძღვანელო – „აღმოსავლეთის ხალხების ძველი ისტორია“. ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ პოეტის გარდაცვალების შემდეგ ეს წიგნი უკრაინაში სკოლებისთვის გამოიცა. წიგნი დაწერა მან, როგორც ნამდვილმა პროფესიონალმა. მასში ლაკონურად და საინტერესოდ იყო გადმოცემული აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია.

სოფელში ყოფნის დროს ლესია გლეხების ცხოვრებას გაეცნო, მათგან მოისმინა ხალხური სიმღერები და ზღაპრები, რომლებშიც თავისუფლებისათვის ბრძოლაზე იყო მოთხრობილი.

ლექსების წერა ლესიამ ჯერ კიდევ ბავშვობაში დაიწყო. პირველი ლექსის „იმედი“-ს დაწერიდან სულ ოთხი წლის

შემდეგ, 1884 წლის შემოდგომაზე, 13 წლის გოგონას ლექსები – „შროშანა“ და „საფო“ ლვოვის ჟურნალში „ზორია“ გამოქვეყნდა. მომაქვს სრულად „შროშანა“, რომელიც ქართულ ენაზე „კონვალიას“ სახელწოდებით ითარგმნა:

## კონვალია

იზრდებოდა კონვალია
მაღალ მუხის ძირას,
ბერი მუხა აშორებდა
ავდარსა და წვიმას.
მაგრამ დიდხანს ვერ იხარა
მისი ეშხით ველმა,
მას სიცოცხლე შეუმოკლა
უცებ კაცის ხელმა.

დღეს სახლში ხარ, კონვალიავ,
ვაი შენი ბრალი,
დღეს იმშვენებს თავის გულ-მკერდს
შენით პანის ქალი.

დღეს მის ბალზე მხიარული
ჰქუხს მუსიკის ხმები,
ამ ჰანგთაგან, კონვალიავ,
სევდისაგან ხმები.

და როს ვალსით პანის ქალი
დატრიალდა ჩქარა,
კონვალიას მჭკნარი თავი
დაბლა დაიხარა.

ჩურჩულით თქვა კონვალიამ:
„ტყევ, მშვიდობით, ტყეო,
შენც, მფარველო ჩემო მუხავ,
მხარგაშლილო ხეო.“

და დადუმდა. პანის ქალმა
ის უგულო ხელით
გადისროლა, თეთრი ვარდი,
დამჭკნარი და ძველი.

პანის ქალო, შენაც თეთრი
შეგერევა თმაში,
ჰოდა, იქნებ კონვალია
მოიგონო მაშინ.

დიდხანს როდი იფრიალებ,
პანის ქალო, ასე,
დიდხანს როდი გაგახარებს
შენი სილამაზე!

შენი სატრფოც, დღეს რომ გმოსავს
სიყვარულით მწველით,
ამ ვარდივით გადაგისვრის
შენც უგულო ხელით.

*(თარგმნა ირაკლი აბაშიძემ)*

1884 წლის ზამთარში ოლენა პჩილკამ ლესიას შესთავაზა უკრაინულ ენაზე ეთარგმნა ნიკოლოზ გოგოლის „საღამოები დიკანკის მახლობელ ხუტორში“. მომდევნო წელს ლვოვში გა-

მოიცა უკრაინულ ენაზე თარგმნილი ნ. გოგოლის მოთხრობები. მთარგმნელები იყვნენ ლესია და მიხაილო კოსაჩები.

ეს ლესიას პირველი გამოქვეყნებული ნაწარმოებებია. ბავშვის რვეულებში კი ამ დროისათვის უკვე საკმაოდ იყო ჩაწერილი ლირიკული ლექსები და ერთი პიესა – „ალი“. 1885 წელს ოლენა პჩილკა თავისი ძმისადმი მიწერილ ბარათში ასე ახასიათებდა ლესიას: „მშვენიერი გოგონაა, უსასრულობამდე კეთილი და გულღია, ძალზე ნიჭიერი მეცნიერებასა და ხელოვნებაში. იგი მშვენივრად უკრავს ფორტეპიანოზე, განსაკუთრებით უკრაინულ ნაწარმოებებს, სხვებსაც უკრავს, თანაც ერთი ზამთრის განმავლობაში სწავლობდა მუსიკას. ლესია ცუდ ლექსებს როდი წერს, შეიძლება ოდესმე ნამდვილი პოეტი დადგეს“.

დედის ნათქვამი წინასწარმეტყველური გამოდგა. სულ მოკლე ხანში ლესია მართლაც ნამდვილი პოეტი, ცნობილი და ხალხის საყვარელი მწერალი გახდა.

1888 წლიდან ახალგაზრდა პოეტი ქალის სახელი ხშირად ჩნდება პრესის ფურცლებზე.

ლიტერატურულ სარბიელზე გამოსვლის დროისათვის, ჯერ კიდევ ბავშვს, უხდებოდა სასტიკი ბრძოლა არა მხოლოდ შემოქმედებით სფეროში ბნელი ძალების წინააღმდეგ, არამედ საშინელი ავადმყოფობის წინააღმდეგაც. ძვლის ტუბერკულიოზის შემდეგ ავადმყოფობამ მალე ჩაითრია ფილტვები და თირკმელები. დაიწყო უსასრულო კონსულტაციები ექიმებთან და სამკურნალოდ მოგზაურობანი თბილ ქვეყნებში. ამ ხნის განმავლობაში ლესიას მოუხდა რამდენიმე მძიმე ოპერაციის გაკეთება. მისი მდგომარეობა არსებითად მძიმე იყო. მოგვიანებით მას უჭირდა სიარული, მოძრაობა

და ამიტომაც იძულებული იყო ხშირად წოლილიყო კიდეც. მიუხედავად ამისა, ლესია უკრაინკა ბოლომდე ვაჟკაცურად იტანდა ტკივილებს და თავის საქმეს, მწერლობას ერთგულად ემსახურებოდა. იგი დაუღლავად ეცნობოდა, კითხულობდა, სწავლობდა მხატვრულსა თუ სხვა ლიტერატურას და თან თავის კალამსაც არ ასვენებდა.

ცნობილი უკრაინელი მოღვაწე მ. პავლიკი ერთ თავის წერილში აღნიშნავდა: „ლესიამ პირდაპირ განმაცვიფრა თავისი განათლებითა და გამჭრიახი გონებით. ვფიქრობდი, რომ იგი მხოლოდ თავისი პოეზიით იყო შემოფარგლული, მაგრამ ეს სრულიადაც არ ყოფილა ასე. თავისი ასაკისათვის ეს გენიალური ქალია... მე მას ძალიან დიდხანს ვესაუბრე და ყოველ მის სიტყვაში გამოსჭვიოდა გონივრულობა და პოეზიის, განათლებისა და ადამიანის ცხოვრების ღრმა გაგება".[6]

80-იან წლებში რეაქციის გაძლიერების მიუხედავად კიევში გამოცოცხლდა კულტურული ცხოვრება. ახალგაზრდობის ერთმა ნაწილმა თავი მოიყარა უკრაინელი შემოქმედებისა და საზოგადო მოღვაწეების – მ. სტარიცკისა და მ. ლისენკოს ირგვლივ. აქვე, შეიძლება დავძინოთ, რომ ორივე ლესია უკრაინკას მეზობლად ცხოვრობდა და მათ ოჯახებს მეგობრობა აკავშირებდათ. ლესია უკრაინკას ინიციატივით რამდენიმე მისი ნაცნობი გაერთიანდა შემოქმედებით ჯგუფში, რომელსაც დაარქვეს – „თაობა". მათი ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი იყო მთარგმნელობითი საქმიანობა.

კოსაჩების ხშირი სტუმრები იყვნენ მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები, მათ შორის, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, უკრა-

[6] მიხაილო დრაგომანოვის მიმოწერა მიხაილო პავლიკთან, ტ. 6, 1910, გვ. 121.

ინული რეალისტური დრამატურგიისა და თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი მიხაილო სტარიცკი, გამოჩენილი უკრაინელი კომპოზიტორი მიკოლა ლისენკო, უკრაინული მხატვრული სიტყვის ტიტანი ივან ფრანკო და უკრაინული კულტურის სხვა სახელოვანი წარმომადგენლები. კოსაჩების ოჯახში იმართებოდა საღამოები და კონცერტები. ასეთ ოჯახში დაიბადა და იზრდებოდა ლესია უკრაინკა. ასეთ გარემოცვაში ხდებოდა მისი ლიტერატურული ნიჭის განვითარება.

პოეტის, დრამატურგისა და საზოგადო მოღვაწის მიხაილო სტარიცკისა და კომპოზიტორ მიკოლა ლისენკოს ბინა იყო ახალგაზრდების წრის – „თაობის“ თავმოყრის ადგილი. პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული წრის წევრები თავიანთ შეკრებებზე მსჯელობდნენ უკრაინული ლიტერატურის ბედზე, მის მომავალზე. ხალხისთვის ლიტერატურის გაცნობის ერთ-ერთ გზად მათ მთარგმნელობითი მოღვაწეობა მიაჩნდათ. ჩვენამდე მოღწეულია ლესია უკრაინკას მიერ შედგენილი სია, რომელშიც სათარგმნ ავტორებად შეყვანილი იყვნენ პუშკინი, ლერმონტოვი, ნეკრასოვი, ტოლსტოი, სვიფტი, შექსპირი, შილერი, ჰაინე, მიცკევიჩი და სხვა რუსი თუ ევროპელი 70 მწერალი. თავად ლესია უკრაინკამ, ამ დროისათვის, თარგმნა კოროლენკოს მოთხრობები და ჰაინეს ლექსები. ჰაინეს ნაწარმოებების თარგმანები 1892 წელს ლვოვში გამოქვეყნდა, ხოლო მომდევნო წლის დამდეგს ივან ფრანკოს დახმარებითა და ხელშეწყობით ლესია უკრაინკას ნაწარმოებებმა იხილეს დღის სინათლე.

# სიმღერების ფრთებზე

1893 წელს ქალაქ ლვოვში დაიბეჭდა ლესია უკრაინკას ლექსების პირველი კრებული „სიმღერების ფრთებზე“ ეს იყო კოსაჩების ოჯახის საერთო ზეიმი, განსაკუთრებით უხაროდა მამას, პეტრო კოსაჩს. დედისგანაც ასეთივე აღტაცებასა და სიყვარულს ელოდა ლესია, მაგრამ კოსაჩების უფროს ქალიშვილს მასთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა. შეიძლება წარმოვიდგინოთ, რა ტანჯვას განიცდიდა ახალგაზრდა ქალი, რომელსაც სწყუროდა სიყვარული, სითბო, თანადგომა, ხოლო კოსაჩი კი გულცივად ეკიდებოდა მას და მისი ქალიშვილის მეგობრობას ახალგაზრდებთან. დედასთან ასეთი დამოკიდებულება რთულდებოდა და მძიმდებოდა ქალიშვილის ფიზიკური მდგომარეობის, ავადმყოფობის, ფიზიკური უსუსურობის გამო.

ასეთ ვითარებაში იკვალავდა გზას ლესია უკრაინკა პოეზიაში.

პირველ კრებულში შევიდა ლესია უკრაინკას ყველა ლექსი და პოემა, რომელიც მას იმ დროს ჰქონდა დაწერილი. კრებული თუმცა იდეურ-მხატვრული თვალსაზრისით თანაბარი ძალისა და დანიშნულების ნაწარმოებებისაგან როდი შედგებოდა, მაგრამ ლიტერატურულ წრეებში მან დიდი ინტერესი გამოიწვია. ლესია უკრაინკას პოეზიის მხნე ტონმა, მისი ლექსების რევოლუციურმა სულისკვეთებამ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ღერძმა, ახალბედა მგოსნის მხატვრულმა ოსტატობამ საზოგადოებრიობას დაანახვა, რომ ლიტერატურაში მოვიდა ახალი ნიჭიერი პოეტი.



ოლგა დრაგომანოვა-კოსაჩი (1849-1930)

ფოტო 1868 წ.

ლესია უკრაინკა პოეტური კრებულების შედგენის დროს ნაწარმოებებს ხშირად ჟანრებისა თუ მოტივების მიხედვით ციკლებად აკომპლექტებდა. ამ პრინციპით ხელმძღვანელობდა ლესია ჟურნალებში პოეტური ნაწარმოებების გამოქვეყნების დროსაც. ლექსების ერთი ქუდის ქვეშ გაერთიანება თითქოს ცვლიდა მათ ჟანრულ ბუნებას. თემის ლირიკული ბუნება, მისი ლირიკული გახსნა ერთგვარად ეპიკური ელემენტებით ივსებოდა, ხოლო ნაწარმოების იდეური მიმართულება განშტოებული ჩანაფიქრის თავისებურ შთაბეჭდილებას ტოვებდა. ამგვარი მიდგომა, ლექსების ციკლებად გაერთიანება, რა თქმა უნდა, არ ამცირებდა მის აქტუალობას. ლესია უკრაინკას მიერ შექმნილი ციკლი აღიქმებოდა, როგორც ერთიანი, დასრულებული თხზულება.

ლესია უკრაინკა ციკლის შედგენისას ცდილობდა ისე გაენაწილებინა ლექსები, რომ მთავარი ჩანაფიქრი გამოკვეთილიყო და იგი თანდათანობით მეტი სიმძლავრით წარმოჩენილიყო, რაც ავტორის იდეური პოზიციის გამოკვეთილად წარმოდგენას მოემსახურებოდა. შეიძლება ითქვას, რომ ლექსების ციკლებად დაყოფა კრებულის შედგენის ერთი უბრალო თავისებურება კი არ იყო, არამედ ავტორის იდეური მიმართულების გამოვლენასაც ემსახურებოდა. ეს კი პოეტის ლირიკული გმირის დახასიათების შესაძლებლობას იძლეოდა.

ლესია უკრაინკას პოეზიაში აირეკლა მისი სულიერი მისწრაფებანი, მორალური, ეთიკური, საზოგადოებრივი და მისი, როგორც ადამიანის ინტერესების მთლიანობა. უკრაინელი პოეტი თავის ნაწარმოებებში წარმოგვიდგება როგორც სამართლიანობისა და სიმართლისათვის შეუდრეკელი მებრძოლი, ადამიანთა მიერ ადამიანის ჩაგვრის წინააღმდეგ, ხალხთა ბედნიერი მომავლისათვის მებრძოლი.

ყოველივე ეს აისახა პოეტის შემოქმედებაში. ლესია უკრაინკას პოეზიაში ტრადიციულად გამოიყოფა პატრიოტული, საზოგადოებრივი, ინტიმური და სხვა მოტივები. რა თქმა უნდა, ასეთი კლასიფიკაცია პირობითია, რადგან ერთსა და იმავე ნაწარმოებში სხვადასხვა მოტივი ხშირადაა ერთმანეთთან გადაქსოვილი.

70-80-იანი წლების უკრაინული პოეზიის ზოგიერთი წარმომადგენლისათვის ნიშანდობლივი იყო ნაღვლიანობისა და განწირულობის მოტივები. ამგვარი განწყობის სოციალური საფუძველი ლიბერალურ-ხალხოსნური იდეოლოგია იყო, რომლის ერთგვარი გამოძახილი ლესია უკრაინკას ზოგიერთ ადრეულ ნაწარმოებში შეინიშნება. კრებულში „სიმღერების ფრთებზე" შესულ ზოგიერთ ლექსში იგრძნობა გაუხარელი სინამდვილით გამოწვეული ავტორის მწუხარება, ჟღერს ნაღვლიანობისა და მარტოობის მოტივები. კრებულში შეტანილია 14 წლის ლესიას მიერ დაწერილი პოემა „ალი", ნაწარმოებები – „სამსონი", „მთვარის ლეგენდა".

პოეტის ადრეულ ნაწარმოებებში აშკარად იგრძნობა ის ინტონაციები, რომლებიც შემდგომში სიმართლისათვის მებრძოლი შემოქმედისათვის გახდება დამახასიათებელი. 1888 წელს დაწერილ ციკლში „მოგზაურობა ზღვისკენ", ი. ფრანკოს აზრით, პირველად ახმიანდა სოციალური ნოტა. იმიერიდან პოეტი გულმოდგინედ აკვირდება სინამდვილეს და „რეალურ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომელთაგანაც აღმოცენდება ყოველდღიური მწუხარებაცა და თავისუფლებისა და თანასწორობისაკენ მაღალი იდეალური სწრაფვანიც".[7]

---

[7] ი. ფრანკო, ლესია უკრაინკა, რჩეული ნაწერები, ტ. V, 1951, გვ. 242.

მშობლიური უკრაინის მხატვრული სახე ლესია უკრაინკას შემოქმედებაში გამოჩნდა იმთავითვე, როდესაც ლესიამ კალამი აიღო ხელში. 1888 წელს 17 წლის გოგონა ოდესისკენ გაემგზავრა. ვოლინიდან ოდესისკენ მგზავრობა მას მოუხდა ეტლით, მატარებლით, გემით. ამ გზაზე მის თვალწინ გადაიშალა მთელი უკრაინა. მოგზაურობა დაიწყო მატარებლით. კოველიდან შეპეტოვკის, ვინიცის გავლით მიჰქროდა მატარებელი, „რკინის ხარი" რკინის ლიანდაგებზე და მგზავრების თვალწინ ჩაიქროლებდა ხოლმე ულამაზესი ფიჭვნარი და ლესიას მშობლიური მდინარე სლუჩი, ვოლინისა და პოდოლიეს მჭიდროდ დასახლებული სოფლები, „ლამაზი სოფლები", შემდეგ კი „სულ სტეპი, უნაპირო". იმის შემდეგ კი გამოჩნდება „ლურჯი ზღვა". გოგონას ახსენდება უკრაინელების ბედი წარსულში, „სისხლით მორწყული... წარსული" –:

მშვიდობით ვოლინ! – ძვირფასო მხარევ,
ბედმა მარგუნა ეს განშორება,
მე ფოთოლი ვარ და რკინის ხარი
შორს მიაქროლებს მთელ ჩემს ცხოვრებას.

*(„მოგზაურობა ზღვისკენ",*
*თარგმნა ალეკო შენგელიამ)*

ასე ემშვიდობებოდა ლესია უკრაინკა მშობლიურ მხარეს. პოეტი უყურადღებოდ არც პოდოლიეს ტოვებს. ეს ულამაზესი მხარე მასში აღტაცებას იწვევს:

პოდოლიე – უკრაინის
სიტურფეა თვალწარმატი,
იქ წამითაც თუ გაივლის, –
უკვდავებას იგრძნობს კაცი.

იქ შრიალებს ოქროყანა,
გაუშლია სივრცეს მხრები
და ერთურთში ბჭობენ წყნარად
ასწლოვანი ფიჭვნარები.

ოდესისკენ მიმავალ პოეტს თვალწინ გადაეშლება ვრცელი სამყარო. ველებზე „საუცხოო სოფლებია“, თეთრ ქოხებს მწვანე სახურავები ამშვენებს, სადღაც შორს კი „ქარის წისქვილი გიწვევს“.

მატარებელმა მალე დატოვა ტყე-ველი და ქალაქისკენ აიღო გეზი. გარკვეული გზის გავლის შემდეგ პოეტი მიადგება ქალაქს, რომელსაც „ამაყად გაუშლია მხრები და მხრებზე კი დიდი სახლები აზის“. შთამბეჭდავია ქალაქი, მაგრამ პოეტისათვის „უცხოა ეს მხარე“, ამიტომაც მას „ნაღველი კლავს“ და ნატრობს თავის მშობლიურ კუთხეს.

მიუხედავად ამისა, პოეტს ამ მხარეში მეგობრები გაუჩენია:

და მაინც შემხვდა კეთილი ხალხი
ამ გადაკარგულ მხარეს.
მე აქ დობილიც ვიპოვე მალე,
ზღვასთან ვათიეთ ჩვენ ბევრი ღამე
და გაჩაღებულ ცაში
დაჰქროდა ჩვენი ფიქრები მაშინ.

პოეტი აღწერს ბუნებას, „ცის სილამაზეს“, მშფოთვარე ზღვას და ოცნებობს „ბედნიერების ჯადოსნურ სითბოზე“. ადამიანის სიმშვიდე, მისი სიყვარული „არც ზღვაში თვლემს და არც ცაში ღვივის“;

მწერლის აზრით უმიზნო, ამაო ძებნა მხოლოდ ამწვავებს ტკივილს. ამიტომ შენი ნუგეში

ცაში კი არა,
ზღვაში კი არა,
შენი ნუგეში ხალხშია მხოლოდ!
მას უნდა ენდო ბოლოს და ბოლოს.

პოეტის თვალსაზრისით, მიზნის მისაღწევად ხალხს უნდა ენდო, მას მიანდო შენი გულის ფიქრები და მომავალი. „მას უნდა ენდო“ მტკიცედ და გადაჭრით, „კმარა უაზრო ფრენა“.

ლესია უკრაინკასათვის ტარას შევჩენკო იყო მანათობელი შუქურა, რომლის მეშვეობითაც იგი იკვალავდა გზას პოეზიაში. მაგრამ დიდი კობზარი იყო ერთი და განუმეორებელი. ლესია უკრაინკასათვის ასევე მნიშვნელოვანი იყო ივან ფრანკოს მოღვაწეობა. ლესიამ მას მიუძღვნა ტრიპტიქი, პატრიოტული იდეით გაერთიანებული. ივან ფრანკო აღნიშნავდა, რომ ამ ციკლში მოისმის ბორკილებში ჩაჭედილი ხალხის კვნესა და გამძვინვარებული პოეტის ხმა.

ტრიპტიქის „ცრემლები – მარგალიტები“ ყოველი ნაწილი გადმოგვცემს ლირიკული გმირის მღელვარებას, რიტორიკულ კითხვათა ნაკადი გვიხატავს ავტორის განცდებს იმის გამო, რომ მის მშობლიურ მხარეს ყველაფერი დადუმდა და საკუთარ თავში ჩაიკეტა, თავისუფლების მზე კი არ ანათებს:

ეჰ, საყვარელო ჩემო მამულო,
რისთვის დადუმდა შენში ყოველი?
ჩიტი ჭიკჭიკებს უსიხარულოდ
და წინათგრძნობით გრიგალს მოელის...

და კვლავ ყუჩდება ის და ბუნება,
უბედურებავ!
ეჰ, სად ხარ ჩვენო თავისუფლებავ!

*(„ეჰ,საყვარელო ჩემო მამულო“,*
*თარგმნა რევაზ მარგიანმა)*

პოეტს გულს უკლავს ის გარემოება, რომ „სიმართლე ბოროტს ვერ უმკლავდება“ და მუდმივად ბნელეთში გამომწყვდეულებს სიკვდილის აჩრდილი დასტრიალებს თავს. ლირიკული გმირი შეშფოთებულია, რადგანაც ეჭვობს, რომ მხოლოდ ცრემლები ვერ უშველის ხალხის გაჭირვებას. „განა ცოტაა ჩვენებრ მტირალი“, ამბობს იგი, თუმცა იქვე დასძენს: „დედის ცრემლისგან თურმე ქვაც ლღვება“:

ქვას ალღობს დარდიც და სიმწუხარეც!
და ნუთუ ცრემლი უკვალოდ ქრება,
... ცრემლი მდუღარე?!

*(„აცრემლებული ვდგავარ“,*
*თარგმნა რევაზ მარგიანმა)*

პოეტს მაინც სჯერა, რომ ცრემლები, გულს რომ ეწვეთება, „გულზე რომ ბრიალებენ ცეცხლის ენებად“, თავის მიზანს მიაღწევს. აი, მაშინ აღსდგება სული, აჯანყდება და აღარ ჩაქრება, აღარ დაიძინებს, იბრძოლებს ბოლომდე:

ცრემლები ჩვენი, ნაღველით სავსე,
გულზე ბრიალებს ცეცხლის ენებად,
ვიდრე ეს სული თავის თავს დასძლევს,
მას როცა ძალა შემოაკლდება,

მანამდე ჩვენ არ მოგვესვენება.
გულს ეძგერება მძაფრი ბიძგებით,
მიძინებული სული აღსდგება,
დადგება ჟამი გამოფხიზლების.

აი, მაშინ დადგება დილემა – „ან სიკვდილი, ან გამარჯვება“:

იგი წალეკავს ყოველგვარ ზღუდეს,
აღარ ექნება ძილის უფლება.
იბრძოლებს, დასძლევს საავდრო ღრუბელს
ან გამარჯვება, ანდა სამარე.
ან სამუდამოდ დაიღუპება,
ამ ორში ერთი სულს ემონება.
*(„ცრემლები ჩვენი“, თარგმნა რევაზ მარგიანმა)*

პოეტის ხმა მჟღერი და ძლიერი ხდება. ივან ფრანკოს თქმით, ახალგაზრდა პოეტ ქალს ესმის, რომ შეიძლება იმღეროს უმძიმეს, საოცრად მტკივნეულ თემაზე და ადამიანების გულებში უიმედობა და სევდა არ გამოიწვიოს, რადგან მის სულში ადამიანებისადმი სიყვარულის ცეცხლი და მშობელი ხალხისადმი სიყვარულის კოცონი ანთია, არის მტკიცე რწმენა ნათელი მომავლისა.

1891 წელს ლესია უკრაინკამ დაწერა ლექსების ციკლი „ვარსკვლავიანი ცა“. პოეტი ღამით გასცქერის ცას და მის გონებაში ათასი ფიქრი და აზრი წამოიშლება. მგოსანი გვიხატავს ვარსკვლავებით მოჭდილი ცის სურათს:

სადღაც, იქით, ვარსკვლავების კოცონები ანთია,
ჯადოსნური ნაპერწკალი ვერცხლისფერად ელვარებს;

თითქოს ზეცამ იტირა და ცრემლი გადმოაფრქვია,
ზეცას მოწყდა ვარსკვლავი და გადაევლო მწვერვალებს.
ვარსკვლავების ცვენაა და მიწას ალი ედება,
ცა მოთქვამს და ცა დაგვტირის თავზე ვარსკვლავთ-
ცრემლებით,
ცას აქვს დიდი საიდუმლო, ცეცხლით გვეალერსება,
ახანძრებულ ზეცას ლოკავს ცეცხლი მწველი ენებით.
ეს ენაა! – ამაყი და ცეცხლოვანი დაირა,
ეს სხივია, დაღვარული დიდებული მისნობით.
მაგრამ სულდგმულთ იგი გვესმის ყველას სულ სხვანაირად,
რადგან ჩვენთვის უტყვი არის წიგნი მარადისობის!

*(თარგმნა ბადრი ნამიჩეიშვილმა)*

ლესია უკრაინკა მხოლოდ ცას როდი შესცქერის და ბუნების სიმშვენიერით ტკბება. იგი ცხოვრების სიღრმეში იხედება და უკვე პირველივე ნაწარმოებებში პოეტისა და პოეზიის დანიშნულებაზე, ხალხის ცხოვრებაში ხელოვანისა და ხელოვნების როლზე ფიქრობს და წერს.

ლესია უკრაინკა მკაცრად აკრიტიკებს ინტერესთა ვიწრო ნაჭუჭში ჩაკეტილ პოეტებს, რომლებიც გაურბიან ხალხის სამსახურს. თავისი მოღვაწეობის თითქმის პირველივე ნაბიჯებიდან იგი სვამს საკითხს პოეტის საზოგადოებრივი როლის შესახებ. მგოსანს მიაჩნია, რომ ხალხის სამსახური, ადამიანის აღზრდა, „მოქანცულ სულთა აღგზნება“ არის ჭეშმარიტი შემოქმედის დანიშნულება.

ჰანგმა ნამღერმა ამ ღია გულით
იქნებ აღანთოს ბედისგან კრული.
მეც, ჩემი ჰანგიც, ეს მგოსნის ენაც.
ვჭირდებით იქნებ მშრომელ ხალხს ჩვენაც.

*(„ხანდახან“, თარგმნა ირაკლი აბაშიძემ)*

ასეთია მწერლის შეხედულება შემოქმედის მნიშვნელობაზე. ამ საკითხებზე პოეტის ერთგვარად საპროგრამო სიტყვაა ლექსი „ჩემი გზა“. მგოსანს სწამდა მშრომელი ადამიანის დაუძლევლობისა და ამიტომაც იგი მკაცრად ილაშქრებდა იმ წუწუნა ინტელიგენტების წინააღმდეგ, რომლებიც მხოლოდ ნიანგის ცრემლებს ღვრიდნენ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი სამშობლოს გამო და რეალურად არაფრის გაკეთება არ სურდათ. ახალგაზრდა პოეტი მოუწოდებს შემოქმედებს – თავი ანებონ უსასრულო გლოვას და ქვითინს „მშვენიერ, უბედურ უკრაინაზე“, უკან, წარსულისაკენ ცქერას, ხელი გამოიღონ და შეუდგნენ ახალი ცხოვრების შენებას. ლექსში – „ყველგან ცრემლი“ იგი ამბობს:

ცრემლი მხოლოდ ჟანგავს ხუნდებს,
არ იმსხვრევა ხუნდი თავად.
რას გვიშველის ცრემლი ცხელი
და ცხოვრება ძველგზიანი?
სჯობს მოვკიდოთ საქმეს ხელი,
მოვიპოვოთ დღე მზიანი.

*(თარგმნა რაულენ გვეტაძემ)*

პოეტს სურს „თავისუფლება, ძმობა, ერთობა, შავ ღრუბლებს იქით“ იხილოს, რადგან „აი, ეს სამი ვარსკვლავი არი, რომელთაც ხალხი ეტრფის, შეჰხარის“ („ჩემი გზა“). ამ ლექსში წამოჭრილი მოტივი გახდა შემდგომში ლესია უკრაინკას შემოქმედებაში ახმიანებული მოწოდება აქტიური რევოლუციური მოღვაწეობისაკენ. გამოუკვეთელ, დაუკონკრეტებელ მოწოდებას „ახალი ცხოვრებისათვის“ პოეტი რევოლუციურ-გმირული საქმიანობისაკენ ვაჟკაცური მოწოდებით შეცვლის.

ამ ნაწარმოებებში ლესია უკრაინკა მოგვევლინა რევოლუციური ძვრების მომღერლად, იმ ძვრებისა, რომელიც მზადდებოდა რეაქციით შებოჭილი ცარისტული რუსეთის მთელს იმპერიაში.

ლესია უკრაინკას ლირიკაში წამყვანი ადგილი დაიკავა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ხალხის ნაციონალური და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის, მომავალი თავისუფალი საზოგადოების თემებმა, მშრომელთა ინტერნაციონალური ერთიანობის, ჭეშმარიტი პატრიოტიზმის მოტივებმა, რევოლუციურ შერკინებაში მხატვრული სიტყვის მებრძოლი როლის აღიარებამ.

თვითმპყრობელობის, მშრომელი ხალხის ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ თემებზე მგოსანმა მრავალი ნაწარმოები დაწერა. მათ შორის მხატვრული ღირებულებითა თუ პოლიტიკური სიმძაფრით გამოირჩევა ნაწარმოებები: „განთიადის წინ“, „Contra spem spero“, „სიზმარი“, „Fiat nox!“, „შუა სიტყვაზე გაწყდა საუბარი“, „წარწერა ნანგრევში“, „არ მიღალატო, ოცნებაო!“, „სიმღერები თავისუფლებაზე“ და სხვა მრავალი. ამ ლექსებში მთელი ძალით ახმიანდა პოეტი-რევოლუციონერის მოწოდება ბრძოლისაკენ.

ლესია უკრაინკა XIX და XX საუკუნეების დიდმა მოაზროვნემ და ლიტერატურულმა მოღვაწემ ივან ფრანკომ აღიარა ჭეშმარიტ შემოქმედად. ახალგაზრდა პოეტში მან შენიშნა ძლიერი ნებისყოფა, ვაჟკაცური სული, ენერგია. მართალია, ივან ფრანკომ დაუშვა უსამართლობა, როდესაც თქვა, რომ „ერთადერთი მამაკაცი, იმ დროის უკრაინულ პოეზიაში“, ლესია უკრაინკა არისო. ივან ფრანკო იმ სხვა მამაკაც პოეტებში მოხვდა, რაც სრულიად დაუშვებელი იყო.

1898 წელს ი. ფრანკო წერდა: ლესია უკრაინკას ნიჭი – ლირიკულია, მაგრამ არა ვიწრო სუბიექტური. მას ეხერხება ეპიკური, დრამატული ფორმები, მაგრამ ეს მაშინ, როდესაც ისინი წარმოადგენს მისი მძლავრი ლირიკის მხოლოდ ფორმებს.

ლირიკის ელემენტს, ლირიზმს პოეტთან, ისეთ მნიშვნელოვან ნაწარმოებებში ვხვდებით, როგორიც არის „თეთრხელა იზოლდა", დრამატული ნაწარმოებები – „ტყის სიმღერა", ძველბერძნულ, ძველრომაულ, ძველესპანურ თემებზე აგებული მხატვრული ქმნილებები.

1890 წლის 9 მაისს ლესია უკრაინკა ქმნის საპროგრამო ნაწარმოებს – „Contra spem spero". ლექსში მოისმის მოწოდება – „შორს გაიფანტეთ, მძიმე ფიქრებო!", არ დავემონოთ შავბნელ რეაქციას, ვიშრომოთ, ვიბრძოლოთ თავისუფლებისთვის. პოეტი უარყოფს მოთქმასა და ტირილს, რაც თავისუფალი ახალგაზრდობისათვის არ უნდა იყოს დამახასიათებელი. „კვლავ გაზაფხული მიწას სწვევია", წერს პოეტი და აცხადებს:

მე მიუდგომელ კლდეზე შიშველზე
ავზიდავ ლოდებს დიდსა და მძიმეს,
და ამ შრომის დროს კვლავ შემოვძახებ
ჩემს საგალობელს, ჩემს ჰანგს და იმედს.

*(თარგმნა ირაკლი აბაშიძემ)*

პოეტი წუხს, ნუთუ ახალგაზრდობის ეს წლები ასე ტანჯვაში უნდა გაატაროს. იგი არ ნებდება მძიმე ბედს და ადამიანებს შავი რეაქციის წინააღმდეგ მოუწოდებს საბრძოლველად. ეს მოტივი გასდევს ლექსს. მომავლის იმედი ასულდგმულებს პოეტს. მას სურს „ხმელ ყამირზე დათესოს ვარდები", გზისპირზე, ყველგან, სადაც კი შეიძლება და გაახა-

როს იგი, როგორც მომავლის იმედი. მას იმედი აქვს, რომ მის მიერ დარგული ვარდი იხარებს და ამ გაუთავებელ, შავბნელ ღამეში პოეტი წუთითაც არ მოლულავს თვალს, რათა მის მეგზურ ვარსკვლავს კვლავ შეხედოს და იმედი, იმედი ნათელი მომავლისა არ ჩაუქრეს. მას მტკიცე ნებისყოფა აქვს და არ დანებდება ავბედობას, მას ტირილშიაც სურს გაღიმება:

დიახ, ტირილშიც მსურს გაღიმება,
ცრემლშიც გალობა მსურს დავიჩემო,
იმედდაკარგულს მინდა იმედი,
შორს, სევდიანო ფიქრებო ჩემო.

აი, ეს ლაიტმოტივი გასდევს ნაწარმოებს „Contra spem spero“.

ლექსის ყოველი მომდევნო სტროფი ახალი შინაარსით ავსებს პოეტის უმთავრეს ფიქრს. იგი არა მარტო ვარდების დარგვასა და გახარებაზე ოცნებობს, იქნება ეს გზის პირზე თუ სხვაგან, თუნდაც ყინულზე. იგი ხალხის ხვალინდელ დღეზე ზრუნავს. მას სჯერა, რომ „ვარდი იხარებს“.

ლექსი ანტითეზებზეა აგებული, ამასთან მხატვრული კონტრასტები ისე გამოიყურება, როგორც ფრთიანი, აფორისტული გამოთქმები. მათი ეფექტურობა მიიღწევა მეტაფორული გამოხატვებით. ყოველივე ეს კი, რა თქმა უნდა, ნაწარმოების ემოციურ ხმოვანებას აძლიერებს.

ამ ლექსის შექმნის იმპულსი, სავარაუდოდ, პოეტის ავადმყოფობის გამწვავება გახდა. ფიზიკური ტკივილების დასათრგუნავად პოეტის კალმით გამოიკვეთა გმირული პიროვნების სახე, რომელიც მზადაა მთელი ძალა და ენერგია

გამოიყენოს უსამართლობისა და სიბნელის წინააღმდეგ ბრძოლაში. თავის ნაწარმოებში ლესია უკრაინკა ამტკიცებდა ადამიანის სულის სიძლიერის შეუვალობას. ამ მხატვრული ქმნილებით იგი ერთგვარად ბრძოლას უცხადებდა სულის შემხუთველ ტკივილებს.

ლექსი „Contra spem spero“ რამდენადმე სუბიექტურია, რომელშიც უკვე გამოსჭვივის მომავალი დიდი პოეტის მტკიცე ნებისყოფა, მებრძოლი სულისკვეთება.

**ყირიმული შთაბეჭდილებები.** 1890 წლის ივლისში 19 წლის ლესია უკრაინკა დედასთან ერთად სამკურნალოდ ყირიმში, საკში გაემგზავრა. ყირიმში ყოფნისას მან მოინახულა ევპატორია, სევასტოპოლი, ბახჩისარაი და იალტა.

ევპატორიიდან სევსატოპოლისაკენ მგზავრობის დროს, ლესია უკრაინკამ გემზე დაწერა ლექსი – „გაფრინდი ჩემო სიმღერავ“.

პოეტი წერს, რომ მისი ფიქრი კარგა ხანს დუმდა, „ვით გალიაში დამწყვდეული საბრალო ჩიტი“. დადგა ჟამი და მის სიმღერას გაფრენა მოუნდა. პოეტს სჯერა, რომ იგი „თოლიასავით თავისუფლად“ გაინავარდებს.

ლესია უკრაინკას მოგზაურობის შემდეგი პუნქტი იყო ბახჩისარაი. ამ ისტორიულმა ადგილმა პოეტს აუფორიაქა სული. ლესია წერს სამ სონეტს: „ბახჩისარაი“, „ბახჩისარაის სასახლე“ და „ბახჩისარაის აკლდამა“.

სძინავს ქალაქს. სულიერი არ ჩანს არავინ. ქალაქს ამშვენებს მინარეთები, რომლებიც „ვერცხლისფერ ხეებთან“ ერ-

თად გარინდული დგას, ვით დარაჯები. სიმშვიდესა და უშფოთველობას დაუსადგურებია მთელ ქალაქში.

ჩინარები კი, კენწეროებს რომ ხრიან ნაზად,
სულ ჩურჩულებენ, ჩურჩულებენ მიჯნურთა მსგავსად
და იგონებენ ძველი დროის ჭაღარა ამბავს.

*(„ბახჩისარაი“,*
*თარგმნა ალეკო შენგელიამ)*

ბახჩისარაიში პოეტის ყურადღება მიიპყრო ხანის სასახლემ, რომელმაც გაუძლო ჟამთა სიავეს და „ჯერ კიდევ დანგრეული არ არის იგი“ სასახლის ყოველი კუთხე-კუნჭული მნახველებს ახსენებს მძიმე ისტორიას, რომელიც მის კედლებში მყოფ ადამიანებს გადაუტანიათ.

ყოველ ნაბიჯზე მკაცრად დუმან წლები წარსული.
უბედურება აგერ ახლა თითქოს დასრულდა
და ყველაფერს ფლობს წარმავლობის კანონი ირგვლივ.

*(„ბახჩისარაის სასახლე“,*
*თარგმნა ალეკო შენგელიამ)*

მაგრამ არა, ამბობს მწერალი, აქ გადატანილ მწუხარებას რა დაასრულებს, ცრემლს და ქვითინს რა შეაჩერებს:

სულ ოდნავ ისმის მოჩურჩულე შადრევნის ფიქრი,
მოქშუის წყალი და ქვაფენილს ხარბად არწყულებს;
აფრქვევს ცივ ცრემლებს,
მწუხარებას რა დაასრულებს?
ეს – დღისეული ღამე ისმენს სასახლის ქვითინს.



სახლი ნოვოგრად-ვოლინსკში,

სადაც დაიბადა ლესია უკრაინკა

ხანის ცოლების სამყოფელი, რომელიც მრავალი უბედურების მოწამე იყო, სრულიად დაინგრა, ბაღში ჯერ კიდევ ჩქეფს შადრევანი. ხანის კოშკი და ბაღი ჯერ კიდევ „წარსულ დღეთა დიდებით სუნთქავს“. დანაღვლიანებულ მგოსანს ყოველივე ეს, ისტორიის შემორჩენილი ფრაგმენტები, მინორულ განწყობას უქმნის.

ხანის ტყვე ქალთა ცრემლიანი თვალები სასახლეში გამეფებულ ძალადობასა და სისასტიკეს ახსენებს პოეტს:

აქ ძალადობა მრისხანების ხანძარში ენთო,
ხანძარი იგი ნანგრევებში ჩაკვდა, დამუნჯდა,
მაგრამ მონობას დასასრული მაინც არ უჩანს.

*(„ბახჩისარაის სასახლე“,*
*თარგმნა ალეკო შენგელიამ)*

პოეტმა მის მიერ შექმნილი ლირიკულ-მინორულ სურათი დაასრულა მკაცრი განცხადებით – „მაგრამ მონობას დასასრული მაინც არ უჩანს“.

ბახჩისარაის სასაფლაოზე სიცოცხლის ნიშანს არაფერი არ გპირდება. დგას აკლდამა. მრავალ ადამიანს მოუნახულებია ეს ადგილები, მრავალი დაეძებდა „საყვარელი ტყვე ქალის აჩრდილს“. იმ დღეთა სისხლიანი ლანდი დარჩა მოსაგონებლად.

აქ აღარ ჰყვავის ჰარამხანის ძველი სინაზე,
არცა მგზნებარე ზარემასი,
არც მარიასი, –
ბახჩისარაიმ დაიტირა დიდება უკვე.

*(„ბახჩისარაის აკლდამა“,*
*თარგმნა ალეკო შენგელიამ)*

ლესია უკრაინკა იხსენებს ლეგენდებს ხანის სასახლისა და ჰარამხანის შესახებ, ახსენებს ალექსანდრე პუშკინის იმჟამად საკმაოდ გავრცელებული რომანტიკული პოემის „ბახჩისარაის შადრევანის“ გმირებს, ნაწარმოებს, რომლის ფაბულას ყირიმული ლეგენდა დაედო საფუძვლად იმის შესახებ, თუ როგორი თავდავიწყებით შეუყვარდა ყირიმის ხანს – გირეის ტყვედ წაყვანილი პოლონელი ქალი მარია. გირეის საყვარელი ცოლი, ქართველი ზარემა, რომელიც ასევე ტყვედ ჰყავდა წაყვანილი გირეის, ამას ვერ აიტანს და შურისძიების გამო კლავს მოქიშპე მარიას. განრისხებული გირეი ზარემას სიკვდილით დასჯის. მარიას სახელზე კი ააგებს თეთრი მარმარილოს ძეგლს, სადაც –

მარმარილოში ჩხრიალებს წყალი, –
განუწყვეტელად იფრქვევა მძივი,
თითქოს ცვივიან ცრემლები ცივი.

*(ა. პუშკინი, „ბახჩისარაის შადრევანი“, თარგმნა კონსტანტინე ჭიჭინაძემ)*

ლესია უკრაინკა საგანგებოდ გამოკვეთს ლექსში ზარემასა და მარიას სახეებს, სიყვარულს შეწირულ ტყვე ქალებს. ლესია უკრაინკამ, რა თქმა უნდა, იცოდა, რომ ა. პუშკინმა თავის პოემაში გვიჩვენა სიყვარულის ყოვლისშემძლე ძალა, ბარბაროსი ხანი, რომელიც თავისი ჰარამხანის ქალებისადმი პირუტყვულ დამოკიდებულებას იჩენდა, მარიას სიყვარულმა სრულიად გამოცვალა, მასში მაღალი ადამიანური გრძნობა აღძრა. სხვა ადამიანად აქცია.

მართალია, მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, „ბახჩისარაიმ დაიტირა დიდება უკვე“, მაგრამ მარმარილოს ქვაზე ჩამოც-

ვარული წყლის წვეთები – ცრემლები „იმ დღეთა სისხლიან ლანდს“ რომ აგონებს მნახველებს, ძლიერ ემოციებს იწვევს. ამის შედეგია სწორედ ლესია უკრაინკას ლექსი „ბახჩისარაის აკლდამა“.

ბახჩისარაის შემდეგ ლესია უკრანკა განაგრძობს მოგზაურობას, დაბრუნდება სევასტოპოლში, იქიდან კი – იალტაში. გზად მან დაწერა ლექსები: „ბაიდარები“, „მერდვენი“ („ეშმაკის კიბე“). პოეტმა ორი დღე დაჰყო იალტაში, გემის მოლოდინში, რომელსაც ის ოდესაში უნდა გადაეყვანა. აი, იქ წერს იგი ლექსს „ნადსონის სახლი იალტაში“.

ლესია უკრაინკა გემით, ე.წ. ბაიდარების კარებით შევიდა იალტაში. იმდენად შთამბეჭდავი აღმოჩნდა მისთვის ამ კარებში გავლა, რომ პოეტის მუზამ ლექსში პოვა გამოხატვა. ლექსში „ბაიდარები“ პოეტი აღწერს ბუნებას, მეწამულ კლდეებს და მთებს. საოცარი ბუნება გადაიშალა მის თვალწინ, რაც აქამდე არ ენახა „მწყურვალ თვალებს“:

> აქ დაუწყვია უხილავი ხელები ორ მთას
> და ეს ხელები საზღვარივით ხრამს გაწვდენია,
> რომ ლაჟვარდებში აიზიდნონ, როგორც დიდება.
>
> *(„ბაიდარები“, თარგმნა ალეკო შენგელიამ)*

არის ერთი ადგილი ზღვაზე, – წერს პოეტი, სადაც ავი სულების მღვიმე-სამყოფელი გეგონება. ამ ადგილზე:

> კლდეები მწკრივ – მწკრივად, ხოხავენ ზღვამდი,
> სწორედ მათ უწოდეს „ეშმაკის კიბე“.
> იქ ბევრი მავნე და ბოროტი დადის,
> წყლები იშხუვლებენ ვიდრე.
>
> *(„მერდვენი“, თარგმნა ალეკო შენგელიამ)*

ხალხს ვერ გაუბედავს იმ კლდეზე ასვლა, სადაც გადმოცემით ბოროტი სულები სხედან, მაგრამ თუკი ვინმემ გაბედა, მას საშინელი ბედი მოელის.

მაგრამ ვინც გაბედავს – შეებას კლდესა,
ქვის სეტყვა მოელის, ღვთის რისხვის დარი
და მსხვერპლის სუსტსა და უმწეო კვნესას,
ხარხარით წაიღებს ქარი.

იალტაში ლესია უკრაინკამ ოდესაში მიმავალი გემის მოლოდინიში ორი დღე დაჰყო. მოინახულა ის სახლი, სადაც ცნობილმა რუსმა პოეტმა ლირიკოსმა სემიონ ნადსონმა მისი ცხოვრების მძიმე დღეები გაატარა. ნადსონი რამდენადმე უკრაინასთან, კიევთან იყო დაკავშირებული. კიევის კლასიკურ გიმნაზიაში მიიღო მან განათლება. პოეტი, უმთავრესად, უკრაინასა და ყირიმში ცხოვრობდა. სიცოცხლის უკანასკნელი 4 წელი იგი ავადმყოფობდა. დაავადება იყო ტუბერკულოზი. ამის გამო მას ცხოვრება ყირიმში უხდებოდა. ნადსონის ლირიკაში აისახა პატიოსანი ინტელიგენტის წუხილი. მის ადრეულ ლექსებში კი ჩანს დემოკრატიული მოტივები. 80-იანი წლების რეაქციის შემდეგ მის პოეზიაში გაჩნდა უბედურებისა და განწირულობის გრძნობა.

აი, ამ ტრაგიკული ბედის პოეტზე, რომელსაც სრულიად ახალგაზრდას, ოცდახუთი წლისას ტუბერკულოზმა მოუსწრაფა სიცოცხლე, – დაწერა ლექსი ლესია უკრაინკამ „ნადსონის სახლი იალტაში“, სადაც მოგვითხრობს, რომ იქაურობას ყველაფერს სევდის კვალი ეტყობოდა. მოწყენილი იყო ტყე, ბაღში კვიპაროსების კედელი იყო აღმართული თითქოს იმისთვის, რომ ედარაჯა ამ სახლისთვის, „დაფნებსაც მოსძალებოდათ სევდა“ და საერთოდ:

სახლი სავსეა უთქმელი დარდით,
იმ ბნელ ოთახში მე თვითონ გახლდით,
ბედკრულ პოეტს რომ უღვრია ცრემლი...
მიმოალაგეს ნივთები ირგვლივ
ჯავრს კი ვერ ახლეს ხელი.

*(„ნადსონის სახლი იალტაში“,*
*თარგმნა ალეკო შენგელიამ)*

ნადსონის სახლში სევდიან დუმილს დაუსადგურებია. კედელზე მიმაგრებულ სარკესაც კი დაუკარგავს თავისი ელვარება და მხოლოდ „ბუნდოვნად ელავს“, მქრქალი ცეცხლიც კი „სამუდამოდ გაცივდა“ და თვით ყვავილებმაც სამუდამოდ „დაჰკარგეს პენი“.

ამ სახლში მხოლოდ მუზა ნავარდობს ლაღად, მხოლოდ ის ერთადერთი პოეტს „სულის მეოხად ახლდა“.

მოკვდა პოეტი უცხო მხარეში,
გულის მომწამვლელ სიმწუხარეში
დღე დაუღამა ამ უღვთო სახლმა.
მუზა კი ჩამქრალ ოთახებს შორის
მის სულს დაეძებს ახლაც.

ასე დაგვიხატა ლესია უკრაინკამ ახალგაზრდა რუსი პოეტის ნადსონის უკანასკნელი სამყოფელი იალტაში, ის გარემო, სადაც უხდებოდა მას ცხოვრება და ორიოდე შტრიხით შეგვახსენა თვით ნადსონი, „სევდის მგოსანი“.

ეს იყო ლესია უკრაინკას პირველი მოგზაურობა ყირიმში 1890 წელს. 1891 წლის ივნისის მეორე ნახევარში პოეტი კვლავ ჩადის ყირიმში სამკურნალოდ. იგი გაჩერდა ევპატო-

რიაში. ლესია უკრაინკამ იქ დაწერა ლექსები: „ნავზე“, „უძილო ღამე“.

ლექსში „ნავზე“ პოეტი აგვიწერს საამო ღამეს, როდესაც ყველას და ყველაფერს სძინავს. სიმშვიდე მოსავს ყველასა და ყოველივეს.

ხალხს სძინავს, სძინავს ხალხის წუხილსაც, –
ძილიც დასძლიოს – არ შესწევს ღონე.

*(„ნავზე“, თარგმნა ალეკო შენგელიამ)*

პოეტის გული ლექსის შესავალშივე გაკაწრა სამწუხარო რეალობამ, როდესაც ადამიანები ხელებჩამოყრილნი ეგუებიან მწარე სინამდვილეს, მათ ჩაგრულ მდგომარეობას და არავითარი სურვილი არა აქვთ, უფრო სწორედ, ღონე არ შესწევთ ეს გარინდებული, მორჩილი მდგომარეობა შეცვალონ, იბრძოლონ მის შესაცვლელად. გარემო კი, თითქოს განგებ, სიმშვიდის, სიწყნარისა და მოდუნებისაკენ ექაჩება ადამიანს. ასეა ნავი, მაგალითად, რომელსაც ეს ტალღები არხევს და რომელსაც პოეტი ასე მიმართავს – „ინანავე, ჩემო ნავო“, „ლაღად დაგვდევს ქარიც ამ ჩვენს ცისფერ გზაზე, ასეა ღრუბლის თეთრი ქულები, გედის ფრთათა მსგავსად რომ დაჰქრიან ცაში, ასეა მთვარე, ვერცხლისფერი მთვარე, რომელიც ბღუჯა-ბღუჯა ვარსკვლავებს დაუტყვევებია. ხომალდები კი მიცურავენ, წინ შორი გზა ელით“...

ფიქრები თვლემენ, ისვენებს სული
და მე შენს სახეს შევცქერი ჩუმად;
ჩემს მშფოთვარ გულზე თვითონ ზღვა ზრუნავს,
მისგან ისწავლა სიმშვიდე გულმა!

*(„ნავზე“, თარგმნა ალეკო შენგელიამ)*

პოეტს მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს, ესმოდა ზღვა რომ სუნთქავდა ხვნეშით. კოშმარები ესიზმრებოდა პოეტს. ოცნება, როგორც ღამის ფრინველი, მიფრინდა პოეტთან, მისი ფიქრები „დაემსგავსნენ აწეწილ ტალღებს". ვის შეუძლია, კითხულობს პოეტი, ცხოვრების ნავს მიანდოს ბედი ან ქვეყნის დარდი და ნაღველი მკერდით ატაროს? ღამის წყვდიადს, გვეუბნება პოეტი, გაკვეთს მხოლოდ ის, ვისაც ამ კუნაპეტი ღამის არ ეშინია. ასეთი კი მისი ფიქრია

მაშ, თავისუფლად იქროლოს ფიქრმა,
რაკი ფიქრს მუდამ ფრენის ჟინი აქვს.
*(„უძილო ღამე", თარგმნა ალეკო შენგელიამ)*

პოეტს სწამს, რომ იგი დასძლევს გრიგალსაც და უამინდობასაც და ნახავს „სიცოცხლის ნათელს, რომელსაც ოქროს ცისკარი ჰქვია!" პოეტს სწამს, რომ იგი, მისი ნავი, გზას არ ასცდება:

სასტიკ ავდარში, სქელ ნისლებს შორის,
მწამს, ჩემი ნავი გზას არ ასცდება;
და როს ქვეყანას მზე დაჰკრავს თრთოლვით,
მაშინ დავაცხრობ ჩემს გატაცებას!...

1890-91 წლებში ყირიმში ყოფნის დროს მიღებული შთაბეჭდილებების შედეგად შექმნილი ნაწარმოებები პოეტმა გააერთიანა ლექსების ციკლში „მოგონებანი ყირიმზე".

1897 წელს ლესია უკრაინკა კვლავ ესტუმრა ყირიმს, ივნისის დამდეგს იგი ზღვით ჩავიდა იალტაში და დაბინავდა ერთ-ერთ აგარაკზე – ჩუხურლარში. აი პეტრიზე გასეირნებით მიღებული შთაბეჭდილებები პოეტმა გადმოგვცა ლექსში „ნაწყვეტები წერილებიდან".

1897 წელს, ოქტომბრის პირველ რიცხვებში პოეტი ქალაქის ცენტრში გადასახლდა. 1898 წელს ლესია უკრაინკა დედასთან ერთად გადაბარგდა ვილა „იფიგენიაზე“, ექიმ მ. ს. დერიუანოვის პანსიონში. ამ ვილის დასახელებას უნდა მივაწეროთ ის ფაქტი, რომ ლესიას გაუჩნდა იდეა შეექმნა დრამატული პოემა „იფიგენია თავრიდში“. ლესიამ დაიწყო პოემაზე მუშაობა, მაგრამ, სამწუხაროდ, პოემა დაუმთავრებელი დარჩა. პოეტმა პოემის სულ რამდენიმე ფურცელი დაგვიტოვა.

ლექსების ციკლი და „იფიგენია თავრიდში“ მან გააერთიანა ერთი სათაურის ქვეშ „ყირიმის გამოძახილები“. ყირიმშივე დაიწყო ლესიამ ბაირონის „კაენისა“ და შექსპირის „მაკბეტის“ თარგმნა უკრაინულ ენაზე.

1904 წელს საქართველოდან ლესია მიემგზავრებოდა უკრაინაში. გემმა ღუზა ევპატორიაში ჩაუშვა. პოეტს მოეძალა მოგონებები ყირიმსა და ევპატორიაში გატარებულ დღეებზე და დაწერა ლექსი – „მოგონებები ევპატორიიდან.“

ლექსების ციკლები „მოგონებანი ყირიმზე“ და "ყირიმის გამოძახილი“ არის ყირიმში ლესია უკრაინკას მოგზაურობისა და იქ ყოფნის შთაბეჭდილებები, ყირიმისადმი დიდი სიმპათიისა და მისი ზღვისკენ სწრაფვის ამსახველი სტრიქონები, სხვადასხვა საინტერესო პრობლემებზე თუ თემებზე – ყირიმში შექმნილი პოეტური ნაწარმოებები.

* * *

1890-იანი წლები. ეს პერიოდი უკრაინასა და რუსეთში მნიშვნელოვანი მოვლენებით აღინიშნებოდა. პოეტის მახვილი მზერა ამჩნევდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს, ძვრებს და მათ მიმართ თავის დასკვნასაც აკეთებდა.

ლესია უკრაინკამ დაინახა პროცესი, რომელიც რუსეთში მიმდინარეობდა და უკრაინაშიც დაიწყო 1890-იანი წლების დამდეგს. დაინახა ის ახალი ძალა, რომელიც ისტორიის ასპარეზზე წინა პლანზე გამოდიოდა.

ახალი თაობის რევოლუციონერთა განწყობილებანი გამოკვეთილად გამოჩნდა ლესია უკრაინკას ლექსში „განთიადის წინ“ (1892), რომელშიაც პოეტური შორსმჭვრეტელობით არის დანახული მუშათა მოძრაობის აღმავლობის სიდიადე და ახალი, თავისუფალი ცხოვრების მოახლოება.

პოეტს სჯერა, რომ ცისკრის ციალი, აელვარებული სხივი ნათელი, დილის მახარობელი რიჟრაჟი გააპობს ღამის სიბნელეს, გამოაფხიზლებს საზოგადოებრიობას:

რიჟრაჟმა, დილის მახარობელმა,
ბნელი გააპო ღამის მქრობელმა,
თუმც არ დამდგარა ჯერ განთიადი,
სინათლე მაინც ბრწყინავს დიადი,
იგი დაანთო მუშების ხელმა.

*(თარგმნა ვასო გორგაძემ)*

არ იქნებოდა მართალი, თუ ვიფიქრებდით, რომ 80-90-იანი წლების მიჯნაზე ლესია უკრაინკას ნათლად და სრულად ჰქონდა წარმოდგენილი „მშრომელი ადამიანების“, მუშა ხალხის როლი გამათავისუფლებელ ბრძოლაში.

1892 წელს დაწერილი და 1893 წელს გამოქვეყნებული ლექსი – „განთიადის წინ“ მთავრდებოდა სტროფით:

ოქროსფერი დაჰკრავთ ირგვლივ
განთიადის თამამ სხივებს

და მოისმის შეძახილი –
შრომისაკენ! სინათლისკენ!

*(თარგმნა სოფიო ჩხატარაშვილმა)*

ამ გამოცემიდან გავა თორმეტი წელი და ლესია უკრაინკა ხელახლა გაუკეთებს რედაქტირებას ამ ლექსს რჩეული ნაწერების კრებულისათვის. საბოლოო რედაქცია ამ დასკვნითი სტროფისა, რომელიც ნაწარმოების რევოლუციურ პათოსის გაძლიერებას ნაკლებად ემსახურებოდა, ახალ რედაქციაში სრულიად შეიცვალა, გაქრა და მის მაგივრად გამოჩნდა ნაწარმოების ახალი, დასკვნითი სტროფი.

ლექსი „განთიადის წინ“ პოეტმა დაასრულა ჭეშმარიტი საბრძოლო მოწოდებით, რომელიც აფხიზლებდა მშრომელებს და მოსალოდნელი რისხვის შიშის ზარს სცემდა მჩაგვრელებს:

წამოიშალეთ, ვინც ხართ მღვიძარი,
შრომისთვის უკვე დაგვიდგა დარი!
გათენების წინ განდევნეთ ძილი,
საგანთიადო აანთეთ სხივი –
აღმობრწყინდება ვიდრე ცისკარი!

ეს ლექსი-მოწოდება კრებულის გამოსვლისთანავე გახდა პოპულარული. თვით ნაწარმოების სათაური მეტყველებდა იმ განწყობილებაზე, რომელიც დაეუფლა ცარისტული რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლებს 1905 წლის რევოლუციის წინა წლებში.

პოეტის შემოქმედების ამგვარი ხასიათის გამო იყო, რომ ივან ფრანკო წერდა – „შევჩენკოს მოწოდების შემდეგ – „მაშ, დამმარხეთ, წამოდექით, იწყეთ ბორკილთ მსხვრევა“ – უკრა-

ინას არ სმენია ესოდენ მძლავრი, მგზნებარე პოეტური სიტყვა, როგორიც არის სიტყვა ამ სუსტი, ავადმყოფი ქალისა".[8]

ლესია უკრაინკა თავის ადრეულ ნაწარმოებებში ილაშქრებდა კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ, მკაცრად აკრიტიკებდა კაპიტალისტურ საზოგადოებას და ამით გამოხატავდა მშრომელი ხალხის დამოკიდებულებას ბურჟუაზიული ყოფისადმი. ლექსში „როს ვიქანცები" მწერალმა შექმნა მშრომელი კლასისათვის უცხო, ბურჟუაზიული სამყაროს მხატვრული სურათი. ლესია უკრაინკა მიმართავს პოეტურ ხერხს და თავისუფალი, უკლასო საზოგადოების წარმომადგენლის პირით მკაცრად გმობს კაპიტალისტურ მონობას. ბაბუა უყვება შვილიშვილს იმ ძველ დროზე, როდესაც:

და მართლაც იყო მაშინ იგი ციხე ნამდვილი,
მონობის უღელს დაათრევდა ხალხი ტანჯული.
აზროვნებისთვის, სიტყვისათვის ბორკილს სჭედავდნენ,
არ უწოდებდნენ კაცის სახელს ხალხის ნახევარს.

ძმა ძმაზე ომით მიიწევდა გამხეცებული,
თქვენ იცით, ალბათ, თუ რას ნიშნავს ეს მწარე სიტყვა,
მოყვასის მოკვლას, ხოცვა-ჟლეტას ომს უწოდებდნენ,
სინდისის, რწმენის, სიმართლის და ნების სახელით.
სისხლისღვრას მაშინ, იმ წარსულში ერქვა გმირობა,
სიმშილით სიკვდილს – სიღარიბე ეწოდებოდა,
ნაძარცვ ქონებას, საკუთრებას ერქვა სიმდიდრე,
სიბნელეს უფსკრულს, უნაპერწკლოს – უბრალოება,

[8] ი. ფრანკო, ლესია უკრაინკა, რჩეული ნაწერები, ტ. V, 1951, გვ. 247.

განსწავლულობა – განუსაზღვრელ დაბნეულობას,
შურისძიებას უსულგულოს – მართლმსაჯულება.
კანონი ერქვა ტირანიის თვითმპყრობელობას,
ყველა ქედმაღალს, აღზევებულს – ქება-დიდება.

*(„როს ვიქანცები“,*
*თარგმნა ირაკლი აბაშიძემ)*

ლესია უკრაინკა ამხელდა საზოგადოებრივი კონფლიქტის, სოციალური უთანასწორობის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის თაობაზე ყალბ შეხედულებებს და საზოგადოებრიობას ბრძოლისაკენ აშკარად მოუწოდებდა. ლექსში „სიზმარი“ მწერალი ხალხთა აჯანყების სურათს ხატავს:

მაგრამ მისი ხმა,
მძლავრი გუგუნით,
მთელს სამყაროზე გაითარეშებს,
რომ ცისქვეშეთის ყველა მხარეში
მარადიული მოსპოს უკუნი.
ნგრევის ქუხილში – უსაზარლესში,
დაემხობიან პირქვე სახლები.
თავისუფლება დადგება კართან
და დაიმსხვრევა ბორკილი ხალხთა.

*(„სიზმარი“ თარგმნა*
*მარიკა ბარათაშვილმა)*

„მსოფლიოს ბორკილების დამამსხვრეველის“, „სამყაროს უძველესი წყობის“ გამანადგურებელ ძალად რევოლუციის დასახვა და, ამავე დროს, მშრომელი ხალხის მონობისაგან გათავისუფლების საქმეში რევოლუციის გადამწყვეტი როლის მითითება ლესია უკრაინკას ამ პერიოდის თხზულები-

სათვის დამახასიათებელი გახდა. ამგვარი გაგება მოვლენათა განვითარებისა, თუნდაც ამგვარი ტერმინოლოგია, მწერალმა ეტყობა 90-იანი წლების არალეგალური ლიტერატურიდან შეითვისა.

თავისი პირველი კრებულით ლესია უკრაინკა მოგვევლინა ჭეშმარიტ მხატვარ-ნოვატორად. ამიტომაც წერდა მის შესახებ ივან ფრანკო, რომ „ყოველი ახალი ნაწარმოები, რომელსაც იგი ამ ბოლო დროს ქმნის ჩვენს ლიტერატურას ახალი მარგალიტით ამდიდრებს“.

# ფიქრები და ოცნებანი

1893-1897 წლებში ლესია უკრაინკა ძირითადად კიევში ცხოვრობდა. 1894 წელს იგი ბულგარეთში წავიდა თავის ბიძასთან მ. პ. დრაგომანოვთან და დაახლოებით ერთი წელი მასთან გაატარა.

ლესია უკრაინკას ცხოვრებაში საკმაოდ საინტერესო ადგილი უკავია ლესიას დედის ძმას მიხაილო დრაგომანოვს (1841–1895). იგი გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე იყო. მის გარეშე წარმოუდგენელია XIX საუკუნის მეორე ნახევრის უკრაინაში კულტურული და პოლიტიკური აზრის განვითარების პროცესი. როგორც მეცნიერს, მას ელოდა ბრწყინვალე კარიერა კიევის უნივერსიტეტში. მაგრამ რადგან იგი იბრძოდა თავისუფალი სიტყვის დამთრგუნველი მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ და, საერთოდ, თავისი შეხედულებების გამო იძულებული გახდა დაეტოვებინა უკრაინა და საზღვარგარეთ გამგზავრებულიყო.

თავდაპირველად იგი ჟენევაში ცხოვრობდა 1875–1889 წლებში, ხოლო შემდეგ 1889 წლიდან ბულგარეთში, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1895 წელს.

1878 წელს მან ჟენევაში გამოსცა კრებული და ჟურნალი „გრომადა“. 1889 წელს სოფიის უნივერსიტეტის პროფესორი გახდა. თავის პუბლიცისტურ და ლიტერატურულ შრომებში იგი გამოდიოდა სოციალური და ნაციონალური ჩაგვრის, უკრაინული ნაციონალიზმისა და ველიკოდერჟავული შოვინიზმის წინააღმდეგ.

როდესაც მ. დრაგომანოვმა დატოვა უკრაინა, ლესია უკრაინკა ოთხი წლისა იყო. ასე რომ, ბავშვობაში უშუალო კონტაქტი, ურთიერთობა ბიძასთან არ ჰქონია. მიუხედავად ამისა, მიხაილო დრაგომანოვი მისთვის ყოველთვის სამაგალითო პიროვნება, გმირობის შარავანდით იყო მოსილი. მ. დრაგომანოვის შემოქმედება ლესია უკრაინკაში მხოლოდ მოწონებას, მაღალ აღიარებას იმსახურებდა, მისთვის გზის მაჩვენებელი იყო.

საინტერესო ფაქტია, რომ მ. ნ. დრაგომანოვი ნიკო ნიკოლაძეს დაეხმარა საზღვარზე ჰექტოგრაფისა და აკრძალული ლიტერატურის გადმოტანაში. ეს ნივთები, ნ. ნიკოლაძეს საქართველოში მოჰქონდა. 1876 წელს კი ლუდმილა დრაგომანოვა (მ. ნ. დრაგომანოვის მეუღლე) ასევე დაეხმარა ო. გურამიშვილს (შემდგომში ნ. ნიკოლაძის მეუღლე) სასაზღვრო კორდონის გადალახვაში და არალეგალური ლიტერატურის, ფრანგი კომუნარების პორტრეტებისა და სხვა ნივთების რუსეთში ჩატანაში.

მ. პ. დრაგომანოვის სტატიები, რომლებითაც იგი უხვად ამარაგებდა როგორც უკრაინულ, ისე სხვა ევროპული ქვეყნების პრესას, აგრეთვე წიგნები, საზოგადოების ინტერესს იმსახურებდა. სამწუხაროდ, მ. დრაგომანოვის ეს მემკვიდრეობა საკმაოდ შესწავლილი და გაშუქებული არაა. მკვლევრები თუ ისტორიკოსი-პუბლიცისტები მ. დრაგომანოვს უკრაინული ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წარმომადგენლად მიიჩნევდნენ, თუმცა, ზოგი მკვლევრის შეხედულებით, მ. დრაგომანოვის პუბლიცისტურ წერილებში და ლიტერატურათმცოდნეობით გამოკვლევებში ველიკოდერჟავული შოვინიზმისა და უკრაინული ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ, სლავ ხალხთა სულიერი ერთობის იდეაა წამოწეული.

ლესია უკრაინკას სისტემატურად ჰქონდა მიმოწერა თავის ბიძასთან, აცნობდა მას თავის ლიტერატურულ გეგმებს, რჩევას ეკითხებოდა ლიტერატურულ თუ პოლიტიკურ საკითხებზე.

მიხაილო დრაგომანოვი ლესია უკრაინას უღვივებდა ინტერესს და სიყვარულის გრძნობას როგორც უკრაინული ლიტერატურის, ასევე ევროპული ლიტერატურისადმი საერთოდ.

რა თქმა უნდა, მიხაილო დრაგომანოვს რეალური გავლენა ჰქონდა ლესია უკრაინკას ლიტერატურულ მოღვაწეობაზე, ამიტომაც იყო, რომ ლესია ცდილობდა ახლო კონტაქტი ჰქონოდა თავის ბიძასთან. მას არ აკმაყოფილებდა მიხაილო დრაგომანოვთან მხოლოდ წერილობითი აზრის გაცვლა-გამოცვლა. ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო, რომ 1894 წელს ლესია სოფიაში გაემგზავრა მასთან.

სოფიაში ლესია უკრაინკა დრაგომანოვების ოჯახში წელიწადზე მეტს ცხოვრობდა. დრაგომანოვს დიდი და მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა. ლესია ჩაეფლო წიგნებში. „უკეთეს ადგილს ჩემთვის ვერავინ მოიფიქრებდა, – წერდა იგი მ. პავლიუკს 1894 წლის 20 აგვისტოს (1 სექტემბერს), – წარმოიდგინეთ, – წიგნების ოთხი კედელი და მერე როგორი წიგნების...“

ბულგარეთში ყოფნის პერიოდი ლესია უკრაინკასათვის ნაყოფიერი და საინტერესო იყო.

მიხაილო დრაგომანოვთან ჩასული ლესია შეხვდა ბავშვობის მეგობარს ლიდიას, მიხაილოს ქალიშვილს. ლიდიასა და ლესიას ბავშვობის წლები ერთად ჰქონდათ გატარებული. კოსაჩების ოჯახში, ვოლინში. იმდროიდან გავიდა თითქმის ოცი წელი. როგორც იგონებს ლიდია დრაგომანოვა, ამ ხნის განმავლობაში ლესია მას არ ენახა. ევროპაში მოგზაურობიდან ბულგარეთში ჩასულ დრაგომანოვებს სოფიის სადგურზე ლესია უკრაინკა დახვდათ.



ლესია უკრაინკა

ფოტო, 1886 წ.

თუმცა დიდი დრო იყო გასული, რაც ერთმანეთი არ ენახათ, მაგრამ ლიდიამ და ლესიამ მაშინვე აღიდგინეს ის ურთიერთობა, უშუალო და ნათესაური, რომელიც ბავშვობაში ჰქონდათ. ლესიამ დრაგომანოვების ოჯახში მყუდრო ნავსაყუდელი პოვა.

ლიდია დრაგომანოვა იგონებს, რომ საზღვარგარეთ გაზრდილ და უკრაინაში მცხოვრებ ადამიანებს შორის ურთიერთობაში ხშირად ნაპრალი ჩნდებოდა. ბევრი რამ, რაც უკრაინელებს აღელვებდათ, ჩვენთვის, საზღვარგარეთ გაზრდილებისათვის, მხოლოდ წიგნიერი ინტერესი ჰქონდა და პირიქით, ბევრი რამ, რაც ჩვენ ევროპაში შევითვისეთ და გავითავისეთ, უკრაინელებისთვის უცხო იყო.

„მე და ლესიას ურთიერთობაში, იგონებს ლიდია, ამგვარი რამ არ მომხდარა. ჩვენ ერთმანეთისადმი არავითარი გაუცხოება არ გვიგვრძვნია და ეს მოხდა ლესიას წყალობით, მისი განათლებისა და დასავლეთ ევროპის კულტურისადმი ინტერესისა და მისი ცოდნის წყალობით“.[9] ლესიამ და ლიდიამ უცბად მონახეს საერთო ენა.

დრაგომანოვებმა კარგად იცოდნენ, რომ ლესია მისთვის სრულიად უცხო მხარეში ბიძამისის სანახავად ჩავიდა, რათა დიდი ხნის ოცნება (შეხვედროდა ბიძამისს, ჰქონოდა მასთან ახლოს ყოფნის საშუალება) აესრულებინა. მიხაილოსათვისაც ხომ ლესია სულიერი შვილი იყო.

იმ დროისათვის მიხაილო დრაგომანოვი უკვე სერიოზულად ავადმყოფობდა, ლესიას ჩასვლის შემდეგ კი ავადმყოფობამ ენერგიულად შეუტია და ლოგინად ჩააგდო. ლესია

---

[9] ლიდია შიშმანოვა-დრაგომანოვა, ბულგარული მოგონებები, ლესია უკრაინკა თანამედროვეთა მოგონებებში, მ. 1971, გვ. 114.

ხშირად და დიდხანს უჯდა საწოლთან ბიძამისს, ისმენდა მის საუბარს, ღრმაშინაარსიანსა და საინტერესოს, ხშირად მგზნებარესაც. მძიმე ავადმყოფობამ ვერ ჩააქრო მის სულში ეს მგზნებარება. ლესია მოჯადოებული უსმენდა სიკვდილის სარეცელზე მიჯაჭვული ბიძის სულის აღსარებას და თვალნათლივ ხედავდა ორთა ჭიდილს, სიკვდილთან სიცოცხლის შებრძოლებას.

ლესიას ბედმა არგუნა უბედურების მოახლოება ეცნობებინა მეზობელ სახლში მყოფი ოჯახის წევრებისათვის. მიხაილო დრაგომანოვი 1895 წლის 20 ივნისს წიგნით ხელში გარდაიცვალა.

მიხაილო დრაგომანოვის სიკვდილის შემდეგ ლესია დარჩა დრაგომანოვებთან, კიდევ ერთი ზაფხული გაატარა მათთან ერთად ვიტოშის მაღალ მთებს შუა მდებარე სოფელში და დრაგომანოვებთან ერთად მწუხარებაშეპყრობილი სევდიანი თვალებით გასცქეროდა მაღალი მთის კენწეროებს, სადაც მას მისი ძვირფასი ბიძისა და სულიერი მოძღვრის სახე ესახებოდა.

ბულგარეთში ყოფნისას ლესია უკრაინკამ შექმნა რევოლუციური სულისკვეთებით გამსჭვალული ლექსები – „დედა-მხევალი", „მტრებს", „ამხანაგებს" და სხვა.

სამშობლოში მობრუნების შემდეგ ლესია უკრაინკა კვლავ ჩაება საზოგადოებრივი და შემოქმედებითი ცხოვრების ფერხულში. როგორც ცნობილია, სწორედ ამ პერიოდში მან კონტაქტები რევოლუციურ წრეებთან დაამყარა. ლესია უკრაინკას აზრით, ცარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, მასების რევოლუციური სულისკვეთებით გამსჭვალვისათვის საჭიროა მუხლჩაუხრელი მუშაობა. ეტყობა ამას გულის-

ხმობდა იგი, როდესაც მ. პავლიკს 1895 წლის 31 იანვრის ბარათში ატყობინებდა: „მე ახლა მივითარდება აზრი და იგი უკვე გადასცდა იმ საზღვრებს, რომელთა ფარგლებშიაც შეიძლება დაუფარავად რამის გაკეთება რუსეთში“.[10] ახალგაზრდა პოეტი ქალი მიემხრო გამათავისუფლებელ მოძრაობას და დაუახლოვდა კიევის სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფებს.

1897 წელს ყირიმში ლესია უკრაინკა შეხვდა ფართო განათლებისა და ხელოვნების ზედმიწევნით მცოდნეს სერგეი მერჟინსკის, რომელმაც უთუოდ ნაყოფიერი გავლენა მოახდინა პოეტის შემოქმედით მოღვაწეობაზე.

1900 წელს პრაღაში ჩეხურ ენაზე გამოქვეყნდა ლესია უკრაინკას რამდენიმე ლექსი, რომელსაც ივან ფრანკოს მიერ დაწერილი წინასიტყვაობა ახლდა.

1900–1901 წლებში ლესია უკრაინკა კრიტიკულ წერილებს ბეჭდავს პეტერბურგის ჟურნალში „ჟიზნ“. როგორც ცნობლია, ამ ჟურნალში ქვეყნდებოდა მაქსიმ გორკის, სერაფიმოვიჩის და სხვა რევოლუციურად განწყობილი მწერლების ნაწარმოებები.

ამ ჟურნალში გამოაქვეყნა ლესია უკრაინკამ ლიტერატურულ-კრიტიკული სტატიებიდ „ორი მიმართულება იტალიურ ლიტერატურაში“, „მალოროსი მწერლები ბუკოვინაში“, „შენიშვნები უახლეს პოლონურ ლიტერატურაზე“, „ახალი პერსპექტივები და ძველი ჩრდილები“, რომელშიაც ვ. ვოროვსკის, მ. ოლმინსკისა და სხვათა მხარდამხარ დაუნდობლად აკრიტიკებდა ბურჟუაზიულ-მემამულური იდეოლოგიის გამოვლინებებს და ილაშქრებდა უკრაინული ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური კრიტიკის წინააღმდეგ.

---

[10] ლესია უკრაინკა თანამედროვეთა მოგონებებში, მ. 1971, გვ. 13.

1897 წლის ნოემბერში დაწერილ სტატიაში „ერთი რუსი პატიმრის ხმა“ ლესია უკრაინკამ მრისხანე სიტყვებით მიმართა ფრანგ ბურჟუაზიულ ლიტერატორებს, რომლებიც ქება-დიდებას ასხამდნენ პარიზში სტუმრად ჩასულ ნიკოლოზ II. იგი წერდა – „სირცხვილი პირმოთნე ლირას, რომლის მლიქვნელი სიმები აკორდებით ავსებენ ვერსალის დარბაზებს. სირცხვილი თავისუფალ პოეტებს, რომლებმაც თავისი ნებით დაიბეს ჯაჭვით თავი და უცხოელის წინაშე მის რგოლებს აჟღარუნებენ. ტყვეობა უფრო საზიზღარი მაშინაა, როდესაც იგი საკუთარი სურვილითაა“.[11]

ლესია უკრაინკასათვის, როგორც კრიტიკოსისათვის, დამახასიათებელი ისიცაა, რომ იგი რევოლუციური, პროგრესული შემოქმედებითი პოზიციებიდან იბრძოდა მოწინავე, ღრმა იდეური ხელოვნებისათვის.

1901–1902 წლებში პოეტი უკრაინულ ენაზე თარგმნის დიკშტეინის წიგნს „ვინ რით ცხოვრობს“ და მას ბოლოსიტყვასაც ურთავს. ამ წიგნს რუსი მუშები არალეგალურ წრეებში კითხულობდნენ.

როგორც ვხედავთ 1900 წლების დასაწყისი ლესია უკრაინკას ცხოვრებასა და შემოქმედებაში ახალი იდეურ-შემოქმედებითი აღმავლობის ხანაა. პოეტის ლექსთა კრებულები – „ფიქრები და ოცნებანი“ (1899) და „გამოძახილი“ (1902) ამის ნათელი დადასტურება იყო.

კრებულის „ფიქრები და ოცნებანი“ გამოსვლის დროისათვის ლესია უკრაინკა უკვე ცნობილი პოეტი იყო. ამას დიდად შეუწყო ხელი ი. ფრანკოს კრიტიკულმა წერილმა. ლესია უკრაინკას ლექსები იბეჭდებოდა უკრაინელი პოეტების

[11] ლესია უკრაინკა, თხზულებანი 5 ტომად, ტ. V, 1954, გვ. 95.

კრებულებში, ჟურნალებში, მის ლექსებს იხსენებდნენ სტატიებსა თუ რევოლუციურ პროკლამაციებში. ამიტომაც ლექსების ამ მეორე კრებულის შედგენის დროს ლესია უკრაინკამ დროის იმ მონაკვეთში გამოქვეყნებული ყველა ლექსი როდი შეიტანა. კრებულს გააჩნია მოფიქრებული, გააზრებული კომპოზიცია, თავისი ღერძი, რომლის ირგვლივ ლაგდება ლექსები. იმასაც აღნიშნავენ, ფიქრობენ იმასაც, რომ პოეტი ქალი წინასწარ მოფიქრებული გეგმის მიხედვით წერდა ლექსებს. წიგნი აგებულია ქრონოლოგიური პრინციპის მიხედვით და თან დალაგებულია თემატურ ციკლებად.

კრებულში „ფიქრები და ოცნებანი" შევიდა ციკლები –„მელოდიები", „რომანსები" (1893–1894), „ტყვეთა სიმღერები" (1895–1896), „გამოძახილი" (1896–1899), პოემები: „ძველი ზღაპარი" (1893), „რობერტ ბრიუსი, შოტლანდიის მეფე" (1893).

**მელოდიები.** ლესია უკრაინკას შემოქმედებაში საზოგადოებრივი პათოსი ხშირად ნათელ ინტიმურ გრძნობებს ექსოვება. თუმცა, პოეტი საზოგადოების წინაშე თავისი პირადი განცდებისა თუ ტკივილების წარმოჩენას არასოდეს ცდილობდა. მიუხედავად ამისა, რაღაც გარკვეული თანხვედრა პირადი და საზოგადოებრივი ტკივილებისა მის პოეზიაში მაინც იყო. ლესია უკრაინკა 1893 წლის 28 მაისს ოსიპ მაკოვეისადმი გაგზავნილ ბარათში სთხოვდა, არ მიექცია ყურადღება ამა თუ იმ ლექსში მისი ბიოგრაფიის თანმხვედრი ადგილებისათვის. უნდა ვივარაუდოთ, ამგვარი თანხვედრები მოსალოდნელი იყო უფრო ლირიკული ხასიათის ლექსებში.

ლესიას შემოქმედებაში გარკვეული ადგილი უკავია 1893-1894 წლებში შექმნილ ლექსებს, რომლებშიც მწერლის სანუკვარი ოცნებებია გადმოცემული. პოეტი ცდილობდა

ხალხის სამსჯავროზე არ გამოეტანა საკუთარი ფიზიკური ტკივილები, მაგრამ, რა თქმა უნდა, ყოველთვის ამას ვერ ახერხებდა. იყო გამონაკლისი შემთხვევები. ამ ტიპისაა, მაგალითად, ლექსი – „იწვის ჩემი გული“... და სხვ.

ლესია უკრაინკას ლექსები – „საღამო იყო წყნარიც და ბნელიც“ და „ამ სიმღერას ნუ იმღერებთ“ გადმოცემულია ლირიკული გმირის სევდიანი განწყობილება, რაც გამოწვეული იყო ადამიანთა სრული ბედნიერების მოპოვების შეუძლებლობით. ლექსში არაჩვეულებრივი ლირიზმით არის აღწერილი წყნარი და მშვიდი საღამოს სევდის მომგვრელი ატმოსფერო:

საღამო იყო წყნარიც და ბნელიც
და ჩემს თვალებში ჩამდგარი სევდა
კვლავ შეუღწეველ ბურუსში გვხვევდა.
საღამო იყო წყნარიც და ბნელიც...

*(თარგმნა ოთარ ჭილაძემ)*

მინორულ ტონში შესრულებული ლექსის სტრიქონები სევდის ბურუსში ახვევს პოეტს და არაჩვეულებრივ პოეტურ სურათებს ახატვინებს მგოსანს.

დასალიერი გაკაწრა ელვამ.
თითქოს მეც გული გამიპო დანამ
და ვკვდები ასე, ჩუმად და წყნარად.
დასალიერი გაკაწრა ელვამ...

ბუნებასა და პოეტის სულში დასადგურებულმა სევდამ, თითქოს, ჩააქრო სიცოცხლის გზნება ლირიკულ გმირში, ბუნების პირმშოში და იგი უბრძოლველად, ჩუმად და წყნარად თმობს ამქვეყნიურ სამყაროს.

ეს სევდიანი განწყობა, ლექსის მინორული ჟღერა, დამძიმებულია ლესია უკრაინკას დახვეწილი პოეტური ხელოვნებით შექმნილი სტროფებით, სადაც თითქოს განგებ ყველა სტროფში პირველი სტრიქონი მეორდება მეოთხე სტრიქონში და სევდიან, მინორულ და, ამავე დროს, რიტმულ ჟღერადობას ქმნის.

პოეტს თავის გულში აქვს ჩამალული სევდა-ნაღველი და ის სევდაა სწორედ მისი მთელი საგანძური, ამიტომაც არავითარი სურვილი არა აქვს, ჩახედოს ცხოვრებას თვალებში, მიუბრუნდეს ცხოვრებას.

ნუ გამაგონებთ, არ მინდა, კმარა!
ნუ ამიწეწავთ სულს და გონებას.
მე სევდას გულში ვიკლავ და ვმალავ
და ის სევდაა ჩემი ქონება.
თქვენ ხომ არ იცით, რა ხმები მესმის,
ან რაზე ვფიქრობ, ჩუმად რომ ვზივარ.
ჩემს გულში ჩარჩა სიმღერის ფესვი
და აი, დღემდე მტანჯავს და მტკივა.

*(„ამ სიმღერას ნუ იმღერებთ“,*
*თარგმნა ოთარ ჭილაძემ)*

სევდას დაუპყრია ლირიკული გმირი, მწუხარების ცეცხლი წაჰკიდებია, მაგრამ ცრემლმა ვერ დაამშვიდა მისი სული, ვერ მოჰგვარა მას შვება.

გიზგიზებს ცეცხლი მწუხარებისა,
წამკიდებია სევდის კოცონი,
სად არის ცრემლი! აღარ ელირსა
გადმოწვიმება ღრუბლად მოწოლილს.

გული ქვითინებს, ცრემლს კი ალმური
ისრუტავს, აშრობს ცხელი ტუჩებით.
შვებისმომცემი და საამური
სად არის ცრემლი! ვერ გადვურჩები
ამ ცეცხლს. გამიშვით, ტირილი მინდა,
მინდა ქვითინით შევძრა სამყარო,
რომ ვარსკვლავები მოზვავდნენ ციდან
და ჩემს გულს შვება გადავაფარო!

*(„იწვის ჩემი გული“,*
*თარგმნა თამაზ ჭილაძემ)*

ლესია უკრაინკა თავის ნაწარმოებებში გვიხატავს მშფოთვარე თუ მშვიდი ბუნების სურათებს, წარმოგვიჩენს ადამიანთა სულიერ სამყაროს და ახერხებს მათ კონტრასტულ შეპირისპირებას. უხვ ლირიკულ ტონალობაშია გადაწყვეტილი ადამიანისა და სამყაროს მშვიდი თუ მღელვარე ყოფის სურათები. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ლექსები: „ვუსმენდი გაზაფხულს“, „მინდა სიმღერად ვიქცე“, „ეს წყნარი ღამე“, „შორეული გაზაფხული“ და სხვა.

სიმღერად ვიქცე – აი, რა მინდა,
ვიქცე სიმღერად, ღმერთო, სიმღერად!
წამოიმართა ქარი, გაფრინდა,
მეც ფრთები მინდა სწორედ იმხელა.
ვიყო სიმღერა – მზის ცხელი სუნთქვით
და აღელვებულ ზღვით დაშაშრული,
რომ ვარსკვლავების მთვლემარე გუნდი
გამოვაღვიძო ფრთების ტყლაშუნით,

რომ მათთან ერთად ბრწყინავდეს ცაზე
ჩემი ოცნებაც, ჩემი იმედიც,
ბედნიერებით მთვრალსა და სავსეს
აღარ მახსოვდეს სევდა მცირედიც.

*(„მინდა სიმღერად ვიქცე“,*
*თარგმნა ოთარ ჭილაძემ)*

ციკლში ერთ-ერთი საინტერესო ლექსია – „გამარჯვება“. არაერთ გაზაფხულს შეეგება კეთილი მომავლის იმედით ლოგინად ჩავარდნილი პოეტი. მაგრამ მოვიდოდა და ჩაივლიდა გაზაფხული ისე, რომ სასიკეთოს არაფერს მოუტანდა ახალგაზრდა ქალს. ასე ჩაიქროლა ბევრმა გაზაფხულმა და იმედის ცეცხლი გაუნავლა ქალიშვილს. მას არც ერთმა გაზაფხულმა არ მოუტანა შვება. ამიტომაც იგი დიდი იმედებით არ ეგებება კარსმომდგარ გაზაფხულს. თუმცა ესმის მას დამაიმედებელი სიტყვები, მაგრამ ვერ ენდობა მათ, ეშინია ენდოს, რადგანაც ბედმა შეიძლება კვლავ არ გაუმართლოს და მწარედ გაუცრუვდეს იმედები. ემოციური დიალოგი ლირიკულ გმირსა და გაზაფხულს შორის გადმოგვცემს ავტორის პოზიციას, ადამიანთა გრძნობების, განცდების სირთულეს:

არ ვნებდებოდი გაზაფხულს დიდხანს,
დიდხანს არ მსურდა დამეგდო ყური.
ის კი სარკმელთან ჯიუტად იდგა,
ვით ვარდისფერი ბოლი თუ რული.

*(„გამარჯვება“,*
*თარგმნა ოთარ ჭილაძემ)*

ასე იწყებს თავის ლექსს პოეტი. მას ხომ არაერთი ზაფხული გაუტარებია ისე, რომ სიკეთე მას პოეტის ჯანმრთე-

ლობისათვის არ მოუტანია, ამიტომაც არ სჯერა მისი განმკურნლებელი ძალისა. ამიტომაც მიმართავს ასე ლირიკული გმირი გაზაფხულს – „წადი, არ მინდა, არ დავნებდები ჯადოსნურ ძალას". მგოსანს გადაეწურა იმედი. იგი ფიქრობს, რომ

ჩემი სიმღერის ჟამი გავიდა,
გულსაც სამარის წყვდიადი ფარავს.

მაგრამ გაზაფხული მაინც მოდის და მოაქვს ახალი ფერები, სახეები, სიხარული. „ტყე მიიწევს მზისკენ", ფერად-ფერადი „ყვავილები გაშლილან ველად". ავტორის მიერ ლექსში შემოტანილი მიკროსახეები ხასიათდებიან გამომხატველი ანტითეზებით გარემოს, სიმწვანის, ყვავილების, სინათლისა და ყველა იმ კონტრასტული ფერის მიმართ, რაც ზამთრის ბუნებას არ ახასიათებს. ყველაფერი ცოცხლდება გაზაფხულზე, ყველაფერს ემატება ხალისი, თვით ადამიანის გულიც კი ახლებურად იწყებს ფეთქვას. სადღაც იძირება გონების ნაკარნახევი საღი აზრები – არ ენდოო გაზაფხულის მაცდურ ბუნებას. გაზაფხული კი უტევს და უტევს სამყაროს:

„შეხედე, ფეხქვეშ მეგება ყველა,
ტყე ძველებურად მიიწევს მზისკენ
და ყვავილები გაშლილან ველად.
ისევ სკდებიან ღრუბლები ცაზე,
ხარხარებს წვიმა და დაჰქრის ელვა".

გაზაფხულს სურს, და არა მარტო სურს მას, უნდა, რომ ლირიკული გმირის გულშიც გაიდგას ფესვები მისმა სილა-

ღემ, მისმა სიმღერამ. მას სჯერა, რომ ეს ასეც მოხდება, რადგან „მის წინ ყველა კარი იღება“.

ლირიკული გმირი, რომლისთვისაც მრავალმა გაზაფხულმა უქმად ჩაიარა, ყოყმანობს, მას აღარ სჯერა საოცრებისა: „არ მჯერა, არა!“ შესძახებს იგი გაზაფხულს. მაგრამ ბუნება მაინც თავისას გაიტანს:

მაგრამ ხანმოკლე აღმოჩნდა ახლაც
ჩემი ყოყმანი და ფოთლის დარად
მეც წამიყოლა სიცოცხლის ტალღამ.

*(„გამარჯვება“,*
*თარგმნა ოთარ ჭილაძემ)*

**რომანსები.** 1893–1894 წლებში ლესია უკრაინკას შემოქმედებაში გამოჩნდა ახალი ჟანრი – რომანსი. რომანსი ლირიკის სახეა, რომელიც იქმნება მის მუსიკალურ ინტერპრეტაციასთან ერთად. ევროპული კლასიკური რომანსისათვის უმთავრესად დამახასიათებელი იყო სასიმღერო სტილი, დამღერების ინტონაციურობა. ლესია უკრაინკამ თავისებურად აღიქვა ლექსი-რომანსის სტილი და იგი სასაუბრო ინტონაციაში, სალაპარაკო სტილში წარმოაჩინა.

ლესია უკრაინკა ნოვატორი იყო ამ ჟანრშიც. მან ყურადღება მიაქცია სასიმღერო კი არა, სასაუბრო, სალაპარაკო ინტონაციას. მისი რომანსები – „კითხვა“, „პასუხი“ – ესაა , ფაქტობრივად, დიალოგი ახალგაზრდა ყმაწვილსა და გოგონას შორის, რომელთაც არ ეწერათ ბედნიერება, მათი გზები მკვეთრად დასცილდა ერთმანეთს:

ამბობ: „სხვადასხვა გზები გველიან!“

გავუძლებ ავდარს, გადავიტან ტანჯვას, რაც არი,
მუხად ვიქცევი და ტოტებს გავშლი,
მწუხრში გრიგალში, ავდარში, ზვავში
ვიქნები შენი თავშესაფარი.
შენ ხმას არ იღებ და თვალებზე ხელებს იფარებ
სხვა გზებს იკვალავ უხილავ გზნებით,
სწუხარ, მიმწუხრის კვარივით ქრები
და ნანობ ალბათ, რომ შემიყვარე.

*(„კითხვა“, თარგმნა მორის ფოცხიშვილმა)*

გოგონას პასუხში არ ჩანს სინანული იმისა, რომ შეიყვარა – „არა, არ ვნანობ, მეგობარო“ – ეუბნება იგი ყმაწვილს, მაგრამ იქვე უმატებს, რომ ეს იყო წარსულში, ახლა მას სხვა გზა აქვს, სხვა მიზნები ამოძრავებს. „მე ახლა მინდა სხვა გზით ვიარო“, – ასეთია მისი პასუხი.

ამბობენ, სურო ჭკნება, როცა ხეს არ ეხვევა,
მე არ დავჭკნები, მე ძველ კედლებს მივეფერები,
გამოვაცოცხლებ ბებერ კედლებს მწვანე ფერებით,
ჟრუანტელს მოჰგვრის ძველ ნანგრევებს ჩემი შეხება .

*(„პასუხი“, თარგმნა*
*მორის ფოცხიშვილმა)*

შორს, ეულად მყოფს, მიუსაფარს, მუხის ფოთლებს შემოუყრის სიო გუნდებად და მის გულს ძველი სიყვარულის ნაპერწკალი კვლავ გაანათებს.

„მიცკევიჩის მოტივზე“ საინტერესო ნაწარმოებია. ლექსს ეპიგრაფად აქვს წამძღვარებული ადამ მიცკევიჩის სიტყვები: „ეს ყველაფერი მეგობრობაა, მეგობრობაა თუ სიყვარული!“ ეპიგრაფი გვიხსნის ლექსის მოტივს. ნაწარმოებში წარმოჩენილია, თუ როგორ ებრძვის საკუთარ თავს ლირიკული გმირი ქალი. იგი რთული პრობლემის წინაშე დგას: თითქოს არ უყვარს, მაგრამ ასევე თითქოს ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ უყვარს. იგი გაორებულ მდგომარეობაშია, თითქოს არ ელის, არც სიზმარში ნატრობს მას, მაგრამ როდესაც ხვდება, „გული ჩიტივით უფართხალებს“:

არა, ო, არა, არ მიყვარხარ, ჩემო სიცოცხლევ,
კმარა, რაც შენზე მიფიქრია, ო, ფიქრიც კმარა!
ცხადად არ გელი, არც სიზმარში გნატრობ, იცოდე,
მიყვარხარ? არა! მიყვარხარ? არა!

*(„მიცკევიჩის მოტივზე“,*
*თარგმნა მორის ფოცხიშვილმა)*

სიყვარულის ასეთი კატეგორიული უარყოფის შემდეგ ლირიკული გმირის სულში მაინც ჩნდება ეჭვის ჭია – რამდენად მართალია მისი აზრი, გადაწყვეტილება?

მაგრამ რა ხდება, როდესაც გხვდები,
გული ჩიტივით რად ფართხალებს,
ოცნების ფრთებით
რატომღა მივფრენ მზისკენ სიამით,
რად მიბრუნდება გულში ისევ შენი ტრფიალი?!

ლირიკული გმირი ცდილობს გაერკვეს რეალობაში – რა აკავშირებს მას ამ მამაკაცთან? მაგრამ ერთიმეორის გამომ-

რიცხავი დასაბუთება იმდენად ძლიერია, რომ კითხვა უპასუხოდ რჩება. დასკვნითი სტროფი ერთგვარად აშუქებს ლექსის იდეას:

რა ხდება ნეტავ, როდესაც გხედავ,
ცისკრის ღიმილში გეაჯები ამოდ და წყნარად...
მაგრამ, რომ მკითხო, – გიყვარვარო? – მე გეტყვი, არა; –
მიყვარხარ? არა! მიყვარხარ? არა!

როგორც ცნობილია, ლესია უკრაინკა მუსიკის დიდი მოყვარული იყო. მას ჰქონდა მუსიკის არაჩვეულებრივი ნიჭი. თავის ჩანაფიქრებსა და ნააზრევებს იგი ხშირად „ლესიას ფორტეპიანოს" კლავიატურას ანდობდა, მუსიკის ტონალობაში პოვებდა ჩანაფიქრის გადაწყვეტას.

რომანსების შემთხვევაში მუსიკასთან ხელოვნურად მიახლოება, მიწებება არ ხდება. ლესია უკრაინკა ლექსების, რომანსების („კითხვა", „პასუხი" „მიცკევიჩის მოტივზე"...) სტრიქონებს ფორტეპიანოს კლავიატურის სიმების ხმოვანებას უხამებდა, ლექსის სტრიქონების მუსიკალური ინტერპრეტაცია სწორედ მათ ჟღერადობასთან ერთად ხდებოდა. შეიძლება სწორედ ამიტომაცაა, რომ მხატვრულ უზადო წყობა-წარმოჩენასთან ერთად მისი რომანსები არაჩვეულებრივი მუსიკალური ინტერპრეტაციით ხასიათდება.

**„ტყვეთა სიმღერები".** ლექსების ციკლი „ტყვეთა სიმღერები" შეიქმნა 1895-1896 წლებში. ციკლში სულ 16 ლექსია. ციკლს წამძღვარებული აქვს ეპიგრაფი ბაირონის „შილიონის სონეტიდან".

ეპიგრაფი ნათლად გამოხატავს ამ ციკლში მოთავსებული ლექსების არსს. თავისუფლების იდეა ყველაზე მწვავედ საპყრობილეში ვლინდება. ნაწარმოებში ტყვეობის მხატვრული სახე ორგანულადაა შერწყმული სიმღერის ჟანრთან, ჩაქსოვილია ლექსის სტრუქტურაში.

ლესია უკრაინკა ამ ციკლში სვამს საკითხს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, განმათავისუფლებელ ბრძოლაში მხატვრული სიტყვის აქტიური, მებრძოლი როლის შესახებ. პოეტი ადამიანებს მოუწოდებს ბრძოლისაკენ და აღნიშნავს, რომ მხოლოდ თანაგრძნობა და მდუღარე ცრემლები არაა საკმარისი ჩაგრული მშრომელი ხალხის მონობისაგან განსათავისუფლებლად. იგი პირდაპირ წერს, „რა არის ცრემლი იქ, სადაც სისხლიც ცოტაა“.

ლექსში „დედა-მხევალი“, რომელიც 1895 წელსაა დაწერილი, პოეტი გადმოგვცემს იმ მძიმე განწყობილებას, რომელიც დაეუფლა ორ მეგობარ ქალს, „იყო ნათელი დღე მშვენიერ გაზაფხულისა“, თითქოს ყველა პირობა იყო იმისა, რომ სიხარულსა და ბედნიერებას უნდა დაესადგურა მათ ბინაში. ორი მეგობრის გულში „როდი იყო მხიარულება“. ამ გაზაფხულმა ფანჯრის უკან რომ იცინოდა, ორ მეგობარს ციხიდან მოუტანა „მწუხარების ხმები საზარი“.

პატიმრობაში კვდება ერთი, ხოლო მეორე
უცებ გაგიჟდა და მესამეც, სულით სნეული,
გარეთ გაუშვეს – იგი იყო ბორკილგაყრილი

სიჭაბუკეში, ფრთებს რომ შლიდა მისი ოცნება,
და ჩვენს თავზედაც, როგორც სეტყვის შავი ღრუბელი,
ხელისუფლების მრისხანება წამოიმართა.

*(„დედა-მხევალი“,*
*თარგმნა ირაკლი აბაშიძემ)*

ამ სიტუაციით დამძიმებულ ოთახში მეგობარი ქალის ბიჭუნა სახეგაბრწყინებული უდარდელად თამაშობდა, მისმა შემყურემ მეგობრის დაიმედება სცადა და გამხნევებას შეეცადა:

რა ვქნათ, ნუ დარდობ, მეგობარო, ნუ სევდიანობ,
ჩვენ შეიძლება ვერც კი ვნახოთ თავისუფლება,
სამაგიეროდ თქვენი ბალღი იხილავს მასა.

ამ სიტყვებმა ააღელვა უბედური დედა, რამაც ნაწარმოებში თემის შეცვლა გამოიწვია. უბედური დედა მკაცრად ეხმაურება მეგობრის რეპლიკას და პასუხობს, რომ დედამისიც ასე არწმუნებდა და მასაც სჯეროდა, სანამ არ წამოიზარდა. ახლა კი ხედავს, რომ ყველაფერი ამაოა, ამიტომაც არ სურს მისი შვილი ასე მოტყუებული დარჩეს.

ციკლის შესანიშნავ ნაწარმოებად ითვლება ლექსი – „და მაინც შენსკენ მოისწრაფის ფიქრი“, რომელიც პოეტმა თავის სამშობლოს მიუძღვნა. ლესია უკრაინკა მშობლიურ მხარეს მიმართავდა წუხილის გრძნობით და ამბობდა, რომ მას უნახავს უსამართლობა და უბედურება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, მაგრამ ისეთი საშინელი უსამართლობა და უბედურება, როგორსაც უკრაინელი ხალხი განიცდის, არსად არისო ამქვეყნად.



ლესია უკრაინკა

ფოტო, რომელიც მწერალმა ანუქა ნესტორ დამბარაშვილს

1896 წ.

ლექსში „პოეტი ალყის დღეებში“ დახატულია პოეტის სახე, რომელსაც არ აშინებს „სიკვდილის ცელი“, მის სიმღერებში „მოსჩანს, ვით ზღვაში, მტრისადმი გმობა, რისხვა და ზიზღი“. პოეტის ჰანგს არ ეშინია არაფრის, იგი „თამაშობს ცეცხლთან და კედლებს ანგრევს“. ამ ჰანგს კი ხალხი „ზედ იწერს გულზე.“

ეს ჰანგი სწვდება მეომარ ქალაქს
და ჰხიბლავს ირგვლივ თვით მტრების ბანაკს,
აღვიძებს დარაჯთ, მათ ყურში დნება,
არ აძლევს ღამით ჩათვლემის ნებას.

*(„პოეტი ალყის დღეებში“,*
*თარგმნა ირაკლი აბაშიძემ)*

თავისუფლების სიმღერა არ შეიძლება მოკვდეს. იგი ემსახურება სიკეთეს, სიყვარულს, ადამიანის ბედნიერებას „მას ვერავითრი მტრის ძალა ვერ ჩაახშობს,“ – გვეუბნება ავტორი.

კრებულის ძირითადი და წამყვანი მოტივი ცარიზმის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლისაკენ მოწოდებაა. მძიმე ხვედრმა ვერ მოდრიკა პოეტის სული. ბედთან შეჭიდებული მგოსანი იმედის თვალით შეჰყურებს მომავალს და ადამიანებს მზიანი დღის მოსაპოვებლად მოუწოდებს. მწერლის მგზნებარე მოწოდება მოისმის ნაწარმოებში „საავდრო ღრუბელს“:

კვლავ გამარჯვების სიმღერები აჟღერდნენ გულში,
საგაზაფხულო ძალამ სულში დაიწყო ფეთქვა.

ის ვერ გასტეხეს სუსხიანი ზამთრის ყინვებმა,
ის ვერ გააკრა დედამიწას ნისლმა და თქორმა,
ვერ დაამსხვრია გაზაფხულის გიჟმა გრიგალმა.
მე მარტო ერთი შევხვდები გრიგალს,
ერთადერთი შევეჭიდები!

*(თარგმნა ილო მოსაშვილმა)*

განსაკუთრებით მწვავე და მსუსხავია ეს მოტივი „ტყვეთა სიმღერების" ციკლისათვის. ამ ციკლის შექმნის წლები ლესია უკრაინკას შემოქმედებაში არანაკლებ მნიშვნელოვნად არის მიჩნეული, ვიდრე ტარას შევჩენკოსათვის „სამი წელი". შევჩენკოსეულ ცნობილ სტრიქონებსა და განწყობილებას:

ამჟამად კი გატეხილ გულს
მე მიწამლავს შხამი.
არცა ვტირი, არცა ვმღერი,
ვკვნესი ჭოტი ღამით.

*(თარგმნა იასამანმა)*

ესატყვისება ლესია უკრაინკას ლექსში „მტრებს" გამოხატული სულისკვეთება:

...კდემამოსილად დახრილნი თვალნი,
რომელნიც მხოლოდ ცრემლებსა ღვრიდნენ,
დღეს აკვესებენ ელვარე ელვებს, –
ნუთუ არ გაკრთობთ მათი კაშკაში?

ტკბილი ბაგენი, ჩვეულნი ჩივილს,
დღეს აღშფოთებით აღვსილან ოდენ,

მათი ხმა მოჰგავს გველების სისინს...
ნუთუ არ შიშობთ, რომ ენაც მალე
იქნებ, შხამიან ნესტარად იქცეს?!
*(თარგმნა ნია აბესაძემ)*

ლესია უკრაინკას ამ პერიოდის განწყობილებებზე მისი პირადი წერილებიც საკმაოდ მდიდარ მასალას გვაწვდის. ამხანაგებისა და მეგობრებისადმი გაგზავნილ ბარათებში პოეტი რუსეთს ახსენებს როგორც ბნელეთს, საპყრობილეს, უკიდურესი დესპოტიზმისა და ჩაგვრის სამყაროს. მიხაილო პავლიკისადმი 1895 წლის 7 ოქტომბერს გაგზავნილ ბარათში იგი წერს: „სირცხვილი და გულისტკივილი მაწამებს ჩემი სამშობლოს მდგომარეობის გამო (მერწმუნეთ, ეს ფრაზა როდია), და მე არ მეგონა, თუ ჩემს გულში რისხვის ეგოდენ დიდი მარაგი იქნებოდა. მე არ ვიცი რას გავაკეთებ, როდესაც რუსეთში მოვბრუნდები, თვით ფიქრი იმ პატიმრულ ცხოვრებაზე გულს მიწვრილებს. არ ვიცი, ვინ, მაგრამ მე არ შემიძლია მდუმარედ ავიტანო მონური ცხოვრება. ტყუილად როდი ვისწავლე ინგლისური ენა, კაცმა რომ თქვას, როდესაც ვკითხულობ XVII ს-ის დიდ ინგლისელ მწერლებს, ვფიქრობ, რად არ ვცხოვრობდი თუნდაც იმ დროს. რას გვაძლევს XIX საუკუნე, თუ ჩვენ ასე სამარცხვინოდ ვიღუპებით, და თანაც მდუმარედ?"[12]

---

[12] მიხაილო დრაგომანოვის მიმოწერა მიხაილო პავლიკთან, ტ. 2, 1911, გვ. 237.

პოეტი გმობდა მონურ ცხოვრებას და დაჩაგრული ადამიანების ბედნიერ ცხოვრებაზე, მათ ნათელ ხვალინდელ დღეზე ფიქრობდა.

„ტყვეთა სიმღერების“ ციკლში ლესია უკრაინკამ პირველად გამოიყენა უკრაინული რევოლუციური პოეზიისათვის ტრადიციული პრომეთეს სახე. თავისი მასწავლებლის ტარას შევჩენკოს მსგავსად, რომელმაც „კავკასში“ ტირანიის წინააღმდეგ მებრძოლი პრომეთეს სახე შექმნა, ლესია უკრაინკაც თავის პრომეთეში და „პრომეთეს მემკვიდრეებში“ ასახიერებს მოუდრეკელი სიმტკიცის, ძლიერი ნებისყოფის მქონე თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირებს, ცარიზმის მიერ დაჩაგრულ ხალხებს, რომლებიც სინათლისა და ბედნიერებისათვის იტანჯებიან და იბრძვიან.

მწერალი მწვავედ განიცდის საპყრობილეში, ცარისტულ ბნელეთში მყოფი ხალხის ტანჯვას, რომელსაც ყოვლისშემძლე ღმერთები კი არ მფარველობენ, არამედ მიწიერი ხელისუფალნი, „ქვეწარმავლები“ სწოვენ სისხლს.

სადა ხართ, ძმებო! მემკვიდრენო პრომეთეოსის,
თქვენი გულმკერდი არწივს როდი დაუკორტნია,
თქვენი სხეული გადაიქცა ურჩხულის ბუდედ,
კავკასის ქედზეც არ ყოფილხართ თქვენ მიჯაჭვულნი.

თქვენ ქვესკნელში ხართ, საიდანაც არც კვნესა ისმის,
არც ბორკილების ჩხარუნი და
არც ამაყი სულის ყივილი...

*(„Fiat nox!“,*
*თარგმნა ავთანდილ გაფრინდაშვილმა)*



ლესია უკრაინკა და ოლგა კობილიანსკა

ჩერნივცი. ფოტო 1901 წ.

პოეტი იხსენებს თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირებს, რომლებსაც მეფის ხელისუფლებამ ბორკილები გაუყარა, საპატიმროებსა თუ მაღაროებში ჩააგდო, სიცოცხლე მოუსწრაფა და აცხადებს, რომ, მიუხედავად ამისა, ვერავითარი ძალა ვერ გასტეხს ვერც ხალხისა და ვერც პოეტის სულს, ნებისყოფას, ვერ ჩაახშობს ხალხის სწრაფვას თავისუფლებისაკენ.

ო, მეუფეო წყვდიადისა!
შენ გეშინია ბორკილის ხმის – რკინის მუსიკის,
შენ გეშინია მრისხანე და მძაფრი ყვირილის,
შენ რით ჩაახშობ, რით ჩაახშობ ამ დევურ ყივილს,
შიმშილს, რომელიც მოგვაგებე სიბნელეს, ქაოსს,
ან ტკივილამდე შეკივლებას:
„სინათლე, სინათლე!“

მგოსანს სწამს, რომ სიმართლისათვის მებრძოლი თავისუფალი სული მაინც გაიკვლევს თავის გზას:

აი, ამ გმინვის წიაღიდან,
როგორც მთვარე მთათა ბეჭებზე,
გზას ამოიკვლევს თავისუფალი,
ამაყი და მამაცი სული.

ლესია უკრაინკას შემოქმედებაში ეს მებრძოლი, რევოლუციური მოტივი მტკიცე და მწვავე ხდება ოთხმოცდაათიანი წლების დასასრულს. ამ დროისათვის პოეტის მგზნებარე სიტყვა შემართული ბასრი მახვილია. თვით ლესია უკრაინკა, როგორც ჭეშმარიტი ხელოვანი, დიდ მნიშვნელობას ანიჭებ-

და მხატვრულ სიტყვას. ტარას შევჩენკოს, ნეკრასოვისა თუ ივან ფრანკოს ტრადიციებს იგი ერთგულად იცავდა და თავის ლექსებში: „პოეტი ალყის დღეებში“, „სიტყვავ, რად არ ხარ...“ თუ სხვა ხელოვანის მაღალ დანიშნულებასა და ხალხთან მის განუყრელ ერთიანობაზე მიგვითითებს.

პოეტი შესჩივის თავის სიტყვას და საზოგადოებას ამცნობს თავის სურვილს – იყოს მისი სიტყვა ფოლადივით მტკიცე, „სიტყვავ, რად არ ხარ ფოლადი მტკიცე“, – მიმართავს იგი სიტყვას. მას სურს, რომ იგი ფოლადისგან გაჭედილი ხმალივით იყოს, რათა ვერაგი მტერი შემუსროს ბრძოლაში. ლესია უკრაინკა წერდა:

სიტყვავ, რად არ ხარ ფოლადი მტკიცე,
ბრძოლაში გმირთა ჯავშანად იქცე?
ან რატომ არ ხარ ხმალი, რომელიც
მტერს მოსჭრის თავსა დაუნდობელი?

*(თარგმნა დავით გაჩეჩილაძემ)*

პოეტი ყოველთვის მზადაა იდგეს ხალხის სამსახურში, დაიცვას ადამიანის, ხალხის თავისუფლება, მზადაა ხმალივით შემართული სიტყვით ეძგეროს მტერს. მაგრამ გულს ის ტკენს, რომ მისი სიტყვა-ხმალი მტრის გულს ვერ გმირავს: „გულს მტრისას... არ ეხება.“ თუმცა პოეტის გულიდან ამოთქმულ სიტყვებს ალისფერი სისხლიც ამოყვება მწერლის.

თავისი სიტყვის გამოსაწრთობად პოეტმა არ დაიშურა დრო და ხელოვნება:

გაგჭდე, გლესე, ხარ ისე მჭრელი,
არ დავიშურე ცოდნა და ხელი.

ამბობს პოეტი, მაგრამ შედეგი ჯერ არ ჩანს. დანაღვლიანებული მწერალი დარდობს, რომ მისი გამოწრთობილი სიტყვა ბრძოლაში არაა გამოყენებული:

...კედელზე იბრწყინებ ხმალო,
სხვის გასართობად, ჩემს სავალალოდ.

მაგრამ მწერალი უკან არ იხევს, იმედს არ კარგავს და მხოლოდ გამარჯვებისკენ მოუწოდებს, მას მხოლოდ გამარჯვების სწამს:

სიტყვავ, ბრძოლისთვის მზა იარალო,
ჩვენ დამარცხება რად უნდა ვნახოთ?

მიმართავს პოეტი სიტყვას და იმედსაც გამოთქვამს, რომ მისი სიტყვა უქმად, გამოუყენებელი არ დარჩება:

იქნებ აგიღონ უცნობმა ძმებმა.
გაუადვილონ მათ მტერთან შებმა.

მას ესახება იმედი, რომ მისი სიტყვა-ხმალი დაამსხვრევს რკინის ბორკილებს, რომლებითაც ხალხია შებორკილი და თავისუფალი სუნთქვის საშუალებას არ აძლევს. ეს ხალხს აღაგზნებს მტარვალების საწინააღმდეგოდ:

გაიჟრიალებ ცივ ბორკილებზე
მტარვალთ კოშკისკენ ხალხს დააგეზებ.

ამ გაბრძოლება – ბრძოლაში, პოეტს სწამს, რომ მარტო არ დარჩება, მას მოძმე ხმლებიც შემოუერთდებიან და ერთად იბრძოლებენ თავისუფლების მოსაპოვებლად, ერთად შემოსძახებენ თავისუფლების სიმღერას:

შემოგვხვდებიან იქ მოძმე ხმლებიც,
თავისუფლების წკრიალა ხმებით...

აღნიშნავს იგი. პოეტს სჯერა, რომ გადამწყვეტ ბრძოლაში თავისუფლებისთვის მებრძოლნი ერთად შეკრულნი, შეერთებული ძალებით ჩაებმებიან.

და ერთად გახვალთ თქვენ ბრძოლის ველზე,
შურისგებისთვის რომ აილესეთ.

მიმართავს იგი თანამოაზრეებს და დასძენს, რომ თავად პოეტი ფიზიკურად სუსტი არსებაა და მთელ იმედებს ამ ბრძოლაში გამარჯვებისა ხალხზე ამყარებს. ამიტომაც მოუწოდებს ხალხს, ამოუდგეს გვერდში ამ ბრძოლაში:

სიტყვავ, სუსტი ვარ მე, სამწუხაროდ,
ისევ სჯობია, ხალხს დაეხმარო.

90-იანი წლების დამდეგიდან ლესია უკრაინკას შემოქმედებაში ელეგიებისა და ლირიკული ლექსების გვერდით ადგილს იკავებს დიდი საზოგადოებრივი ხმიანობის მქონე თემები. ამგვარი თემატიკის დამუშავებაში პოეტს, ეტყობა, ტარას შევჩენკოს მრისხანე მუზა, ივან ფრანკოსა და ა. ნეკრასოვის სამოქალაქო ლირიკა მაგალითად გამოადგა და დაეხმარა.

**„ძველი ზღაპარი“.** ლესია უკრაინკა თავის პოემაში „ძველი ზღაპარი“ (1893) გვისაბუთებს – ჭეშმარიტი ხელოვანი ხალხის მსახური უნდა იყოს და მისი პოეზია ისე ჟღერდეს, როგორც მოწოდება თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის საბრძოლველად. ამასთანავე მის ნაწარმოებში ხალხთა მჩაგვრელების წინააღმდეგ ბრძოლის თემა არის დამუშავებული.

პოემაში გამოყვანილია ორი ბანაკი, ერთი მხრივ, მშრომელები და მათთან ერთად ხალხის ინტერესების დამცველი ნიჭიერი პოეტი, ხოლო მეორე მხრივ, ხალხის მჩაგვრელები, გრაფი ბერტოლდო, რომელიც სასტიკად ტანჯავს ხალხს.

ლესია უკრაინკა თავის ნაწარმოებში გამოთქვამს აზრს,რომ ვერავითარი ძალა ვერ შეძლებს ხალხში თავისუფლების წყურვილის ჩაკვლას. ამავე დროს, იგი ნაწარმოებში იმ აზრსაც ატარებს, რომ ბატონსა და ყმას შორის ხიდია ჩატეხილი და მისი აღდგენა არ შეიძლება, მათ შორის წინააღმდეგობის მოსპობის გზა კი ერთადერთია – გამათავისუფლებელი ბრძოლა. ამ ბრძოლაში კი პოეტის ადგილი ხალხთანაა, ხალხის სამსახურშია. ამიტომაც არის, რომ ნიჭიერი პოეტი თავის ბედს ხალხის ცხოვრებასა და ბრძოლას უკავშირებს. პოეტის სიმღერა, მისი სიტყვა უდიდესი ძალაა, რომელიც ხალხის ცხოვრებას ალამაზებს, აჯანყებულ მშრომელებს აღაფრთოვანებს, საბრძოლველად აღაგზნებს და მრისხანე იარაღად იქცევა. ამიტომაც არის, რომ სიბრაზისა და შიშისაგან ცახცახებს გრაფი ბერტოლდო, როდესაც პოეტის სიმღერას ისმენს:

ჩვენს ბინაში ნესტი ჟონავს,
გრაფისაში – მზე კისკასობს;

კარგად უთქვამთ – მებატონეს
უფრო თეთრი ძვლები აქვსო.
ვიდრე თეთრი ხელი ელავს,
მოგანატრებს ღმერთი ლხენას;
გრაფის სისხლი ცისფერია, –
ასე ამბობს გლეხი ყველა.
ნეტა, სულმთლად თეთრი არის
ძვლები ჩვენი ბატონისა?
ან დანა რომ ჩავცეთ, მართლა
გამოჟონავს სისხლი ცისფრად?

*(თარგმნა ოთარ შალამბერიძემ)*

ამ სიმღერაში აირეკლა შევჩენკოს მოწოდება ნაჯახისაკენ.

პოემა „ძველი ზღაპარი“ მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს უკრაინულ ლიტერატურაში ჭეშმარიტად ახალი სიტყვა იყო. ივან ფრანკო ესალმებოდა ამ პოემის დაბადებას და წერდა, რომ იგი „უდავოდ არის ჩვენი ახალი ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო და დამახასიათებელი მშვენება“.[13] ივან ფრანკო აღტაცებულია ლესიას ცხოვრებისეული, ჭეშმარიტი დაკვირვებებით და პოეზიის ამოცანებისა და როლის დამაჯერებელი და მოხდენილი შეფასებით. ლესია უკრაინკას აზრით, წერს ფრანკო, „პოეზია მშრომელი ხალხის მასებისათვის უბედურებაში გულის მოოხება, შრომის შემდეგ დასვენებაა; ყოველი ადამიანისათვის გაღვიძებული გრძნობის და მაღალი მისწრაფებების ბუნებრივი გამოხატვაა; მთელი საზოგადოებისათვის ნებისყოფაა ბრძოლისათვის და

[13] ი. ფრანკო, ლესია უკრაინკა, რჩეული ნაწერები, ტ. V, 1951, გვ. 250.

საყვედური ყოველი სიმდაბლისათვის, დაჩაგრულთათვის იგი მგზნებარე მოწოდებაა თავისუფლებისა და ადამიანური უფლებებისათვის ბრძოლისაკენ".[14]

„პოეტს სწამს, – განაგრძობს ივან ფრანკო, – რომ ყველგან და ყოველთვის პოეზია ცხოვრების მოთხოვნების მსახურია. ამიტომაც იგი უმაღლეს ძალასა და ღირსებას მხოლოდ მაშინ იძენს, როდესაც ხდება გამომხატველი ფართო მასების ცხოვრებისა და ბრძოლის და ამავე დროს უმაღლესი საკაცობრიო და საზოგადოებრივი იდეალებისათვის საბრძოლო მოწოდებისა – თავისუფლება, თანასწორობა და ძმობა ყველა ხალხისა".[15]

ასეთი მაღალი შეფასება მისცა ამ პოემას დიდმა უკრაინელმა კრიტიკოსმა ივან ფრანკომ.

ხალხთა გამათავისუფლებელი ბრძოლის თემა შემთხვევითი არ იყო ლესია უკრაინკასათვის. მან ამ თემას მიუძღვნა აგრეთვე პოემა „რობერტ ბრიუსი, შოტლანდიის მეფე" (1893). ამ ნაწარმოებში პოეტმა ამხილა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ყალბი თეორია და მხატვრულად დაგვისაბუთა, რომ სამშობლოს ჭეშმარიტი პატრიოტები არიან მხოლოდ ხალხთა მასები, ხოლო მჩაგვრელები, ექსპლოატატორები ღალატობენ სამშობლოს და მისი ინტერესების გამყიდველნი ხდებიან.

**„რობერტ ბრიუსი, შოტლანდიის მეფე".** ეს ნაწარმოები ლესია უკრაინკამ დაწერა 1893 წელს. ნაწარმოების თემა მწერალმა აიღო შოტლანდიის ისტორიიდან – გლეხთა აჯანყება ინგლისელი დამპყრობლების წინააღმდეგ (1896–1914). ხან-

---

[14] ი. ფრანკო, ლესია უკრაინკა, რჩეული ნაწერები, ტ. V, 1951, გვ. 250.

[15] იქვე, გვ. 251.

გრძლივ და შეუპოვარ ბრძოლაში ხალხმა გაიმარჯვა კიდეც. ამ გამარჯვებით შოტლანდიამ მოიპოვა დამოუკიდებლობა.

აი, ეს ისტორიული ფაქტი გამოიყენა ლესია უკრაინკამ მისი თანამედროვე ცხოვრების აქტუალური პრობლემების გადაჭრის დროს.

ლესია უკრაინკა თავისი ნაწარმოებით გვიჩვენებდა, რომ სამშობლოს ნამდვილი, ჭეშმარიტი პატრიოტები ხალხია, ხოლო ექსპლუატატორები, დიდგვაროვანი მემამულეები ხშირად ღალატობენ ნაციონალურ ინტერესებს. პოემის ცენტრალური გმირი შოტლანდიელი ხალხია. პოემა იწყება შოტლანდიელ ხალხსა და შოტლანდიელ ფეოდალებს, რაინდებს შორის კონფლიქტით. ინგლისის მეფე ედუარდის ჯარი შეესია შოტლანდიას, დილემის წინაშე აღმოჩენილმა შოტლანდიელ რაინდთა უმეტესობამ ფარ-ხმალი დაყარა და ინგლისის ბატონობა აღიარა. ხალხმა კი, გლეხობამ, იარაღი აისხა და თავისი სამშობლოს დასაცავად ბრძოლაში ჩაება. ნიჭიერი მხედართმთავარი რაინდი რობერტ ბრიუსი ჩაუდგა მათ სათავეში. ექვსჯერ შეუტიეს მომხვდურებს შოტლანდიელებმა, მაგრამ ვერას გახდნენ. მხოლოდ მეშვიდე შეტევა გამოდგა შედეგიანი. შოტლანდიელმა გლეხებმა დაამარცხეს მომხვდურები. პოემაში ნაჩვენებია, რომ სიმართლისათვის, სამართლიანობისათვის ბრძოლა წარმატებით დამთავრდება თუ ხალხი ბოლომდე შეუპოვრად იბრძოლებს მის მოსაპოვებლად.

რობერტ ბრიუსის სახით მწერალმა წარმოგვიდგინა არა იმდენად ისტორიული პირი და მისთვის დამახასიათებელი თვისებები, არამედ სახალხო გმირის, ჭეშმარიტი სახალხო საქმისთვის მებრძოლი იდეალური ბელადის სახე.

პოემა „რობერტ ბრიუსი, შოტლანდიის მეფე" ჰეროიკულ-რომანტიკული ხასიათის ნაწარმოებია და, შესაბამისად, დაწერილია ამაღლებული, ემოციური პოეტური ენით.

# გამოძახილი

1900-იანი წლების მიჯნაზე ლესია უკრაინკას როგორც ცხოვრებაში, ისე შემოქმედებაში ახალი პრობლემები გაჩნდა.

**სერგეი მერჟინსკი.** 1897 წელს ლესია უკრაინკამ ყირიმში სერგეი მერჟინსკი გაიცნო. ეს იყო პიროვნება, რომლის შესახებ ვ. გ. კრიჟანოვსკა – ტუჩაპსკა წერდა: „სერგეი მერჟინსკი იყო კიევის ერთ-ერთი პირველი სოციალ-დემოკრატიული წრის აქტიური წევრი... სერგეი მერჟინსკი იყო რევოლუციონერი – რომანტიკოსი, მგზნებარე ბუნების, ალტრუიზმით, ხალხის მხურვალე სიყვარულით, გმირობისა და ბრძოლის წყურივილით აღსავსე ავადმყოფურად შთაბეჭდილებიანი პიროვნება, იგი მწვავედ განიცდიდა უსამართლობისა და ძალადობის ყოველგვარ გამოვლენას... ამასთან ერთად, ის ყოველთვის იყო აღსავსე პროტესტის გრძნობით და რევოლუციური ბრძოლის სულისკვეთებით, რასაც იგი მთელი გულითა და სულით ეძლეოდა. მას არ მიუღია სისტემატური განათლება (არ დაუმთავრებია უმაღლესი სასაწავლებელი), თუმცა სერგეი მერჟინსკი, ამავე დროს, ძალზე ნაკითხი ადამიანი იყო, თხზავდა მხატვრულ ნაწარმოებებს, დახვეწილი მხატვრული გემოვნება ჰქონდა და ფაქიზი ესთეტიკური აღქმის უნარი“.

სერგეი მერჟინსკი და ლესია უკრაინკა ერთმანეთს დაუახლოვდნენ. მათ ბევრი რამ საერთო ნახეს ერთმანეთში. სერგეი მერჟინსკისთან მეგობრობამ გარკვეული გავლენა იქონია ლესია უკრაინკაზე.

მათი შეხვედრები, საუბრები, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ საკითხებზე, ლიტერატურულ პრობლემებზე ლესია-

სათავის ყოველთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო. ეს აისახებოდა ლესია უკრაინკას არა მხოლოდ საზოგადოებრივ პოზიციაზე, არამედ მის პოეზიაზეც. ს. მერჟინსკისთან მეგობრობის პერიოდში ლესია უკრაინკამ შექმნა ნაწარმოებები, რომლებიც სწორედ მას მიუძღვნა.

სერგეი მერჟინსკი გარკვეულ რჩევებს აძლევდა ლესია უკრაინკას. მაგალითად, მან ურჩია ლესიას რუსულ ენაზე ეთარგმნა „ცისფერი ვარდი" და ეზრუნა თეატრის სცენაზე მის დასადგმელად. მერჟინსკიმ შეუწყო ხელი ლესიას, რათა პეტერბურგის ჟურნალში „ჟიზნ"-ში დაეწყო თანამშრომლობა და დაებეჭდა ლიტერატურული წერილები: „ორი მიმართულება უახლეს იტალიურ ლიტერატურაში", „მალოროსი მწერლები ბუკოვინაში", „შენიშვნები უახლეს პოლონურ ლიტერატურაზე" და სხვა.

ლესია უკრაინკასა და სერგეი მერჟინსკის არ ჰქონიათ შეხვედრის ერთი მუდმივი ადგილი. ლესია მას ხვდებოდა ხან კიევში, ხან მინსკში, ხანაც თავისთან ზელენი გაიში. მერჟინსკი სიცოცხლის ბოლო წლებში მინსკში ცხოვრობდა. სწორედ მინსკში გაჩერდა და ს. მერჟინსკი მოინახულა ლესია უკრაინკამ, როდესაც იგი 1900 წლის თებერვალში თავის ძმასთან, მიხაილოსთან მიემართებოდა ესტონეთში. მიხაილო დერპტის (ტარტუს) უნივერსიტეტში სწავლობდა. ძმასთან ეს გამგზავრება გამოიყენა ლესიამ და მინსკში რამდენიმე დღე ავადმყოფ მეგობართან დაჰყო.

იმავე წლის შემოდგომაზე, ლესია უკრაინკამ კვლავ მოინახულა სერეი მერჟინსკი, რომლის მდგომარეობა დღითი დღე რთულდებოდა, ხოლო როდესაც მისი მეგობრის ჯანმრთელობის მდგომარეობა კატასტროფულად დამძიმდა, ლესიამ ყველაფერი მიატოვა და მინსკისკენ გაეშურა, ავად-

მყოფ მეგობარს თავზე დაადგა და აღარ სცილდებოდა, როგორც შეეძლო უვლიდა, ცდილობდა მძიმე მდგომარეობიდან მის გამოყვანას. „ჩემი მეგობარი ცუდადაა, – წერდა იგი მინსკიდან ოლგა კობილანსკას 1901 წლის 29 იანვარს, – და მას თვითონ აღარ სჯერა, რომ გამოჯანმრთელდება, მისი მდგომარეობა ძალზე მძიმეა, და არავითარი იმედი არაა, რომ გამოჯანმრთელდება არ შეუძლია მოისმინოს წაკითხული, თითქმის აღარ ლაპარაკობს და მუსიკის მოსმენაც უკვე აღარ ძალუძს, მხოლოდ დღეს თქვა: „შეიძლება მე უკეთ ვიგრძნო თავი... მაშინ დამიკარითო". ამბობს, რომ ჩემში უყვარს სიმშვიდე, ნებისყოფა, ამიტომ, მე მასთან თავშეკავებული და ძლიერი ვარ და არც ვოხრავ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ჩემი შიში ექნებოდა, ახლა კი სჯერა, რომ ყველაფერი შემიძლია გადავიტანო. მე არ დავანგრევ ამ რწმენას მისი უკანასკნელი მეგობრის მიმართ. შესაძლოა, ამიტომ არის იგი მშვიდად, საოცრად მშვიდად, როდესაც ლაპარაკობს თავის დასასრულზე... იგი ხანდახან ამბობს იმას, თუ რა ბევრს ნიშნავს მისთვის, მე რომ მასთან ვარ და ნანობს, რომ მე ადრე არ შემეძლო ჩასვლა მასთან".

ლესია უკრაინკასათვის მისი მეგობრის მდგომარეობა, რომელიც ხელიდან ეცლებოდა, ძნელად ასატანი და გასაძლები იყო. ლესიასათვის მერჟინსკი უახლოესი მეგობარი და უსაყვარლესი ადამიანი იყო და ასეთ ადამიანს იგი ვერაფრით შველოდა. ემოციურ, მგრძნობიარე ადამიანს მეგობრის ტანჯვა მწარე ტკივილებს აყენებდა მით უმეტეს, რომ ამ დროისათვის თვით ლესია იყო მძიმე ავადმყოფი. ლესია უკრაინკას მდგომარეობაზე, მის სულერ და ფიზიკურ ტანჯვაზე მშობლებისა და კოლეგებისადმი გაგზავნილი წერილები ღაღადებენ.

ვერ ვიტყვით, რომ ასეთ ვითარებაში ოლენა პჩილკა თავის ქალიშვილს გვერდით ედგა. იგი ლესიასა და სერგეი მერჟინსკის მეგობრობის კატეგორიული წინააღმდეგი იყო. როგორც ლესია აღნიშნავდა, დედამისი „დაუნდობელი იყო იმათ მიმართ, ვინც უყვარდა". მას სასტიკად აღიზიანებდა მისი ქალიშვილის დამოკიდებულება მერჟინსკისთან. ის, რომ ლესია, ამ შემთხვევაში, ანგარიშს არ უწევდა არა მარტო მშობლებს, არამედ საზოგადოებას საერთოდ, მოქმედებდა მათი შეხედულებების საწინააღმდეგოდ. ეს მას საზოგადოდ მიღებული მორალის, წესების აბუჩად აგდებად მიაჩნდა.

მომაკვდავის საწოლთან გაატარა ბოლო დღეები და წუთები ლესია უკრაინკამ. მეგობრის სიყვარულმა, საოცრად ღრმამ და ანკარამ, რომელმაც თვითონ ავადმყოფი ლოგინიდან წამოაგდო და შორეული მინსკის გზას გაუყენა, მისცა ამის ძალა. ლესია თავს ადგა მომაკვდავს, მისი ხელი ხელში ეჭირა და თითქოს ამით აკავებდა ამ ქვეყნიდან მიმავალს, ცდილობდა მისთვის გადაეცა, გადაენერგა თავისი სიცოცხლის ძალა, ენერგია. თვალებში შესციცინებდა და ღმერთს ევედრეობოდა – მაჩუქეო კიდევ რამდენიმე წუთით მისი სოცოცხლე...

სიყვარული ფეთქავდა ახალგაზრდა ქალის ძარღვებში, ელვარებდა ნაპერწკლებად მისი თვალებიდან, ხედავდა ყოველივე ამას მომაკვდავი სერგეი, ხედავდა და იცოდა მისდამი ლესიას სიყვარულის ძალაც. აი, ასეთ წუთებში მოხდა საოცრება... ხარხარით დაატყდა თავს უბედურება ქალიშვილს... ბედმა მწარედ დასცინა ლესიას...

მომაკვდავმა სერგეიმ ლესიას ჩურჩულით სთხოვა „საწერ-კალამი აიღე, უნდა გიკარნახოო" და უკარნახა წერილი, რომლითაც თავისი გრძნობები გამოხატა სხვა ქალისადმი,

არა ლესიასადმი! ლესია თვალცრემლიანი წერდა სერგეის გულიდან ამოთქმულ სიტყვებს და ყოველი სიტყვა მის გულს ესობოდა, როგორც მახვილი, ყოველი სიტყვა შიშხინით ეცემოდა სერგეის სიყვარულით აალებულ მის გულს...

ლესია ებრძოდა სიკვდილს საყვარელი ადამიანის გადასარჩენად, თავს ევლებოდა ფარვანასავით მომაკვდავის მგზნებარე, სხვისი სიყვარულით დატყვევებულ სულს და იწვოდა, იწვოდა შეუბრალებლად...

* * *

მინსკში მომხდარმა ტრაგედიამ განგმირა პოეტის სული. მძიმე დაღი დაასვა პოეტის ცხოვრებას და მოღვაწეობას. შეიძლება ითქვას, უკანასკნელ დღემდე ემჩნეოდა ნაიარევის კვალი ლესიას ცხოვრებასა და შემოქმედებას.

ლესია უკრაინკამ მას ლექსების ციკლი მიუძღვნა. ეს ლექსები დღესაც გვაგრძნობინებს გულწრფელ ტკივილსა და ძლიერი სიყვარულის გრძნობის სილამაზეს.

ციკლი დიდხანს ინახებოდა ლესიას ხელნაწერთა არქივში და დაიბეჭდა მხოლოდ XX საუკუნის მეორე ნახევარში. ლესიას სიცოცხლეში არ უნდოდა ეს უაღრესად ინტიმური, პირადული ლექსების სტრიქონები ხალხის სამსჯავროზე გამოეტანა.

იტალიაში, სან-რემოში ყოფნისას, მერჟინსკის გარდაცვალების წლისთავზე ლესია უკრაინკა თავის ნაცნობს წერდა: „თქვენ უცნაურად გეჩვენებათ ჩემი სიტყვები, რომ მე „მინდა“ მახსოვდეს. შევეცდები აგიხსნათ, რამდენადაც შევძლებ ამის გაკეთებას მხოლოდ სიტყვების მეშვეობით. იცით, დღევანდელ დღემდე, ნებისმიერი მოგონება მასზე, ჩემში

ტკივილთან არის დაკავშირებული, სულერთია – მხიარულია ეს მოგონებები თუ ნაღვლიანი. არის დღეები, როცა მე ნაკლებად ვიხსენებ, რაღაცით ვირთობ თავს ან ნაკლებად ვგრძნობ ამ ტკივილს, ამ დროს რატომღაც მზად ვარ ვუსაყვედურო საკუთარ თავს... ღალატისათვის. რატომ ასე? ის ხომ მთხოვდა ხსოვნას და არა ტანჯვას? მას სტოიციზმი უყვარდა და ვერ იტანდა სულმოკლეობას. როდესაც ამაზე ვფიქრობ, მე ვცდილობ ჩემი თავი მივაჩვიო ტკივილის გარეშე ფიქრს... ასე იყო დღეს. მაგრამ ეს უფრო მეტი იყო. ხანდახან ვფიქრობ, რომ ასე იქნება ყოველთვის. მაშინ ვამბობ, რომ ამ ტანჯვის პირობებშიც კი მინდა ეს ხსოვნა. არა მხოლოდ იმიტომ, რომ მან მთხოვა, არა მხოლოდ იმიტომ, რომ მე სხვაგვარად არ შემიძლია (თქვენ მართალი ხართ, რომ მე ვერ შევძლებდი დავიწყებას, რომც მნდომებოდა), არამედ მინდა შეგნებულად. როდესაც ნამდვილი სიყვარული შეგნებულია, მაშინ მისი ხსოვნაც ასეთივე უნდა იყოს“

ერთ-ერთი ლექსი, რომელიც ლესია უკრაინკამ სერგეი მერჟინსკის მიუძღვნა უსათაუროა და აქვს მინაწერი: „სერგეი მერჟინსკის ხსოვნას“

ეს უსასრულო საუბარი შეწყდა, დამთავრდა,
ვით გაწყვეტილი სიმი თრთის და კანკალებს იგი
ჩემს გულში ისევ. მხოლოდ, ერთი, ერთია სიტყვა
გადაიშალა და გამეხსნა სამარე სულში.
აღსდგა ნაღველი, მძიმე სიზმრით მიძინებული
აღსდგა დიდებით, მიაღწია ღრუბლებს და გასცდა,
დარდი აინთო ოკეანის ზვირთთა თქაშუნით,
აახმაურა საშიშმა და მძვინვარე ალმა.

*(თარგმნა ნინო ნასყიდაშვილმა)*



ლესია უკრაინკა და სერგეი მერჟინსკი
კოხანეგბის ოჯახში

გადიანი. ფოტო 1898 წ.

ეს ხანძარი, ამბობს პოეტი, სხვებში ისეთ ძალას აღვიძებს, რომელმაც „ტირანების ბასტილია დაანგრია“, „ბორკილებიდან იხსნა თავისუფლება“, ჩემში კი, იგი აღვიძებს „სიტყვას!“, სადაც ყველაფერს „დუმილის ბეჭედი აზის“, სადაც დაჩაგრულია სიმღერები და სიტყვა, სადაც ქვითინიც დათრგუნულია, ადამიანებს თავის ხმას აწვდის ბორკილები.

ხელბორკილებმა იგუგუნონ და იგრიალონ,
არ ჩავაყუჩებ, არ ჩავახშობ, ოდეს მათ შესძლონ
გახსნან ჭრილობა, გააღვიძონ მთვარე მძინარი,
ხალხის გულებში, ვით მოცულან სრულიად ხავსით.

როს იარაღი ბრძოლისათვის მოიმართება,
აჟღარუნდება ღრუბელივით ჭექა-ქუხილის,
და დადუმდება, მიყუჩდება საკუთარ თავთან,
ხელბორკილების ჩხარუნი და ასეთი სიტყვა.

საინტერესოა, რომ ავტოგრაფის ტექსტის დასასრულს ლესია უკრაინკას ხელით არის მიწერილი მ. პავლიკისადმი: „გთხოვ, მონახოთ სადმე ადგილი ამ ჩემი ლექსებისათვის... და მიაწეროთ ჩემი ლიტერატურული სახელი – სხვაგვარად არ მინდა“.[16]

ამ ლექსს უცნაური ბედი ჰქონდა. 1904 წლის 5 იანვარს თბილისიდან გაგზავნილ წერილში ლესია უკრაინკა დედას, ოლენა პჩილკას სწერდა: „ლექსს – „პორვალასია ნესკინჩენნა როზმოვა“, გთხოვ თავში დააწერო: „სერგეი მერჟინსკის

[16] ლესია უკრაინკა, თხზ., ტ. I, 1951, გვ. 496-497.

ხსოვნას"[17]. ოლენა პჩილკამ ეს მიძღვნა კი არა, არამედ თვით ლექსიც კიევში გამოცემულ კრებულში „სიმღერების ფრთებზე" არ შეიტანა (ფაქტს ვტოვებ უკომენტაროდ).

ლესია უკრაინკამ 1898-1901 წლებში მერჟინსკის ლირიკული ლექსები მიუძღვნა. მათში საოცარი სიღრმითა და არაჩვეულებრივი მხატვრული ოსტატობით არის გამოხატული პოეტის უმშვენიერესი გრძნობა სიყვარულისა. 1901 წელს დაწერილ ერთ-ერთ ლექსში პოეტი გვამცნობს თავის გულისტკივილს და იმ დარდსაც, რომელიც მას ეუფლება მეგობრის გახსენებისას.

ლესიას უკრაინკას გულს შეუხორცებელი იარა დაუტოვა საყვარელი ადამიანის გარდაცვალებამ. თითქოს ნიადაგი გამოეცალაო ფეხქვეშ პოეტს. მოუშუშებელი ჭრილობა მას დღენიადაგ ახსენებდა სერგეი მერჟინსკის. რეალობა კი კარნახობდა ლესია უკრაინკას – აღარ არის შენი სერგეი, იგი საუკუნოდ გაქრაო. მაგრამ მისი გული არ უჯერებდა სინამდვილეს. მის გულს მაინც სწამდა, რომ სერგეი ცოცხალია. „არა, მას არ დავუტოვებივარ მე", ფიქრობდა იგი და ამიტომაც იყო, რომ ბურუსში გახვეულ მგოსანს მისი ხმა ესმოდა მარად: „მე აქ ვარ, მუდამ შენთან ვარ." ასე არწმუნებდა თავს ლესია უკრაინკა.

ლექსი „ბაგედან ისმის" პირველად გამოქვეყნდა 1946 წელს.

ბაგედან ისმის: „სამუდამოდ გარდაიცვალა",
გული კი ამბობს: „არა, არა, ვერ დაგვტოვებდა"!
გესმის, კანკალებს სიმი, რაღაც ჩუმი კანკალით,
ვით ცხელი ცრემლი ცახცახებს და თრთის ჩემს
თვალებზე

[17] ლესია უკრაინკა, თხზ., ტ. V, 1956, გვ. 479.

აქ, შინაგანად ფეთქავს ჩემთან ერთად და ამბობს
„მე აქ ვარ, შენთან, სამუდამოდ, მთელი არსებით!“
ასეა მუდამ, დავივიწყო მსურს მწუხარება
ან იქნებ ვინმე გამიწოდებს ხელს მეგობრულად,
ან უსასრულო საუბარი ვისთან მიმყვანს,
ან თუ ამბორი გამოძახილს ჰპოვებს ბაგეზე .
ჟღერს სიმი მშვიდად და გამოსცემს მსუბუქად ექოს,
„მე აქ ვარ, შენთან, სამუდამოდ, მთელი არსებით!“

*(თარგმნა ნინო ნასყიდაშვილმა)*

**„მშფოთვარე სული“**. 1901 წლის 18 იანვარს, როდესაც მინსკში ლესია უკრაინკას ძვირფასი ადამიანი სარეცელს მიჯაჭვული სიცოცხლეს ემშვიდობებოდა, პოეტი მას თავზე ადგა და საოცარ განცდებში იყო. სერგეი მერჟინსკი, შეიძლება ასე ითქვას, ლესია უკრაინკას ხელებზე მისვენებული გარდაიცვალა. ლაროჩკამ, ასე ეძახდა მას მერჟინსკი, ტანჯვის, „მწუხარების აპოგეიდან“ რომ გამოსულიყო, ერთ ღამეში შექმნა დრამატული პოემა „მშფოთვარე სული“. მოგვიანებით (1903 წლის 14. 01), ივ. ფრანკოსადმი სან-რემოდან მიწერილ წერილში, თავისი დრამატული პოემის შესახებ იგი იტყვის: „ვაღიარებ, რომ მე ისეთ ღამეს ვწერდი, რომლის შემდეგაც, ნამდვილად, დიდხანს ვიცოცხლებ... ჩემთვის რომ ვინმეს ეკითხა, როგორ გადავურჩი ყოველივე ამას და ცოცხალი დავრჩი, შემეძლო მეპასუხა: მე ამისაგან შევქმენი დრამა! “[18]

[18] ლესია უკრაინკა, თხზ., ტ. V, 1956, გვ. 436.

დრამატული პოემა „მშფოთვარე სული“ ბიბლიურ თემაზეა დაწერილი. პოემაში საუბარია იესო ქრისტეს მოძღვრებაზე ადამიანებისადი სიყვარულის თაობაზე, მიუხედავად იმისა, თუ ვინ იქნება იგი – შენი მტერი თუ მოყვარე. ნაწარმოებში გამართულია კამათი მირიამსა და მესიას შორის, რომელიც თავისი ცხოვრების დასასრულს მარტოობას განიცდის, წუხს იმის გამო, რომ ადამიანებს, განსაკუთრებით მოწაფეებს, მისი არ ესმით.

მირიამს უყვარს მესია, პატივს სცემს მას, არ შეუძლია შეურიგდეს ფარისეველ ადამიანებს, რომლებიც თავიანთი დამოკიდებულებით ტკივილს აყენებენ მასწავლებელს. ჭეშმარიტი სიყვარულით შეპყრობილ მირიამს არ შეუძლია მიიღოს და აღიაროს მესიის ქადაგება – გიყვარდეს მტერი შენი. მისთვის ფარისევლების ღიმილი „ბოროტი მორიელის კბენაზე მწარეა“. მირიამი ზიზღითაა გამსჭვალული ყოველგვარი სიყალბისა და ფარისევლობის მიმართ.

მირიამს აღელვებს და აღიზიანებს ისინიც კი, რომლებიც მესიის მეგობრებად თვლიან თავს, არ უფრთხილდებიან მასწავლებელს და მას გულს უკლავენ. მათ თავისთვის წყნარად და მშვიდად სძინავთ „ღრმა ძილით“. ამიტომაცაა, რომ ქალის ბაგეებს დასცდება გამკიცხავი სიტყვები ადამიანებისადმი, რომლებიც გულქვანი არიან და არავითარი გრძნობა სიმართლისა არ გააჩნიათ.

მირიამის მწარე განცდები ძლიერდება კიდევ იმითაც, რომ მას არ შეუძლია დაეხმაროს მისთვის ძვირფას ადამიანს, რომელიც მსხვერპლად ეწირება ადამიანის კეთილდღეობას.

კონფლიქტური სიტუაცია მესიასა და მირიამს შორის შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც მამაკაცისა და ქალის კამათი, როგორც წინააღმდეგობა ორ ინდივიდს შორის.

მირიამი აიდეალებს მესიას. მირიამსა და მესიას შორის ის განსხვავებაა, რომ მათ სხვადასხვა მასშტაბის მსოფლგაგება აქვთ, სხვადასხვა კუთხით ხედავენ სამყაროს. მირიამის სამყარო შეზღუდულია. შეიძლება ითქვას, რომ ამ სამყაროს შემადგენელნი ორივენი ერთად არიან – მირიამი და მესია. სხვა პირისა თუ პირების ჩართვა მათ ურთიერთობაში მირიამს ზედმეტად მიაჩნია.

რაც შეეხება სახელს მირიამს – მას თუ განვიხილავთ, როგორც მარიამის ვარიაციას და გავიხსენებთ ნაწარმოების მესამე ეპიზოდს, როდესაც მირიამი დგას ჯვარცმული მესიის ჯვრის ქვეშ, სადაც შეიძლება მდგარიყო ღვთისმშობელი და ცოტას ავამუშავებთ ფანტაზიას, შეგვეძლება ზოგიერთი ჰიპოთეზის წამოყენება. ასეთ შემთხვევაში, შეიძლებოდა მირიამისა და მესიის ურთიერთობა მთლიანობაში განგვეხილა, როგორც დედისა და შვილის ურთიერთობა.

აქვე შეიძლებოდა გვეთქვა, რომ მირიამის მხატვრული სახე რამდენადმე ჰგავს ღვთისმშობლის ფოლკლორულ სახეს. ამასთან დაკავშირებით სიანტერესო მოსაზრებები არსებობს, რომელთა გამოყენებითაც შეიძლება ამ თემაზე საუბარი. ზოგიერთ ფოლკლორულ ვარიანტში მარიამს არ სჯერა ქრისტეს აღდგომისა. ასევე არ სჯერა მირიამსაც მესიის აღდგომა.

მირიამი ნაწარმოებში თავის თავზე ამბობს, რომ იგი ისეთი არაა, როგორც მესიის სხვა მეგობრები, როგორც მისი მტრები. იგი სხვაა. მარტოობა, განდგომილობა არის ის, რაც მას აკავშირებს მესიასთან. მესია მისთვის უდიდესი ავტორიტეტია. მისი სახელით იგი ილოცება და იწყევლება კიდეც. მესია მისთვის ადამიანობის იდეალია. მირიამი სამყაროს ჰყოფს კეთილ და ბოროტ ადამიანებად, მას ვერ წარმოუდ-

გენია, როგორ შეიძლება გიყვარდეს მტერი შენი, როგორც ამას მოუწოდებს მესია.

ნაწარმოებში ოთხი ეპიზოდია. მირიამისა და მესიის დიალოგის შემდეგ, მოქმედება ისე ვითარდება, რომ მესიას ჯვარს აცვამენ. მესამე ეპიზოდში გოლგოთას მთაზე სამი ჯვარია აღმართული. სამივეზე ადამიანები არიან ჯვარცმულნი. სამივე სიცოცხლეს გამოასალმეს. მეოთხე ეპიზოდში მირიამი უპირისპირდება პრეტორიანელს და ბრბოს, უცხადებს მათ ზიზღს და წყველის. „მე გწყევლით თქვენ", – ასე მიმართავს მირიამი მათ.

მესია! როდესაც შენ ჩემთვის დაღვარე..
სისხლის წვეთიც კი ... მე შენთვის ახლა
გავიღებ ყველაფერს ...სიცოცხლეს.. და სულსაც...
სულერთია... არა ბედნიერებისთვის,
არა სასუფევლისთვის.. არა... სიყვარულით!

(*თარგმნა სოფიო ჩხატარაშვილმა*)

ამ სიტყვებით მთავრდება პოემა და აღშფოთებული მასა მირიამს ქვებით ჩაქოლავს.

ნაწარმოებს აზის თარიღი 1901 წლის 18 იანვარი.

იმ მძიმე ღამეს ამ დრამის სახით ამოხეთქა მშფოთვარე სულმა.

**„გამოძახილი".** 1902 წელს ჩერნოვციში გამოიცა ლესია უკრაინკას ლექსების მესამე კრებული – „გამოძახილი". ამ კრებულს, ისე როგორც მის წინამორბედს, აქვს მწყობრი და გააზრებული კომპოზიცია. კრებულში ლექსები განლაგებულია ციკლების მიხედვით.

კრებულში – „გამოძახილი“ – მოთავსებულ ლექსებში ცარიზმის უსამართლობის წინააღმდეგ პროტესტისა და მასთან გადამწყვეტი ბრძოლის მოტივი კვლავ წამყვანი და უმთავრესია. ერთი წუთითაც არ მოდუნებულა პოეტის ლირის სიმები და არ შესუსტებულა მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის სიმღერა. მგოსნის ხმა ძლიერების ახალ წყაროებს პოულობს და განუწყვეტლივ უტევს ხალხის მჩაგვრელთა სისტემას.

რევოლუციური ბრძოლის თემასთან განუყოფლადაა დაკავშირებული პოეტისა და პოეზიის როლისა თუ დანიშნულების თემა. ლესია უკრაინკას შემოქმედებაში შემოქმედი და მებრძოლი – იდენტური ცნებები, სინონიმები გახდა.

„გამოძახილის“ შემდეგ ლესია უკრაინკას თავისი ახალი ლექსები კრებულების სახით აღარ გამოუცია. მისი პოეზიის მეოთხე კრებული „სიმღერების ფრთებზე“, რომელიც 1904 წელს გამოვიდა, ახალ ლექსებს არსებითად აღარ მოიცავდა. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავდა, რომ ლესია უკრაინკამ „გამოძახილის“ შემდეგ თავი დაანება ლექსების წერას. უკრაინელი პოეტი ჭეშმარიტად სწორუპოვარი მომღერალი იყო და მას არ შეეძლო თავისი ლირა თუ ხმა ხალხის სამსახურში დაეზოგა. ლესია უკრაინკა ლექსებს სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ქმნიდა და ამდიდრებდა უკრაინულ თუ მსოფლიო პოეზიას ბრწყინვალე ლირიკული ლექსებით. მაგრამ უკვე 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან პოეტის შემოქმედებაში შეიმჩნა დრამატურგიისადმი მისი ინტერესების გაძლიერება. გაივლის ხანი და ეს ჟანრი უმთავრესი გახდება

მის შემოქმედებაში. ეს სრულიადაც არ ნიშნავდა იმას, რომ ლესია უკრაინკამ თავი აარიდა პოეზიის რთულ ჟანრს და შედარებით უფრო იოლ, თავისუფალ სფეროში (დრამატურგიაში) გადაინაცვლა. ჭეშმარიტად რომ ეს ასე არ არის. დრამატურგია სრულიადაც არ იყო და არ არის ის ჟანრი, რომელიც ნაკლებად მოითხოვს პოეტურ ხელოვნებას. ლესია უკრაინკა სრულიადაც არ გაურბოდა სირთულეებს. მან უფრო მძიმე უღელში გაჰყო თავი.

„დრამის დამწერს წინ უნდა უძღოდეს დიდი ცოდნა ისტორიისა, დიდი გონება-გახსნილობა, დიდი განათლება, ღვთით მომადლებული ნიჭის გარდა და ჩვენის ფიქრით, ამაოდ ირჯებიან ისინი, ვინც ამისთანა დრამის დაწერას მოუმზადებლად და, მაშასადამე, კადნიერად ეტანებიან, იმიტომ რომ დრამა სულისა და გულის ცხოვრებაა, სულისა და გულის დიდ ძვრაზეა ასაგებელი და ასაშენებელი მეტის-მეტი მჭრელი, მეტის-მეტის მხილავი ნიჭი უნდა, მეტის-მეტი ნათელი გონება, რომ კაცი მიწვდეს, შუქი რამ მოჰფინოს იმ საოცარს, იმ უცნაურს საიდუმლოებას, რომელსაც ადამიანის სულისა და გულის ძვრა ჰქვიან. ამიტომაც დრამის შექმნა ყველა სხვაგვარ პოეტურ თხზულებაზე გაცილებით ძნელია და ყველა მწერალი – თუნდ ნიჭიერიც, ვერა ჰბედავს ხელი შეჰმართოს,“[19] – წერდა დრამატული ხელოვნების სირთულის თაობაზე დიდი ილია ჭავჭავაძე.

მწერლის მიბრუნება დრამატურგიისაკენ, თანაც მაშინ, როდესაც მისმა ნიჭმა პოეზიის მწვერვალები დაიპყრო, მისი

[19] ილია ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 4, 1927 წ. გვ. 202-203.

შემოქმედებითი ევოლუციის სრულიად კანონზომიერი ეტაპი იყო. დრამის ჟანრი გაცილებით უფრო მეტ შესაძლებლობებს, ფართო სარბიელს აძლევდა შემოქმედს იმ პრობლემებისა თუ თემების ღრმად და საფუძვლიანად გამოსახვისა თუ გახსნისათვის, რომლებიც მის წინაშე იდეური სიმწიფის პერიოდში წამოიჭრა.

ამ დრომდე კი, 1900-იან წლებში, სანამ იგი არსებითად გადაერთვებოდა დრამატურგიაზე, ლესია უკრაინკამ პოეზიის მეშვეობით მთელი თავისი ნიჭი, ძალა და ენერგია ხალხის ბედნიერებისათვის, უკეთესი მერმისისათვის ბრძოლას მოახმარა.

სამშობლოსა და ხალხის სიყვარული იყო მისი პოეზიის მაგისტრალური მიმართულება. ამასთან, პოეტის პატრიოტიზმი განყენებული და ვიწრო, შეზღუდული არასოდეს ყოფილა. იგი ლესია უკრაინკას შემოქმედებაში გადაქსოვილი იყო ხალხის მტრების სიძულვილთან, არსებული მჩაგვრელური სისტემის, სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლასთან. ლესია უკრაინკას მთელი მხატვრული შემოქმედება ამ აზრითა და სულისკვეთებითაა გამსჭვალული.

პოეტი უმღეროდა თავისი ქვეყნის ბუნების სილამაზეს. ბუნება მის ლექსებში მარად ცოცხალი და მშვენიერი ძალაა, რომელიც ადამიანში აღაგზნებს ბრძოლის ცეცხლს, იწვევს შემოქმედებით ვნებას, ამდიდრებს მას ნათელი, სპეტაკი გრძნობებით. პოეტის ლექსები – „ისევ გაზაფხული“, „გამარჯვება“, „ვიდექ და ვუსმენდი გაზაფხულს“ და სხვები გაზაფხულის სიმშვენიერეს, მის მაცოცხლებელ ძალას ეძღვნება. მათში ჩაქსოვილი პოეტის აზრი განასახიერებს ნათე-

ლის გამარჯვებას ბნელზე, ადამიანის სიცოცხლის, სიხალისის, ენერგიის დაბადებას და გამარჯვებას.

ალეგორიული და მრავლისმეტყველია 1902 წლის ზაფხულში დაწერილი ლექსი „შემოდგომა“. „დასისხლულ ხელებს აღაპყრობს მაღლა და შორი მზისკენ მიემართება...“ – ასე იწყებს პოეტი ლექსს და მომდევნო სტრიქონებში ზამთრის სუსხის მოახლოების და მასთან შებრძოლების ალეგორიულ სურათს გვიხატავს:

მაგრამ დღეები მოკლდება სწრაფად,
მზეს ფარავს შავი ღრუბლების რიდე...
ყველა ოცნება და ყველა სწრაფვა
ფოთლებთან ერთად ქარიშხალს მისდევს.
გულს არ გაიტეხს, თუმცა ეკლებმა,
მის სხეულს ტანჯვის დაასვეს დაღი!
„აღარ ვინაღვლებ, რაც არ მექნება!
მზეო, შემხედე: ვიცინი ლაღად!...“
მაგრამ მზე ჩადის ქედებს გადაღმა,
მთიდან სინესტე მოედო შუკებს,
ზეცა მოიცვა ღრუბლის ჭაღარამ,
ხმას ძრავს ზამთარი: „მოვდივარ უკვე!“
და შემოდგომამ უმალ სამოსი
შემოიგლიჯა მისივე ხელით,
მთლად განძარცულმა ძლივსღა გამოსცრა:
„ჩამოჰკრა ჟამმა! მობრძანდი, გელი!“

*(„შემოდგომა“, თარგმნა ნია აბესაძემ)*

ლესია უკრაინკას პოეზიაში უკრაინის ბუნების სურათები ათასფრად აელვარდა. მშობლიური მხარე მისთვის მიმზიდველი, წარმტაცი და შეუდარებელია („ღამის საათი“, „მოგზაურობა ზღვისკენ“, ციკლი, „შვიდი სიმი“ და სხვ.) .

ბუნების სიმშვენიერის ამსახველ ლექსებში ლესია უკრაინკა არ ივიწყებდა ადამიანს. თავისი ლირიკული ლექსებით მგოსანი ხალხში განამტკიცებდა ნებისყოფას უსამართლობის, ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლაში და მას ნათელი მომავლის მოპოვების რწმენას უნერგავდა.

ლესია უკრაინკას ლირიკულ პოეზიას ამ მხრივ ბევრი რამ ჰქონდა საერთო ივან ფრანკოს მხატვრულ შემოქმედებასთან.

უკრაინელი პოეტი თავისი ხალხის ბედნიერებას, მის ნათელ მომავალს განუყრელად უკავშირებდა ექსპლუატატორების, ხალხის მჩაგვრელების წინააღმდეგ ბრძოლას. გვიზიდავს, გვეძახის თავისკენ ხანძრის ალით განათებული მწვერვალი, წერს იგი ლექსში „ო, რა მძიმეა...“. სწორედ იმ მწვერვალზე, მის კენწეროზე „მწყურია წითელი დროშა აღვმართო“ ამბობს მგოსანი.

ლესია უკრაინკა დიდი პატრიოტი, სამშობლო ქვეყნისა და მშობელი ხალხის სიყვარულით ანთებული მწერალი იყო. მაგრამ, ამავე დროს, იგი ინტერნაციონალური გრძნობებისა და შეხედულებების მგოსანიც იყო.

ლესია უკრაინკას პატრიოტიზმი ორგანულ კავშირშია ინტერნაციონალიზმის გრძნობასთან. ჯერ კიდევ დიკშტეინის წიგნის ბოლოსიტყვაობაში „ვინ რით ცხოვრობს“ ლესია უკრაინკა წერდა, რომ მუშები უნდა გაერთიანდნენ ერთიან ძალად მათი ეროვნული წარმომავლობის მიუხედავად. ასე რომ, მუშათა ინტერნაციონალური სოლიდარობის იდეა ლესია უკრაინკასათვის მისაღები და ცხოვრებისეული იყო. პოეტის ეს

თეორიული მოსაზრებანი პრაქტიკულად მის შემოქმედებაში ხორციელდებოდა. მგოსანმა თავისი პატივისცემა და სიყვარული სხვა ერის მშრომელებისადმი ლექსის მეშვეობითაც გამოხატა. ლექსში „კვამლი“ (1903) მწერალმა დაგვიხატა იტალიის ცნობილი ქალაქი გენუა, რომელსაც ბურჟუაზიული ლიტერატურა ქება-დიდებას ასხამდა როგორც ულამაზეს კუთხეს, სადაც „მხიარული ცის ქვეშ“ ხალხი ლაღად და ბედნიერად ცხოვრობდა. პოეტი გვამცნობს თავის აზრებსა და განწყობილებას იტალიაში მგზავრობის შესახებ. გენუაში შესვლისას მის თვალწინ აისვეტა ქარხნების მილები, შავი კვამლის ტყე, რომელიც მაჯლაჯუნასავით დასწოლოდა თავს მუშების ფერდებგამონგრეულ ქოხმახებს. ადამიანები, რომლებიც უზარმაზარ დოვლათს ქმნიდნენ, ჯიბეს უსქელებდნენ კაპიტალისტებს თვითონ აუტანელ პირობებში ცხოვრობდნენ.

ვეწვიეთ ისევ, გარეუბანს ღარიბს და პირქუშს,
სადაც დგას შავი, გამურული, ბნელი სახლები
და ღამესავით სარკმლის იქით მწუხარება და გლოვა
სუფევს.
ზოგჯერ ვიღაცა უხმაუროდ გადასწევს ფარდებს
და გამოჩნდება უფერული მონური სახე.

ეს კვამლი პარავს ადამიანს მზეს და სიხარულს,
სისხლს სწოვს და ნათელს აცლის თვალთაგან.
ათეთრებს სახეს, მურავს სამოსს, ქათქათა ღრუბლებს
და ყოველივეს რუხი ფერით ღებავს და ღებავს.

*(„კვამლი“, თარგმნა ვახტანგ ხარჩილავამ)*



ლესია უკრაინკა თან კოტლიარევსკის ძეგლის გახსნაზე პოლტავაში

მარცხნიდან მარჯვნივ: მიხაილო კოციუბინსკი, ვასილ სტეფანიკი, ოლგა პჩილკა, ლესია უკრაინკა, მიხაილო სტარიცკი,

ფოტო 1903 წ.

მწერალს გაახსენდა თავისი მშობლიური მხარე, „ეჰ, ბევრი რამე აქ სამშობლოს მაგონებს ჩემსას“, ამბობს პოეტი, იქაც ხომ ასეთივე გაჭირვებული ცხოვრება ჰქონდათ მის თანასოფლელ გლეხებს, იქაც ხომ ასევე სწოვდნენ სისხლს მშრომელებს. პოეტის გულმა იგრძნო ტკივილი – იტალიელი მუშების ჩაგვრით გამოწვეული, იგრძნო და აღარ უფიქრია პოეტს, რომ სხვა ერის შვილის, იტალიელის ბედმა ააკვნესა იგი. მისთვის ისიც, სხვა ერის წარმომადგენელიც ხომ ადამიანი იყო. აი, ასე ქადაგებდა ლესია უკრაინკა მუშათა საერთაშორისო სოლიდარობას.

ეს ლექსი გამონაკლისი როდია ლესია უკრაინკას შემოქმედებაში. ხალხთა ძმობის, ყველა ერის მშრომელების ერთიანობის იდეა თავისუფლებისათვის ბრძოლაში არის ნაწარმოების „საუკუნეთა ლეგენდა“ (1906) და სხვა ნაწარმოებების ლაიტმოტივი.

თავისი ხალხის ბედნიერებასთან ერთად ლესია უკრაინკა ყოველი ერის ნათელ მომავალზე ოცნებობდა და მღეროდა. მუშათა ინტერნაციონალური სოლიდარობა იყო მისი რიგი ნაწარმოებების ძირითადი იდეა. ხალხთა ძმობა, განურჩევლად ეროვნებისა, მათი ბრძოლა თავისუფლებისათვის მსჭვალავდა უკრაინელი პოეტის ლექსებს.

ლიტერატურულ ასპარეზზე ლარისა კოსაჩი ლესია უკრაინკას ფსევდონიმით გამოდიოდა. „უკრაინელი“ როგორც ლიტერატურული ფსევდონიმი ორ ათეულზე მეტმა უკრაინელმა მწერალმა გამოიყენა. მათ შორისაა ცნობილი მწერლები: პავლო გრაბოვსკი, ივან ნეჩუი-ლევიცკი, მარკო ვოვჩოკი, ლესია უკრაინკას ბიძა, მიხაილო დრაგომანოვი, რომელმაც შეურჩია ეს ფსევდონიმი თავის დისშვილს, ცნობილი

არაბისტი აგათანელ კრიმსკი, საზოგადო მოღვაწე ხრისტი ალჩევსკა და სხვანი. რას უნდა გამოეწვია ამ ფსევდონიმით დაინტერესებულ პირთა სიუხვე? როგორც ცნობილი უკრაინისმცოდნე მიხაილო ნაენკო წერს, მათ არავინ ახვევდა თავს ამ ფსევდონიმს, არავინ აიძულებდა აერჩიათ ეს ფსევდონიმი. ისინი თვითონ ირჩევდნენ მას ერთი მიზნით – განემტკიცებინათ უკრაინა იმპერიის მიერ მისი წნეხის პირობებში. მაგრამ ეს ფსევდონიმი მხოლოდ ლარისა კოსაჩს შეესისხლხორცა. გადამწყვეტი როლი ამაში ერთმა ფაქტორმა შეასრულა: პოეტის ნიჭის მასშტაბურობამ. იმ დროისათვის ლესია უკრაინკას, როგორც პოეტს, ვერავინ უწევდა მეტოქეობას. ამიტომაც იყო, რომ უკრაინული აზრის გენიამ, ივან ფრანკომ ლესია უკრაინკა დაასახელა ერთადერთ მამაკაცად მთელს იმდროინდელ უკრაინულ ლიტერატურაში. ლესია უკრაინკას პოეზიის ძალა ნამდვილად შეიგრძნო ცარისტული რუსეთის სიმშვიდის ერთგულმა დამცველმა, რუსეთის იმპერიის მოქალაქემ, ეროვნებით უკრაინელმა ცენზორმა ა. პევნიცკიმ. მან უკრაინელი მგოსნის ლექსთა კრებულის „სიმღერების ფრთებზე“ დასაბეჭდად წარდგენილი ხელნაწერის წაკითხვისას მიღებული შთაბეჭდილებების გამო 1893 წლის 29 ივლისს ასეთი დასკვნა წარუდგინა ხელისუფლებას: „მავნეა ამ ლექსების გავლენა, რომლებშიც გამოთქმულია წუხილი სევდიან ბედზე მალოროსიისა, რომელიც თითქოსდა იტანჯება უცხოელთა უღელქვეშ, სულელური სურვილები

დამოუკიდებლობის მოპოვებაზე... ამ გადასახედიდან, გთავაზობთ ამ წიგნის აკრძალვას".[20]

ამან განაპირობა სწორედ ის, რომ უკრაინული პოეზიის ამომავალმა ცისკრის ვარსკვლავმა გაითავისა და მთელი მოღვაწეობის მანძილზე ღირსეულად ატარა უკრაინკას – უკრაინელის სახელი, თავისი სამშობლო ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობაზე მზრუნველი, მისი ნათელი მომავლისთვის მებრძოლი პოეტი-მოქალაქის სახელი.

ასეთი იყო ლესია უკრაინკას იდეურ-მხატვრული პოზიციები 1900-იანი წლებისათვის, იმ დროისათვის, როდესაც უკრაინელი მგოსნის თვალწინ პირველად რეალურად გამოიკვეთება სიმართლისათვის წამებული პრომეთეს სამყოფელი –კავკასია.

[20] მ. ნაენკო, უკრაინის მხატვრული ლიტერატურა, კ. 2008, გვ. 526.

# საქართველოსკენ

1903 წლის შემოდგომაზე ლესია უკრაინკა პირველად ესტუმრა საქართველოს. კავკასიისაკენ მისი გამომგზავრება შემთხვევითი და მოულოდნელი არ უნდა იყოს. ამ ქვეყნის, მისი ხალხის ზნე-ჩვეულებების, ტრადიციების, ისტორიისა თუ ბუნებრივი კლიმატური პირობების შესახებ მან ადრევე, ამ მხარისაკენ გამომგზავრებამდე, ბევრი რამ იცოდა.

იტალიის აგარაკ სან-რემოში დასვენებამ ვერ გამოაკეთა ლესია უკრაინკა. მისი ჯანმრთელობა კვლავ აფიქრებდა ექიმებს. მოახლოებული კიევური შემოდგომისა და ზამთრის სუსხი კი მას კარგს არაფერს უქადდა. ამიტომაც ექიმების რჩევით შემოდგომა და ზამთარი ლესია უკრაინკას სადმე სხვაგან, ხელსაყრელი კლიმატური პირობების მქონე მხარეში უნდა გაეტარებია. ლესიას არჩევანი საქართველოზე შეჩერდა.

1903 წლის აგვისტოს დამდეგს იგი თავის მეგობარს, ცნობილ უკრაინელ მწერალ ქალს, ოლგა კობილიანსკას წერდა: „ვინმე[21] ფიქრობს ზამთარში კავკასიისაკენ გამგზავრებას, მაგრამ დედასთან ჯერ არ ულაპარაკია“.[22]

შესაძლოა ამ არჩევნის გაკეთებაში ერთგვარად დადებითი როლი შეასრულა კლიმენტ კვიტკამ, რომლის შესახებაც ლესია უკრაინკა იმავე წერილში ატყობინებს ო. კობილიანსკას, რომ იგი, კვიტკა, სტუმრად ყოფილა კოსაჩებთან და

---

[21] ლესია უკრაინკა წერილებში საკუთარ თავზე მესამე პირში წერს (ო.ბ.).

[22] ლესია უკრაინკა, თხზ., ტ. V, 1956, გვ. 473.

კვლავ გამგზავრებულა კავკასიისაკენ. „სტუმრებიდან ჩვენთან ახლა მხოლოდ კრივინიუკია, – წერს ლესია, – იყო კვიტკა, მაგრამ უკვე კარგა ხანია კვლავ გაემგზავრა კავკასიაში (ძლივსძლივობით ჩააღწია რკინიგზამდე... გაფიცვების გამო)".[23] ამ ბარათის მიწერიდან გაივლის ცოტა ხანი და ლესია უკრაინკა შემოდგომაზე კვიტკასთან ერთად მიემგზავრება ოდესიდან საქართველოსაკენ.

წერილში გამოყენებული სიტყვა „კვლავ" გვეუბნება, რომ კვიტკა ერთხელ მაინც უკვე იყო კავკასიაში და თუ იყო, ალბათ, თავის შთაბეჭდილებებსაც გაუზიარებდა ლესია იმ მხარის შესახებ, რომლისკენაც იგი კვლავ მიეშურებოდა, ხოლო კავკასიის შესახებ ლესიამ ამ დროისათვის, როგორც ვთქვით, უკვე ზოგი რამ იცოდა.

ჯერ კიდევ ყმაწვილმა ქალმა თავისი უმცროსი დისთვის დაწერა სახელმძღვანელო – „აღმოსავლეთის ძველი ხალხების ისტორია", რომელშიც საკმაოდ ვრცლად გააშუქა კავკასიისა და დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი ძველი სახელმწიფოების ისტორია.

ამ უძველესი ხალხების ისტორიასთან დაკავშირებულ საინტერესო, ზოგჯერ ზღაპრულ გადმოცემებს არ შეიძლებოდა ოცნების მოყვარულ ქალიშვილზე შთაბეჭდილება არ მოეხდინა. არგონავტების მიერ კოლხეთში ოქროს საწმისის ძებნის წარმტაცი ამბავი უთუოდ მიიპყრობდა შემოქმედის ყურადღებას, ალბათ ამითაც უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ მის წერილებში ხშირად ვხვდებით იაზონის სახელს. კავკასიის ქედზე მიჯაჭვული პრომეთეს გმირობა – ტანჯვა ადამიანთა შემოქმედებით გზნებას იწვევდა. ლესია უკრაინკა

[23] ლესია უკრაინკა, თხზ., ტ. V, 1956, გვ. 473.

მშვენივრად იცნობდა ამ ლეგენდას და, ტარას შევჩენკოს მრისხანე მუზის მსგავსად, თავის ლირასაც მრავალგზის ამოათქმევინებდა თავისუფლებისათვის ბრძოლის დიდებულ სიმღერებს.

უკრაინული თუ რუსული მწერლობა, რომელსაც ლესია უკრაინკა ბავშვობაშივე იყო დაწაფებული, კავკასიის შესახებ მას მრავალ საინტერესო ამბავს მოუთხრობდა. ტარას შევჩენკო, ალექსანდრე პუშკინი, მიხეილ ლერმონტოვი თუ ლევ ტოლსტოი ძველი თუ ახალი ცხოვრების გმირებზე უკვდავ ნაწარმოებებს ქმნიდნენ და მათი პოეტური სიტყვის მემკვიდრე ქალს კავკასიის, ქართველი ხალხის სამყაროსაკენ გზას უკვალავდნენ. „ლერმონტოვის პოეზიამ რუსეთის საზოგადოებრიობას გაუხსნა გზა კავკასიის ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესაცნობად, მისი ხალხის ყოფისა და ზნეჩვეულებების, მისი უმდიდრესი ხალხური შემოქმედების, მომხიბლავი ქვეყნის ბუნების შესაცნობად“[24] წერს გამოჩენილი მკვლევარი, პროფესორი ვანო შადური.

ასე იკვალავდა ლესია უკრაინკა გზას საქართველოსაკენ ისტორიული წყაროებისა თუ მხატვრული ლიტერატურის მეშვეობით. მაგრამ იყო სხვა გზაც – ცოცხალი ადამიანები, რომლებიც მწერალს პირუთვნელ სიტყვას ეუბნებოდნენ საქართველოს შესახებ.

**მიხეილ დრაგომანოვი.** ლესია უკრაინკას ბიძა მ.პ. დრაგომანოვი, რომელსაც მგოსანი დიდ ანგარიშს უწევდა, თავის დროს უკრაინაში ცნობილი პიროვნება იყო. როგორც ზემოთ ითქვა, მ. დრაგომანოვთან ახლო ურთი-

[24] ვანო შადური, საქართველო რუსულ ლიტერატურაში, წიგნში „რუსი მწერლები საქართველოს შესახებ“, ტ. 1, 1948, გვ. 29.

ერთობა ჰქონდა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეს ნიკო ნიკოლაძეს, ხოლო მწერალ ლუდმილა დრაგომანოვას (მ. დრაგომანოვის მეუღლეს) კი ნიკო ნიკოლაძის მომავალ მეუღლესთან ოლღა გურამიშვილთან.

მ. პ. დრაგომანოვის მეუღლე ლუდმილა დრაგომანოვა მწერალი იყო. მან უკრაინულ ენაზე სწავლების საკითხებს მიუძღვნა 1874 წელს ჟურნალ „ვესტნიკ ევროპიში“ გამოქვეყნებული წერილი – „ხალხური კილოკავები და ადგილობრივი ელემენტები სწავლაში“. ეს წერილი მისივე თხოვნით და ნ. ნიკოლაძის მეშვეობით 1880 წელს გაზეთმა „ობზორმა“ თბილისში გამოაქვეყნა.

ვენიდან გამგზავრების დღეს ლუდმილა დრაგომანოვას და ოლღა გურამიშვილს ერთად გადაუღიათ სურათი. ეს სურათი ამჟამად ნ. ნიკოლაძის არქივში ინახება.

ნიკო ნიკოლაძის ქალიშვილის პროფ. რუსუდან ნიკოლაძის გადმოცემით, დრაგომანოვები დიდი სიმპათიებით ყოფილან გამსჭვალული საქართველოსა და ქართველი ხალხისადმი. არ არის გამორიცხული, რომ ეს კეთილი განწყობილება ქართველი ხალხისადმი ცნობილი იყო მ. პ. დრაგომანოვის დის – ოლენა პჩილკასა და აგრეთვე ლესია უკრაინკასთვისაც, რომელიც დიდი ყურადღებით ეკიდებოდა თავისი ბიძის აზრს.

დრაგომანოვების მეშვეობით კოსაჩებს და, კერძოდ, ლესია უკრაინკას მრავალი საინტერესო რამის გაგება შეეძლო არა მარტო დიდებული ქართველი მამულიშვილის ნიკო ნიკოლაძის, არამედ პატრიოტი ქართველების, ქართველი მამულიშვილების შესახებაც.

უნდა ვივარაუდოთ, რომ მ.პ. დრაგომანოვს ბევრი რამის თქმა შეეძლო და, ალბათ, უყვებოდა კიდეც საყვარელ დის-

შვილს საქართველოზე, ამ ქვეყნის წარსულსა და იმდღევანდელ ყოფაზე, ქართულ კულტურაზე, რასაც შეეძლო ინტერესი გაეღვივებია ლესია უკრაინკაში ამ ქვეყნისა თუ ხალხის, კულტურის მიმართ.

გარდა ამისა, თავისი საუბრებით საქართველოზე შედარებით სრული და საინტერესო ინფორმაცია მიაწოდა ლესია უკრაინკას კიევის უნივერსიტეტის სტუდენტმა ნესტორ ღამბარაშვილმა.

**ნესტორ ღამბარაშვილი.** სტუდენტთა გამოსვლებში აქტიური მონაწილეობისთვის 1894 წელს მოსკოვის უნივერსიტეტიდან გარიცხეს და თავის სამშობლოში, საქართველოში გამოისტუმრეს სტუდენტი ნესტორ ღამბარაშვილი და აუკრძალეს მას მოსკოვისა და პეტერბურგის უნივერსიტეტებში სწავლის გაგრძელება.

დიდი მცდელობის შემდეგ სახალხო განათლების სამინისტრომ მას სხვა უნივესიტეტში შესვლის ნება დართო. ნესტორ ღამბარაშვილმა აირჩია კიევის უნივერსიტეტი. ქართულ ინტელიგენციას და ქართველ ხალხს კონტაქტი ჰქონდა უკრაინულ სამყაროსთან. სწორედ ამ დროისათვის უკრაინული თეატრები, სხვადასხვა დასები საგასტროლოდ ჩამოდიოდნენ საქართველოში და ქართველ მაყურებელს აცნობდნენ კლასიკურ თუ მათ თანამედროვე დრამატურგიას, ხელოვნებას,[25] უკრაინულ კულტურას. ამ დროისათვის ითარგმნა და უკრაინულ პრესაში დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და სხვა ქართველი მწერლების ნაწარმოე-

[25] ო. ბაქანიძე, უკრაინული თეატრი თბილისში, თბ., ქართულ-უკრაინული ლიტერატურული და თეატრალური ურთიერთობები (უკრაინულ ენაზე), კიევი, 1984, მეგობრობის გზებით (რუს. ენაზე), თბ., 1989.

ბები. ასე რომ, უკრაინა ქართველი ახალგაზრდობისათვის და მათ შორის ნესტორ ღამბარაშვილისათვის უცნობი მხარე არ იყო. ამიტომაც აირჩია მან სწავლის გასაგრძელებლად კიევის უნივერსიტეტი.

1895 წლის შემოდგომაზე ნესტორ ღამბარაშვილი კიევში ჩავიდა.[26] მისი პირველი საზრუნავი იყო ბინის მოძებნა. მას „ბედმა გაუღიმა"[27] და მიაკვლია ასეთ ბინას ნაზარევსკის ქუჩაზე. ოთახი, მართალია, მომცრო იყო, მაგრამ ნათელი და მოსაწონი სტუდენტისათვის ყველა საჭირო ავეჯითურთ, თანაც უნივერსიტეტთან ახლოს მდებარეობდა.

ბინის მფლობელები იყვნენ კოსაჩები, იგონებს ნესტორ ღამბარაშვილი და ჩამოთვლის ოჯახის წევრებს: ოჯახის უფროსი, – წერს იგი, – იყო პეტრო კოსაჩი, რომელიც ქალაქ ნოვოგრად-ვოლინსკში მსახურობდა და კიევში იშვიათად ჩამოდიოდა, დედა – ოლგა, მწერალი ოლენა პჩილკა, უფროსი ვაჟიშვილი მიხაილო, უფროსი ქალიშვილი ლარისა, რომელიც სოფიაში ბიძასთან სტუმრობიდან ახლახან იყო დაბრუნებული და ქალიშვილები: ლილია, დორა და ოქსანა, ვაჟიშვილი მიკოსი.

კოსაჩების ოჯახმა თავიდანვე დაიმსახურა ახალგაზრდა სტუდენტის სიმპათია თავისი დემოკრატიულობით, გულთბილი დამოკიდებულებით მდგმურისადმი. ოჯახის წევრები უკრაინის დიდი პატრიოტები იყვნენ. სახლში ისინი მხოლოდ უკრაინულ ენაზე ლაპარაკობდნენ.

ლესია უკრაინკა კოლოდიაჟნედან კიევში ჩავიდა 1895 წლის ოქტომბრის დამდეგს. სულ რაღაცა ორი კვირის გან-

---

[26] ნესტორ ღამბარაშვილი, ჩემი მოგონებები ლესია უკრაინაზე, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 1951, წ., № 8.

[27] იქვე.

მავლობაში ლესია უკრაინკასა და ნესტორ ღამბარაშვილს შორის კარგი ურთიერთობა დამყარდა. ამის თაობაზე თვითონ ლესია ასე წერს: „გვყავს ჩვენ მდგმური, ქართველი სტუდენტი, ჩემი მასაწავლებელი და მოწაფე ერთდროულად. იგი მე მეხმარება შევისწავლო ლათინური ენა, ხოლო მე კი მას ვეხმარები ფრანგული ენის შესწავლაში".[28]

თავაზიანობამ, ეთიკური ნორმების დაცვამ, რაინდულმა მოქცევამ გახადა შესაძლებელი ორი ახალგაზრდის დაახლოება. დრო გადიოდა და ლესია უკრაინკა ახალგაზრდა ქართველ სტუდენტში ახალ და ახალ დადებით თვისებებს პოულობდა.

„ეს იყო ძალიან კარგი ადამიანი, – იგონებს ისიდორა კოსაჩი, – ძალზე ნათლად გამოჩნდა, რომ ეს სტუდენტი – მდგმური კულტურული და სიმპათიური მაცხოვრებელია, მას ჰქონდა რაინდული ქცევა, როგორც ეს აქვთ – ეს მე მოგვიანებით გავიგე – ქართველებს, რომლებიც კარგ ეროვნულ ტრადიციებზე არიან აღზრდილნი... ჩვენ, ბავშვებს, გვიყვარდა იგი".

ნესტორ ღამბარაშვილი დაუახლოვდა კოსაჩების ოჯახს. კოსაჩების მეგობარი და მეზობელი გალინა ლისენკო ასე ახასიათებდა მათ ოჯახს და მათ ურთიერთობას: „ერთი შეხედვით ისე ჩანდა, რომ ეს ერთი ოჯახია. ისინი ერთად ეწვეოდნენ ხოლმე მუზეუმებსა და გამოფენებს... საინტერესო კონცერტებს, საუბრობდნენ ლიტერატურულ საკითხებზე... ყოველივე ამის სული და გული ლესია იყო".[29]

---

[28] ლესია უკრაინკას წერილი ლილია დრაგომანოვას, 28.8.1895 წ., თხზ. ტ. V, 1955.

[29] ალინა ლისენკო, წარსულიდან ლესია უკრაინკა თანამედროვეთა მოგონებებში, მ., 1971, გვ. 88.

ღამბარაშვილი თავისი გარეგნობითა და ბუნებით ქართული იერსახის გამომხატველი იყო და (რამდენადაც ეს ჩანდა ლესიას დამოკიდებულება-განწყობაში მის მიმართ) უკრაინელ ქალიშვილს ეს მოსწონდა.

როგორც ნ. ღამბარაშვილი წერს, მან ძალზე კარგი ურთიერთობა დაამყარა ოჯახის ყველა წევრთან, მათ შორის ახალგაზრდებთან.

„განსაკუთრებით კარგი ამხანაგური ურთიერთობა მქონდა, – იგონებს ღამბარაშვილი, – ლესია უკრაინკასთან. იგი ხშირად შემოდიოდა ჩემთან და ჩვენ სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემებზე ვსაუბრობდით".[30] როდესაც ლესია უკრაინკა ლაპარაკობდა მეფის თვითმპყრობელობის მიერ მისი მშობლიური უკრაინის ჩაგვრაზე, უკრაინელებისა და სხვა ხალხების მიმართ გატარებულ რუსიფიკატორულ პოლიტიკაზე, რუსეთის იმპერიაში შემავალი ქვეყნებისა და ხალხების რუსიფიკაციაზე, მისი ნაცრისფერი თვალები თვითმპყრობელობისადმი ზიზღის გრძნობით ინთებოდნენ.

ერთხელ, ღამბარაშვილთან ოთახში ლესიას ყურადღება მიიპყრო მდიდრულად გამოცემულმა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანმა". უკრაინელმა ქალიშვილმა პირველად აიღო ხელში ბრძენი ქართველი მგოსნის ნაღვაწი, მიხაი ზიჩის შესანიშნავი ილუსტრაციებით დამშვენებული წიგნი და ნესტორ ღამბარაშვილს კითხვები დააყარა ქართველ პოეტზე, იმ სამყაროზე, სადაც შეიქმნა ლიტერატურის ასეთი შედევრი, ასევე მის ხალხსა და მისი ქვეყნის ისტორიაზე. დიდხანს და საინტერესოდ პასუხობდა ახალგაზრდა ქალბატო-

[30] ნესტორ ღამბაშვილი, ჩემი მოგონებები ლესია უკრაინაზე, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 1951 წ., № 8.

ნის შეკითხვებს ნესტორი, დიდხანს და ყურადღებით უსმენდა ლესია მასპინძლის განმარტებებს, რომელმაც ბევრი, ძალიან ბევრი საინტერესო ამბავი მოუთხრო მას შოთა რუსთაველსა თუ მისი მშობელი ხალხის შესახებ, ქართული კულტურისა და ხელოვნების შესახებ.

„ერთხელ, – იგონებს ნესტორ ღამბარაშვილი, – როდესაც ჩემს მაგიდაზე ნახა წიგნი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი"... იგი განაცვიფრა XII საუკუნის ქართული ლიტერატურის ამ შედევრმა და დამაყარა კითხვები საქართველოზე, მის ბუნებაზე, უძველეს კულტურაზე, პოეტებზე, მწერლებზე, მხატვრებზე, თეატრებზე".[31] ლესია დიდხანს და ყურადღებით უსმენდა ნ. ღამბარაშვილის საუბარს და ახსნა-განმარტებას მის შეკითხვებზე. ამის შემდეგ უთქვამს ლესია უკრაინკას: „რა საინტერესო, რა საუცხოო მხარეა საქართველო, რა სიმამაცე და გმირობა უნდა ჰქონოდა ერთ მუჭა ხალხს, რომ გადარჩენოდა ამდენ საშინელ ქარტეხილებს და უბედურებას. მე რომ უკრაინელი არ ვიყო, ვისურვებდი ქართველი ვყოფილიყავი."[32]

ლესია უკრაინკასთან დაახლოების კიდევ ერთი საშუალება აღმოჩნდა – ენების შესწავლა. ლესიას აინტერესებდა ქართული ენა, ხოლო ნესტორს სჭირდებოდა ფრანგულ ენაში გაწვრთნა.

ლესია უკრაინკა იმდენად მოხიბლა ქართველი ერის ისტორიამ, მისმა ტრადიციებმა, მისი ხალხის თვისებებმა, რომ გადაწყვიტა ქართული ენის შესწავლა და სთხოვა ნესტორ

---

[31] ნესტორ ღამბარაშვილი, ჩემი მოგონებები ლესია უკრაინკაზე, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 1951 წ.

[32] იქვე.

ღამბარაშვილს მისთვის ქართული ანბანი ესწავლებინა. „ლესია უკრაინკას მე დავაწყებინე ქართული ანბანის შესწავლა“,[33] – იგონებს ნ. ღამბარაშვილი.

ლესია უკრაინკას ნესტორ ღამბარაშვილი სისტემატურად ამეცადინებდა ქართულ ენაში. ასევე იქცეოდა ლესიაც. მან ალფრედ დე მიურეს წიგნიც აჩუქა წარწერით: „მასწავლებელს, მოსწავლესა და ამხანაგს ჩვენი „ამხანაგური ურთიერთდახმარების“ სამახსოვროდ. ლარისა კოსაჩისაგან.

ლესია უკრაინკას კარგად ესმოდა მუსიკა. ნ. ღამბარაშვილი ლესიასთან ერთად ესწრებოდა კიევში გამართულ კონცერტებს. ლესია უკრაინკას ძალზედ მოსწონდა ქართული სიმღერები, მელოდიები აღნიშნავს ნ. ღამბარაშვილი. იგი სიამოვნებით ისმენდა ქართულ გუნდურ სიმღერებს, როდესაც მასთან ამხანაგები: ვასო წერეთელი, მიხა ჩხენკელი, შიო ჩიტაძე და სხვ. იკრიბებოდნენ.

ნესტორ ღამბარაშვილს უყვარდა მუსიკა. იგი უკრავდა გიტარაზე და მღეროდა კიდეც. ოლგა კოსაჩმა შეიძინა გიტარა. ამ გიტარაზე ნესტორი ხშირად უკრავდა და მღეროდა ქართულ სიმღერებს.

კიდევ ერთი დეტალი ნესტორ ღამბარაშვილის დასახასიათებლად. კოსაჩების უმცროსი ქალიშვილი იზიდორა ა. კოსტენკოსადმი მიწერილ ბარათში წერდა: „ღამბაროვი ბევრს ცეკვავდა მოზრდილ გოგონებთან, ამავე დროს ჯენტლმენურად სერიოზულად იწვევდა საცეკვაოდ მათაც, 8 და 9 წლის გოგონებს, დორასა და მარიანა ლისენკოს“.[34]

---

[33] ნესტორ ღამბარაშვილი, ჩემი მოგონებები ლესია უკრაინკაზე, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1951 წ.

[34] უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის კიევის ლიტერატურის ინსტიტუტი, ფ. 2, №1258.

ნესტორ ღამბარაშვილი, ისე როგორც მისი მეგობარი ქართველი სტუდენტები, გულთან ახლოს იღებდა ყველა შენიშვნას, რაც საქართველოსა და ქართულს ეხებოდა, იქნებოდა ეს დადებითი პოზიციიდან ნათქვამი თუ პირიქით. ასე, მაგალითად, ნესტორ ღამბარაშვილი ძალზე ასიამოვნა პეტრო კოსაჩის აღიარებამ – კახური ღვინის გემო ბევრი ფრანგული ღვინისას სჯობიაო. ეს მან თქვა ჩვეულებრივი, სადილზე მისაყოლებელი, სახარჯო ღვინის მიმართ. აქვე შეიძლება ითქვას, რომ ქართული ღვინის გარდა პეტრო კოსაჩი ღვინის ტიკმაც განაცვიფრა და მოხიბლა. ამ ფაქტს იხსენებს ნესტორ ღამბარაშვილი თავის მოგონებებში ლესია უკრაინკაზე.[35]

1896 წლის 1 მაისს ნესტორ ღამბარაშვილმა ოლგა (ლილია) კოსაჩს თავისი ფოტო აჩუქა, რომელზეც ასეთი წარწერა გაუკეთა: „ქ-ნ კოსაჩს ღამბაროვისაგან. კიევი. 1/V-96“ ფოტოსურათიდან შთამბეჭდავი შესახედაობის ახალგაზრდა კაცი გამოიყურება.

1896 წლის 6 მაისს ლესია უკრაინკამ ნესტორ ღამბარაშვილს აჩუქა ფოტოსურათი, რომლის უკანა მხარეს ასეთი წარწერა გაუკეთა: „გისურვებთ თქვენ, ბატონო ნესტორ, გულითადად და უმწიკვლოდ ემსახუროთ თქვენს მშვენიერ მშობლიურ მხარეს.

თუ თქვენ დაგჭირდებათ ამხანაგური დახმარება და რჩევა, გაიხსენეთ, რომ არის ამ ქვეყანაზე ლარისა კოსაჩი“.[36]

---

[35] უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის კიევის ლიტ. ინსტიტუტი, ფ. 2, № 1248.

[36] ნესტორ ღამბარაშვილი, ჩემი მოგონებები ლესია უკრაინკაზე, ცისარტყელას ხიდები, კიევი, 1968, გვ. 259.



ნესტორ დამბარაშვილი

ამგვარად გამოხატა კოსაჩების ოჯახმა თავისი პატივისცემა და კეთილი განწყობა მდგმურის – უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტის მიმართ.

ნესტორ ღამბარაშვილი კოსაჩების სახლში ერთი წლის ცხოვრების შემდეგ, საზაფხულო არდადეგებზე გამოემგზავრა საქართველოსკენ.

ერთი საინტერესო ფაქტი.

1896 წელს ზაფხულის დასაწყისში, 6 მაისის შემდეგ, დროის ახლო მონაკვეთში, ნესტორ ღამბარაშვილი კიევიდან გორში გამოემგზავრა არდადეგებზე. მან ჰკითხა ლესიას, რა ჩამოგიტანოო საქართველოდან? ლესიამ უპასუხა: „ბასრი ხანჯალი, როგორც საზიზღარ მტერთან ბრძოლის ემბლემა".

ღამბარაშვილმა შეასრულა მისი სურვილი. მან დაღესტნელ სპეციალისტებს, რომლებიც გორში ცხოვრობდნენ, შეუკვეთა ხანჯალი. ხანჯალი იყო მომცრო, საუკეთესო ფოლადისაგან გამოჭედილი, ვერცხლის ქარქაში და ტარი გრავირებული და მოსევადებული ჰქონდა.

1896 წლის შემოდგომაზე, სავარაუდოდ სექტემბერში, იგი საზაფხულო არდადეგებიდან დაბრუნდა კიევში. ამ დროისათვის ლესია უკრაინკა კოლოდიაჟნეშია. 12(24) სექტემბერს გამოგზავნილ წერილში ლესია წერს ოლგას: "გამბაროვს გადაეცით, რომ მე ძალიან, ძალიან მიხარია, რომ იგი ჩვენთან იქნება, და იმედი მაქვს, ამ წელს უფრო მეტად, ვიდრე შარშან, გავუწიო მას ექსპლოატაცია".[37]

1896 წლის სექტემბრის მეორე ნახევარში ორივე კიევშია.

ნესტორ ღამბარაშვილმა ხანჯალი მიართვა ლესია უკრაინკას და უთხრა: „პანოჩკა ლესია, იყავით მტკიცე თქვენს

[37] ლესია უკრაინკა, თხზ., ტ. V, 1956, გვ. 182.

კეთილშობილ მოღვაწეობაში, როგორც ამ ხანჯლის ფოლადი, და სიტყვაბასრი, როგორც მისი პირი"![38]

ეს შეხვედრა დაახლოებით უნდა ყოფილიყო სექტემბრის მეორე ნახევარში. უმაღლეს სასაწავლებლებს არდადეგები ამ დროს უმთავრდებოდათ.

ლექსთან „სიტყვავ, რად არ ხარ ფოლადი მტკიცე..." დაკავშირებით ერთი საინტერესო ჰიპოთეზა იბადება, რომელიც ლესია უკრაინკას მეგობარს, ნესტორ ღამბარაშვილს უკავშირდება.

ლესია უკრაინკას აქვს ლექსი – „სიტყვავ, რად არ ხარ ფოლადი მტკიცე", სადაც სიტყვის სიმტკიცე შედარებულია ფოლადის სიმტკიცესთან. ეს სიტყვები და სიტყვის სიმტკიცის შედარება ფოლადის სიმტკიცესთან იყო დაფიქსირებული ნესტორ ღამბარაშვილის სიტყვებში, რომლითაც მან მიმართა ლესიას ხანჯლის გადაცემის დროს. და კიდევ. სიტყვის სიმახვილე ნესტორმა შეუდარა ხანჯლის სიმახვილეს, „თქვენი სიტყვა ისეთი ბასრი იყოს, როგორც ხანჯლის პირიო". აი, ეს ორი მომენტი: – იყავით მტკიცე, როგორც ფოლადი და მეორე, – თქვენი სიტყვა იყოს ბასრი, როგორც ხანჯალი, – ერთ ფრაზაში ეს ორი მნიშვნელოვანი მომენტი სრულად ემთხვევა ლესიას ლექსის შინაარსს – „სიტყვავ, რად არ ხარ ფოლადი მტკიცე"...

ღამბარაშვილმა ეს სიტყვები ხანჯლის გადაცემის დროს რომ წარმოთქვა, უნდა ვივარაუდოთ, თარიღის თვალსაზრისით, 1896 წლის სექტემბერის მეორე ნახევარს მიეკუთვნება.

---

[38] ნესტორ ღამბარაშვილი, ჩემი მოგონებები ლესია უკრაინკაზე, ცისარტყელას ხიდები, კიევი, 1968, გვ. 259.

ლექსი დაწერილია 1896 წლის 25 ნოემბერს.[39]

ლექსის იდეა, მასში ჩაქსოვილი სურვილები, აზრები ეხმაურება ნესტორ ღამბარაშვილის მიერ წარმოთქმულ ფრაზას, რომლითაც მან ლესიას მიმართა. ერთი პაწია წინადადების ორი ღერძი დებულება მთლიანად ემთხვევა ლესია უკრაინკას ლექსის ტექსტს. ანდა პირიქით. ლესია უკრაინკას ლექსის ლაიტმოტივი, მისი ძირითადი ღერძი სრულიად ემთხვევა ნესტორ ღამბარაშვილის მიერ ლესიას მიმართ გამოთქმულ სურვილებს.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ლექსის იდეა, მისი ლაიტმოტივი ლესია უკრაინკას ნესტორ ღამბარაშვილთან ურთიერთობის დროს დაებადა და იგი სრულიად, სიტყვასიტყვით აირეკლა ლექსის ტექსტში. ლაპარაკია კონკრეტულ ლექსზე – „სიტყვავ, რად არ ხარ...“. ამიტომაც ვვარაუდობთ, რომ პოეტს ამ საპროგრამო ნაწარმოების შესაქმნელად ბიძგი მისცა ნესტორ ღამბარაშვილმა.

ლექსი „სიტყვავ, რად არ ხარ....“ უსათაუროა. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ლექსს არ გააჩნია წამყვანი იდეა, ღერძი. ლექსის ლაიტმოტივია პოეტის, ხელოვანის როლი საზოგადოებაში; იგი პოეტის მაღალ დანიშნულებაზე, ხალხთან მის განუყრელ კავშირზე მიუთითებს და გამსჭვალულია ბრძოლისა და გამარჯვების სურვილით.

მთელი ნაწარმოები, როგორც ვხედავთ, ბრძოლის სურვილით და უსამართლობაზე, მჩაგვრელებზე გამარჯვების იმედითაა გამსჭვალული.

---

[39] ავტოგრაფია არ შენახულა, პირველნაბეჭდი ტექსტი მოთავსებულია ჟურნალში „Jitie I slovo“, ლ. თხზ., 1897 წ., ტ. VI, გვ. 13-14, პირველნაბეჭდის თარიღია 25. XI. 1896 წ.

1896 წლისთვის, ახალგაზრდა, 25 წლის სუსტი ჯანმრთელობის ქალის მიერ მტარვალების წინააღმდეგ საბრძოლველად მიმართული სიტყვის თქმა ხალხის მტრების წინააღმდეგ არა მარტო ბრძოლა-გაბრძოლებისაკენ მოწოდება, არამედ გამარჯვების მტკიცე რწმენის წარმოჩენა და პოეტურად მაღალმხატვრულ ლექსში მისი გამოხატვაა, რაც ლესია უკრაინკას სასახელოდ მის აქტიურ საზოგადოებრივ და პოეტურ პოზიციაზე მეტყველებს. ნაწარმოები მებრძოლი სულისკვეთებით გამსჭვალული პოეტური ქმნილებაა.

1896 წლის ოქტომბრის მომდევნო სამი თვე კიევში ჩხრეკა და დაპატიმრებები იყო.

ნესტორ ღამბარაშვილმა კიევის უნივერსიტეტი დაამთავრა 1898 წელს.

ამ შემთხვევაშიც უნდა ვივარაუდოთ, რომ ნესტორ ღამბარაშვილის საუბრებს ლესია უკრაინკასთან საქართველოსა და ქართული კულტურის შესახებ უკვალოდ არ ჩაუვლია.[40]

---

[40] ნესტორ ღამბარაშვილს არასოდეს დავიწყებია კოსაჩების ოჯახში გატარებული დრო. 1948 წელს ქართულ-უკრაინული ურთიერთობების ცნობილი მკვლევრის ვ. იმედაძის თხოვნით ნესტორ ღამბარაშვილმა დაწერა თავისი მცირე მოგონებები ლესია უკრაინაზე. ნაწყვეტები ამ მოგონებებიდან დაიბეჭდა გაზეთში „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1951 წლის 25 თებერვალს.
ნესტორ ღამბარაშვილმა ლესია უკრაინკას დაბადებიდან 80 წლის იუბილეზე ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის ლიტერატურის ინსტიტუტს 1951 წელს გადასცა ახალგაზრდა ნესტორ ღამბარაშვილის პორტრეტი, ფოტოსურათი მოგონების ხელნაწერთან ერთად (უკრაინის მეცნიერებათა აკადემია, კიევის ლიტერატურის ინსტიტუტი, ფ. №1248), კოსაჩების ოჯახის წევრების სურათები მათ შორის ერთი ჯგუფური სურათი, სადაც აღბეჭდილია – ლესია უკრაინკა, ოლგა (ლილია) კოსაჩი,

კიდევ ერთი დეტალი.

მიხაილო სტარიცკი და მიკოლა ლისენკო,[41] ცნობილი მოღვაწეები და დიდი შემოქმედები, მრავალმხრივ საინტერესო პიროვნებები იყვნენ. ისინი კოსაჩების ახლოს ცხოვრობდნენ და მათთან მეგობრობდნენ კიდეც. ორივე ეს დიდი ხელოვანი ლესიას არა მარტო საყვარელი ადამიანები იყვნენ, არამედ მისთის დიდ ავტორიტეტებსაც წარმოადგენდნენ. მაგრამ ამჯერად ეს არაა მთავარი. მთავარი ისაა, რომ ეს ორივე პიროვნება თავიანთი შემოქმედებითი საქმიანობით რამდენადმე საქართველოსთან იყვნენ დაკავშირებულნი.

1889 წლის შემოდგომაზე მ. სტარიცკი, რომელიც მაშინ სახელგანთქმული დრამატურგი და თეატრის მოღვაწე იყო, თავისი მრავალრიცხოვანი დასით საქართველოს ესტუმრა საკმაოდ ხანგრძლივი დროით (ოქტომბერი-დეკემბერი). საქართველოში მან 39 პიესა წარმოადგინა და აქედან 11 მისი ავტორობით. მიკოლა ლისენკო კი იმ დროს ცნობილი კომპო-

---

ოქსანა სტარიცკა (ფ. №1251-1257). ყველა მათგანმა ფოტოსურათს თავისი წარწერა გაუკეთა.

1958 წელს, სამშობლოში დაბრუნებიდან 60 წლის შემდეგ, ნესტორ ღამბარაშვილი თავის ქალიშვილთან, თამართან ერთად კიევში ჩავიდა, მამა-შვილი ლესია უკრაინკას საფლავთან მივიდა, ქართულმა ცრემლმა დანამა ლესიას საფლავი.

1962 წლის 9 აგვისტოს ნესტორ ღამბარაშვილმა თავისი მოგონებები ლესია უკრაინკაზე, კოსაჩების ოჯახზე გადასცა კიევის ლესია უკრაინკას მუზეუმს.

1968 წელს უკრაინაში ქართული ლიტერატურის დეკადასთან დაკავშირებით გამოცემულ წიგნში – „ცისარტყელას ხიდები" ნესტორ ღამბარაშვილმა მოათავსა თავისი მოგონებები ლესია უკრაინკაზე (ნ. ღამბარაშვილი, ჩემი მოგონებები ლესია უკრაინკაზე, „ცისარტყელას ხიდები", კიევი, 1968, გვ. 253).

41 ოთარ ბაქანიძე, უკრაინული დრამატურგის კორიფეები, თბ, 2010.

ზიტორი იყო და მის მიერ დაწერილი მუსიკა ამშვენებდა და ძალას მატებდა მიხაილო სტარიცკისა და სხვა დრამატურგების თუ რეჟისორების სპექტაკლებს.

მ. სტარიცკის დასის გასტროლები დიდი წარმატებით ჩატარდა. საქართველო აღფრთოვანებული უკრავდა ტაშს უკრაინელ მსახიობებს, რეჟისორსა და ხელმძღვანელს. საქართველოს ქართული და რუსული პრესა მაღალ შეფასებას აძლევდა მათი მოძმე უკრაინელების ხელოვნებასა და ხელოვანებს.

საქართველოს და უკრაინის ისტორიაში პირველად ასე მასშტაბურად, ფართოდ და მრავალმხრივ წარმოჩნდა უკრაინული თეატრი, ქართველ მაყურებელს ასე უხვად და ხელოვნების მაღალ დონეზე მიეწოდა უკრაინული კლასიკური თუ თანამედროვე დრამატურგია. ყოველივე ამის ინიციატორი იყო მიხაილო სტარიცკი.

სტარიცკიმ და მისმა დასმა გახსნეს კარები საქართველოსაკენ და იმდენად მიმზიდველი და წარმატებული აღმოჩნდა გასტროლები ამ ქვეყანაში, რომ მომდევნო წლებში ერთიმეორეს მიყოლებით ცნობილი დრამატურგები და დასები სტუმრობდნენ ამ ქვეყანას. რომელი ერთი დავასახელო – მარკო კროპივნიცკი, რომელიც ახალი უკრაინული თეატრისა და დრამატურგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო ასევე რუსეთის იმპერიაში სწორუპოვარი მსახიობი და შესანიშნავი რეჟისორი, თუ მიკოლა სადოვსკი ან მარია ზანკოვეცკა, ან სხვანი, რომლებსაც დაპყრობილი ჰქონდათ პეტერბურგის სცენა და მაყურებელთა გულები. ათეული წლის (1890-იანი წლებიდან) განმავლობაში უკრაინულ დასს არ გაუცდენია თეატრალური სეზონი საქართველოში და არ ყოფილა შემთხვევა, მაყურებელთა დარბაზში ანშლაგი არ ყოფილი-

ყო. როგორც უკრაინული სპექტაკლების პირველი დადგმის დროს, სალაროს გახსნიდან რაღაც ორიოდე საათში იყიდებოდა ბილეთები და მრავალი ადამიანი უბილეთოდ რჩებოდა, ხოლო სპექტაკლის შემდეგ კი უკრაინული ხელოვნებით მოჯადოებული მაყურებელი თბილისური ღამის წყვდიადში მაშხალებით მიაცილებდა მსახიობებს სასტუმრომდე.

ასეთი მცირე განმარტების შემდეგ მინდა ვთქვა, რომ ამ ნაბიჯს უკრაინელი ხელოვანი, ალბათ, არ გადადგამდა ან გაჭირვებით გადადგამდა, რომ მას არ ჰქონოდა წარმოდგენა, თუ რომელ ქვეყანაში მიემგზავრებოდა და მიჰყავდა ხელოვანების უზარმაზარი დასი. რა ელოდათ იქ? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ ეკონომიკური ფიასკოც ხომ მოსალოდნელი იყო უცხო მხარეს?

მიხაილო სტარიცკიმ იცოდა, რას აკეთებდა და სად მიდიოდა, იცოდა, რა ხალხთან და რომელ ქვეყანასთან ექნებოდათ მათ საქმე. ამიტომაც გადადგა ეს ნაბიჯი და გაიმარჯვა კიდეც. მიხაილო სტარიცკიმ გაუხსნა კარი დიდ უკრაინელ თეატრალებსა და თეატრების წარმატებულ გასტროლებს საქართველოში.

ეს გასტროლები თითქმის ყოველწლიურად იმართებოდა, ვიდრე ლესია უკრაინკა საქართველოში ჩამოვიდოდა და მას შემდეგაც. შეიძლება დავუშვათ, რომ ამის შესახებ (და, საერთოდ, საქართველოზე) რაღაც ინფორმაცია სტარიცკილისენკოსგან არაფერი ჰქონდა საქართველოში მომავალ პოეტს? წარმოუდგენელია.

აი, ასეთ პიროვნებას, რომელმაც გაიარა დიდი გზა კიევიდან თბილისამდე და მხოლოდ აღმაფრთოვანებელი მოგონებები ჰქონდა მას საქართველოზე, მისთვის ზღაპრულ

ქვეყანასა და მის ხალხზე, დავიჯეროთ, რომ არაფერი გაახსენდებოდა მას ან ლისენკოს საოცარი გასტროლების შესახებ საქართველოში და არაფერს მოუყვებოდნენ ისინი ამის შესახებ მათი მეგობარი ოჯახის შვილს, ლესია უკრაინკას, რომელიც სწორედ იმ ქვეყანაში გასამგზავრებლად ემზადებოდა? ყოვლად წარმოუდგენელია!

ეს ფაქტი-ჰიპოთეზა უყურადღებოდაა დატოვებული. რატომღაც არსად არაა აღნიშნული და არაფერია ნათქვამი იმის თაობაზე, როგორ მიიღო ეს საჩუქარი ლესია უკრაინკამ, მდიდარი ინფორმაცია იმ ქვეყანასა და ხალხზე, საითაც პოეტი აპირებდა გამგზავრებას.

საქართველოსთან დაკავშირებულ ადამიანებთან ურთიერთობაში ლესია უკრაინკა, რა თქმა უნდა, ბევრ საინტერესოს გაიგებდა საქართველოსა და მისი ხალხის შესახებ, ქართველი ახალგაზრდების რევოლუციური განწყობილებების შესახებ.

დაახლოებით ასეთი იყო ის წყაროები, რომლებიც უკრაინელ მგოსანს ასაზრდოებდა საქართველოს შესახებ და გამგზავრებისას არჩევნის გაკეთების დროს სასწორს საქართველოს სასარგებლოდ გადახრიდა.

# ლესია უკრაინკას ცხოვრებისა და მოღვაწეობის თბილისის პერიოდი

საქართველოსკენ ლესია უკრაინკა 1903 წლის შემოდგომაზე გამოემართება. ოდესაში მას კლიმენტ კვიტკა (შემდგომში მისი მეუღლე) შეხვდა და ორივენი ერთად სოჭისაკენ მიემგზავრებიან. სოჭში ლესიას დეპეშით გაფრთხილებული აგათანგელ კრიმსკი შეეგება და მას ბათუმამდე გაჰყვა.

თბილისში ლესია უკრაინკა 1903 წლის სექტემბრის დამდეგს ჩადის, როგორც ამას მიუთითებს ლესია უკრაინკას ცნობილი მკვლევარი ოლეგ ბაბიშკინი[42] და ერთხანს სასტუმროში ცხოვრობს. მას მალე ჩამოაკითხავს ა. კრიმსკი, იმ დროისათვის უკვე ცნობილი არაბისტი-პროფესორი, მწერალი და მთარგმნელი. მან ლესიას შემოატარა თბილისი, გააცნო მისი ისტორიული ღირსშესანიშნაობანი და მათ შორის ციხე-სიმაგრე ნარიყალა.

კოსაჩებს, ეტყობა, თბილისში ნაცნობები ჰყოლიათ. ოლენა პჩილკას უნდოდა, რომ მისი ქალიშვილი იმ ნაცნობებთან გაჩერებულიყო, მაგრამ ეს მოუხერხებელი აღმოჩნდა. „შენ მეუბნები, – წერდა ლესია თბილისიდან დედამისს – უკეთესი იქნებოდა მანიასთან მეცხოვრა, მაგრამ ეს არ შეიძლება, რადგან იგი თვითონ ცხოვრობს სტუმრად თავისი ქმრის ნათესავებთან".[43] ამიტომაც ლესიამ ნოემბრის დასაწყისში ცალკე იქირავა ბინა ტერ-გუკასოვის ქუჩა №2-ში. მან საკმაოდ ნათელი და დიდი ოთახი შეარჩია, რადგან დედის, ოლენა პჩილკას ჩამოყვანას აპირებდა. დედისადმი გაგ-

---

[42] ოლეგ ბაბიშკინი, ლესია უკრაინკა საქართველოში, თბილისი, 1953, გვ. 20.

[43] ლესია უკრაინკა, თხზ., ტ. V, 1956, გვ. 474.

ზავნილ ბარათში ლესია წერს: „იქნებ შენ ჩემთან ჩამოსულიყავი?... მე დიდი ოთახი მაქვს და როდესაც ვქირაობდი, ვვარაუდობდი შენი მოსათავსებელი ადგილიც ყოფილიყო“.[44] ლესიას ვარაუდი სურვილად დარჩა. როგორც ვიცით, ოლენა პჩილკა თავის ქალიშვილთან თბილისში არ ჩამოსულა.

ლესია უკრაინკას მოგზაურობა მძიმედ გადაუტანია და თავს სუსტად გრძნობდა. „მე ყველაფერი მტკივა, როდესაც ვწერ, – ატყობინებდა იგი ოლენა პჩილკას, – ძალიან მიჭირს“, არც თავი და არც ტანი აღარ მემორჩილება, „მე არ მემსახურება“.[45]

ავადმყოფობას მძიმე სულიერი ტრავმაც ზედ დართვია – ძმა მიხაილო ხარკოვში გარდაცვლილა. ყოველივე ამას ისე ძლიერ უმოქმედნია მასზე, რომ უკიდურესობამდე მისული პოეტი დედას წერდა – „ახლა რომ მე კიევში ან ხარკოვში ვყოფილიყავი, ნამდვილად ჭკუიდან შევიშლებოდი“.[46]

თავსდამტყდარმა უბედურებამ ლესია უკრაინკა სულიერად ვერ გატეხა – „მე ვფლობ ჩემს თავს“[47] – აცხადებდა პოეტი.

თბილისში მყოფი მგოსანი დროს უქმად არ კარგავს: ეცნობა ქალაქს, ათვალერებს მის ღირსშესანიშნავ ადგილებს, ისტორიულ ძეგლებს, ეცნობა მხატვრულ ლიტერატურას, კავკასიელი ხალხის ლიტერატურულ მემკვიდრეობას, ამავე დროს, ინტენსიურად მუშაობს შემოქმედებით სფეროში წერს ლექსებს, პოემას, თავის ნაწერებს უგზავნის ცნობილ ადამიანებს, ლიტერატურათმცოდნეებს, მათი აზრის გასა-

---

[44] ლესია უკრაინკა, თხზ., ტ. V, 1956, გვ. 475.
[45] იქვე, გვ. 474.
[46] იქვე.
[47] იქვე.

გებად. თბილისიდან ესაუბრება ისეთ გამოჩენილ უკრაინელ მოღვაწეებს, როგორიც იყვნენ: აგათანგელ კრიმსკი, ივან ფრანკო, ოლგა კობილიანსკა და სხვები.

საქართველოში მწერლის მშფოთვარე შინაარსიან ცხოვრებაზე მდიდარ და საინტერესო მასალას გვაწვდის ლესია უკრაინკას ეპისტოლარული მემკვიდრეობა.

სულ მცირე ხნის ჩამოსული იყო ლესია უკრაინკა საქართველოში, რომ უკვე შემოქმედებით მოღვაწეობას შეუდგა და მეგობარი ხალხის კულტურით დაინტერესდა, მისი შესწავლაც დაიწყო.

აგათანგელ კრიმსკისადმი 1903 წლის 2 დეკემბერს გაგზავნილ ბარათში პოეტი ახალი ვითარებით გამოწვეულ თავის პირად განწყობილებებზე საუბრობს და თან თავისი ახალი ნაწარმოებებისა თუ ქართული ლიტერატურის, ქართველ კომპოზიტორთან შეხვედრის შესახებ მოუთხრობს.

წერილიდან ვგებულობთ, რომ ლესია უკრაინკა კვლავ უჩივის სისუსტეს, თუმცა საქართველში იგი უკეთესად გრძნობს თავს, ვიდრე სხვა აგარაკებზე ყოფნისას. მას კვლავ „სანატორიუმის რეჟიმი" ესაჭიროება. მიუხედავად ამისა მწერალი მაინც ბევრს მუშაობს. მას მუშაობაში ხელს უწყობენ და ახალისებენ მისი ახლობლები:[48] კლიმენტ კვიტკა, რომელიც მის მეზობლად ცხოვრობს და მისი ბავშვობის მეგობარი ქალი, რომლის სახელსაც მწერალი არ გვეუბნება,[49] რომელიც იმ დროისათვის თავის ქმართან ერთად თბილისში ცხოვრობდა და სხვ.

---

[48] ლესია უკრაინკა, თხზ., ტ. V, 1956, გვ. 476.

[49] მარია ბელიაევა. იხ. ო. ბაბიშკინი, ლესია უკრაინკა საქართველოში, 1953, გვ. 23.

საქართველოში მყოფი მგოსანი გულხელდაკრეფილი როდი ზის. იგი ასწორებს, ამუშავებს, ხვეწს თავის ნაწარმოებებს და ახალსაც ქმნის. „ახლა მე თქვენ გიგზავნით ჩემს ახალ ლექსებს, – წერს იგი ა. კრიმსკის, – თუ გაქვთ დრო და სურვილი, წაიკითხეთ ისინი და უკანვე გამომიგზავნეთ თქვენი შენიშვნებით".[50] ლესია უკრაინკა ანგარიშს უწევდა ა. კრიმსკის აზრს და სურდა ნაწარმოების გამოქვეყნებამდე გაეთვალისწინებინა მისი შენიშვნები, განსაკუთრებით ნაწარმოების შინაარსობრივი მხარის მიმართ. ამას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა პოეტისათვის, რადგან სწორედ მისი მხატვრული ქმნილებების მიხედვით უნდა ემსჯელათ მგოსნის რწმენის შესახებ. „მინდა, რომ „პრიტჩებში" მაინც გამოვთქვა ჩემი „რწმენა", – წერს ლესია უკრაინკა, – და ძლიერ მინდა, ჩემმა ამხანაგებმა იცოდნენ იგი, რადგან სხვაგვარად ისინი მე ვერ გამიგებენ.[51]

საქართველოში ლესია უკრაინკა დაინტერესებულა კავკასიური ხალხური შემოქმედებით, მას და კვიტკას ეტყობა სათანადო ინფორმაცია ჰქონდათ იმის თაობაზე, რომ თბილისში ეთნოგრაფ ზავადსკისთან შეიძლებოდა ფონოგრაფზე ჩაწერილი კავკასიელთა ხალხური შემოქმედების მუსიკალურად საინტერესო ნიმუშების მოსმენა; მათ განუზრახავთ არა მხოლოდ მოსმენა, არამედ ზოგიერთი ნაწარმოების ჩაწერაც. ისინი უაღრესად ნასიამოვნები დაბრუნებულან ზავადსკისთან სტუმრობის შემდეგ. ლესია უკრაინკა ა. კრიმ-

[50] ლესია უკრაინკა, „იმედი", თსუ გამომც. 2007, გვ. 147.

[51] იქვე, გვ. 147.

სკის გადასცემს კ. კვიტკას მადლობას „ზავადსკისთან გაწეული რეკომენდაციისათვის“.

ამ საკითხთან დაკავშირებით ლესია უკრაინკას ბარათში უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტია გადმოცემული: ლესია უკრაინკასა და კლიმენტ კვიტკას შეხვედრები და ურთიერთობანი გამოჩენილ ქართველ კომპოზიტორთან ზაქარია ფალიაშვილთან. კლიმენტ კვიტკასა და ლესია უკრაინკას დაღესტნური სიმღერების ჩაწერა სდომებიათ. ამ საქმეში მათთვის დახმარების აღმოჩენა აღუთქვამს ქართველ კომპოზიტორს, მაგრამ პირობა არ შეუსრულებია. ამ გარემოებით შეწუხებული ლესია 1903 წლის 2 დეკემბერს გულნაკლული წერს ა. კრიმსკის: „დაღესტნის სიმღერების ჩაწერის დრო არ დამდგარა, რადგან აქაურ მუსიკოს-ეთნოგრაფს ფალიევს, რომელიც გვარწმუნებდა, შემიძლია ერთ სეანსში ჩავიწერო, აქამდე არც ერთი სიმღერა არ ჩაუწერია, ბრალი აქ შემთხვევას მიეწერება თუ სიმღერების სირთულეს, არ ვიცი“.[52]

თუ მოვლენათა განვითარებას წინ გავუსწრებთ, შეიძლება ვთქვათ, რომ ზაქარია ფალიაშვილსა და კვიტკების ოჯახს შორის ურთიერთობა ამ პატარა ფაქტით არ ამოწურულა. მათი მეგობრობა შემდგომშიაც გაგრძელდა. შემონახულია სურათი,[53] რომელზედაც გამოსახულია ზაქარია ფალიაშვილი და, როგორც ვარაუდობენ, კლიმენტ კვიტკა სვანეთში მოგზაურობის დროს. როგორც ვხედავთ ამ ორი ერის წარმომადგენელთა მეგობრობა შემთხვევითი და წარმავალი არ ყოფილა, მათ ურთიერთსიყვარულსა და პატივისცემას ღრმა ფესვები ჰქონდა.

---

[52] ლესია უკრაინკა, „იმედი“, თსუ გამომც. 2007, გვ. 149.

[53] სურათი ინახება აწ გარდაცვლილ ცნობილ ბიბლიოგრაფ თამარ მაჭავარიანის არქივში, ეს ცნობაც მან მომაწოდა.

1904 წლის 25 მარტს თბილისში საკონცერტო შესრულებით დაიდგა მუსორგსკის ოპერა „ბორის გოდუნოვი“, სადაც როიალის პარტიას კლიმენტ კვიტკა ასრულებდა. თავისი იდეური ჩანაფიქრით დესპოტური ხელისუფლების საწინააღმდეგო ნაწარმოების სცენაზე გამოჩენა მოახლოებული რევოლუციის წინა პერიოდში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ამ საქმეშიაც ერთად იყვნენ ზ. ფალიაშვილი და კ. კვიტკა.

ლესია უკრაინკასა და კლიმენტ კვიტკას თბილისის მუსიკალურ საზოგადოებაშიც გაუჩენიათ ნაცნობები და მეგობრები. მათი ხელშეწყობითა თუ დახმარებით და კლიმენტ კვიტკას ინიციატივით ქალაქ თბილისში პირველად იქნა წარმოდგენილი მუსორგსკის ოპერა.

აგათანგელ კრიმსკისადმი მიწერილი ბარათიდან ირკვევა, რომ ლესია უკრაინკა საქართველოში ჩამოსვლის პირველივე დღეებიდან გულისყურით ეკიდება ქართული ლიტერატურისა და კულტურის საკითხებს. იგი რუსული თარგმანების საშუალებით ეცნობა ქართულ ბელეტრისტიკას. მაგრამ მალე მას კავკასიელი ხალხების ლიტერატურულ ნაწარმოებთა თარგმანების გაცნობის ერთი წყარო შეუწყდა: დაიხურა „კავკაზსკი ვესტნიკი“, რომელშიც იბეჭდებოდა კავკასიელი ხალხების მხატვრულ ნაწარმოებთა რუსული თარგმანები.

ვინ არის და რა ურთიერთობა ჰქონდა ლესია უკრაინკას აგათანგელ კრიმსკისთან?

**აგათანგელ კრიმსკი.** ლესია უკრაინკას საქართველოში ჩამოსვლამდე ჰქონდა აგათანგელ კრიმსკისთან ურთიერთობა. იგი ასაკით ლესიას თანატოლი იყო. დაიბადა 1871 წლის 15 იანვარს იმავე მხარეში (ნოვოგრად-ვოლინსკში), სადაც ლესია უკრაინკა. მწერლის არქივში შემონახულია მისი რამდენიმე წერილი ა. კრიმსკისადმი, რომელთაგან ყველაზე

ადრე 1901 წლის 26 იანვარს არის გაგზავნილი მინსკიდან. ეს ხანა ერთ-ერთი მძიმე იყო პოეტის ცხოვრებაში.

ლესია უკრაინკა დიდ მადლობას უხდის აგათანგელ კრიმსკის მისდამი გამოგზავნილ ბარათში გამოხატული კეთილგანწყობისათვის. პოეტი თავმდაბლად ფიქრობს, რომ ეს კეთილი განწყობა მას არ დაუმსახურებია. თქვენი სიტყვები და ის სითბო, რომელიც თქვენს წერილშია გამოხატული, წერს ლესია უკრაინკა, მას ძალას და იმედს მატებს.

„მე რომ თქვენს წერილს ვიხსენებ, წერს პოეტი, ვფიქრობ და ბოლომდე ნათლად ვერ წარმომიდგენია, რითი გამოვიწვიე ასეთი კეთილი განწყობა, ნუთუ თქვენს გულ მისწვდა ჩემი ლექსები. თქვენ პოეზიის დიდ სამყაროს იცნობთ, რომლის გვერდით ჩემი დაბეჭდილი თუ გამოუქვეყნებელი ლექსები ფერმკრთალნი გამოჩნდებიან. მე ჩემი მდგომარეობითა და შესაძლებლობით როდი შემიძლია ვიყო „მზე“? აიდეალებთ, ძვირფასო მეგობარო.

თქვენ და სხვა ადამიანებსაც თუ ჩემი მუზა გაძლევთ სინათლის ილუზიას – დაე იყოს ეს ოპტიკური ცდომა“.

წერილის ბოლოს პოეტი მადლობას უხდის ა. კრიმსკის და დასძენს – „გასახარია, თუ ისეთ ადამიანს, პოეტს, როგორიც მე ვარ, შეუძლია ვინმეს მიანიჭოს სიამოვნება“.

მადლიერებით აღსავსე ეს წერილი ლესია უკრაინკამ გაუგზავნა აგათაგნელ კრიმსკის და საოცარი თავმდაბლობით თავისი დიდი კმაყოფილება მორიდებით აღნიშნა ა. კრიმსკის მიერ მისი პოეზიის მაღალი შეფასების გამო.

ამ წერილიდან უკვე ჩანს, რომ ლესია უკრაინკას ჰქონდა მიმოწერა, ურთიერთობა თავისი დროის ამ გამოჩენილ პიროვნებასთან, რომელიც მას სიკვდილამდე არ შეუწყვეტია.

აგათაგნელ კრიმსკი იყო გამოჩენილი მეცნიერ-ფილოლოგი, აღმოსავლეთმცოდნე, მწერალი. უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანია აგათანგელ კრიმსკის ნაშრომები ქართველოლოგიის სფეროში. როგორც მისი ნაშრომებიდან ჩანს, იგი ქართველი ხალხის კულტურას საფუძვლიანად იცნობდა.

1885-1889 წლებში აგათანგელ კრიმსკი პავლო გალაგინის კოლეგიუმში სწავლის დროს, ამხანაგობდა ორბელიანთან. მაღალი წარმომავლობის ქართველი ჭაბუკი მისი თანასკოლელი იყო. ეს იყო კრიმსკის პირველი დაფიქსირებული შეხვედრა საქართველოს წარმომადგენელთან.

1889-1892 წწ. მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტში სწავლისას კიდევ უფრო განვითარდა ა. კრიმსკის ინტერესი საქართველოსადმი. ამ ინსტიტუტის პროგრამა ითვალისწინებდა სტუდენტების მიერ ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ძირითადი ძეგლების შესწავლას. ქართულ ენას იქ ასწავლიდა ალ. ხახანაშვილი, რომელთანაც კრიმსკი მეგობრობდა.

საყურადღებო ფაქტია, რომ აგათანგელი 25 წლის ასაკში ამავე ინსტიტუტში ასწავლიდა არაბულ ენას, 30 წლისა უკვე აღმოსავლური ლიტერატურის პროფესორი იყო. ამ პერიოდში აქტიურდება მისი მთარგმნელობითი მოღვაწეობა. მან რუსულ ენაზე თარგმნა ყურანი, დაწერა შრომები არაბულ, თურქულ, სპარსულ ლიტერატურაზე. მისი სამეცნიერო-ლიტერატურული ინტერესი თანდათან გაფართოვდა და მოიცვა ახლო და შუა აღმოსავლეთის ხალხების ენები და ლიტერატურა.

ამ დროისათვის მან მრავალი ენა შეისწავლა. მკვლევრები ვარაუდობენ, რომ იგი 60-ზე მეტ ენას ფლობდა. თვითონ

აგათანგელ კრიმსკი ამბობდა: „უფრო იოლი იქნება ვთქვა, რომელი ენა არ ვიცი მე“.

ა. კრიმსკი თავის ცოდნას ქართველოლოგიაში აღრმავებდა და აფართოვებდა კავკასიასა და საქართველოში მოგზაურობის დროს. ასეთ ვითარებაში მას ეძლეოდა საშუალება უშუალოდ გაცნობოდა იმ ხალხს, მის ცხოვრებას და ყოფას, რომლის შესახებაც საკმაოდ ფართო ინფორმაციას ფლობდა.

ისტორიამ არ შემოგვინახა ა. კრიმსკის კავკასიური შთაბეჭდილებები. მის ლექსთა კრებულში „პალმის რტოები“, რომელიც 1901 წელს გამოიცა ქ. ლვოვში, არის ნაწარმოები, სადაც საუბარია კავკასიაზე. ციკლის („სიყვარული ლუცკურად“) დასასრულს ავტორი მიუთითებს ლექსის დაწერის დროსა და ადგილს, საიდანაც შეიძლება დავადგინოთ, რომ 1900 წლის 5-15 აგვისტოს მან იმოგზაურა ტუაფსედან ბათუმამდე და იმყოფებოდა ბათუმში, ხოლო თბილისში ა. კრიმსკის ყოფნა დაფიქსირებულია ლესია უკრაინკას ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში.

თავის მხრივ, აგათანგელ კრიმისკიც იხსენებს ლესია უკრაინკასთან ურთიერთობას და მასთან ერთად 1904 წლის დამდეგს საქართველოში მოგზაურობას. „ლესიას სჭირდებოდა კავკასიაში მკურნალობა და ჩვენ ერთად გავემგზავრეთ იქეთ. მან ძლიერ შეიყვარა ქართველები, ამბობდა, რომ ქართველი ერი უახლოესია ჩვენთვის, უკრაინელებისათვის. ლესია მეუბნებოდა მე მაშინ, რომ თუ ოდესმე იქნება ხალხთა ფედერაცია, ჩვენ, უკრაინელები განსაკუთრებით მჭიდროდ ვიქნებით დაკავშირებული მეგობარ ქართველებთან. ეს სიტყ-

ვები განსაკუთრებით გვაღელვებს ახლა, როდესაც ასე აყვავდა მეგობრობა უკრაინელ და ქართველ ხალხებს შორის".[54]

აგათანგელ კრიმსკის ლესია უკრაინკასთან ბევრი საინტერესო საუბარი ჰქონია საქართველოზე, მისი ხალხის, მისი მაღალი კულტურის შესახებ, საქართველოს იმდღევანდელი მდგომარეობის, მისი წარსულისა და მომავლის შესახებ.

„1904 წელს საქართველოში ლესია უკრაინკასთან მოგზაურობის დროს, ჩვენ, – წერს აგათანგელ კრიმსკი, – საათობით არ შეგვეძლო თვალი მოგვეწყვიტა საქართველოს უსასრულოდ მომხიბვლელი ბუნებისთვის, ჩვენ დიდხანს და ბევრს ვსაუბრობდით ამ მხარის და მისი მშვენიერი ხალხის შესახებ, მაღალი კულტურის ხალხის შესახებ... ერთხელ ლესია უკრაინკამ თქვა: „მეფის ხელისუფლებასთან ბრძოლის დროს ქართველები, ჩვენთვის, უკრაინელებისათვის იქნებიან ერთგული მოკავშირენი, ისინი აღზრდილნი არიან ღრმა რევოლუციურ ტრადიციებზე, ეს რაინდი ქართველები რევოლუციური გზნებით არიან აღვსილნი. მათ დედის რძესთან ერთად შეიწოვეს სიძულვილი ძალადობისა და მონობისადმი".[55]

საქართველოში ლესია უკრაინკასთან ერთად მოგზაურობიდან რამდენიმე ათეული წლის გავლის შემდეგ უაღრესად ტრაგიკული ბედის მეცნიერი არაერთ საინტერესო და მნიშვნელოვან ნაშრომს შექმნის საქართველოზე, საქართველოს ისტორიასა და ლიტერატურაზე.

---

[54] ა. კრიმსკი, ძვირფასი მეგობრის მოსაგონრად, კიევი, გაზ. „კომუნისტი", 1941, 25.02.

[55] ა. კრიმსკი, ხალხი შლის ფრთებს, გაზ. „სოვეტსკაია უკრაინა", 25.02.



აგათანგელ კრიმსკი

საქართველოში მყოფი ლესია უკრაინკა თითქოს უხილავი ძაფებითაა დაკავშირებული მშობლიურ ქვეყანასთან და მის ლიტერატურასთან. უკრაინული კულტურის ცხოვრების ყოველი მაჯისცემა, მნიშვნელოვანი ახალი ფაქტი თუ მოვლენა საქართველოში მყოფი მგოსნის სულიერ განწყობილებაზე მოქმედებს და მისი პოეზიის ფაქიზ სიმებზე აირეკლება. თბილისური ნესტიანი, თოვლჭყაპიანი ზამთარი მასზე ნაკლებად უარყოფითად მოქმედებს, ვიდრე ზოგიერთი ახლობლის ცივი დამოკიდებულება, მისი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი საქმიანობისადმი.

საქართველოში მყოფი ლესია უკრაინკა წუხს იმის გამო, რომ არაფერი შეატყობინეს მათი ოჯახის მეგობრის, გამოჩენელი უკრაინელი კომპოზიტორის, მ. ლისენკოს იუბილეს შესახებ. მიკოლა ვიტალის ძე კი ლესია უკრაინკასათვის ძალზე საყვარელი და ახლობელი ადამიანი იყო. „სამწუხაროა, დედიკო, – წერდა იგი ოლენა პჩილკას, – მე რომ არ ვიცოდი როდისთვის იყო დანიშნული მიკოლა ვიტალის ძის იუბილე".[56] პოეტი ეკითხებოდა ოლენა პჩილკას იმ კრებულის ბედზე, რომლისთვისაც მას სასწრაფოდ გადააწერინეს ნაწარმოებები, აკონკრეტებდა და ბარათით ატყობინებდა თავისი ლექსების ადრესატებს, წერდა მიხაილო კოციუბინსკისათვის შეპირებული შერჩეული ლექსების თაობაზე და სხვა.

როგორც ვხედავთ, უკრაინელი მგოსანი თბილისში ბევრს და ტემპში მუშაობს. „მე ახლა სასწრაფო სამუშაო მაქვს", „არ შემეძლო მომეწერა წერილი"[57] და სხვა ამგვარი ფრაზები

---

[56] ლესია უკრაინკა, თხზ., ტ. V, წ. გვ. 478.

[57] იქვე, გვ. 476-477.

მიგვანიშნებს, თბილისში თუ როგორი დატვირთვით მუშაობდა. პოეტს ჰქონდა დევიზი – თუკი ვინმე ცხოვრობს, უნდა ცხოვრობდეს შინაარსიანად, მის ცხოვრებას მიზანი უნდა ჰქონდეს,[58] ამიტომაც, მიუხედავად ავადმყოფობისა, ლესია უკრაინკა არასოდეს აძლევდა თავს უფლებას უქმად მოეკლა დრო.

ნოემბერში ლესია უკრაინკამ დაასრულა დრამატული პოემა „რა მოგვცემს ძალას", რომელიც შემდგომ "ტრიპტიქის" – ერთ-ერთ ნაწილად იქცა. თებერვალში დაწერა ლექსები: „მე ვიცოდი ის, რომ იქნებოდა ცრემლები, ტანჯვა", „იეფთაის ასული", აპრილში დაამთავრა პოემა „ეს თქვენ კითხულობთ მათზე".

თბილისში მყოფი ლესია უკრაინკა 1904 წლის 10 იანვარს უკრაინული ლიტერატურის კლასიკოსს მიხაილო კოციუბინსკის უგზავნის წერილს და თბილისში დაწერილ ახალ, გამოუქვეყნებელ ნაწარმოებებს. „ეს ლექსები, – წერს იგი მ. კოციუბინსკის, – არსად არ არის დაბეჭდილი, თანაც სულ ახლახანსაა დაწერილი."[59] აპრილის დამდეგისათვის პოეტი ფიქრობს ჟურნალ „კიევსკაია სტარინას" მიერ გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღებას და საამისოდ დრამის „კარმელიუკის" წარდგენას.

ჯერ კიდევ 1904 წლის თებერვალში ლესია უკრაინკა ჩაიფიქრებს ზღვაზე გამგზავრებას. გაზაფხულისთვის ბათუმში სურს სააგარაკოდ გასვლა. ამისათვის იგი ბინასაც ტოვებს,

---

[58] ლესია უკრაინკა, თხზ. ტ. V, გვ. 482.

[59] იქვე, 1956, გვ. 480.

მაგრამ ბათუმელებმა, როგორც თვითონ ამბობს, დააშინეს მალარიით. ლესია დარჩა თბილისში სასტუმრო „ვიქტორიაში“.

1904 წლის ზაფხული ლესია უკრაინკამ, პოლტავის გუბერნიის სოფელ ზელენი გაიში გაატარა. შემოდგომაზე იგი ისევ საქართველოში აპირებს მობრუნებას. თავდაპირველად ცხინვალში ფიქრობს გაჩერებას, რადგან ხელისუფლება იქ აპირებდა კ. კვიტკას სამუშაოდ გადაყვანას. მაგრამ, როგორც ატყობინებს პოეტი თავისიანებს, გეგმები შეიცვალა. ცხინვალში კლიონია აღარ გადადის.[60] ამიტომაც ლესიამ ისევ თბილისისაკენ აიღო გეზი და ბინაც შეარჩია – დავიდოვის ქუჩის №23-ში (გამრეკელის სახლი).[61] ოქტომბრის 23 რიცხვისათვის პოეტი ოდესიდან, ბათუმის გავლით, თბილისში ჩამოვიდა.[62]

თბილისში ჩამოსულ მგოსანს უკრაინისაგან თავი მოწყვეტილად არ უნდა ეგრძნო, იმ დროისათვის საქართველოში საკმაოდ ბევრი უკრაინელი იმყოფებოდა („აქ ბევრი უკრაინელია“,[63] წერს თვით პოეტი), რომელთა შორისაც იყვნენ მისთვის ახლობელი ადამიანები, მეგობრები თუ ნაცნობები. იმხანად თბილისში იმყოფებოდნენ კვიტკას მშობლები, ივან ფრანკოს ცოლის და – ანა თევდორეს ასული და კიდევ სხვა მრავალი უკრაინელი.

გარდა ამისა ლესია უკრაინკას გაცხოველებული მიმოწერა ჰქონდა თავისი ოჯახის წევრებთან და ცნობილ უკრაინელ მოღვაწეებთან – ოლგა კობლიანსკასთან, ივან ფრანკოსთან, აგათანგელ კრიმსკისთან თუ სხვებთან. ოლგა კობ-

---

60 ლესია უკრაინკა, თხზ., ტ. V., 1956, გვ. 493.

61 იქვე.

62 იქვე, გვ. 494.

63 იქვე, გვ. 478.

ლიანსკას იგი, მაგალითად, ატყობინებს, რომ სლავინსკისთან ერთად მან გადაწყვიტა რუსეთში გამოსცეს ჰაინრიხ ჰაინეს ნაწარმოებთა თარგმანი.[64] ივან ფრანკოს კი 15 ნოემბერს გაგზავნილი წერილით ამცნობს, რომ ჟურნალ „ვისნიკში“ გამოსაქვეყნებლად აგზავნის თავის ორ ლექსს, სხვებს კი გადაწერს და შემდეგ მიაწვდის, რომ დიდი სურვილი აქვს ახალ რაიმეს მოჰკიდოს ხელი; ასევე ,,ერთ კეთილ თბილისელს სურს შეწიროს წიგნები“ შევჩენკოს სახელობის ამხანაგობის ლვოვის ბიბლიოთეკას,[65] ამასთან განზრახული აქვს გამოსცეს ხალხური საცეკვაო სიმღერების პატარა კრებული „ხალხისათვის“;[66] 1904 წლის 25 ნოემბერს გაგზავნილ წერილში ოლენა პჩილკას იგი უზიარებს თავის გულისტკივილს – ჩემს ნაწერებს უკრაინულმა პრესამ დუმილით აუარა გვერდი, „მაგრამ არა უშავს, შევჩენკოსთან ერთად ავიტანთ ამ ხვედრს, მის საზოგადოებაში ეს არ არის სამარცხვინო“.[67]

ლესია უკრაინკას ამ პერიოდის წერილებში მეტი სიცოცხლე, ენერგიულობა იგრძნობა. მგოსანს თითქოს ძალა ემატება და სულიერადაც ამაღლებული ხდება, მიისწრაფვის საზოგადოებრივი ცხოვრების შუაგულისაკენ. იგი მზადაა შეებას საზოგადოებრივ-ლიტერატურული ფრონტის მავნე ძალებს, შემტევ, აქტიურ პოზიციას იკავებს და გვამცნობს თავისი საბრძოლო მზადყოფნის შესახებ. „ვერ მოგწერე წერილი იმიტომ, – ატყობინებდა იგი ოლენა პჩილკას, – რომ სასტიკად ვიყავი აღელვებული... ცნობამ უკრაინის „გაღა-

---

64 ლესია უკრაინკა, თხზ., ტ. V., 1956, გვ. 495.

65 იქვე, გვ. 495.

66 იქვე, გვ. 496.

67 იქვე, გვ. 497.

ტაკებისა“ და რედაქტორად მატუშევსკის მიწვევის შესახებ ისე გამაოცა, რომ ვიფიქრე, ვიფიქრე და დავცხე დეპეშა სლავინსკის, რათა მას „იუჟნიე ზაპისკის“ რეკომენდაცია ჩემთვის გაეწია.“ მწერალი აღშფოთებულია იმ გარემოებით, რომ რეაქციონერთა და განსაკუთრებით რუს რეაქციონერთა წრე ისე სვამს საკითხს, თითქოს „უკრაინელი“ ლიტერატორები საერთოდ არ არსებობენ“.[68]

ლესია უკრაინკა გრძნობს თავის შინაგან ძალას, ეტყობა, ხედავს სიმართლისათვის აზვირთებულ ტალღას და აღარც ცდილობს დაიოკოს ბრძოლის მოწოლილი ჟინი. მას სურს ჩაებას საზოგადოებრივ აქტიურ საქმიანობა-ბრძოლაში და რაღაც პრაქტიკული წვლილი შეიტანოს მასში. „მე მიტაცებს ოცნება, – წერს იგი, – ვიცხოვრო დამოუკიდებლად, მქონდეს გარკვეული პასუხსაგები სამუშაო, სამუშაო აქტიური და როგორც არ უნდა იყოს, ორგანიზატორული“.[69] მწერალს ესმის, რომ არაა იოლი ხალხის სამსახური, მაგრამ იგი მზადაა არა მარტო პოეტური კალმით, არამედ საქმითაც თავისი ნიჭი და შესაძლებლობანი სიმართლისა და სიკეთის სამსახურში ჩააყენოს.

**შიო ჩიტაძე.** „საღამოობით ხალხმა ისევ მოუხშირა ჩვენთან სიარულს, ხან ჩვენ გვეძახიან...“[70] – წერს ლესია ოლენა პჩილკას და ცოტა ქვემოთ ხალხის აფორიაქების, აწრიალების მიზეზსაც ამცნობს. „ვიყავი ჩიტაძეებთან“, „ეს ეს არის ჩემთან იყვნენ ქალბატონი ჩიტაძისა და მისი და... მასთან მე კეთილმეგობრული ურთიერთობა მაქვს, ხშირად დავდივარ

---

68 ლესია უკრაინკა, თხზ., ტ. V., 1956, გვ. 497.

69 იქვე.

70 იქვე, გვ. 499.

მათთან."[71] – წერს ლესია უკრაინკა და შიო ჩიტაძისა და მისი ოჯახისადმი პატივისცემას გვაგრძნობინებს.

შიო ჩიტაძე ჯერ კიდევ კიევში ყოფნის დროს გაეცნო კოსაჩების ოჯახს, ხოლო საქართველოში ლესია უკრაინკას ჩამოსვლის შემდეგ, გამოჩენილი მოღვაწე, ნიჭიერი პედაგოგი და ჭეშმარიტი მოქალაქე თავის მეუღლესთან იუსტინა კირილლეს ასულ შჩერბანთან ერთად, მოწინავე საზოგადოებრიობის თხოვნით, 1904 წელს თავის სამშობლოში ბრუნდება. თბილისში იგი კვლავ ხვდება უკრაინელ მგოსანს.

შიო ჩიტაძემ საქართველოში გააჩაღა პედაგოგიურ-საზოგადოებრივი, ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოღვაწეობა. მან შესანიშნავი წერილები გამოაქვეყნა პრესაში ქართველ თუ რუს კლასიკოსთა თხზულებების შესახებ. მისი სტატიები ნიკოლოზ ბარათაშვილის, მაქსიმ გორკის, ჩეხოვისა თუ სხვათა ცხოვრება-მოღვაწეობაზე საზოგადოებრიობის ყურადღებას და მოწონებას იმსახურებდა. პედაგოგიურ ფრონტზე მუშაობისას, ქართული გიმნაზიის ინსპექტორი შიო ჩიტაძე ზრუნავდა არა მარტო სწავლების ორგანიზაციულ მხარეზე – გიმნაზიის რეორგანიზაციაზე, არამედ მის შინაარსზეც, მოსწავლე ახალგაზრდობის იდეურ აღზრდაზე, სამშობლოს ერთგული თაობის აღზრდაზე.

შიო ჩიტაძე ფიქრობდა საქართველოში ჩამოსული უკრაინელი მწერლის დაახლოვებას ქართველ შემოქმედებთან, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებთან. როგორც ამას ჩვენი სახელოვანი მწერალი ნინო ნაკაშიძე გადმოგვცემს, ლესია უკრაინკას ქართული ჟურნალისათვის საგანგებოდ ლექსის დაწერაც ჰქონია განზრახული. „შიო ჩიტაძე – უამბნია ნ. ნაკა-

[71] ლესია უკრაინკა, თხზ., ტ. V., 1956, გვ. 502.

შიძეს ცნობილი მკვლევრის ლევან ასათიანისათვის – თანამშრომლობდა საბავშვო ჟურნალ „ნაკადულში“. ერთხელ ჟურნალის რედაქციაში მოვიდა და გვითხრა, რომ ამჟამად თბილისში იმყოფება ჩემი მეგობარი, ცნობილი უკრაინელი მწერალი ქალი ლესია უკრაინკაო. შიომ დასძინა, რომ ლესია ჩვენი საბავშვო ჟურნალისათვის ლექსსაც შეგვპირდაო“.[72] სამწუხაროდ, ეს დაპირება მას ვერ შეუსრულებია. ამ შემთხვევიდან მცირე ხნის გასვლის შემდეგ შიო ჩიტაძე დაიღუპა და ლესია უკრაინკაც სამშობლოში გამგზავრებულა. რედაქციამ მასთან კავშირის დამყარება ვეღარ მოასწრო.

შიო ჩიტაძემ ხელისუფლებისათვის პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო პიროვნების სახელი ჯერ კიდევ კიევში ყოფნის დროს დაიმსახურა. 1897 წელს იგი კიევის სტუდენტთა პოლიტიკურ გამოსვლებში მონაწილეობისათვის ჟანდარმერიამ დააპატიმრა.[73]

კიევში სწავლისა და ცხოვრების დროს შიო ჩიტაძე მეგობრობდა უკრაინელ ლიტერატორსა და ჟურნალისტთან ვ. ჩაგოვეცთან. ვ. ჩაგოვეცი შიო ჩიტაძეს თავის მოგონებებში ახასიათებს, როგორც ნიჭიერ პედაგოგსა და შესანიშნავ ორატორს, საზოგადოებრივ მოღვაწეს, კიევის ინტელიგენციაში მიღებულ პირს.

შიო ჩიტაძესთან ერთად კიევის ერთ-ერთ გიმნაზიაში ასწავლიდა ე. ტარლე. ეს ის ტარლეა, რომელიც XX საუკუნის ცნობილი ისტორიკოსი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე იყო. აკადემიკოსი ტარლე თავის მოგონებებში შიო ჩიტაძეზე

---

[72] ლევან ასათიანი, ქართველი ხალხის ლიტერატურული ურთიერთობანი მოძმე ხალხებთან, თბ., 1955, გვ. 213.

[73] იხ. შ. სიხარულიძე, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1951, №8.

წერდა: „იგი მაოცებდა თავისი მრავალმხრივი ნაკითხობით, მომწიფებული მსჯელობით, ინტელექტის მაღალი დონით. იგი მეტად უყვარდათ მოწაფეებს. იგი მონაწილეობდა „პოლიტიკური ტუსაღების დამხმარე წითელ ჯვარში“ და ხშირად დაჰქონდა წიგნები ლუკიანოვის ციხეში“

ეჭვგარეშეა, რომ სწორედ ჩიტაძეების გავლენითა თუ მეშვეობით ეცნობოდა ლესია უკრაინკა საქართველოში მიმდინარე რევოლუციურ პროცესებს, რომლებმაც ესოდენ დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს უკრაინელ მწერალ ქალზე.

როგორც ცნობილია, იმ დროისათვის რუსეთში შეინიშნებოდა რევოლუციური აღმავლობა. მუშათა და გლეხთა წრეების მღელვარება, უკმაყოფილება არსებული რეჟიმით. რევოლუციური სამზადისი დიდი გამოსვლებისათვის საქართველოსათვისაც იყო დამახასიათებელი. 1905 წლის 9 იანვრის სისხლიანმა კვირამ ერთხელ კიდევ დაანახა მუშათა კლასსა და საერთოდ, საზოგადოებრიობას, რომ მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაა საჭირო. მის დასამხობად, მთელს რუსეთში მუშათა რევოლუციური გამოსვლები დაიწყო.

18 იანვარს თბილისის მუშებმა გაფიცვა მოაწყვეს. 19 იანვარს გაფიცულმა მუშებმა დიდუბეში მრავალათასიანი მიტინგი გამართეს. 23 იანვარს კი ქალაქში მასობრივი პოლიტიკური დემონსტრაცია დაიწყო. „ძირს თვითმპყრობელობა!“ – ასეთი იყო დემონსტრაციის ძირითადი ლოზუნგი.

ლესია უკრაინკა ამ დროისათვის თბილისშია და, რა თქმა უნდა, რევოლუციური გამოსვლების საქმის კურსშიც იმყოფება. 1905 წლის 6 თებერვლის წერილში იგი ოლენა პჩილკას თბილისში მომხდარ ამბებს ამცნობდა: „მოთხრობა, რომელიც შემოდგომაზე დავიწყე საკონკურსოდ... ჯერ კიდევ



შიო ჩიტაძე

არაა დამთავრებული, რადგანაც აზრები „გაზაფხულის“ და „ზამთრის“ ყოველდღიური ცვლილებების გამო ამგვარი მშვიდი თემებისათვის ვერ იცლიან. თბილისშიც იყო ასეთი „გაზაფხულის“ დღე, როდესაც ადამიანთა სისხლის ტბორები საღამომდე იდგა ქვაფენილებზე. ამგვარ ვითარებაში აბა რა მშვიდ თემებზე შეიძლება ფიქრი....“[74]

რევოლუციური ტალღა თბილისის სასწავლებლებსაც მძლავრად შეეხო. გიმნაზიელებმა თავიანთი დემოკრატიული მოთხოვნები წამოაყენეს, სწავლა შეწყდა. ლესია უკრაინკა ამ საქმის კურსშიც არის და დედისადმი მიწერილ ბარათში მოსწავლეთა მღელვარების სურათს წარმოგვიდგენს: „აქ იყო მღელვარება ყველა საშუალო სკოლაში, მათ შორის ქალთა სკოლებშიაც, „ქალთა კეთილშობილ“ ინსტიტუტში და „ეპარქიალურ“ სასწავლებელში! ვაჟთა გიმნაზიებში მოეწყო კრებები, დაამტვრიეს ფანჯრები, გააძევეს (მიაღწიეს გადადგომას) რამდენიმე მასწავლებელი და ერთი დირექტორი. ქართულ სათავადაზნაურო სკოლაში (სადაც ჩიტაძეა) გამოსცეს ახალი წესდება, სადაც გათვალისწინებულია კრებების მოწვევის უფლება მასწავლებელთა დასწრებით და „მოსწავლეთა საბჭოს“ შექმნა, რომელსაც უფლება აქვს გააკეთოს თავისი განცხადებები პედაგოგიურ საბჭოზე; ეს მიღწეული იქნა ფანჯრების დაულეწავად და სხვა უწესობის ჩაუდენლად. დირექტორის ტაქტის წყალობით მხოლოდ 12 მოსწავლემ დატოვა სკოლა, განაცხადეს რა, რომ ყველაზე წესი-

[74] ლესია უკრაინკა, თხზ., ტ. V, გვ. 499.

ერი მმართველობაც კი მმართველობაა, ხოლო მათ არავითარი მმართველობა არ სურთ... ქალთა ინსტიტუტში მღელვარება იმის გამო იყო, რომ ერთი მოსწავლე მაღალი კლასიდან დაბალში გადაიყვანეს, რათა მხარის უფროსის ქალიშვილისათვის ვაკანსია შეექმნათ, მასწავლებელი კი, რომელმაც ამის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადა, გადააყენეს. ქალიშვილებმა ერთი აყალმაყალი ატეხეს თავიანთი მეგობრისა და მასწავლებლის გამოც. პროტესტის ნიშნად ჩაამტვრიეს ფანჯრები, ხოლო დირექტორს, რომელიც მათ დასამშვიდებლად მივიდა ფეხსაცმელები ესროლეს და გარეთ გააგდეს. მან გადადგომა ითხოვა, ხოლო ინსტიტუტი ჯერჯერობით დახურულია. ეპარქიალური სასწავლებლის მოსწავლეებმა ანტირელიგიური ბუნტი მოაწყვეს.... სკოლა დაკეტეს. აი, ასეა საქმე!"[75]

წერილის გაგზავნიდან სულ რაღაც შვიდიოდე დღის შემდეგ თბილისში კვლავ მოეწყო მასობრივი პოლიტიკური დემონსტრაცია, რომელიც მიმართული იყო მეფის ხელისუფლების მიერ ბაქოში პროვოცირებული სომეხ-თათართა ჟლეტის წინააღმდეგ. ამ გამოსვლაში რამდენიმე ათასმა თბილისელმა მიიღო მონაწილეობა. ლესია უკრაინკა ბეჯითად ადევნებდა თვალს ხალხთა ამ მღელვარებას.

საქართველოში შექმნილ ამ ვითარებას, რომელსაც თავის ახლობლებს ლესია უკრაინკა აცნობდა, შეუშფოთებია მისი მშობლები. მათ დეპეშით მოუკითხავთ ლესია. პოეტი საპასუხო ბარათს უგზავნის მათ, ამშვიდებს და თან ჰპირდე-

[75] ლესია უკრაინკა, თხზ., ტ. V, გვ. 501.

ბა – „მალე მოგწერთ წერილს თბილისის ამბების აღწერით."[76] სამწუხაროდ, ამ ბარათს, ჩვენამდე არ მოუღწევია. როგორც ფიქრობენ იგი განზრახ უნდა იყოს მოსპობილი.

საქართველოში კი ამ დროს მღელვარება არ ჩამცხრალა. თბილისის გაფიცვებს საქართველოს სხვა კუთხეშიც გამოეხმაურნენ. „გურიაში აჯანყება ფართოვდება, – წერდა ლესია უკრაინკა, – ადრე ადმინისტრაციის წინააღმდეგ იბრძოდნენ, ახლა კი სასამართლოსაც შეეხნენ (სურთ არჩეული მოსამართლეების შეცვლა და პროცესზე ადგილობრივი ენის შემოღება)".[77]

ასე ასურათებს ლესია უკრაინკა საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას, საზოგადოებრიობის განწყობილებას. უკრაინელი მგოსანი მთლიანად და სავსებით მშრომელთა მხარეს იკავებდა, რევოლუციონერებთან იყო სულითა და გულით. ეჭვი არ უნდა იყოს, რომ ამ სიტუაციის გარკვევაში ლესიას ეხმარებოდა შიო ჩიტაძე, რომელიც თავისი პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი პოზიციებით მთლიანად პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებთან ერთად იდგა. მოკიდებული სტუდენტობიდან, შიო ჩიტაძე, ყელზე ადგა ჟანდარმერიას, მისი საქმიანობა აშფოთებდა და არისხებდა ხელისუფლებას. ამიტომაც მათ გამოიყენეს ხელსაყრელი მომენტი და იმის გამო, რომ 1906 წლის 17 ივლისს თბილისის გიმნაზიის შენობის წინ პოლიცმეისტერ მარტინოვს ბომბი ესროლეს და მძიმედ დაჭრეს, მეფის ხელისუფლების დამქაშები შეიჭრნენ გიმნაზიაში, მილეწ-მოლეწეს იქაურობა, შიო ჩიტაძე კი წამებით მოკლეს.

---

[76] ლესია უკრაინკა, თხზ., ტ. V, 1956, გვ. 503.

[77] იქვე, გვ. 500.

ამ მხეცურმა მკვლელობამ ქართველი საზოგადოებრიობის აღშფოთება გამოიწვია. ბოლშევიკური გაზეთი „ახალი ცხოვრება“ წერდა – „თვითმპყრობელობის ავკაცობათა დაუსრულებელ რიგს კიდევ ერთი სიმხეცე მიემატა. ჩიტაძე ერთი საუკეთესო წევრთაგანი იყო მოწინავე ქართველი ახალგაზრდობისა. დაე, ეს მსხვერპლიც მუდამ განუშორებელი იყოს ჩვენი ხსოვნიდან და სისხლის ასაღებად მოგვიწოდებდეს!“

ეს სახელოვანი მოღვაწე, 1905 წლის რევოლუციური გამოსვლების დროს, გვერდით ედგა ლესია უკრაინკას და ეხმარებოდა მას გარკვეულიყო საქართველოში მიმდინარე პროცესებში, ქართველი რევოლუციონერების, სტუდენტი-ახალგაზრდობის, მოწინავე ინტელიგენციის განწყობილებათა გაგებაში. ამ მხრივ უკრაინელი მგოსნისა და ქართველი პატრიოტის ურთიერთობა – მეგობრობას უთუოდ ჰქონდა მნიშვნელობა.

ლესია უკრაინკამ თბილისში გაატარა 1900-იანი წლების დამდეგი. ეს ხანა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საქართველოს მოწინავე საზოგადოებრივი ძალების დარაზმვისა და გამოსვლების პერიოდია. ამ მოვლენებს არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა უკრაინელი მგოსნის მსოფლმხედველობაზე და მის პოეტურ სიტყვაზე. ლესია უკრაინკას ამ პერიოდის შემოქმედებაში ჭეშმარიტად აირეკლა რევოლუციური განწყობილებანი, მოტივები, სახეები.

ჯერ კიდევ 1903 წელს საზღვარგარეთ დაწერილ ლექსში „კვამლი“ ლესია უკრაინკამ დაუფარავად გამოხატა კაპიტალისტური სისტემისადმი ზიზღი, ხოლო მუშათა კლასთან თავისი სოლიდარობა. ამ პერიოდის სხვა ნაწარმოებებში მგოსანი მიესალმება ამ კაშკაშა ვარსკვლავებს, რომლებიც მშრომელი კლასის განთიადის მომასწავებელნი იყვნენ („ცა-

ში ასე კაშკაშებენ ვარსკვლავები"), უმღერის მღელვარე ზღვას, რომლის მძაფრი ტალღები თითქოს აღმდგარი ხალხის გოლიათური ძალააო, შეუდრეკელად უტევენ. ლესია უკრაინკა სულითა და გულით მიესალმა რევოლუციას.

1904 წელს თბილისში დაწერილ ნაწარმოებში – „რა მოგვცემს ძალას" (ეს არის „ტრიპტიქის პირველი პოემა) ერთგვარად აირეკლა ძმის მიხაილოსა და მეგობრის ს. მერჟინსკის დაკარგვით გამოწვეული მძიმე განცდები. მაგრამ ეს საშინელი ტრავმა ვერ აიძულებს პოეტს თავისი ცხოვრების მაგისტრალური ხაზიდან გადაუხვიოს და, თუნდაც დროებით, თავისი იდეალები დაივიწყოს. მწერალმა თავისი კალამი, მხატვრული სიტყვა – ხალხის სამსახურს მიუძღვნა, შემოქმედებითი სიცოცხლე რევოლუციის ქარტეხილს შეუერთა და ამიტომაც ხალხთა სოციალური და ნაციონალური ჩაგვრისაგან გათავისუფლება, ახალი სოციალისტური სამყაროს შენება მისი პოეზიის ძირითად თემად დარჩა („მე ვიცოდი, რომ იქნებოდა ცრემლები, ტანჯვა").

თბილისში დაწერილი ლექსის „იეფთაის ასული"-ის ლაიტმოტივი სამშობლოსა და ხალხის ერთგულებაა. მართალია ბიბლიური სიუჟეტი ერთგვარად ზღუდავდა პოეტს ამ მოტივის გასაშლელად, მაგრამ ნაწარმოებში მაინც ძალუმად ახმიანდა ჭეშმარიტი სიცოცხლის სიყვარული.

ხალხის სიდიადის, მისი უკვდავების თემა უფრო გამოკვეთილად და სრულყოფილად აჟღერდა საქართველოში მიღებული შთაბეჭდილებების შდეგად შექმნილ ნაწარმოებში – „წარწერა ნანგრევში".

ლესია უკრაინკა გამოირჩევა ინტელექტუალური ბუნებით, იდეათა ჭიდილით, აზრებით, ფიქრებით ხალხისა და ტირანის ბედზე, ხვედრზე ამ ცხოვრებაში. პოეტი ამის შესახებ გვესაუბრება ლექსში „წარწერა ნანგრევში". ამ ლექსში

ავტორი უმღერის ხალხის სიდიადის მარადიულობას, მისი გმირული შრომის წარუშლელობას.

მეუფე ზის უმაღლეს ტახტზე ამაყად. მასთან უძვირფასესი საჩუქრებით მიდიან თავდახრილები. დესპოტი მეფე დაუნდობლად უსწორდება ხალხს, მძიმე ეგვიპტური შრომით სულს ხდის მათ, ხოლო ვინც მტანჯველ შრომას გადაურჩება, მათ ბრძოლისაკენ მიერეკება მეფე დიდებული:

და მიდის ხალხი, ვით ტალღები ოკეანეში,
მიდის ურიცხვი, უნაპირო–ბრძოლის ველებზე
და ფეხქვეშ უხმოდ გაეგება ტირანის ცხენებს.
ხოლო ისინი, ვინც ცოცხლები გადარჩნენ ისევ,
იღუპებიან ეგვიპტური უმძიმეს შრომით.

*(თარგმნა თეიმურაზ ჯანგულაშვილმა)*

შრომობს ეგვიპტელი ხალხი, მუხლჩაუხრელი შრომობს. მონები თხრიან მიწას, თლიან ქვებს, თიხისაგან აგურს წვავენ მშენებლობისათვის, აჰყავთ დიდებული აკლდამის კედლები:

„აჰყავს კედლები, დიდი ძეგლები.
წახრილ ბეჭებით მოაქვს, აშენებს,
ის ქმნის დიდებულ და მარადიულ
ჩუქურთმებს, ძეგლებს, სურათებს, ნაყშებს.

ყველა ნაკეთობას მშენებელი ხალხის ხელი ემჩნევა, ყველა ძეგლი ხალხის შრომითა და ნიჭითაა აშენებული და დამშვენებული:

და ყველა სვეტი, ყველა ნახატი,
ძეგლი, ჩუქურთმა, თვით ყველა ქვაც კი

უხილავი ბაგით ღაღადებს ასე:
მე ეგვიპტელმა ხალხმა შემქმნაო.

უგულო ტირანს კი სურს საფლავებში იხილოს ურჩი ეგვიპტელები. იგი დაუნდობლად უსწორდება ყველას, ვინც მისი სიტყვის წამიერად შესრულებას ვერ შეძლებს.

მოკვდა ტირანი მეფე. დიდი ხანია საფლავში წევს. ჩამოინგრა წარწერა აკლდამაზე. „მისი საფლავი ხალხს უძღვნა ძეგლად ბედმა". მხოლოდ ფერგაცლილი წარწერა დარჩა, რომლისგანაც ჩვენ ვერ შევიტყობთ ტირანის სახელს. მეცნიერებო, პოეტებო, წერს ლესია უკრაინკა, ნუ იოცნებებთ მეფის გამქრალი სახელის პოვნაზე:

ნურც თქვენ, მგოსნებო, ნურც თქვენ, სწავლულნო,
ანი, ამაოდ ნუღარ ეცდებით
ამოიკითხოთ მეფის სახელი, –
მისი საფლავი ხალხს უძღვნა ძეგლად
ბედმა, დაე გაწყდნენ მეფენი!

*(თარგმნა მაყვალა მრევლიშვილმა)*

ნიშანდობლივია, რომ ლესია უკრაინკა ნაწარმოებში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ყოველი ტირანი ერთმანეთს ჰგავს. ხალხისთვის ნებისმიერი ტირანი უბედურებაა. იგი, მაგალითად, წერს:

მისი სახე ჰგავს თუთბესს და რამზესს
და ყველა ტირანს!

სხვაგან:

მისი სახე ჰგავს თარაკს და მენეფტს,
ისევე როგორც ყველა სხვა ტირანს.

*(თარგმნა თეიმურაზ ჯანგულაშვილმა)*

1905 წლის რევოლუციის წინა დღეს ასე გაბედულად გაილაშქრა მეფის წინააღმდეგ, მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ პოეტმა ქალმა.

როდესაც ლესია უკრაინკას მხატვრული შემოქმედების მრავალფეროვნებასა და სიმდიდრეზე ვმსჯელობთ, შორეულ ქვეყნებში უძველეს დროში შემოქმედებითი მოგზაურობის მის უნარზე ვსაუბრობთ, სადაც იგი ყოველთვის ახერხებდა მათთვის თანამედროვეობის ჟღერადობის მიცემას, იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ამგვარი ფერისცვალება, დროსა და სივრცეში გადაადგილება შეეძლო მხოლოდ იმ პოეტს, რომელიც დაჯილდოებული იყო გარდასახვის დიდი ნიჭით.

ლესია უკრაინკა თავისი დროის იდეური მებრძოლი იყო, ოღონდ ამ იდეების, მათთვის კონკრეტული ფორმების გამოძებნის დროს თვალწინ ედგა ტარას შევჩენკო, რომელსაც პოეტი აღმერთებდა. ტარას შევჩენკომ დაანათლა პოეტს ბუნტარული, მებრძოლი სული. პოეტი ქალისათვის ცხოვრების ლოზუნგად იქცა ტარას შევჩენკოს მოწოდება – „იბრძოლეთ და გაიმარჯვებთ!“ ლესია უკრაინკასთვის სახელოვანი მწერლების შემოქმედება, ისე როგორც ხალხური ზეპირსიტყვიერება, ფოლკლორი იყო ის წყარო, საიდანაც საზრდოობდა და მდიდრდებოდა იდეურად თუ მხატვრულად უკრაინელი მგოსანი.

საქართველოში, და თავის სამშობლოშიც, მწერალმა ნათლად დაინახა, თუ როგორ ჩაგრავდნენ სხვა ეროვნების წარმომადგენლებს რუსი ველიკოდერჟავული შოვინისტები. ქართველებსა და, საერთოდ, კავკასიის ხალხებს მეფის ხელისუფლების დამქაშები ველურ ხალხს, „ტუზემცებს“ ეძახდნენ. ცარისტული რუსეთის მოხელეთა ამგვარი დამოკიდებულება ადამიანებისადმი აღაშფოთებდა მგოსანს და რის-

ხვას ამოათქმევინებდა ხელისუფლების წინააღმდეგ. 1904 წლის გაზაფხულზე მწერალმა თბილისში შექმნა პოემა „ეს თქვენ კითხულობთ მათზე?“, რომელშიაც მეფის არმიაში ძალით გაწვეული იაკუტებისადმი თანაგრძნობა გამოხატა. ავტორმა დაგმო მეფის ხელისუფლების ეს პოლიტიკა და დაჩაგრულ ხალხებს სიმპათია გამოუცხადა.

იმავე 1904 წელს, შემოდგომაზე ლესია უკრაინკამ დაწერა მშვენიერი ლირიკული ლექსი – „როცა ჩავცქერი საყვარელ თვალებს“.

როცა ჩავცქერი საყვარელ თვალებს,
სული უცნაურ თვისებას ავლენს.
სულს ვარსკვლავები ოქროსფრად ქარგავს,
ბაგეს აწყდება სიტყვები, მაგრამ
არა იმგვარი, როგორზეც მაშინ
მე ვოცნებობდი – ღამით ბურანში.

წერს პოეტი და ნატრობს:

ნეტავი მომცა გრძნეული სიმი
და აჟღერება შევძლო იმ სიმის.
მე მძლავრ სიმღერას ვიტყოდი მაშინ,
დე, მას წაეღო ჩრდილი კაეშნის,
რომელიც სულის ფსკერზე თვლემს ახლაც,
ვერ მიმიცია რომლისთვის ახსნა,
მაგრამ ვგრძნობ – იგი რარიგად მიყვარს,
როგორც ჩურჩულით სათქმელი სიტყვა.

*(თარგმნა ავთანდილ გაფრინდაშვილმა)*

მგოსანს სურს თავისი სანუკვარი ოცნების, „ჩურჩულით სათქმელი სიტყვის“ გამხელა მკითხველისათვის, სურს მძლავრი და მხნე სიმღერის თქმაც, მაგრამ ამის საშუალება არა აქვს და, ამჯერად, გულდაკოდილის სურვილი მხოლოდ სურვილად რჩება.

მწერლის ამ პერიოდის შემოქმედებაში მნიშვნელოვანია თბილისში შექმნილი ნაწარმოები – „შემოდგომის ზღაპარი“.

**„შემოდგომის ზღაპარი“.** ფანტასტიკურ დრამას „შემოდგომის ზღაპარს“ ლესია უკრაინკას შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. ამ დრამაში ლესია უკრაინკა ხალხური ზღაპრის მოტივებს იყენებს. მხოლოდ ამ ზღაპრის გმირებს სრულიად ახალ, თავისებურ სულს შთაბერავს.

ერთ რომელიღაც სახელმწიფოში მეფობს ტირანი ხელმწიფე. მას შემოკრებილი ჰყავს ალეგორიულად საქონელში განსახიერებული ხალხის მჩაგვრელთა მრავალრიცხოვანი ხროვა. ახალი ცხოვრების მშენებელმა მუშა ხალხმა ვერ აიტანა ამდენი უსამართლობა, ტანჯვა და აჯანყდა. ისინი გაეშურნენ ბროლის მაღალი მთის მწვერვალისაკენ, სადაც მეფეს დამწყვდეული ჰყავდა პრინცესა, რომელიც მწერალს დატყვევებული თავისუფლების სახით ჰყავს გამოყვანილი და მის გათავისუფლებას ცდილობენ. მძიმე და სისხლისმღვრელი იყო თავისუფლებისათვის ბრძოლა, მაგრამ მუშები „მშენებლის“ მეთაურობით უკან მაინც არ იხევენ.

ფანტასტიკური დრამა „შემოდგომის ზღაპარი“ პირობითად ოთხი თავისაგან შედგება. პირველ თავში მოახლე ქალი, რომლის მოვალეობა იყო ღორების მოვლა, დატყვევებულ რაინდს ეხმარება დილეგიდან თავის დაღწევაში. დილეგში იგი დაამწყვდია მეფემ. მეორე თავში მოთხრობილია პრინ-

ცესას ვინაობაზე და მის ბედზე, „გუშინდელი უბრალო ფეხშიშველა ქალის“ ბედზე. მომდევნო თავში გრძელდება პრინცესაზე საუბარი. ამის შემდეგ იწყება ახალი თავი, რომელიც არსებითად ნაწარმოების ღერძს წარმოადგენს. სცენაზე ჩნდება პირუტყვებისათვის განკუთვნილი და რამდენიმე ადგილას გადაღობილი დიდი გომური, თავლა და ბაკი. მწყემსები იწყებენ სადგომების ნგრევას. გაღიზიანებული საქონელი, ღორები, ხარები, ცხენები გამოვარდებიან სადგომებიდან და რაც წინ ხვდებათ ყველაფერს ანგრევენ, თელავენ. აჯანყებულები, მშენებლის მეთაურობით განაგრძობენ ბრძოლას.

ფანტასტიკური დრამის ჟანრმა ავტორს საშუალება მისცა ალეგორიულად განესახიერებინა მოქმედი გმირები და შექმნილი მდგომარეობაც.

დრამაში მეფის წინააღმდეგ ამხედრებული ხალხის გამოსვლით ლესია უკრაინკამ დაგვანახა ხალხის ბრძოლა რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ თბილისში 1905 წლის იანვრის რევოლუციის დროს. მეფის სახით მწერალმა წარმოადგინა თვითმპყრობელობა. მეფის მიერ აშენებული ნაგებობები – ციხეები, საპყრობილეები ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი გმირებისათვის არის განკუთვნილი, ხოლო საღორეები, თავლები, გომურები – პოლიციური, სადამსჯელო ორგანოების სამყოფელია. სხვადასხვა ჯიშის საქონელი მეფის ხელისუფლების დამცველი რეაქციული ძალებია, რომლებიც მას ხალხის დამორჩილებაში ეხმარებიან.

მოქმედება იწყება და მიმდინარეობს იმ დროს, როდესაც ხალხი დაუმორჩილებელი გახდა:

. . .ხალხი ასე ბუზღუნებს,
რომ საღორედან საზიზღრი სუნი მოდისო.
სუნთქვა გვიჭირსო... კიდევ რაო? ისაო, რომა,
წყალიც წახდაო ჩვენს ჭებსა და ნაკაულებში.
ნაკადულები ხომ ბაკებთან მოედინება?!''

*(„შემოდგომის ზღაპარი",*
*თარგმნა ალეკო შენგელიამ)*

მეფე გრძნობს და ხედავს, რომ ხალხი გაჯიუტდა, უფრო გაკერპდა. ხალხის კიდევ უფრო გაღიზიანების თავიდან ასაცილებლად „ბრძანა მეფემ გასუფთავება" გომურებისა და საღორეების, ხოლო თვითონ შეუდგა „საავადმყოფოს" მშენებლობას, ფაქტობრივად, ახალი ციხის აგებას.

თავისუფლების ყველაზე დიდი მტერი მეფეა, მაგრამ მეფის გარდა, ნაწარმოებში სხვებიც არიან გამოყვანილნი. მაგალითად, რაინდი, რომელშიც, ფაქტობრივად, განსახიერებული არის მეფის ერთგული ყმა და თავისუფლების მტერი. ნაწარმოებში რაინდი ცდილობს რაღაცნაირად დაუკავშიროს თავისი ბედი სახალხო მოძრაობას. მას ისიც კი ჰგონია, რომ მისი სიკვდილი, ლამაზი და შთამბეჭდავი, ხალხში მღელვარებას გამოიწვევს. მას არ ესმის ხალხის, ამიტომაცაა რაინდს ხალხი არ მიჰყავს საბრძოლველად ტირანის წინააღმდეგ. მას სჯერა, რომ

... ყოველმხრივ მყუდროება ბრძანებლობს ახლა,
როგორც ამ დამპალ, უსინათლო საპყრობილეში.
დუმს ხალხის სისხლიც, არ აჩქროლებს შურისძიება
და სუსტ ძარღვებში უნიათოდ დის და ცივდება.
რაინდი ადრე მეფის კარზე მიღებული პირი იყო.

იგი ხანდახან ლაპარაკობდა ხალხზე და მის თავისუფლებაზე. როგორც ნაწარმოებიდან ჩანს, რაინდი „ეთამაშებოდა“ ხალხს ისევე, როგორც თვით მეფე. მოახლე ქალი, რომლისგანაც მკითხველი საკმაო ინფორმაციას იღებს რაინდის შესახებ, ცდილობს „ქალბატონი“ გახდეს. მაგრამ რაინდი ზურგს შეაქცევს მას, მთაზე აცოცებას ცდილობს, რათა პრინცესა გაათავისუფლოს, მაგრამ ამას მარტო აკეთებს. ყოველი მისი წინამორბედი, რომელიც ასევე მარტო ცდილობდა მთაზე ასვლას, ჩამოვარდა და მიწაზე დაენარცხა. ასეთი 100-ზე მეტი დაითვალა ხალხმა.

ყურადსაღებია, რომ რაინდი პრინცესას გათავისუფლებას ცდილობს და არა ხალხისას. პირველივე ცდის შემდეგ იგი წარმატების იმედს კარგავს და ცდილობს სხვებსაც გადააფიქრებინოს მთის წვერზე ასვლა. რაინდი დარჩა „მთის ყველაზე დაბალ საფეხურზე“.

თავლია ყინულს შემოდგომაც ადვილად ალხობს,
მთა უსათუოდ დაინგრევა, ჩვენც ქვეშ მოვყვებით.

ამბობს რაინდი და აჯანყებულებს სთავაზობს:

... აქ ჩამოვსხდეთ, პირველ შვერილზე.
საფრთხეს ავცდებით – ვერ მოგვწვდება რისხვა ნახირის,
ჰოდა, ველოდოთ ამღვრეული წყალის დაწმენდას.

აჯანყებულებს არ სჯერათ მისი სიტყვის, არ იზიარებენ მის აზრს, მათ აღარ უნდათ ისევ ტალახსა და უსუფთაობაში ცხოვრება. რაინდი კი არწმუნებს მათ:

ჰაერი უკვე საკმარისად სუფთა იქნება.
და, შესაძლოა, გომურებიც სულ დაანგრიონ.

მისი ნათქვამით აღელვებული პრინცესა მიმართავს რაინდს – „ნუთუ... არ მოგბეზრდა მონური ყოფა!“. რაინდის პასუხში აშკარად გამოჩნდება მისი მხდალი ხასიათი – „რაკი საკმაოდ დავზარალდით ამ ბრძოლაში და დავსახიჩრდით კიდეც, ჩვენ საშიში აღარა ვართ ხელისუფლებისათვის და მოწყალე ხელმწიფეც შეგვინდობსო. გვაპატიებს ბრწყინვალე მეფე“, – ასე ასრულებს თავის საუბარს რაინდი და ბოლომდე აშიშვლებს თავის გამცემლურ აზრებს.

პრინცესა და აჯანყებულები გაოცებულნი არიან რაინდის საქციელით, რაინდისა, რომლის სიტყვაც ადრე გაზაფხულის ნაკადივით გრგვინავდა.

მითხარ, რაინდო! ჩემო კარგო, რა დაგემართა?
რამ დაგცა სულით? ან ეგ გული რამ გაგიქვავა?
სად გაქრა შენი შემართება, სიტყვა მგზნებარე,
რომლითაც ერთ დროს მატყვევებდი, თავს მაწონებდი?
შენ გაზაფხულის ნაკადივით გრგვინავდი მაშინ
და ქუხდი, როგორც ღვთის სახელი!

რაინდს საპასუხო არაფერი აქვს. იგი პირდაპირ ამბობს – „ის დრო წავიდა“. რაინდი შეიცვალა და ხალხისათვის მებრძოლს აღარ ახსოვს ხალხი, არც მისი ხალხის ბედი არ აინტერესებს. ასე გარდაიქმნა „ხალხის მეგობარი“ ხალხისა და, საერთოდ, რევოლუციის მტრად.

ეს იყო ჩვეულებრივი გზა ე.წ. „ხალხის მეგობრებისა“, რომლებიც მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობდნენ და არა ხალხზე. მათი ეს გზა შესანიშნავად წარმოადგინა თავის დრამაში ლესია უკრაინკამ რაინდის სახით. პოეტმა დამაჯერებლად წარმოაჩინა ბურჟუაზიული ლიბერალიზმის მხატვრული სახე.

ლესია უკრაინკა, როდესაც რაინდის სახეს ქმნიდა, სრულიადაც არ ფიქრობდა დაეკონკრეტებინა იგი რომელიმე პარტიის წარმომადგენლად. ერთი კია, რაინდის ხასიათის ზოგი თვისება გვაგონებს იმ რეალურ ადამიანებს, ჯგუფებს, რომელთა წინააღმდეგაც ლესია უკრაინკა გამოდიოდა რევოლუციის პირველივე დღეებში. მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ ხალხოსნები, რომელთათვისაც ინდივიდუალური ბრძოლა, „გმირების ტაქტიკა“ არ იყო უცნობი მოვლენა. ეს შეიძლება ითქვას ესერების შესახებაც.

რაინდის მხატვრულ სახეში პოეტმა წარმოაჩინა მისი თანამედროვე ლიბერალურ-ბურჟუაზიული ინტელიგენცია, მათი მოჩვენებითი რევოლუციურობა, მასებისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულებით. იყო დრო, როდესაც რაინდი მეფის წინააღმდეგ გამოდიოდა, მაშინ ის ამ ბრძოლაში მარტო იყო. ამ ბრძოლის დროს იგი ხალხისათვის თავისუფლებასაც მოითხოვდა. ნაწარმოებში აღწერილი ხალხის მღელვარების დროს იგი ბროლის მთას მიაშურებს და მასზე ასვლას ლამობს, მაგრამ ვერ ახერხებს. დამარცხებული რაინდი მიყუჩდა. მას უნდა, სადღაც შეაფაროს თავი და დაელოდოს იმ დროს, როდესაც ყველაფერი ჩაივლის, თავი აარიდოს „საქონლის შემოტევას“. გასაგებია, რომ ამ ხასიათის გმირს არ აწყობს მეფის წინააღმდეგ გალაშქრება, აშინებს კიდეც და ამიტომაც არა მარტო თვითონ არიდებს ბრძოლას

თავს, არამედ აჯანყებულების შეჩერებაც კი უნდა, აშინებს მათ მეფის რისხვით. იმედი აქვს, რომ მეფე მათ ცოდვებს შეუნდობს.

აი, ამ გმირს დაარქვა ლესია უკრაინკამ რაინდი. მაგრამ გასაგები უნდა იყოს, რომ ეს მწერლის მიერ გამოხატული ირონიაა.

დრამაში საინტერესოა მოახლის სახე. მოახლის სახით მწერალმა დაგვიხატა ის ადამიანები, რომლებიც ემსახურებიან ექსპლუატატორებსა და მათი მდგომარეობით მოხიბლულნი თვითონაც ცდილობენ „ქალბატონებად“ გახდომას. საამისოდ ისინი არაფრის წინაშე უკან არ იხევენ. ისინი ნაბიჯ-ნაბიჯ ადიან თანამდებობრივ, სამსახურეობრივ კიბეებზე და კბილებდაკრეჭილნი ცდილობენ მორიგი „მაღალი“ თანამდებობის დაკავებას. ამისათვის თავის სულსაც კი ჰყიდიან. მოახლე, მაგალითად, ფიქრობს, რომ რაინდი დღეს თუ არა ხვალ ისევ დაბრუნდება და დამკვიდრდება თავის მამულში. ამიტომაც ეხმარება იგი რაინდს დილეგიდან გაქცევაში. შემდეგ კი მასზე გათხოვებასაც ფიქრობს.

> ხომ შეიძლება, სულ უბრალოდ, მოახლე ქალიც
> უეცრად გახდე ქალბატონი? ხომ შეიძლება!

ეკითხება იგი რაინდს. დღეს, მრეცხავი მოახლეა, – ამბობს იგი, უკვე დამავალეს გომურებს მივხედო, იმედი მაქვს მალე მეკუჭნავედ დავინიშნები, შეიძლება ქალბატონიც გავხდე.

ასეთი ადამიანები ხალხის გამყიდველები ხდებიან. ნაწარმოებში მოახლე განაგებს საღორეს, ჯოგების სადგომს. ეს ხომ ის საქონელია, რომელთა სახითაც პოეტმა ნაწარმოებში გააშიშვლა ხელისუფლების მომხრე და დამცველი კაც-

თმოძულე ბანდები. ამ შავრაზმელების საქმიანობის მომსწრე და მოწამე გახდა ლესია უკრაინკა თბილისში.

დრამის ერთ-ერთი ცენტრალური გმირი პრინცესა მრავალი კუთხითაა საინტერესო. პრინცესას სახე – ესაა მოწინავე ინტელიგენციის სახე. ამავე დროს, პრინცესას ბედი, რომელიც დრამის ბოლო აქტშია განსახიერებული, ლესია უკრაინკას ბედს გვაგონებს, პოეტისა, რომელმაც მთელი თავისი ნიჭი და შესაძლებლობანი, მთელი ცხოვრება – სიცოცხლე ხალხს მიუძღვნა.

პრინცესა დრამის დასაწყისში მარტოა სცენაზე. ნაწარმოებში მოთხრობილია პრინცესას შესახებ, თუ ვინ იყო იგი ადრე და რატომ არის ახლა კოშკში. გუშინდელი ღარიბი და უბრალო გოგონა, წარმოშობით ყოვლად უცნობი, მეფის ბრძანებით ბროლის კოშკში დაამწყვდიეს. მეფესა და რაინდს მისი კეთილგანწყობის მოპოვება სურდათ. დრამაში იგი მეფის დანიშნულია, თუმცა მაინც რაინდია მისი გულის რჩეული. თავის მოკვლის მიზნით პრინცესა მთიდან გადმოეშვება. პრინცესასა და რაინდს მუშები შველიან. ისინი გადაარჩენენ მათ.

აჯანყების დროს რაინდმა ცუდად გამოავლინა თავი. პრინცესამ ჯერ ყოყმანი დაიწყო, ხოლო შემდეგ საერთოდ გაუცივდა გული რაინდისადმი. ტირანი მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში ხალხმა აჩვენა თავისი თავი. პრინცესაში გარდატეხა ხდება. იგი ხალხის მხარეს დგება. ხალხის აჯანყება მასში შემოქმედებით გზნებას იწვევს. პრინცესა აკვირდება აჯანყებული მუშების საქმიანობას და გარკვეული ფიქრის შემდეგ, იღებს გადაწყვეტილებას – დადგეს მუშების მხარეს.

იგი თავის ბედს მუშებს უკავშირებს. ამის სიმბოლოდ კი „წითელ საბურველს“ აძლევს მათ.

მაგრამ ახალი იმედებით მევსება გული,
თან ვაუკაცური შემართებაც იღვიძებს ჩემში,
როცა შევცქერი განახლებულ ცხოვრების ნათელს.
შეხედე, როგორ შეიცვალა ჩემი მიწური,
ეს უსიცოცხლო, მდუმარე და გაყინული მთა,
ყაყაჩოსავით ანთებულა დროშების ტევრი.
ხოლო ნაჯახებს ნაპერწკლები ცვივა ზედიზედ.
ნახე, რა მზეა!

პრინცესა ცდილობს მხარში ამოუდგეს აჯანყებულებს, შეტევაზე გადასულ მუშებს, როგორმე მაინც გაამხნევოს ისინი და თავისი წვლილი შეიტანოს გამარჯვებაში.

აჰა, წითელი საბურველი! აიღეთ, ძმებო!
რამდენი ღამე გავათენე ამის ქარგვაში.
მერე ოქროთიც შემოვქობე. ეს იმ დროს იყო,
როცა ვმღეროდი ტყვეობაში მწარე სიმღერებს
და ძალს მმატებდა მოლოდინი ტკბილი წუთების.
ახლა კი ვხედავ, სიკეკლუცის დაუდგათ ჟამი
ჩემს ნაქარგ ნაყშებს.

პრინცესას ამ მიმართვით აღელვებული მშენებელი მუშების წინაშე უცხადებს მას: „როცა ამ მთის მწვერვალს მივაღწევთ, შენს საჩუქარსაც იქ აღვმართავთ“.

სხვათა შორის ეს ეპიზოდი და კონკრეტული საუბარი „წითელ საბურველზე“ ლესია უკრაინკამ მოგვიანებით შეიტა-

ნა დრამაში, რითაც კიდევ ერთხელ გახაზა თავისი დადებითი დამოკიდებულება მუშათა კლასთან, პროლეტარიატთან.

„შემოდგომის ზღაპარში“ ლესია უკრაინკამ უმღერა მოწინავე ინტელიგენციის მხარდაჭერას აჯანყებული მუშათა კლასისადმი.

პრინცესა მზადაა აჯანყებულებთან ერთად გაიაროს გამარჯვების მძიმე გზა. იგი მზადაა დათმოს რაინდი. ჩემო რაინდო, მიმართავს იგი მას:

> მადლობას გწირავ უტიფარი სიტყვებისათვის.
> ახლა ადვილად გადაიტან ჩემს განშორებას,
> და შენ იქნები უფრო მძლავრი, უფრო ჯანმრთელი,
> ჩემთვის კი უკვე არ არსებობ! დიახ, მკვდარი ხარ!
> დღეს მე დავკარგე მეგობარი, ხვალ, შესაძლოა,
> შენივე სახით მტერი შემხვდეს! მშვიდობით იყავ!

ვინც უღალატა რევოლუციას და ხალხის მტერი გახდა, მუშათა კლასის მტერი გახდა, იგი ლესია უკრაინკას მტრად გადაიქცა. ლესიას ცხოვრებაში ეს პერიოდი მძიმე იყო. პოეტი ქალი, რომელიც მემამულეთა და არისტოკრატული ბურჟუაზიის წარმოადგენლებთან ახლო კონტაქტში იყო, მიდის გადაწყვეტილებამდე, რომ მხოლოდ ის, ვინც მუშათა კლასს, პროლეტარიატს ცნობს მებრძოლ კლასად და ვინც მასთან ერთად აპირებს ახალი ცხოვრების შენებას ის ხდება ხალხის მეგობარი, მშრომელი ადამიანის მეგობარი, ნათელი მომავლის მსურველი და მისთვის მებრძოლი. ასეთი ხალხის მეგობრობას გრძნობს პოეტი და ისინი მიაჩნია მეგობრებად.

პრინცესას მხატვრული სახის შექმნაში, შესაძლოა, თბილისში გამართულ დემონსტრაციაში იარაღით ხელში მებ-

რძოლი ქალის წვლილიც იყოს, რომელიც თვითმხილველებს შეუნიშნავთ და რომ არა მუშები, ქალაქის პოლიციელებისა და მეეზოვების მიერ ხელკეტებით ნაცემი და დასისხლანებული ქალი დარბეული დემონსტრანტებისა და პოლიციელების ფეხქვეშ გაითელებოდა.

კიდევ ერთი დეტალი. ფანტასტიკურ დრამაში აჯანყებულები ბროლის მთაზე ასვლას ცდილობენ. მთა დრამის ერთდერთი ცენტრალური ობიექტია. შესაძლოა ისიც ვიფიქროთ, რომ ამ ბროლის მთის იდეის სტიმული პოეტს მთაწმინდამ მისცა, თბილისის ცენტრში აღმართულმა თოვლიანმა მთამ.

ფანტასტიკური დრამის „შემოდგომის ზღაპრის" მთავარი გმირი ხალხია, რომელიც მწერალმა განასახიერა, როგორც თავისი და, ამავე დროს, ყველა მშრომელის განთავისუფლებისათვის მებრძოლი მუშათა კლასი. მუშები ნაწარმოებში გამოყვანილი არიან, როგორც ძველი ცხოვრების, სამყაროს დამანგრეველნი.

1905 წლის იანვრის რევოლუციაში მთავარ ძალას პროლეტარიატი წარმოადგენდა, რაც ხაზგასმით იყო აღნიშნული 8 იანვრის პროკლამაციაში. პროკლამაციები, რომლებსაც თბილისის ქუჩებში აჯანყებულები მოსახლეობაში არიგებდნენ, სოციალ-დემოკრატიული პარტიის თბილისის კომიტეტის მიერ სამ ენაზე იყო შედგენილი და დაბეჭდილი – ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ფურცლები ლესია უკრაინკას ხელშიც აღმოჩნდებოდა და პოეტი მას გაეცნობოდა.

„შემოდგომის ზღაპარი" დაიწერა 1905 წლის 25 იანვარს. ეს თარიღი აზის დრამას. იანვრის დემონსტრაცია იძლევა იმის მასალას, რომ გადაჭრით ითქვას – სწორედ თბილისის მუშების მიერ იანვარში მოწყობილი დემონსტრაცია იყო ის

წყარო და მიზეზი, ბიძგი უკრაინელი პოეტის ფანტასტიკური დრამის „შემოდგომის ზღაპარის" დაწერისა. ლესია უკრაინკა თვითმხილველი იყო ამ დემონსტრაციისა და ამის თაობაზე წერდა კიდეც იგი ერთ თავის წერილში (1905, 6 თებერვალი), სადაც აღნიშნავდა, რომ დაამთავრა დრამის წერა.

ყველაზე შთამბეჭდავი გოლოვინის პროსპექტზე გამართული დემონსტრაცია იყო. მუშები გამოვიდნენ წითელი დროშებით ხელში და დაარიგეს პროკლამაციები.

სწორედ თბილისში, 1905 წლის იანვარში გამართული დიდი რევლოუციური გამოსვლების შთაბეჭდილებების შედეგად შექმნა პოეტმა ეს ნაწარმოები. მწერალმა უმღერა მუშებისა და მშრომელების გმირობას. ამავე დროს, სატირის ცეცხლში გაატარა ბურჟუაზიული მერკანტილიზმი და შემრიგებლობა. ამ თვალსაზრისით „შემოდგომის ზღაპარი" განსაკუთრებული მნიშვნელობის ნაწარმოებია.

ფანტასტიკურ დრამაში მუშები წარმოადგენენ რევოლუციის მთავარ ძალას და ნაწარმოების მთავარ გმირს. სწორედ მუშათა კლასია მოწოდებული, გაათავისუფლოს მშრომელი ხალხი თვითმპყრობელობის მონობისაგან. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის მუშებს ლესია უკრაინკამდელი უკრაინული ლიტერატურა არ იცნობდა. სწორედ ლესია უკრაინკასთან აისახა პირველად მუშების გამათავისუფლებელი როლი თვითმპყრობელობის უღლისაგან.

1905 წლის თებერვლის რევოლუციასთან დაკავშირებით გამოშვებული პროკლამაციის გავლენით, უნდა ვივარაუდოთ, ლესია უკრაინკამ შეიტანა კორექტივები დრამაში. მწერალმა ნათლად დასვა საკითხი ბურჟუაზიული ლიბერალიზმის კლასობრივი ხასიათის შესახებ. ეს გამოჩნდა, მაგა-

ლითად, პრინცესას სიტყვაში, მიმართვაში მუშებისადმი. გარკვეული როლი დემონსტრაციამ, მის ირგვლივ შექმნილმა გარემომ შეასრულა პრინცესას პოზიციის გამოკვეთაში აჯანყებულებისა და აჯანყების მიმართ, რაც, ამავე დროს, ლესია უკრაინკას პოზიციის ამსახველი იყო უთუოდ.

აჯანყებული მუშების სახეების შექნისას ლესია უკრაინკა ისევ და ისევ ხელმძღვანელობდა რეალური სინამდვილით. ამ სინამდვილიდან აიღო მან მშენებლის სახე. გასაგებია, რომ თვით ამ სახეში მწერალი ახალი ცხოვრების მშენებელს გულისხმობდა. მუშების ბელადი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მათი წაინამძღოლი სწორედ მშენებელია. მას მიჰყავს გამარჯვებისაკენ აჯანყებული მუშები, ისაა მათი გზისმკვლევი და ხელმძღვანელი ბრძოლის ამ მძიმე გზაზე. მუშების სათავეში ჩამდგარი მშენებელი მეფის სახლების, საღორეების და თავლების ნგრევას იწყებს, უტევს მეფესა და მის დამქაშებს:

> აბა! აღგავეთ ეს კედელი მიწის პირისგან,
> უფრო აშკარად რომ განათდეს აქაურობა.

მოუწოდებს მშენებელი მუშებს და ისინიც ძალაყინებით, ნაჯახებით ანგრევენ კედლებს. მუშები დარწმუნებულნი არიან, რომ მთელი ხალხი დაუჭერს მხარს და მათ მიერ წარმოებული ბრძოლა დიდ აჯანყებას გამოიწვევს.

> თუმცა, რაინდი ასე არ ფიქრობს:
> ამაოდ ნუ ირჯებით, ოჰ... ამგვარ ბრძოლას
> აზრი არა აქვს!

ამბობს იგი, მაგრამ მშენებლი მტკიცედ ადგას ერთხელ არჩეულ გზას.



ლესია უკრაინკა და კლიმენტი კვიტკა ნათესავებსა და ნაცნობებთან ერთად

ფოტო 1906 წ.

რაკი ჩაინთო სულში ერთხელ ბრძოლის სურვილი,
სხვა გზა არა გვაქვს, განა თვითონ ვერ ხედავ ამას?

ასეთია მისი აზრი. სწორედ ამ დროს გამოჩნდება წითელი დროშა, რაც მასობრივი აჯანყების ნიშანი იყო.

ამხანაგებო! ვინც კი წითელ პერანგს ატარებს,
ან აქვს წითელი ცხვირსახოცი, საჩქაროდ ჯოხზე
გამოაბით და დროშასავით მაღლა აღმართეთ,
მერე გზადაგზა ამოკვეთეთ საფეხურები,
ჩაარჭვეთ ისე, რომ გრიგალმა არ წააქციოს.
დე, შორიდანვე შეამჩნიოს ხალხმა დროშები,
რომ ამით მიხვდნენ, სად იღვრება მოძმეთა სისხლი
და სადაც ჯერ არს, ძმური ხელი გამოგვიწოდონ!

მუშების ბრძოლა აფრიალებული წითელი დროშის ქვეშ ნაწარმოების კულმინაციური წერტილია.

მშენებლის მეთაურობით მუშები ნაბიჯ-ნაბიჯ ადიან მთაზე, კლდეში ჰკვეთენ საფეხურებს და ზედ წითელ დროშებს ამაგრებენ.

მშენებელი და მუშები დარწმუნებული არიან თავანთ გამარჯვებაში, რომ მათი ორგანიზებული ძალა დაამსხვრევს ყოველგვარ წინააღმდეგობას. ნაწარმოები გვიქმნის შთაბეჭდილებას, რომ მუშები თავისუფლებას უთუოდ მოიპოვებენ.

მშენებლის გარდა მწერალმა კიდევ ერთი გმირი გამოიყვანა, მისი მომხრე. ესაა ახალგაზრდა კაცი, რომელსაც სჯერა თავისი ხალხის, მუშების და მათი გამარჯვებისა. ეს ახალგაზრდა კაცი სწორედ ისაა, ვინც პრინცესას საერთო

ბრძოლაში ჩაბმისაკენ მოუწოდებს და ეხმარება ამ გზაზე სვლაში.

და ყველაფერი ეს დაიხვეწა და აისახა მხატვრულ ტილოზე საქართველოში 1905 წელს თბილისში გამართული სისხლიანი რევოლუციით მიღებული შთაბეჭდილების გავლენით. მგოსანმა მისი არეკვლა შეძლო ფანტასტიკური დრამის მხატვრულ ქსოვილზე. თბილისურმა რევოლუციამ დაარწმუნა მწერალი, რომ „შემოდგომის ზღაპარს“ აქვს დასასრული და როგორც პრინცესა ამბობს დრამაში – „გაზაფხულზე მოვრჩებით საქმეს“. ფრჩხილები რომ გავხსნათ, პრინცესას პირით ლესია უკრაინკა ამბობს – მოვიპოვებთო თავისუფლებას.

ნაწარმოებს მრავლისმეტყველი სიმბოლური დასასრული აქვს. მუშები კლდეში კვეთენ საფეხურებს და ციცაბო მთაზე მწვერვალისაკენ მიცოცავენ. ყოველ ახალ ამოკვეთილ საფეხურზე მუშები წითელ დროშას ამაგრებენ.მათმა მეთაურმა მშენებელმა იცის, რომ საბოლოო გამარჯვებამდე შორი გზაა – „ჯერ კიდევ გრძელი გზა გვიდევს, – უებნება იგი მუშებს, – გრძელია იგი ვით ზღაპარი შემოდგომისა“. პრინცესას სწამს, რომ მალე მოვა გაზაფხული. რაინდის პირქუშად ნათქვამ რეპლიკას „შემოდგომას ზამთარი მოსდევსო“ მშენებლის ფრაზა გადაფარავს – „ამქვეყნად ზამთარსაც ხომ აქვს დასასრული?“ გამარჯვების ეს მძაფრი, ურყევი ოპტიმიზმი გამოსჭვივის ნაწარმოების ბოლო აკორდში. რევოლუცია გაიმარჯვებს! ხალხი იზეიმებს თავისუფლებას! ასეთია ნაწარმოების კრედო.

„შემოდგომის ზღაპარში“ მწერალმა გვიჩვენა რევოლუციურ ბრძოლაში მუშათა კლასის ორგანიზებული ძალა,

ხელმძღვანელი როლი, ამხილა ბურჟუაზიული ლიბერალიზმის, მათი ლაქლაქა „რაინდების" მოღალატური როლი და საქმიანობა. ნაწარმოებში გამოჩნდა, რომ პოეტი უკვე ვეღარ ეტევა კრიტიკული რეალიზმის ჩარჩოებში, რომ მისთვის უკვე მოძველდა მხატვრული გამოსახვის ადრინდელი ფორმები. ლესია უკრაინკა ხელოვნებაში ასახვის ახალ მეთოდებს, ახალ გზებს ეძებს. ამიტომაც ამბობენ, რომ „შემოდგომის ზღაპარი" იმ ნაწარმოებთა გვერდით დგას, რომლებშიც აშკარად გამოვლინდა უკრაინელი ხალხის რევოლუციური პერიოდის კულტურის არამხოლოდ დემოკრატიული ელემენტები.

1905 წლის 6 თებერვალს ლესია უკრაინკა თავის დედას ატყობინებდა: „ვფიქრობ, ხელი მოვკიდო, აგრეთვე, ჩემი ახალი დრამატიული ეტიუდის რეფორმას. მე იგი უკვე დავამთავრე, მაგრამ ახლა მასში ყველაფერს როდი ვიწონებ და მინდა ზოგი რამ უფრო ძლიერად დავწერო".[78] პოეტს მხედველობაში ჰქონდა „შემოდგომის ზღაპარი", რომელიც 1905 წლის იანვარში, თბილისში მუშათა დემონსტრაციის ცოცხალი შთაბეჭდილებების გავლენით შეიქმნა.

**პროზა.** თბილისშივე დაწერა ლესია უკრაინკამ პროზაული ნაწარმოებები „ურჩხული" და „მეგობრული გრძნობა". ფილოსოფიური ნარკვევის „ურჩხულის" შექმნაზე რუსეთ-იაპონიის ომმა მოახდინა გავლენა. ამ ნაწარმოებებში მწერალი გმობს იმპერიალისტურ ომებს, ილაშქრებს კაცთმოძულე ომის გამჩაღებლების წინააღმდეგ. მოთხრობაში „მეგობრული გრძნობა" გადმოცემულია ამბავი ორი გოგონას – მემამულის ქალიშვილსა და მოჯამაგირე გოგონას მეგობრობისა.

---

[78] ლესია უკრაინკა, თხზ., ტ. V, 1956, გვ. 499.

ისინი ბავშვობისას დაუახლოვდნენ ერთმანეთს. ხანი გავიდა და უკვე ქალიშვილები ერთმანეთს სცილდებიან. საგრძნობი ხდება ის სოციალური უფსკრული, რომელიც მდიდარსა და ღარიბს, ექსპლუატატორსა და ექსპლუატირებულს შორის ძევს. მწერალმა გვიჩვენა კლასობრივი წინააღმდეგობის არსებობა სოფლად და ყმისადმი ბატონის „სიყვარულის“ ნამდვილი შინაარსი. ნაწარმოების სათაურიც ირონიულად ჟღერს – რა მეგობრული გრძნობა და სიყვარული შეიძლება არსებობდეს ქალბატონსა და ღატაკ გოგონას შორის.

ეს ნაწარმოები ლესია უკრაინკას სამშობლოში დაბრუნებამდე დაიწერა. მათში მწერალმა ასახა მშრომელი ადამიანების ცხოვრების მძიმე პირობები და გვიჩვენა ხალხის ჩაგრული მდგომარეობიდან გამოსავალიც. სოციალური რევოლუცია იყო, მწერლის აზრით, ის გზა, რომლითაც ადამიანებს ადამიანური და ბედნიერი ცხოვრების მოპოვება შეეძლოთ.

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ლესია უკრაინკამ საქართველოში ჩაიფიქრა ნაწარმოების დაწერა უკრაინელი გლეხი-ბუნტარის, მემამულეთა თავგასულობის წინააღმდეგ სახალხო შურისმაძიებლის კარმალიუკის შეხახებ. ტარას შევჩენკო კარმალიუკს რაინდს უწოდებდა.

იმ დროისათვის საქართველოში გახმაურებული იყო სახალხო შურისმაძიებლის არსენ ოძელაშვილის სახელი, რომელიც მდიდრებს ართმევდა და ღარიბებს აძლევდა, ხალხის ინტერესს იცავდა და მემამულეებს, ბატონკაცებს ძილს უფრთხობდა. არსენ ოძელაშვილი დაახლოებით იმ დროს ცხოვრობდა, როდესაც კარმალიუკი ებრძოდა და უსწორდებოდა მემამულეებს, როგორც უკრაინელი შურისმაძიებელი.

ამიტომაც შეიძლებოდა დაგვეშვა ვარაუდი, რომ თბილისელ ნაცნობ-მეგობართა წრეში არსენ ოძელაშვილზე საუ-

ბარმა, გადმოცემებმა გაახსენეს მწერალს მისი თანამემამულე კარმალიუკი, დაბადეს კარმალიუკის შესახებ დრამის შექმნის აზრი. „ახლა მე არაფერს ვთარგმნი, – წერდა იგი თბილისიდან 1904 წლის გაზაფხულზე თავის დას, – ვიწყებ დრამა „კარმალიუკის" წერას".[79]

სამწუხაროდ, არავითარი კვალი ამ ნაწარმოების შექმნაზე ლესია უკრაინკას მუშაობისა არ ჩანს, არც მწერლის არქივში შემონახულა რაიმე მიმანიშნებელი ცნობა. ერთია მხოლოდ, როგორც მისი მეუღლე კ. კვიტკა იგონებს,[80] ლესია უკრაინკა წუხდა თურმე იმის გამო, რომ ხელთ არ ჰქონდა სასამართლოს წიგნები კარმალიუკის საქმის შესახებ. ნაკლებად იცნობდა მისი მომავალი გმირის ცხოვრების დროის ეპოქას, რათა სათანადო სიმართლითა და სიღრმით აესახა ლეგენდადქცეული სახალხო შურისმაძიებლის ცხოვრება და ბრძოლა უსამართლობის წინააღმდეგ.

თბილისში უკრაინელ მგოსანს ცხოვრება მოუხდა მეტად რთულ და მღელვარე პერიოდში, ეს იყო 1903, 1904 და 1905 წლის პირველი ნახევარი, რევოლუციის წინა წლები. ასე დასრულდა საქართველოში მისი ყოფნის პირველი პერიოდი (1903–1905).

ლესია უკრაინკა საქართველოში შეეგება პირველი რევოლუციის დასაწყისს. აქ, ჩვენს ქვეყანაში, გახდა იგი მოწამე ხელისუფლებასა და ხალხს შორის ძლიერი შეტაკებებისა. საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურმა ვითარებამ, გლეხთა აჯანყებებმა და მუშათა კლასის რევოლუციურმა ბრძოლამ, ქართველ ნაცნობ-მეგობრებთან ურთიერთობამ მწერალ

---

79 ლესია უკრაინკას წერილი ო. პ. კოსაჩისადმი, 1904, 9. IV (თარგმნა ნ. ნასყიდაშვილმა), „იმედი", 2007 გვ. 179.

80 უკრაინის მეცნიერებათა აკადემია, ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის ლიტერატურის ინსტიტუტი, ფ. 2, №1184.

ქალში განამტკიცა რევოლუციური მსოფლმხედველობა, რწმენა, გააძლიერა კაპიტალიზმისა და, საერთოდ, თვით-მპყრობელობის ბატონობისაგან ხალხთა გათავისუფლების ბრძოლის წყურვილი. ამიტომაც გამოიკვეთა მის ესთეტიკურ მრწამსში თეზა – ჭეშმარიტი პოეტის მუზა უნდა იდგეს რევოლუციის მეწინავეთა რიგებში.

მღელვარე ეპოქის, რევოლუციის გავლენით დახვეწილი პოლიტიკური შეგნებულობა დაეხმარა მგოსანს ისეთი მაღალიდეური და მხატვრული ტილოების შექმნაში, რომლებიც გვიზიდავს თავიანთი სულისკვეთებითა და შესრულების ხელოვნებით.

1905 წლის 24 მაისისათვის ლესია უკრაინკამ დატოვა თბილისი და გეზი სამშობლოსაკენ აიღო. საქართველოში იგი კვლავ დაბრუნდა 1908 წლის დეკემბერში.

**„თავისუფლების სიმღერები“.** 1905 წლის ზაფხულში ლესია უკრაინკა მშობლიურ უკრაინაში ისვენებდა. საქართველოს სისხლიან დღეებს უკრაინაში ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ ახალი გამოსვლები დაემატა. სამშობლოში ცხოვრების ეს ერთი პერიოდი 1905-1907 წლები, ცარიზმთან მშობელი ხალხის სამკვდრო-სასიცოცხლო შეჭიდებით ხასიათდებოდა და ქვეყანაში მიმდინარე ეს რთული პროცესები, რევოლუციური ძვრები პოეტს ახალი შთაბეჭდილებებით ავსებდა. მისი კალამი ერთიმეორეს მიყოლებით ქმნიდა მხატვრულ ნაწარმოებებს, რომლებშიაც ავტორი სვამდა აქტუალურ საკითხებს და ავლენდა მწერლის პოზიციას მათდამი.

რევოლუციამ, რომელსაც იგი მგზნებარედ უმღეროდა, მწერალში დაბადა სურვილი პრაქტიკულად ჩაბმულიყო ამ დიდ საზოგადოებრივ საქმეში. რევოლუციის შემტევმა

ძალამ აიძულა ხელისუფლება მოეხსნა აკრძალვა უკრაინულ ბეჭდვით სიტყვაზე და ლესია უკრაინკამაც გადაწყვიტა მონაწილეობა მიეღო „მუჟიკურ-პროლეტარულ გაზეთში“, თუნდაც რიგით მუშაკად („ჩემს თავზე ავიღებ ყველაზე შავ სამუშაოს უკრაინულ მუჟიკურ-პროლეტარულ გაზეთში“ – წერდა იგი), ხოლო მისმა მუზამ კი ახალი ძალით გაილაშქრა ხალხის მჩაგვრელი სისტემის წინააღმდეგ.

რევოლუციური ძვრების პირდაპირ გამოძახილად შეიძლება მივიჩნიოთ პოეტის ლექსების ციკლი – „თავისუფლების სიმღერები“, რომლებშიც იგი ხალხს მოუწოდებს შეუტიოს „მეფის საუკუნეობრივ სიმაგრეებს“ და თავისუფლების „სისხლით მორწყული გზა“ გამარჯვებით დაასრულოს. ციკლის ლაიტმოტივი ტირანიისა და თავისუფლების შეუთავსებლობაა. პოეტის აზრით, გამათავისუფლებელ მოძრაობას ცრემლნარევი კი არა, საბრძოლო სიმღერები სჭირდება. მას სურს ძველი სიმღრების ნაცვლად ახალი სიმღერების გუგუნი ისმოდეს:

> თქვენ სულ არ გიხდებათ ეს ძველი სიმღერა,
> თქვენ უნდა ახალი სიმღერა თქვათ.
> თავისუფლების დროშად რომ ირხევა
> და არა ცრემლად რომ სდინდება თვალს.
>
> *(„თავისუფლების სიმღერები“,*
> *თარგმნა ჯანსულ ჩარკვიანმა)*

წერს პოეტი და ფიქრობს, რომ ასეთი სიმღერა თვითონ მებრძოლებმა უნდა შექმნან.

მოდი, გაუმარჯოს თქვენს ახალ გალობას,
დიდებულს და არა სიმღერა – შხამს.
უმღერეთ, უმღერეთ ჩვენს შთამომავლობას.
უმღერეთ და მხარი მიეცით მხარს.

პოეტს ახარებს ხალხის გამოღვიძება და ენთუზიაზმი. მისი სიცოცხლის წყურვილს ამძაფრებს ხალხის საბრძოლო სულისკვეთება. მგოსანს ეძლევა მომავლის, ცისკრის იმედი:

მოდიან, მოდიან დროშების ფრიალით,
დროშების ხანძარი მიარღვევს ცას...

მარსელიოზა იღვრება ციდან,
ნუთუ ცისკარმა გამოანათა...

გესმით „მარსელიოზას" ხმა, მიმართავს პოეტი ხალხს, ნუთუ დიდების დღე უკვე დადგა? ნუთუ გაგლეჯილია ყველა ბორკილი? ნუთუ ტირანი უკვე დაეცა? კითხულობს მგოსანი და ხალხს მოუწოდებს: მაშ დააგუგუნეთ სიმღერა:

ისე რომ გაბრწყინდეს ტანჯული მიდამო,
წითელი დროშებით გაბრწყინდეს მზე.
მუდამ დაღვრემილმა ცამ გამოიდაროს
და სასწაულები გასცილდეს ზღვრებს.

**„არ მიღალატო, ოცნებაო!".** არაჩვეულებრივი ემოციებით არის დატვირთული ლექსი „არ მიღალატო, ოცნებაო! ვეწამე შენთვის", რომელიც 1905 წელს რევოლუციური ცეცხლის შუქზე შეიქმნა. ეს ლექსი არის პოეტის მგზნებარე აღსარება-მიმართვა, მოწოდება თავისუფლებისადმი. პოეტს მრავალი ღამე გაუთენებია, მთელი ზამთრი და გაზაფხული

გაუტარებია ამ ოცნებაში, სხვა ოცნებაზე პოეტს უარი უთქვამს დიდი ხნის წინ. ახლა ჩამოჰკრა ჟამმა და „სულს ვაჯანყებ, სიცოცხლეს ვწირავ" მიმართავს იგი ოცნებას და კატეგორიულად აცხადებს – „არ გადავუხვევ ამ გზიდან, რომელზეც ვდგავარ".

პოეტის გული აღსავსეა სურვილებით. მან თავისუფლების გულისათვის უარი განაცხადა ყველა სხვა ოცნებაზე. იგი მზადაა მსხვერპლადაც კი შეეწიროს თავის გადაწყვეტილებას – ემსახუროს თავისუფლებას.

სხვა ოცნებებზე უარი ვთქვი დიდი ხნის წინათ
შენი გულისთვის. განა მსუბუქ ოცნების ფრთა ვარ, –
ჩამოჰკრა ჟამმა, – სულს ვიჯანყებ, სოცოცხლეს გწირავ,
არ გადავუხვევ მე იმ გზიდან, რომელზეც ვდგავარ.

*(თარგმნა თეიმურაზ ჯანგულაშვილმა)*

აცხადებს იგი. დადგა ჟამი, როდესაც ადამიანებმა თავისუფლებას უნდა შესწირონ რაც გააჩნიათ, თვით საკუთარი თავიც კი.

ვინც ზღვა გაცურა და ზურგს უკან დახანძრა გემი,–
ახალ სიკეთით უწერია შინ დაბრუნება.

სწორედ ესაა ნაწარმოების წამყვანი იდეა. „არ მიღალატო, ოცნებაო! ვეწამე შენთვის", – მიმართავს იგი ოცნებას და როგორც დასკვნითი აკორდი, რომელშიც აირეკლა მწერალი ქალის სურვილები და ოცნებები, ჟღერს ლექსის ბოლო სტროფი:

როგორც არწივი, თავს დამქროდი, ოცნებავ, წინათ,
შენი ფრთა მომეც – მეც ვიქროლო მეშვიდე ცაზე,
ვისუნთქო შენი გაზაფხულით, ცეცხლით და წვიმით,
და თუ დაღუპვა მიწერია, დე, მოხდეს ასე!

*(თარგმნა თეიმურაზ ჯანგულაშვილმა)*

ლესია უკრაინკას შემოქმედებაში საზოგადოებრივი პათოსი ხშირად ნათელ ინტიმურ გრძნობებს ექსოვება. თუმცა, პოეტი საზოგადოების წინაშე თავისი პირადი განცდებისა თუ ტკივილების წარმოჩენას არასოდეს ცდილობდა. მიუხედავად ამისა, რაღაც გარკვეული თანხვედრა პირადი და საზოგადოებრივი ტკივილებისა მის პოეზიაში მაინც იყო. ლესია უკრაინკა ოსიპ მაკოვეისადმი 1893 წლის 28 მაისს გაგზავნილ ბარათში სთხოვდა მას არ მიექცია ყურადღება ამა თუ იმ ლექსში მისი ბიოგრაფიის თანმხვედრი ადგილებისათვის. უნდა ვივარაუდოთ, ამგვარი თანხვედრები უფრო ლირიკული ხასიათის ლექსებში იყო მოსალოდნელი.

ლესია უკრაინკა არ ივიწყებს ლიბერალ თავადიშვილებს და რევოლუციისა თუ ხალხისადმი მათი ფარისევლური, ყალბი პოეზიის შესახებ პოლიტიკური სატირის დიდებულ ნაწარმოებებს ქმნის („მხიარული ბატონი", „პრაქტიკული ბატონი" „ბატონი-პოლიტიკოსი", „ხალხოსანი ბატონი").

რა ვქნათ? რაინდთა დრო რომ მოკვდა, ცხადზე ცხადია,
ციცქნა კალამმა დღეს დაჯაბნა შუბი ვეება -
ივანეს, პეტრეს კაცი კალმით უნდა შეება...
„მეურნეობის კრიზისზე" ვწერ ახლა სტატიას.
არა, არ ვჩემობ ციცერონის – ბრძენის მანტიას.
მაგრამ სიტყვებით თუკი გულმა მოიწადინა,

რომელსაც გნებავთ გავაბრუებ ძალზე ადვილად...
ჩემის გამოსვლით ფასს ავუწევ „ყვავთა პარტიას.“
დღეს ყველა ხეპრე წინ აყენებს თავის ნატურას;
და მე დავდუმდე? – სირცხვილს უდრის ასე დარჩენა,
ყველა პროგრამის მზად გახლავართ მხარდასაჭერად...
წამოვაყენო უნდა ჩემი კანდიდატურა!

*(„ბატონი პოლიტიკოსი“, თარგმნა ამირან ასანიძემ)*

სატირის ასეთ ცეცხლში გაატარა პოეტმა ბატონი ლიბერალები, რომლებიც ხალხის ნიღაბს ამოფარებულნი მზად არიან თვით ეშმაკსაც კი მიემხრონ, რომელი პარტიის, გნებავთ, პროგრამა გაიზიარონ, ოღონდ სანუკვარი ლუკმა ხელიდან არ გაუვარდეთ, მმართველობის სათავეში მოექცნენ და იბატონონ.

**„კატაკომბებში“.** 1905 წლის ოქტომბრის დასაწყისში ლესია უკრაინკამ დაასრულა დრამატული პოემა „კატაკომბებში“და იგი მიუძღვნა თავის მეგობარს აგათანგელ კრიმსკის. ეს არის არა მხოლოდ უკრაინული, არამედ მსოფლიო ლიტერატურის ღირსშესანიშნავი ნაწარმოები, რომელიც მიმართულია სოციალური უთანასწორობის, მეფის ხელისუფლებისა თუ საერთოდ დესპოტიზმის წინააღმდეგ, ნაწარმოები, რომელშიაც ნეოფიტმა მონამ აიმაღლა ხმა ადამიანთა ჩაგვრის წინააღმდეგ.

დრამატული პოემის მთავარი გმირი ნეოფიტი მონა მონობის, ყოველგვარი ექსპლუატატორული პოლიტიკის წინააღმდეგ თავდადებული მებრძოლია. იგი ოცნებობს თავისუფლებაზე. ნეოფიტი მონა მიდის კატაკომბებში. მოქმედება მიმდინარეობს რომის მახლობლად II საუკუნეში. მიდის იმ იმედით, რომ იქ წარმართების მიერ დევნილ ქრისტიანთა

შორის მოიპოვებს სულიერ თავისუფლებას, პოვებს სიმართლეს. იგი ფიქრობს, რომ ქრისტიან ძმათა შორის არავითარ სოციალურ დაყოფას არა აქვს ადგილი, არ არიან ბატონები და მონები, არიან მხოლოდ ძმები. მაგრამ პირველივე სიტყვებმა, რომლებიც ნეოფიტმა მონამ მოისმინა კატაკომბებში, ჭრაქებითა და თაფლის სანთლებით განათებულ მიწისქვეშეთში, განაცვიფრა. ეპისკოპოსი სრულიადაც არ უარყოფდა მონობას. იგი ქადაგებდა, რომ არა მარტო აქ, არამედ იმ სამყაროშიაც კი მონა რჩება „მონად ღვთისა“

გაქრისტიანებული თემი ისმენდა ეპისკოპოსის ამ ქადაგებას. ნეოფიტ მონას კი არ ესმის ღვთისმსახურის ქადაგება. მისთვის მიუღებელია ეპისკოპოსის მიერ გამოთქმული აზრები ადამიანთა ყოფის შესახებ. ნეოფიტ მონასა და ეპისკოპოსს შორის გამართულ კამათში გამოიკვეთება როგორც ეპისკოპოსის, ისე ნეოფიტი მონის პოზიციები. ნეოფიტი მონა აცხადებს: „განა საყდარში იმისათვის მოველ, რომ უღელი შევიბა? მე აქ დავეძებ თავისუფლებას“.

ავტორი ეპისკოპოსთან ნეოფიტი მონის საუბარში ნათლად გვიხასიათებს ქრისტიანული მორალის ეპისკოპოსისეულ პოზიციას, რომლის მიხედვითაც ამ ქვეყანაზე შრომა და მორჩილება მართებს ყოველ მონას ღვთისას. ნეოფიტი მონა გულდამწვარი მოგვითხრობს თავის აუტანელ ცხოვრებაზე. იგი თავისუფლებას ეძიებს.

ნეოფიტი მონა რწმუნდება, რომ თავისუფლებისა და სიმართლის მოპოვება შეიძლება მხოლოდ ბრძოლით პატრიციებთან და ბატონ ქრისტიანებთან. ამიტომაც ნეოფიტი მონა



მიხაილო დრაგომანოვი

რისხვით ამხელს მონობას, ექსპლუატაციის საშინელებას და გადაწყვეტს „იბრძოლოს მორჩილად კი არა, მამაცურად“.

მუშათა ტანჯვა, მონათა ტანჯვა,
ძმათა წამება-არ არის ცოდვა?

*(თარგმნა ფილიპე ბერიძემ)*

კითხულობს იგი.

ეპისკოპოსი ცდილობს დაარწმუნოს ნეოფიტი მონა, რომ იგი ცდება და მიმართავს:

რა ავი სული შეუჩნდა შენს გულს?
რად შეურაცხყოფ მოძმეებს შენსას
გესლიანი და მწარე სიტყვებით?
რა დავაშავეთ , მოძმეებს შენსას
რატომ უჩივი?

ამის პასუხად ნეოფიტი მონა ცდილობს ეპისკოპოსს და თემს განუმარტოს თავისი ჩივილის მიზეზი:

მე საჩივარით მოვედი თქვენთან,
ვიყავი მონა, ტყვე გაყიდული,
ძალმომრეობით ჩამიგდეს ხელში,
ახლა მათხოვრად უნდა მაქციოთ,
გსურთ გავიშვირო ხელები მშვიდად,
პურის ნატეხი ვითხოვო ურცხვად,

თქვენ,–მიმართავს იგი ეპისოპოსს, – თავისუფლების ნაცვლად გვთავაზობთ საჭმელს, ტანსაცმელს, ცარიელ სიტყვებს.

მე მინდა მხოლოდ თავისუფლება,
ურომლისოდაც ცხოვრება ჩემი
უაზროა და უმიზნო გახლავთ;

ნაწარმოებში ადამიანთა მორჩილებისა და მონობისაკენ მოწოდების წინააღმდეგ ბრძოლაა გამოცხადებული, სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ილაშქრებს ავტორი. ნეოფიტი მონა ნაწარმოებში მოუწოდებს ყველა მონას, ვისაც თავისუფლება სწყურია, შეუერთდეს აჯანყებულ მონებს:

მარტო მე როდი მტანჯავს სურვილი,
არც მარტო მე არ გამცრუებია
გულის წადილი.
ასეთ დღეში ხომ ბევრზე ბევრი ვართ.
მე ერთმა მონამ მიამბო – თურმე
აქ აჯანყებულ მონებს ბანაკი
დაულეწიათ და განუზრახავთ
მსხვრევა ბორკილთა, მოხსნა უღელის.

თავისუფლებისათვის ბრძოლის სიმბოლოდ ნეოფიტ მონას ღვთისა და მეფის წინააღმდეგ მებრძოლი პრომეთე მიაჩნია და ამიტომაცაა, რომ იგი ადიდებს პრომეთეს. „კმარა, მონობას ვეღარ გავუძლებ" – ამბობს იგი და პრომეთეს მოიშველიებს:

თაყვანს ვცემ მხოლოდ ტიტან პრომეთეს,
მან ააცილა მონის უღელი
შვილებს თავისას.

გზა გაანათა ცეცხლით ძლიერით
და არა სიტყვით.
იგი იბრძოდა ამბოხი სულით,
არ მორჩილად,

ტირანი არ ცნო მამად, ბატონად,
და დესპოტები ამა ქვეყნისა
მწარედ დადაღა და შეაჩვენა.

მის კვალს მივყვები მტკიცედ, ერთგულად.

ლესია უკრაინკა აქცენტს აკეთებს პრომეთეზე, ადამიანების თავისუფლებისათვის, კაცობრიობის ბედნიერებისათვის თავგანწირულ გმირზე. შეუდრეკელობისა და დაუმორჩილებლობის სიმბოლო ნეოფიტი მონისათვის პრომეთეა. იგი ადიდებს პრომეთეს და ამიტომაც აქვს გადაწყვეტილი მის კვალს გაჰყვეს „მტკიცედ და ერთგულად.“

პოემის დასასრულს ნეოფიტი მონის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში ერთგვარად მთლიანობაში აისახა ავტორის ჩანაფიქრის იდეა. კვლავ გაისმის მოწოდება – ძირს მონობა! გაუმარჯოს სიმართლესა და თავისუფლებას.

გადავეგები თავისუფლებას,
მარად მონობის მტერი ვიქნები,
სიმართლეს ვიცავ, დავიცავ მარად,
თქვენთან ვერასდროს ვპოვებ საერთოს.

ნიშანდობლივია, რომ ამ სიტყვების შემდეგ მთელი შეკრებილი ხალხი დაიძვრება. თემს ეპისკოპოსი სანთლით ხელ-

ში გაუძღვება წინ, ხოლო ნეოფიტი მონა გზის სხვა გადასასვლელზე გადადის და სხვა მხარეს გაემართება.

ამგვარი დასასრულით ლესია უკრაინკამ კიდევ ერთხელ საგანგებოდ მიუთითა თავის პოზიციაზე.

ლესია უკრაინკამ „პრომეთეს მემკვიდრეები" უწოდა ყველას, ვინც უშიშრად იბრძოდა ადამიანების, კაცობრიობის ბედნიერებისათვის.

კავკასიის ქედზე მიჯაჭვული პრომეთე ნაწარმოების ავტორისა თუ მისი დრამის მთავარი მოქმედი გმირისათვის არის მონობისა და მონური მორალის წინააღმდეგ გმირული ბრძოლის სიმბოლო. ამიტომაც, ნეოფიტ მონას ლესია უკრაინკა აოცნებებს იმ დროზე, როდესაც მისი შვილები ან შვილთაშვილები „ელირსებიან იმ დღეს, როდესაც თვით სიტყვა, სამარცხვინო სიტყვა – „მონა" გაქრება.

დრამატულ პოემაში მგოსანი უმღერის დაჩაგრული ხალხის გამოღვიძება-გამოფხიზლებას, მიესალმება მორჩილებასა და მონობასთან მის დაპირისპირებას. ნაწარმოებში აისახა ადამიანის აღშფოთება და გაბრძოლება ფიზიკური და სულიერი მონობის წინააღმდეგ, გაისმა მოწოდება სოციალური ჩაგვრისაგან ადამიანის განთავისუფლების შესახებ.

ნაწარმოების ბოლო სტრიქონებში, რომლებიც ნეოფიტი მონის მონოლოგს ეთმობა, გამოჩნდა პროლეტარული ჰიმნის „მარსელიოზას" იდეური სულისკვეთების გამომხატველი აზრები. პოემა გამსჭვალულია მომავალი თავისუფალი საზოგადოების შექმნის რწმენით, იმ საზოგადოებისა, რომლის შესაქმნელად მწერალი ბრძოლისაკენ გულმხურვალედ მოუწოდებდა.

1905 წლის ცხარე დღეებში პოემა რევოლუციური შეხედულებების პროპაგანდას ეწეოდა. „კატაკომბებში" ასახული

მგზნებარე სწრაფვა თავისუფლებისაკენ არა მარტო არეკლავდა მებრძოლი ხალხის განწყობილებებს, არამედ ბედნიერი მომავლის რწმენით გამსჭვალავდა მშრომელებს და მათ ბრძოლაში შეუპოვრობასა თუ სიმტკიცეს ასწავლიდა.

დრამატულ პოემას, მიუხედავად იმისა, რომ მასში ასახულია უძველესი ისტორიული წარსული, როგოც იდეური თვალსაზრისით, ისე მხატვრული სახეებით თანამედროვე ულერადობა აქვს. ლესია უკრაინკამ თავის ნაწარმოებში ასახა მშრომელი ხალხის სულიერი მისწრაფებები.

* * *

რევოლუციის შემდგომ პერიოდში ლესია უკრაინკას პირად ცხოვრებაში ბევრი გაჭირვების გადატანა მოუხდა: ავადმყოფობასთან მუდმივი ბრძოლა, მხატვრულ-შემოქმედებით სფეროში ტიტანური შრომა.

1907 წელს II სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის დროს კიევში პოლიციამ დააპატიმრა მრავალი პროგრესული მოღვაწე, მათ შორის გამოჩენილი უკრაინელი კომპოზიტორი ლისენკო და ლესია უკრაინკა, რომლის პოეტური სიტყვაც უკვე კარგა ხანია მოსვენებას უკარგავდა მეფის ხელისუფლების დამქაშებს. მგოსანი დააკავეს, მაგრამ მალე იძულებული გახდნენ გაეთავისუფლებიათ, თუმცა სიცოცხლის ბოლომდე საგანგებო მეთვალყურეობის ქვეშ კი დატოვეს. ლესია უკრაინკა სამუდამოდ დარჩა ჟანდარმთა სამმართველოს „შავ სიაში" შეტანილი.

**„კასანდრა".** ყირიმში მკურნალობის დროს ლესია უკრაინკამ დაამთავრა პოემა „კასანდრა". თუ ამ პოემის შემოქმე-

დებით ისტორიას გავიხსენებთ, შემდეგი სურათი გადაგვეშლება თვალწინ.

ლესია უკრაინკას დრამატურგია ფენომენალური მოვლენაა უკრაინულ ლიტერატურაში. მისი შემოქმედება გამოირჩევა თემათა სიახლით, მწვავე სოციალურ-ფსიქოლოგიური კონფლიქტებით, პოეტური სინატიფით.

პოეტის შემოქმედება ფართო მასშტაბისა და დიაპაზონის იყო. მასში აისახა სიუჟეტები და მარადიული მხატვრული სახეები, რომლებიც დამკვიდრებული იყო მსოფლიო ლიტერატურაში და მოდიოდა ბიბლიიდან, ევანგელედან, სხვადასხვა ხალხების ისტორიიდან და ლიტერატურიდან. უკრაინელი პოეტი კარგად იცნობდა ევროპისა და აზიის ისტორიასა და ასევე კულტურას, ხშირად მიმართავდა მათ, როგორც წყაროებს თავისი შემოქმედებისათვის, ეძიებდა ისტორიული წარსულის სურათების თანხმოვანებას მისი თანამედროვე უკრაინის ყოფასა და ცხოვრებასთან.

ლესია უკრაინკას სახელთანაა დაკავშირებული უკრაინულ ლიტერატურაში დრამატული პოემის ჟანრის განვითარება.

1901 წლის გაზაფხულზე ავადმყოფობამ ხელახლა შეუტია პოეტს, ამჯერად იგი ფილტვებს შეეხო.

ლესიამ მოინდომა ბუკოვინაში გამგზავრება. ეს მხარე მას ბავშვობიდანვე უყვარდა. ფიქრობდა, რომ თუ ეს ოცნება აუსრულდებოდა, მაშინ პოვებდა მორალურ სიმშვიდეს, რომელსაც იგი ასე საჭიროებდა განვლილი უბედურების შემდეგ. იქ, აღნიშნავს თავის მოგონებებში კლიმენტ კვიტკა, მან მართლაც მოიპოვა სულიერი სიმშვიდე და თავი უკეთ იგრძნო. ზაფხულში კი ბურკუტში მთლად გამოკეთდა.

კიევში მიბრუნების შემდეგ, შემოდგომის უამინდობამ და გადაღლამ კიევური ცხოვრების გამო, პოეტის სერიოზული მკურნალობა მოითხოვა. 1901-1902 და 1902-1903 წლების ზამთარი ლესია უკრაინკამ გაატარა სან-რემოში. იქ ლესია თავს სუსტად გრძნობდა, მაგრამ სიმხნევეს არ კარგავდა. აი, ამ დროს დაიწერა „ბაბილონელი ტყვე“, მორალური ტანჯვის გამოძახილი და ჩაისახა იდეა და კალმის პირველი მოსმა დაიწყო ახალი ნაწარმოების „კასანდრას“ შესაქმნელად. „კასანდრა“, როგორც კლიმენტ კვიტკა იგონებს, ბნელი ფატალიზმის, რომელიც მაშინ დაეუფლა პოეტს, ზეგავლენით იყო შექმნილი.

პირველ იფორმაციას დრამა „კასანდრაზე“ ლესია უკრაინკა გვაწვდის ოლგა კობილიანსკასადმი 1903 წლის 27 მარტს სანდრემოდან გაგზავნილ წერილში, სადაც იგი აღნიშნავს, რომ ახალი თხზულების გმირად კასანდრა აირჩია.

განცდილი სიმწარისა და ავადმყოფობის ახალი სტადიის დაწყებამ, რასაც იგი არ ელოდა, რადგან ოპერაციის შემდეგ მას პროცესი შეჩერებული, სრულიად ლიკვიდირებული ეგონა, მძიმედ იმოქმედა მასზე.

ლესია გმირულად უპირისპირდებოდა ავადმყოფობის ახალ ფაზას და ყველას უმტკიცებდა, რომ ფილტვების ავადმყოფობას გაუკმლავდებოდა. ასეც მოხდა. სან-რემოში დასვენების შემდეგ ავადმყოფობა მიყუჩდა და პოეტი სიცოცხლის ბოლომდე აღარ შეუწუხებია. მიუხედავად ყოველივესი, იგი ვერ იყო კარგ ხასიათზე. იგი უფრო მეტ განცდებში იყო, ვიდრე მაშინ, როდესაც ავადმყოფობის ახალი ეტაპი დაეწყო და დაავადებამ თირკმლებს შეუტია, რამაც მას სიცოცხლე წაართვა.

1907 წელს ლესია უკრაინკამ დაამთავრა „კასანდრაზე“ მუშაობა. ამ ნაწარმოებში პოეტმა მოგვცა ჯერ კიდევ ჰომეროსის „ილიადაში“ დასახული თემის თავისი ორიგინალური გააზრება. მასში ლესია უკრაინკა, ერთი მხრივ, ილაშქრებდა პასიურობის, ინერტულობის წინააღმდეგ, ე.ი. მათ წინააღმდეგ, ვინც გრძნობდა ბრძოლის აუცილებლობას, მაგრამ უმოქმედობას, პასიურობას იჩენდა და, მეორე მხრივ, მკაცრად გმობდა პრაგმატიზმის რეაქციულ ფილოსოფიას (გამარჯვება ამართლებს საშუალებას). ლესია უკრაინკამ დრამის სიუჟეტად გამოიყენა ლეგენდა ტროელებთან ბერძნების ომის შესახებ. მისი მომარჯვებით მან დრამატული კონფლიქტი გამოიყენა რენეგატობის წინააღმდეგ გასალაშქრებლად, ამხილა პრაგმატიზმის ბურჟუაზიული ფილოსოფია, რომელიც არ ცნობდა ხალხთა მასების როლს. პრაგმატიზმი საერთო, საზოგადოებრივ საქმეს აცხადებდა „აბსტრაქციად“, მხოლოდ პირად გამორჩენას თვლიდა „კონკრეტულად“. პრაგმატისტები განიხილავდნენ ყველაფერს, თავის მოღვაწეობასაც კი, როგორც „საქონელს“, რომლის ყიდვა-გაყიდვა შესაძლებელი იყო „ხალხის ბაზარზე“.

პრაგმატიზმი, როგორც მსოფლმხედველობა, გავრცელებული იყო განსაკუთრებით ამერიკაში და XX საუკუნის ბურჟუაზიული ფილოსოფიის ყველაზე მოდური მიმდინარეობა გახდა.

წინასწარმეტყველი ქალი კასანდრა მსოფლიო ლიტერატურაში საკმაოდ ცნობილი ფიგურა იყო. მისი სახელი ახმიანდა ჯერ კიდევ ჰომეროსის დროიდან ტროას ომთან დაკავშირებით. კასანდრა ტროას მეფე პრიამოსის ქალიშვილია. იგი აპოლონს შეუყვარდა და ამიტომაც მან მისი გულის

ტრფიალს წინასწარმეტყველის ნიჭი მიანიჭა, მაგრამ ადამიანთა ბედის ღმერთის მოირას გავლენით, კასანდრამ უარყო აპოლონის სიყვარული. შეურაცხყოფილმა და განრისხებულმა აპოლონმა შური იძია კასანდრაზე. მან ისე გააკეთა, რომ კასანდრას წინასწარმეტყველების აღარავის სჯეროდა.

ლესია უკრაინკას ნაწარმოები „კასანდრა“ იწყება ტროას ალყით. ტროელები ალყაში არიან მოქცეულნი, თავის ციხესიმაგრეში ჩაკეტილნი. ისინი მედგრად იცავენ ქალაქს. კასანდრამ იწინსაწარმეტყველა, რომ შემოსეული მტრები, ბერძნები, მახეს დაუგებდნენ ტროელებს.

კასანდრას მხურვალედ უყვარს თავისი სამშობლო, თავისი ხალხი. იგი გრძნობს საშიშროების, უბედურების მოახლოებას.

> უბედურებას ყოველთვის ვგრძნობ და მუდამ ვხედავ,
> გამოხატვა კი არ შემიძლია .
>
> მხოლოდ ვიცი, რომ უკვე არსებობს,
>
> *(თარგმნა ნინო ნასყიდაშვილმა)*

წინასწარმეტყველებს კასანდრა.

რატომ არ თქვიო ეს აქამდე, ეკითხება ანდრომაქე, ჰექტორის, კასანდარას ძმის ცოლი. რაზედაც კასანდრა პასუხობს:

> რომც მეთქვა, განა ვინმე დამიჯერებდა?
> და ეს არ არის ცარიელი სიტყვები:
> ეს სიტყვები არაა, ყველაფერს ვხედავ დებო.
> რასაც ვამბობ. ვხედავ: ტროა იღუპება.

მას დაჟინებით ეკითხებიან, კიდევ რას ხედავო. და ისიც ჰყვება:

მე ვხედავ მხოლოდ: აღიგავა პირისგან ტროა
და ქორწინება პრიამოსის ასულისა დიდ აქილევსთან,
მორწყული არის ტროას მებრძოლთ წითელი სისხლით,
ეს სამარცხვინო ქორწინება ვერ იხსნის ტროას
სულ ახალ ღვინოს ამზადებენ ქორწილისათვის,
გარდაცვლილები მოითხოვენ: სისხლი მოგვეცით სისხლი!

...ოხ რამდენ შავ სისხლს ვხედავ ირგვლივ! სამწუხაროა
და ჩვენი მამა თავის შვილთა კატებს ეხვევა,
მუხლებს ეხვევა .... მესმის ყვირილი და შეძახილი
ტირის და გოდებს, მოსთქვამს, წუხს და აღარ ჩერდება
ეს ხომ დედაა ჩვენი, შევიცანი, ხმაა ეს მისი...

ასეთი სურათი დაუხატა ხალხსა და თავისი ოჯახის წევრებს კასანდრამ. მაგრამ მდიდარი თანამოქალაქენი ყურსაც არ იბერტყავენ, შემაშფოთებელ სიმართლეზე თვალს ხუჭავენ, რადგან არ უნდათ დაარღვიონ მყუდროება, წყნარი ცხოვრება, ობივატელური ბედნიერება. ამიტომაც ურჩევნიათ ლამაზი სიცრუე, რომელსაც მათ სთავაზობს ქურუმი გელენი.

ბერძნებმა, რომლებმაც ვერაფერი გააწყვეს ტროელებთან, ვერ გაარღვიეს ალყა და ვერ შეაღწიეს ციხე-სიმაგრეში, ხერხს მიმართეს: ალყა მოხსნეს და ალაყაფის კარებთან ხის ცხენი დატოვეს.

მოქმედება ვითარდება. მასში ჩაერთვება ქურუმი და წინასწარმეტყველი გელენი, კასანდრას ძმა.

დიდი მოედანი, შუაში ტაძარია. სიღრმეში მოჩანს მეფე პრიამეს დიდი ეზო. მზიანი დილაა. მეფის ეზოდან გამოდის გელენი, თეთრ ტანსაცმელში საზეიმოდ გამოწყობილი და მიმართავს შეკრებილ ხალხს:

მამანო, ძმანო და შვილნო ჩემნო! მშობელო ტროა.
ცრემლიან მზერას მოაპყრობენ ოლიმპოს ღმერთნი
ჩვენს ჰეკატომბებს, ჩვენს სამსახვერპლოს და ჩვენს
ვედრებას,
უიარაღოდ დავამარცხეთ მტერი ვერაგი
ზევსმა ელინებს სიმამაცით გული აუვსო,
კეთილი ნებით დასტოვეთო ტროა,ურჩია,
მიუახლოვდით კარიბჭეს – ბანაკი გაქრა
აქინელების, მხოლოდ ცხენი დგას მარტოსული.
ტროას მეფეებს უსახსოვრეს აქინელებმა
ცხენი, რომელიც ხისგან არის დამზადებული
და ოქრო-ვერცხლზე ძვირფასია ეს ცხენი ჩვენთვის
მარმარილოსა და ძვირფას ქვაზე მეტად ძვირფასი
მონაპოვარზე ძვირფასია ძღვენი თანხმობის,
რომელიც ომში სისხლის ფასად ჩვენ გვერგო წილად.
აქინელებმა ჩვენგან თვისი ნებით გასცურეს
და ყველა ღმერთის ნებით ჩვენი ძღვენი დატოვეს
პატივისა და თანხმობის ნიშნად.
დიდება აქინელებს!

ხალხი ქურუმის სიტყვას ერთხმად გამოეხმაურა, მხარი დაუჭირა გელენს. ერთადერთი კასანდრა იყო, ვინც შეეწინააღმდეგა გელენს და ხალხს შეახსენა: „რისთვის ვუხდით მადლობას და ვადიდებთ აქაველებს – სისხლისთვის, სიკ-

ვდილისთვის, ცრემლებისათვის?" კასანდრას არვინ უგდებს ყურს. გელენი კი მითითებას იძლევა, ხის ცხენი ტაძარში შეიტანონ, რაზედაც ისევ კასანდრა შეეწინააღმდეგება გელენს. „მე არ შევუშვებ ტაძარში", – მტკიცედ აცხადებს კასანდრა, რადგან ეს „უწმინდური საჩუქარია! დაწყევლილი საჩუქარი!" – აცხადებს იგი. კასანდრას სიტყვებით გაღიზიანებული და ქურუმი გელენის გამოსვლით აღგზნებული მასა შეუტევს კასანდრას. „მოჰკალით იგი" – აღრიალდება ხალხი, მაგრამ გელენი მათ აჩერებს: „არ შეიძლება სისხლის დაღვრა! იქ წმინდა ადგილია". ხის ცხენისათვის, ამ ძვირფასი საჩუქრისათვის კი ჩვენ ახალ ტაძარს ავაგებთ. ახლა კი დადგით იგი მეფის სასახლის წინ, ეზოში, ბრძანებს ქურუმი.

კასანდრას ესმის, რომ მხოლოდ სიტყვებით არ შეიძლება მდგომარეობის გამოსწორება, მაგრამ იგი უძლურია სხვა მხრივ, „მკვდარია ბრძოლისათვის". კასანდრას ტრაგედია სწორედ ის არის, რომ მას ბრძოლა არ შეუძლია. ლესია უკრაინკა თავისი დრამით გვაჩვენებდა, რომ სამართლიანი იდეების განსახორციელებლად სიტყვები არ კმარა, საჭიროა საქმით ბრძოლა.

კასანდრა აგრძელებს თავის წინასწარმეტყველებას. მას კვლავ მტკიცედ სჯერა, რომ უბედურება არ ასცდება ტროას. უბედურების რკალი თანდათან იკვრება. კასანდრა უკვე აფთრებს ხედავს, რომლებიც დაძრწიან ტროას ნანგრევებზე და ადამიანებს სწოვენ ჯერ კიდევ ცხელ სისხლს.

დაცვამ, ღამის დარაჯებმა საკმაოდ მიიღეს სასმელი და მკვდრებივით ჩაეძინათ. მტრის მეომრები ფრთხილად გამოვიდნენ ხის ცხენიდან, გაუღეს ალყაფის კარები თავისიანებს და შემოუშვეს ტროაში. მხოლოდ კასანდრას არ ეძინა იმ ღა-

მეს. კასანდრას თავგანწირულ ყვირილს – „გაიღვიძე, ტროა, სიკვდილი მოდის შენთან!" – არავინ გამოეხმაურა. ღამის სიმყუდროვეში ტროას დამცველების მშვიდი ფშვინვა ისმოდა მხოლოდ.

დანგრეული და განადგურებული ტროა ცეცხლში იწვის, ხოლო ტყვედ აყვანილ ტროელებს მონობაში მიერეკებიან.

ტროას დაცემის შემდეგ კასანდრა ტყვედ ერგო არგოსის მეფე აგამემნონს. მასთან ერთან კასანდრა დაიღუპება მიკენში.

ძველ ბერძნულ დრამებში კასანდრა წარმოდგენილია, როგორც ტრაგიკული წინასწარმეტყველი, ამაყი და დაუმორჩილებელი ქალი.

ლესია უკრაინკამ თავისი დრამის მეშვეობით, ჩაგვახედა შორეული ისტორიული წარსულის საიდუმლო სამყაროში, შეძლო ამოეხსნა იგი და თანამედროვეებისათვის ნათელი მაგალითის სახით წარმოეჩინა. წინასწარმეტყველი კასანდრა ხედავდა მისი თანამემამულეებისათვის მიუწვდომელ სინამდვილეს, მაგრამ მას არ შეეძლო იმ სურათის ახსნა, რომელსაც ხედავდა, არც მასა და სინამდვილეს შორის მიზეზობრივი კავშირის განმარტება შეეძლო.

ლესია უკრაინკასა და კასანდრას ბედი ერთ რამეში მაინც მსგავსი და თანმხვედრი იყო. არც ერთ მათგანს არ შეეძლო მიეღწია იმისათვის, რომ სიმართლე, რომელიც მათ იცოდნენ, გამარჯვებული გამოსულიყო ამ ბრძოლაში და დამკვიდრებულიყო სამყაროში. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, უკრაინაში.

კასანდრა დრამაში ცენტრალური გმირია. უკრაინულ ლიტერატურაში კასანდრასა და ტროას თემა ახალი არ იყო ლე-

სიას დროისათვის. ვარაუდობენ, რომ ლესია უკრაინკას „კასანდრაში“ ტროას მხატვრულ სახეში უკრაინა წარმოდგებაო, თუმცა ამის თაობაზე დრამა არ იძლევა საფუძველს, რომ ასე ვიფიქროთ. ხოლო რაც შეეხება კასანდრას ტრაგიკულ სახეს, მის მამხილებლურ წინასწარმეტყველებებში ლესია უკრაინკას ავტობიოგრაფიული ხასიათის მომენტებია ჩართული.

ორიოდე შტრიხი.

ღმერთებმა მძიმე სასჯელი მოუგონეს კასანდრას. კასანდრა აღჭურვილი იყო წინასწარმეტყველის თვისებებით, მაგრამ ღმერთი აპოლონის სიყვარულის უარყოფის გამო, მისი წინასწარმეტყველებისა არავის უნდა დაეჯერებია. კასანდრა ამბობს, მას რომ შეეძლოს იარაღის გამოყენება, აიძულებდა ხალხს პატივი ეცათ მისი სიტყვისათვის და ერწმუნათ მისი.

აი, რას ამბობს ლესია უკრაინკა ერთ-ერთ თავის წერილში: „მე არ შემიძლია რჩევების მიცემა, შემიძლია მხოლოდ გავიგო და თანავუგრძნო, ან ვიწინასწარმეტყველო კიდეც, – ესაა მხოლოდ, ჩემი წინათგრძნობა არასოდეს არ მეხმარება არაფერში“...

„კასანდრას“ ფურცლებზე, აღნიშნავენ კრიტიკოსები, გაფანტულია მწერლის აზრები, ლესიას გამოთქმები, რომლებიც ტექსტუალურად ლესიას მიერ თავის ნაწარმოებებში, წერილებში, პუბლიცისტურ ნაწერებში გამოთქმული აზრების თანმხვედრია.

დრამაში, შეიძლება ითქვას, იგივე პერსონაჟია გამოყვანილი, რაც ამ სიუჟეტზე შექმნილ კლასიკურ ტრაგედიებში და განსახიერებულია იგივე ისტორიული მოვლენები თუ სი-

ტუაციები. ლესია, როგორც მწერალი, თავის დრამაში აძლიერებს სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფაქტორებს, მკვეთრად გვიხატავს ტროას სათავეში მდგომი ადამიანების დამახასიათებელ ტიპურ მოქმედებას, რასაც ავტორი, შესაძლოა, იმდროინდელი უკრაინის ხელისუფლების მიმართაც გულისხმობდა.

ანდრომაქეს, გელენას, პოლიქსენასა თუ ქალთა სამყაროს ზოგიერთ სხვა წარმომადგენელს ერთი ბეწო სიკეთის, კეთილი საქმის გაკეთება არ შეუძლია, თუ არ სურს, სულერთია, თავისი ქვეყნისათვის, ტროასათვის.

რაც შეეხება დოლონს, იგი კასანდრას ყოფილი საქმროა. იგი უშიშრად და უყოყმანოდ თავს სწირავს ტროასათვის, თუმცა სრულიადაც არ არის ფიზიკური ძალის, ძლიერების განმასახიერებელი, არ არის მებრძოლი:

> ახალგაზრდა და ნაზი, არა ბრძოლისათვის,
> ლირისათვის, კიფარისათვის დაიბადა იგი.
> და გზაფხულის სიმღერებისათვის. . .

რა უნდა ქნან ასეთმა ხელებმა? როგორ გაუმკლავდნენ მძიმე მახვილს, რომელიც აღიმართება მის თავზე...

რა შეიძლება ითქვას კასანდრას ძმებზე: უფროსი ძმა დეიფობი, თავისი მდგომარეობით დიდი ბატონია, ამავე დროს სტრატეგი, ფაქტობრივად, ჯანსაღად ვერც კი აზროვნებს, საკუთარ თავს იქით ვერაფერს ხედავს. ამიტომ, მას არ შეუძლია ჩაწვდეს თავისი დის წინასწარმეტყველებას, გაიგოს იგი, გამოიყენოს მტერთან ბრძოლაში. დეიფობი კასანდრას ურჩევს:

> ვხედავ, სართავი აგიღია, ძლიერ მახარებს
> სიმართლე გითხრა, შესაფერი არის ეგ საქმე,

უკეთესია, ვიდრე შენი მისნობა ყველა.
გირჩევ, სართავი ართე მშვიდად, წინასწარ ნუ ჭვრეტ!

დეიფობი ენერგიული, მოქმედი, მოძრავი მამაკაცია. იგი ყველანაირ საქმეს შეეჭიდება ხოლმე, მაგრამ უნაყოფოდ. დეიფობი თვალდახუჭული მიჰყვება ცხოვრების დინებას, რადგანაც მას არ ესმის, არ შეუძლია ჩაწვდეს მის არსს.

კასანდრას მეორე ძმა პარისი უნებისყოფო ადამიანია, რომელიც ცხოვრებით განებივრებული, გათამამებული ახალგაზრდაა. იგი როგორც კი დაინახავს თავის მეუღლეს – გელენას, თვალთ უბნელდება და რეალურად ვეღარაფერს ხედავს. დამოუკიდებლად აზროვნება აღარ შეუძლია.

კასანდრას თქმით, პარისი მხოლოდ მაშინ გრძნობდა სიცოცხლეს, როდესაც სალამურზე უკრავდა ცხვრის ფარაში.

პარისი დუმს ხალხის სათათბიროში, „იარაღსაც ისე აისხამს, თითქოს რკინის მძიმე ბორკილები იყოს და ღმერთებიც მასთან არ ლაპარაკობენ", იგი მათთვის არარაობაა.

პარისი იღუპება.
აღარც მამა მყავს, აღარც დედა, აღარ მაქვს სახლი
არც მშობლიური სამყოფელი, იტირე ტროა!
უმისამართოდ დაიკარგა ნორჩი პარისი!

კასანდრას ძმაა აგრეთვე – გელენი. იგი ტროაში მიღებული და აღიარებული პიროვნებაა. იგი ქურუმი და წინასწარმეტყველია, კასანდრასგან განსხვავებით, ხალხი მას უსმენს, მისი სიტყვების სჯერა. ყველა ვითარებაში, ლხენა იქნება თუ გლოვა, ხალხი მას მიმართავს რჩევისათვის. ყველა დარწმუნებულია, რომ გელენი შუამავალია მათსა და ღმერთს შორის. გელენს ხალხი მიმართავს, როგორც ბრძენსა და სა-

მართლიანს, ისეთ პიროვნებას, რომელიც ხედავს ყველაფერს, რაც სხვებისთვის ფარული, მიუწვდომელია. ასეთია გელენი ხალხისა და ტროას მეთაურების შეხედულებით. მაგრამ გელენს ნიღაბი რომ ავხადოთ – იგი თაღლითია, გაიძვერაა. ამის საილუსტრაციოდ ერთი მაგალითიც კმარა. კასანდრას შეკითხვაზე – ღმერთებისათვის მსხვერპლის შეწირვით შენი წინასწარმეტყველება რაზე მიგვანიშნებს, – გელენი ცინიკურად პასუხობს: „სისხლიც და კვამლიც შენაწირისა – ეს მხოლოდ საფარი და შიშველი სიმართლის სამკაულებია ხალხის თვალისათვის“. გელენი ამბობს, რომ სიმართლე საერთოდ არ არსებებოს, რომ „სიცრუეს, ტყუილს, რომელიც ახდება – ყველა სიმართლეს უწოდებს... უმნიშვნელო ზღვარი სიცრუეს სიმართლისაგან ოდესღაც გამოყოფდა, ხოლო ახლა ეს ზღვარიც აღარ არის“.

კასანდრა: შენ როგორღა წინასწარმეტყველებ?

ხალხს რას ეუბნები?

გელენი: იმას, რაც საჭიროა.

რაც სასარგებლოა, ანდა ღირსეული.

ნაწარმოების იდეური შინაარსი სწორედ გელენის საქმოსნურ ფილოსოფიასთან კასანდრას ინტუიციური ფილოსოფიის დაპირისპირებაზე იგება. გელენის აზრით, ხალხს ჭეშმარიტი სიმართლე კი არა, სიმართლის ილუზია სჭირდება. იგი ხალხს იმას უწინასწარმეტყველებს, რაც თავად მისთვის არის სასარგებლო და ხელსაყრელი. ამიტომაც პირადი გამორჩენის ფილოსოფიამ ღალატამდე მიიყვანა – იგი დამპყრობლების სამსახურში ჩადგება.

ლესია უკრაინკამ ნაწარმოებში დაგვიხატა სურათი, თუ პრაგმატიზმის პრინციპმა გელენი როგორ მიიყვანა თავისი ხალხისა და სამშობლოს ღალატამდე. იგი ტროას დამპყრობლების მსახური გახდა. ბერძნებმა მისი შეხედულებები, პოზიცია, მოხერხებულად გამოიყენეს დაპყრობილ ტროაში, დამონებულ ტროელ ხალხზე თავისი ბატონობის განსახორციელებლად.

„კასანდრაზე" მუშაობა მწერალმა 1908 წელს დაამთავრა. იგი აქტიურად ჩაება რეაქციული ფილოსოფიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

აი, ამ ე.წ. წინასწარმეტყველის მოღალატეობას, შემგუებლობას ლესია უკრაინკა დრამაში უპირისპირებს კასანდრას სიბრძნესა და სიმართლის სიყვარულს. ეს ორი ერთი-მეორეს საწინააღმდეგო პიროვნებაა, მაშინ, როდესაც გელენი ხალხს უყვება თავის მონაგონს, სიცრუეს, რომელიც აბრუებს, სიამოვნებას ჰგვრის ხალხს, ამშვიდებს, აწყნარებს მას, და რომელსაც ხალხი და ქვეყანა დაღუპვამდე მიჰყავს, კასანდრა ცდილობს ხალხს აუხილოს თვალი სიმართლეზე, უყვება მის მიერ დანახულ რეალობას – საშინელებას, რომლისაც ხალხს არ სჯერა და რომელიც კი არ აძინებს მის სიფხიზლეს, არამედ აშფოთებს, აღელვებს მას.

გელენთანაა დაკავშირებული სწორედ დრამაში წარმოჩენილი პრობლემა, პრაგმატიზმის ფილოსოფიის პრობლემა. გელენი არის სწორედ ის პიროვნება, რომელიც პრაგმატიზმის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების მატარებელია.

ლესია უკრაინკამ ეს პრობლემები დასვა და მაღალმხატვრულად ასახა დრამაში „კასანდრა".

ლესია უკრაინკამ დრამაში ჩართო ეპიზოდი, რომელიც არა მარტო ამძაფრებს კონტრასტულად გელენის პიროვნების დახასაიათებას, არამედ წარმოგვიდგენს და შეგვახსენებს ხალხისათვის თავგანწირულ იმ ადამიანს, რომელიც, მწერლის აზრით, საუკუნო დიდების ღირსია.

პირველი აქტის დასასრულს, კასანდრა ესაუბრება გელენას სპარტელთა მეფის მენელაოსის მეუღლეს აქილევსის თაობაზე, გელენასა და აქილევსის ურთიერთობაზე. გელენი პარისთან, კასანდრას ძმასთან ერთად ტროაში მოხვდა.

კასანდრა ეუბნება გელენას, რაც მან იხილა.
მე იმ დღეს ვნახე აქანელთა მებრძოლთა ჯარი.
ახლა კი ვხედავ: მენელაიმ ჩაგჭიდა ხელი...
*(თარგმნა ნინო ნასყიდაშვილმა)*

გელენა აგზნებული უარყოფს კასანდრას ხილვას და აცხადებს, რომ ეს არასოდეს მოხდება.

წადი შორს ჩემგან, უბედობავ!
ეს სიცრუეა! სიცრუეა! და არასოდეს
არ მოხდება! სჯობს გადავეშვა
სასახლიდან წვეტიან ქვებზე!
კასანდრა განაგრძობს ნათელხილვას:
შენმა მეუღლემ ხელი ხელში ჩაგჭიდა, ვხედავ,
და ძლივს მოგკიდა, ახლა მიგყავს, ამასაც ვხედავ
წინ მიუძღვები, ის კი უკან მოგყვება ნელა.
ჩამოიტოვეთ უცხო მხარე და უცხო ზღვები.
ხომალდი სწრაფად მიგაქანებთ თქვენ შინისაკენ...

ცეცხლის ალები აღარც მოსჩანს ტროას ნანგრევზე,
და ილიონის კვამლი ზემოთ ზეცაში ქრება...
შენ ზიხარ ტახტზე, დედოფალი გამხდარხარ უკვე,
ოქროს სართავი გაგიშლია, ძაფს ართავ მშვიდად,
შალს მეწამულის ფერს და წითელ მშვენიერ ძაფებს,
ასე გრძელდება ყველაფერი, გრძელდება ასე...

გელენა პროტესტს აცხადებს: ეს სიცრუეაო, ხოლო კასანდრა დაჟინებით იცავს თავის აზრს. კამათის დროს კასანდრა ასე მიმართავს გელენას: ო, ღმერთის ტოლო, ო, დაუმარცხებელო! ეპიმეთეს ქალიშვილო!

აღშფოთებულია გელენა – ეს რა ახალი სიგიჟეა, შენ როგორ ბედავ, მე მომმართო – ეპიმეთეს ქალიშვილოო. აი, მაშინ კასანდრა მოიშველიებს ისტორიას პრომეთესა და ეპიმეთეს შესახებ:

იყო პრომეთე და იყო ეპიმეთე,
ერთი დედის და მამის შვილები.
პრომეთემ ცეცხლი უსახსოვრა ადამიანებს
კარგად იცოდა ამისათვის რაც მოელოდა,
წინასწარმჭვრეტმა თავისაკენ არ მიიბრუნა, –
დედამიწაზე შვილთა შორის მეტად დასაჯა
პრომეთე მწარედ მოირამ და სულ შეაჩვენა.

ლესია უკრაინკა იხსენებს პრომეთეს, რომელმაც ცეცხლი მოსტაცა ღმერთებს და ადამიანებს სიცოცხლე და ცეცხლი მისცა.

პრომეთემ იცოდა, რომ ამ უკეთილშობილესი საქციელისათვის ზევსის რისხვას დაიმსახურებდა და დაისჯებოდა, მაგრამ მან ეს ნაბიჯი მაინც გადადგა, და გადადგა იმისათ-

ვის, რომ ადამიანებს შეშველებოდა. ამ ტრაგიკული ისტორიის წარმოჩენით და ხაზგასმით, ლესია უკრაინკამ თავისი დამოკიდებულება მკვეთრად ასახა ამ ფაქტისადმი, პრომეთესადმი, ადამიანებისათვის მისი თავგანწირვის გამო. საყოველთაოდ ცნობილი იყო ლესია უკრაინკას დამოკიდებულება ხალხისადმი და სამართლიანობისადმი. დრამაში პრომეთეს ტანჯვის გახსენებით საზოგადოებრიობას შეახსენა მისი მოვალეობა ადამიანების წინაშე.

რაც შეეხება მეორე ძმას, ეპიმეთეს, მან „არაფერი იცოდა". მან ცოლად მოიყვანა პანდორა, რომელიც ადამიანებს სიკვდილითა და სიმწარით „ასაჩუქრებდა", ბედნიერად იცხოვრა მასთან. მაგრამ

ერთი მამისა და დედის შვილები –
ტიტანები არასოდეს ყოფილან ძმები.

მათ სრულიად სხვადასხვა გზა აირჩიეს ცხოვრებაში.

ასე გაიელვა დრამაში პრომეთეს სახელმა და მისმა თავგანწირულობამ.

პრომეთეს თაობაზე ლესია უკრაინკას სხვაგანაც აქვს გამონათქვამი. „კასანდრაზე" ადრე შექმნილ ფანტასტიკურ დრამაში „შემოდგომის ზღაპარი" პრომეთე მოხსენიებულია როგორც უკვდავი და წამებული ტიტანი, რომელსაც კავკასიის ქედზე მიჯაჭვულს „ცის თაღი ჰქონდა სახურავად, კლდენი – კედლებად, ზღვა კი მის ფერხთით იყო გართხმული".

1907 წელს ლესია უკრაინკა მიუბრუნდა „კასანდრაზე" მუშაობას. მაშინ დაწერა მან დრამის ეპილოგი. მას ურჩიეს, რომ ნაწარმოები ამ ეპილოგით არ გამოექვეყნებინა, მაგრამ ლესიამ თავისი გაიტანა და რჩევა არ გაიზიარა. თუმცა, რამდენიმე

წლის შემდეგ, როდესაც დაისვა საკითხი „კასანდრას“ ცალკე გამოცემის თაობაზე, ლესია უკრაინკამ თვითონ გამოთქვა სურვილი „კასანდრა“ დაებეჭდათ ეპილოგის გარეშე, „რამეთუ ეპილოგი აქვეითებს ნაწარმოების საერთო ტონალობასო“.

დრამის ეპილოგში, რომელიც სულ ორფურცელნახევარია, მოქმედება მიმდინარეობს ელადაში. ტროას დანგრევის შემდეგ, არგოსის მეფე აგამემნონი კასანდრასთან ერთად მიდის მიკენში, თავის სახლში ხვდება თავის ცოლს კლიტემნესტრას და მეფისნაცვალ ეგისთეს. აგამემნონი მათ წარუდგენს კასანდრას და უცხადებს, რომ პატივისცემით მოეპყრონ მას, როგორც ქურუმსა და დედოფალს შეეფერება. აგამემნონი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იგი ჩვენთვის ტყვე არ არის.

კასანდრა აფრთხილებს აგამემნონს – „შენ, მეფეო, უფრო ძლიერი მტერი გყავს, რაა მასთან კასანდრა“. აგამემნონი სთხოვს, მითხარი სადაა ჩემი მტერი და რა მომელისო მე, მაგრამ კასანდრა არაფერს პასუხობს.

ეპილოგის დასასრულს კლიტემნესტრა ავალებს ეგისთეს:

> ჩვენ ორი მახვილი გვჭირდება, შენ გალესე.
> შენ მას დაჰკარი, ხოლო მე – კასანდრას.

ასეთია ეპილოგის დასასრული.

როდესაც დრამა „კასანდრა“ დაიბეჭდა, „რადამ“ მიმოხილვაში აღნიშნა, რომ მწერალი კარგად იცნობს ძველი ტროელების ისტორიას. კლიმენტ კვიტკა იგონებს, რომ ლესიამ ეს ინფორმაცია ღიმილით მიიღო. მაშინ იგი უფრო იმაზე წუხდა, რომ შესაძლოა ბევრი მკითხველი „კასანდრას“ ღირსებას იქ ვერ ხედავს, სადაც ჯერ არს და აღიქვამს მას,

როგორც რაღაც გამონაგონს და არა როგორც ფსიქოლოგიურ ეტიუდს, სადაც ეპოქა – მხოლოდ ფონია.

უფრო მართებულად შეაფასა დრამა პოლონური ჟურნალის კრიტიკოსმა, რომელმაც „კასანდრაში“ დაინახა მწერლის ფუნდამენტური, კლასიკური განათლება. ეს, ალბათ, ასეც იყო. ლესია უკრაინკას ხშირად უთქვამს, რომელიმე ეპოქის შესახებ რომ დაწერო, იგი კარგად უნდა შეისწავლო წყაროების მიხედვით, შემდეგ კი დაივიწყო და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება დაიწყო წერა.

კლიმენტ კვიტკა ფიქრობდა, რომ „კასანდრა“ სწორედ ამ პირობებში დაიწერა.

როდესაც „კასანდრას“ გამოქვეყნების დრო დადგა, ლესია უკრაინკა, მისი მეუღლის გადმოცემით, ერთგვარად შიშობდა, რომ მას ხელახლა უსაყვედურებენ ნაწარმოების თემა-სიუჟეტის თაობაზე და ეტყვიან: „ყველაფერი ეს კარგია, მაგრამ რატომ არ შეიძლება თქვენ წეროთ უკრაინის ისტორიიდან“. ამ დროს მოუსწრო პროფ. მ. გრუშევსკის წერილმა, რომელმაც ძალზე დიდი სიხარული მოუტანა ლესია უკრაინკას და შემატა რწმენა თავისი ნაწარმოებისადმი.

თვითონ ლესია უკრაინკა თვლიდა, რომ „კასანდრა“ და „მშფოთვარე სული“ მისი საუკეთესო ნაწარმოებებია. ასე მიაჩნდა ავტორს.

**კლიმენტ კვიტკა.** 1907 წელს ლესია უკრაინკას ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. მან გადაწყვიტა კლიმენტ კვიტკას გაჰყოლოდა ცოლად.

კლიმენტ კვიტკასთან მას საკმაო ხნის ნაცნობობა და ურთიერთობა აკავშირებდა. ისინი ერთმანეთს პირველად შეხვდნენ 1898 წელს.

1898 წლის ნოემბერში ლესია უკრაინკა კიევის უნივერსიტეტის ლიტერატურულ-არტისტულ წრეში კითხულობდა თავის მოთხრობას „ზღვაზე“ ამ წრის სხდომებს ესწრებოდა პირველკურსელი კლიმენტ კვიტკა. ახალგაზარდა სტუდენტი თექვსმეტი წლიდან გატაცებული იყო ხალხური სიმღერების შეკრება-შეგროვებით. წრის სხდომაზე შეხვდნენ ერთმანეთს ლესია უკრაინკა და კლიმენტ კვიტკა. ამ შეხვედრების შემდეგ მათი კონტაქტები რამდენიმე წლით იკარგება.

ლესია ერთგვარად ჩაიკეტა თავის თავში ს. მერჟინსკის გარდაცვალების შემდეგ. ამ დროს გაიღვიძა პოეტის მიძინებულმა ტკივილებმაც, რომელიც, თავის დროზე, სერგეი მერჟინსკის მძიმე მდგომარეობით და შემდეგ მისი გარდაცვალებით გამოწვეულმა ტკივილმა გადაფარა. ლესია ძლიერი ნებისყოფის ადამიანი იყო და იგი შეუპოვრად ებრძოდა თავის ავადმყოფობას, მისით გამოწვეულ მწარე ტკივილს და ამ ბრძოლაში იარაღად შემოქმედებასაც იყენებდა. სერგეი მერჟინსკის გარდაცვალებიდან მომდევნო წლებში მან შექმნა ნაწარმოებები, რომლებშიც ჩააქსოვა თავისი ტკივილებიცა და თავისი ოცნებებიც.

ლესია უკრაინკა ნელ-ნელა უბრუნდებოდა ცხოვრებას.

ს. მერჟინსკის გარდაცვალებიდან გავიდა 6 წელი და ლესიას კვლავ ესტუმრა სიცოცხლის ძალა – სიყვარული.

კიევის უნივერსიტეტში ლიტერატურულ-არტისტულ წრეში შეხვედრისას ლესიამ შესთავაზა ახალგაცნობილ ახალგაზრდა კვიტკას, რომელიც ხალხური სიმღერების შეგროვებით იყო გატაცებული, თუ გნებავთ, მე ვიმღერებ ხალხურ სიმღერას და ჩაიწერეთო. ასე დაიწყო მათი ურთიერთობა.



კლიმენტი კვიტკა

ს. მერჟინსკის გარდაცვალებიდან გასული იყო რამდენიმე წელი, როდესაც ამ ორი ადამიანის ურთიერთობა გააქტიურდა. ლესია კვიტკას დაუახლოვდა უკვე 36 წლისა. იგი ცხრა წლით უფროსი იყო კვიტკაზე. მათი ურთიერთობა თანდათან სერიოზულ და მტკიცე სახეს იღებდა. მიუხედავად ამისა, ლესიას დედა ყოველნაირად ეწინააღმდეგებოდა მათ დაახლოებას. დედისა და შვილის ურთიერთობა მომავალი საქმროს გამოჩენით თანდათან იძაბებოდა. ოლენა პჩილკა უარყოფითად იყო განწყობილი მომავალი სიძისადმი, რომელსაც იგი „არაპატიოსან ადამიანს" უწოდებდა. მისი აზრით, იგი ლესიას იმიტომ დაუახლოვდა, რომ მას მერკანტილური აზრები ამოძრავებდა.

თავად კვიტკა რბილი ხასიათის, გულჩათხრობილი და მორიდებული ადამიანი იყო. იგი არ იყო მდიდარი. კიეველი, ეკონომიურად ხელმოკლე ახალგაზრდა, არავის ხელებში არ უყურებდა და თვითონ ეწეოდა ცხოვრების ჭაპანს.

1907 წელს კლიმენტ კვიტკა ლესია უკრაინკასთან ერთად ყირიმში ჩავიდა. ორივე ტუბერკულიოზით იყო ავად და ყირიმის კლიმატური პირობები ორივეს უხდებოდა. ყირიმში წასვლა ლესიამ დაიჟინა. სულ რაღაც 6 წლის წინ ტუბერკულიოზმა იმსხვერპლა სერგეი მერჟინსკი და ლესიამ კარგად იცოდა, რომ ამ ავადმყოფობასთან თამაში არ შეიძლებოდა. ყირიმში ჩასვლის შემდეგ კვიტკას ჯანმრთელობა გაუმჯობესდა. ავადმყოფს ზღვისპირეთში მკურნალობა მოუხდა.

იმავე 1907 წელს 25 ივლისს ლესია უკრაინკამ და კლიმენტი კვიტკამ ჯვარი დაიწერეს. მათი შეუღლების ფაქტი ახლობლებისთვის მოულოდნელი იყო. ლესიას დედა, ოლენა პჩილკა ხომ ვიღაც „უმწეოზე" მისი შვილის გათხოვების კა-

ტეგორიული წინააღმდეგი იყო. ამან განაპირობა ჯვრისწერის ე.წ. „ფარული“ მოულოდნელობა. ჯვარი დაიწერეს ვოზნესენსკის ეკლესიაში.

კვიტკასთან ქორწინებამ ლესია უკრაინკას ოჯახური განწყობა მოუტანა. შექმნილი ვითარების გამო ახალგაზრდებმა უარი თქვეს მშობლებიდან რაიმე დახმარების მიღებაზე. მაგრამ ავადმყოფობა თავისას ითხოვდა. ლესიასა და კლიმენტს ორივეს მკურნალობა სჭირდებოდა. კლიმენტი სამკურნალო თანხის მოძიებას საკუთრი შრომით ცდილობდა. იყო შემთხვევები, როდესაც შრომით მოპოვებული ფული არ ჰყოფნიდათ. ასეთ დროს ახალგაზრდა ცოლ-ქმარი იძულებული ხდებოდა საოჯახო ნივთები გაეყიდათ.

ლესია მკურნალობდა ეგვიპტეში, საბერძნეთში, ავსტრიაში, მაგრამ სერიოზული შედეგი ამ მკურნალობას არ მოჰყოლია. მიუხედავად ამისა, ლესია უკრაინკა დიდი ძალისხმევით მუშაობდა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე. ამ ხნის განმავლობაში პოეტმა არაერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოების შექმნა მოასწრო.

კვიტკა აღტაცებული იყო ლესიათი. იგი ბავშვობიდან ნებიერად გაზრდილი როდი იყო. მას ბავშვობაში აკლდა დედის სითბო და ალერსი, ადრევე იწვნია გაშვილებაც, სხვასთან გაშვილებული პატარას ბედის სიმწარე. ეს ფსიქოლოგიური ტრავმა მას მთელი ცხოვრების მანძლზე გაჰყვა. ლესიას გახსნილმა ხასიათმა, უშუალობამ, კეთილმა განწყობამ მიიზიდა კლიმენტ კვიტკას ყურადღება. მოხიბლა იგი და განაწყო მისთვის ჯერ კიდევ უცნობი თუ ამოუცნობი პოეტისადმი.

თავის მოგონებებში კლიმენტ კვიტკა საუბრობს მუსიკისადმი, განსაკუთრებით ხალხური მუსიკისა და ხალხური

სიტყვიერებისადმი ლესიას დიდ ინტერესებზე. ეს იყო სწორედ ის საერთო, აღნიშნავენ მკვლევრები, რაც ცოლ-ქმარს ერთმანეთთან აკავშირებდა. მწერალი ქალი და მუსიკათმცოდნე კვიტკა ერთად აგროვებდნენ და იწერდნენ უკრაინულ ხალხურ სიმღერებს, აწყობდნენ ეთნოგრაფიულ ექსპედიციებს უკრაინული ხალხური „ფიქრების" ჩასაწერად.

ლესია უკრაინკა დიდი ენთუზიაზმით მოეკიდა ექსპედიციის ორგანიზაციას და მიუხედავად უსახსრობისა, მთლიანად მან დაფრა ექსპედიციის ხარჯები.

პოლტავაში ლესიამ მიიწვია ცნობილი კობზარი გნატ გონჩარენკო, რომელიც იმჟამად სტუმრად იყო შვილთან სევასტოპოლში და ჩაიწერა მისი ხმა. სხვათა შორის ლესია უკრაინკას ხმის ერთ-ერთი ასეთი ჩანაწერი შენახული აღმოჩნდა ლვოვში.

„კასანდრაზე" მუშაობის დასრულებისას ლესია უკრაინკა ენერგიულად შეუდგა იმ პერიოდის მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოების „რუფინი და პრისცილა"-ს დამუშავება-დახვეწას. ამ დრამაში მას სურდა გამოეხატა მტკივნეული საზოგადოებრივ-ფილოსოფიური პრობლემები, რომლებზედაც უკვე დიდი ხანია ფიქრობდა მწერალი. მაგრამ ავადმყოფობამ ახალი ძალით შეუტია მას. ექიმებმა აღმოუჩინეს კიდევ ახალი დაავადება, თირკმელების ტუბერკულოზი. პოეტმა კვლავ კავკასიას მიმართა საშველად.

„ეს, ალბათ, მეორედ მოსვლაა, თუ რა, – წერს ავადმყოფობით შეწუხებული ლესია დედას, – ხელახლა კავკასიას გავემგზავრებით. კლიონიამ უკვე შესაბამისი „თხოვნა" გაგზავნა თბილისს".[81]

კლიმენტ კვიტკას შესთავაზეს მომრიგებელი მოსამართლის თანაშემწის ადგილი თელავში. ლესია უკრაინკა კმაყო-

[81] ლესია უკრაინკა, ტ. V, 1956, გვ. 544.

ფილია ამ არჩევანით. „თელავი თითქმის ორჯერ უფრო მაღლა მდებარეობს ზღვის დონიდან ვიდრე თბილისი, აღნიშნავს იგი, – ამდენად იგი საკმარისად მაღალია იმისათვის, რომ მალარიისგან დაცული იყოს, და საკმაოდ დაბალიც, რომ ცივი და ქარიანი არ იყოს. ზამთარი იქ უფრო მშრალია, ვიდრე აქ, და არც ძალიან ცივი".[82]

[82] ლესია უკრაინკა, ტ. V, 1956, გვ. 544.

# თელავის პერიოდი

თბილისში ლესია უკრაინკა ჩამოვიდა 1908 წლის დეკემბრის პირველ ნახევარში, ხოლო 1909 წლის იანვარში მთელი ოჯახი თელავში გადავიდა საცხოვრებლად. თავდაპირველად ისინი დაბინავდნენ დურგალ ამონაშვილის სახლში. კლიმენტ კვიტკა მალე დაუახლოვდა ადგილობრივ მოსახლეობას. გლეხები პატივისცემით განეწყვნენ ჩამოსული მოხელისადმი. მათ შორის ახლო ურთიერთობა დამყარდა. ბევრ თელაველს დაამახსოვრდა მშვიდი, გულთბილი და უბრალო კლიმენტ კვიტკა და მისი მეუღლე ლარისა კოსაჩი. თავიანთ მოგონებებში თელაველები კეთილი სიტყვებით იხსენებენ კვიტკას ოჯახს.

„1908 წელს თელავში მომრიგებელ მოსამართლედ გადმოიყვანეს ვინმე უკრაინელი, გვარად კვიტკა“, – იგონებს თელაველი ვანო პაატაშვილი, –კვიტკას მეუღლე იყო პოეტი ქალი ლესია უკრაინკა, ეს მაშინ თელავში თითქმის არავინ იცოდა.

კვიტკა საერთოდ არ ჰგავდა მეფის მოხელეს, ბიუროკრატს, როგორც ხასიათდებოდა მაშინ ოფიციალური დაწესებულების გამგის თანამდებობა. იგი მეტად კეთილშობილი, სადა და მიმზიდველი ადამიანი იყო.

თელავში კვიტკას მცირე ხანს მოუხდა ცხოვრება...

კლიმენტ კვიტკა, როგორც მომრიგებელი მოსამართლე, დღისით მიმდინარე საქმეებით იყო დატვირთული; „ერთხელ მთხოვა, საღამოთი შემოიარეთ ჩემთან სახლში და გულდინჯად გავეცნოთ მასალებსო. დანიშნულ დროს მივედი მასთან

ბინაზე. თელავში ის ცხოვრობდა ეხლანდელ კამოს ქუჩაზე, სადაც ამჟამად ბავშვთა საავადმყოფოა. მაღალ სართულში ეკავა 5 ოთახი".[83] ჩაით გამასპინძლების დროს მასთან ლესია უკრაინკას უსაუბრია. მას კმაყოფილება გამოუთქვამს საქართველოს კლიმატური პირობების გამო. „საქართველო ისე შემიყვარდა, – უთქვამს ლესია უკრაინკას, – როგორც ჩემი სამშობლო უკრაინა. ალაზნის ველის თვალწარმტაც ბუნებას რომ ვუყურებ, დნეპრის ნაპირები მაგონდება და ხშირად გავცქერი ხოლმე აივნიდან კავკასიონის მომხიბლავ, თოვლით შემკულ მთებს".[84]

თელავში ლესია უკრაინკას ცხოვრების შესახებ მოგონება აქვს აგრეთვე თელაველ სუსანა იარალოვას. „ლარისა პეტროვნა, – წერს იგი, – ჩვენს სახლში ცხოვრობდა თავისი ქმრით და დედამთილით და ჰყავდა მოსამსახურე ქალი ნატაშა (35 წლისა, ვგონებ ყოფილი მოლოზანი).

ქმარი კვიტკა მოსამართლედ იყო თელავში. ლარისა პეტროვნა მეტად სუსტი ქალი იყო, იგი სულ ერთთავად წიგნების კითხვასა და წერას ანდომებდა დროს. ჩვენს მოსამსახურე ნიკოს პატარა ბავშვი ჰყავდა. ლარისას ეს ბავშვი ძალიან უყვარდა და ხშირად ეალერსებოდა.

ერთხელ, აღდგომას პასკა ერთად გამოვაცხეთ და ლარისამ მე მომილოცა იშვიათი ხელოვნებით ნაქარგი უკრაინული პირსახოცი.

---

[83] ვანო პაატაშვილის მოგონება, ირ. ხმალაძის მიერ ჩაწერილი თელავში, აკად. გ. ლეონიძის სახ. საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, ფ. №222546.

[84] იქვე.

რაკი გავიცანით ეს ძვირფასი, კულტურული და მეტად პატიოსანი ხალხი, ისე დავუახლოვდით და შემდეგ ისე დავუმეგობრდით მათ, რომ ჩემი ძმა, ადვოკატი მარტინი ხშირად პატიჟებდა ცოლ-ქმარს სადილად და ვახშმად და ერთად ვატარებდით ხოლმე დროს...

ლარისა პეტროვნა ძალიან ერიდებოდა ზედმეტ მოძრაობას და სიარულს. ხშირად აივანზე სავარძელში იწვა და იღებდა მზის აბაზანებს, წერდა და კითხულობდა".[85]

თელავში მყოფ ლესია უკრაინკას ყვარლისაკენაც უმოგზაურია. მის მეუღლეს კ. კვიტკას იგი ყვარელში სტუმრად ჩაუყვანია იური და ელენე ჭავჭავაძეებთან. ამის თაობაზე საინტერესო მოგონება აქვს ე. ჭავჭავაძეს. აი, ეს მოგონებაც: „ერთ დღეს იური შემოვიდა და შემოიყვანა სტუმარი და მითხრა – თელავიდან არის საქმეზე ჩამოსულიო და მე სადილად გადმოვიპატიჟეო. მე გავიცანი, გვარი კი ძლივს გავარჩიე, მგონი „კვიტკაო" თუ არ ვცდები. ძალიან მოეწონა ჩვენი მდგომარეობა და მითხრა წასვლისას თუ ნებას მომცემთ, ამ ცოტა ხანში უნდა ჩამოვიდე ყვარელში. მე ეს სოფელიც ძალიან მომწონს, და ჩემ ცოლს წამოვიყვანო, იმას ძალიან აინტერესებს კახეთის ყველა კუთხე და უნდა, ნახოსო და ხალხიც გაიცნოსო, თქვენი ოჯახი ძალიან მოეწონება და ნამეტნავათ ეს ყვარლის მთებიო. მე მოვიპატიჟე სიამოვნებით. რამდენიმე დღის შემდეგ ერთ დღეს ჩვენი სახლის კარებთან ეტლი გაჩერდა. ეტლიდან ჩამოვიდნენ კვიტკა და თავისი ცოლი, ისეთი სიმპატიური ქალი იყო, რომ ჩვენ ერთმანეთი გადავკოცნეთ, იმის მიუხედავად, რომ ჩვენ პირველად ვხედავდით ერთმანეთს.

---

[85] სუსანა იარალოვას მოგონება, აკად. ლეონიძის სახ. ლიტერატურული მუზეუმი, ფ. №22546.

ძალიან კმაყოფილი იყო მოგზაურობით და უნდოდა ყველაფერი დაეთვალიერებინა, ჯერ სახლი დაათვალიერა და რადგან ჩვენი სახლი იმ დროს ნამდვილ მუზეუმს მოგაგონებდათ, ყველა ნივთების შესახებ გამომკითხა, პირველ ოთახში დიდი შუშებიანი კარადა გვედგა სავსე ათასნაირი ფრინველების ფიტულებით და ცხოველებით, რაც საქართველოს ფაუნას წარმოადგენდა. შემდეგ ოთახები დაიარა, კედელი ერთ სასტუმრო ოთახში სავსე იყო ათასნაირი ძველებური იარაღით, კედლები მეფეების სურათებით, თაროები ძველებური ჭურჭლით, დიდ სასტუმროში ნახა ვენიდან მოტანილი როიალი და მე უამბე, რომ ამის ქარხანა დაიწვა ვენაში და ამისთანა ინსტრუმენტი აღარსად იშოვება, იმან მითხრა მე ძალიან მიყვარს მუსიკა და უფრო კი ძველებური უკრაინული სიმღერებიო. როცა კარგად დაისვენა, მკითხა რა გალავნია ყვარელის თავშიო, მე ვუამბე, რომ როცა ლეკები შემოესეოდნენ ყვარელს, იქ იმალებოდნენ ქალები და ბავშვები და კაცები კი თოფებით უხვდებოდნენ მტერს, ყვარელზე უკანასკნელი თავდასხმა მოხდა 1877 წელს. კვიტკა წავიდა საქმეების გამო, მან კი კარგა დაათვალიერა ჩვენი სახლ-კარი, მოსწონდა ყველაფერი, ბაღი, სახლის ლამაზი შენობა, ამბობდა თქვენი სახლი იტალიური სტილისააო. შემდეგ იურიმ წაიყვანა გალავანში, სადაც შუა გულში იყო ამოთხრილი ძალიან ღრმა ჭა, როცა მტერი გარშემო იყო, იქიდან წყალს იღებდნენ...შემდეგ ისინი წავიდნენ დურუჯის სათავეში, მაშინ იქ იყო ორკლასიანი სასწავლებელი. ორმა დღემ მალე გაირბინა და მეორე დღეს საღამოთი ძალიან კმაყოფილი გამოგვემშვიდობნენ.

ეს ისეთი კარგი ადგილია, რომ აქ რომ ადამიანი ცხოვრობდეს, პოეტი გახდებაო, ამბობდა ის. მე მივიპატიჟე –

მობრძანდით, ჩვენთვის სასიამოვნო სტუმარი იქნებით. შემოდგომა აქ ძალიან კარგია. მან მადლობა მითხრა და დამპირდა მოვალო. მაგრამ დაპირება ვეღარ შეასრულა. მალე გარდაიცვალა".[86]

ასეთი იყო თელაველებისა და ყვარლელების შთაბეჭდილება უკრაინელ სტუმრებზე. თვით ლესია უკრაინკა ბევრ საინტერესოს გვეუბნება მის განწყობილებაზე, ურთიერთობაზე ადგილობრივ მოსახლეობასთან, კახეთის ბუნების მიერ მასზე მოხდენილ შთაბეჭდილებებზე. „აქ ბუნება საოცრად მშვენიერია, ხოლო ქართველი ქალები უაღრესად ენამოსწრებულნი და სიცოცხლით სავსენი",[87] აღნიშნავს პოეტი. მგოსანს ხიბლავს კახეთის ბუნება, მისი ზვიადი მთები და ველი, წყალუხვი ალაზანი, დნეპრს რომ აგონებდა. „ცხოვრების პროზა, – წერს იგი გ. კომაროვას 1909 წლის 10 მარტს, – აქ მძიმე მოსაპოვებელია, მაგრამ პოეზიას ძებნა არ უნდა, თვით გარტყია გარს".[88] პოეტური განცდების წყარო იყო აგრეთვე ციხე-სიმაგრეების ნანგრევები, ძველი დიდების ნაშთები. „თვით თელავში ბევრია ძველი ნანგრევი (იგი კახეთის მეფეთა სატახტო ქალაქი იყო), ქალაქის შუაში უზარმაზარი ციხე-სიმაგრეა თავისი კოშკებით, დაკბილული კედლებით, იგი მე ლუცკის ციხე-სიმაგრეს მაგონებს. ქალაქის ყოველ კუთხე-კუნჭულში არის ნანგრევი",[89] აღნიშნავდა პოეტი იმავე წერილში.

---

[86] ელენე ჭავჭავაძის მოგონება, აკად. გ. ლეონიძის სახ. საქართველოს სახ. ლიტერატურულ მუზეუმი, ფ. 222546.

[87] ლესია უკრაინკა, თხზ. 1956 წ., ტ. V, გვ. 564.

[88] იქვე.

[89] იქვე.

თუ კახეთის ბუნება და მისი სიძველენი შემოქმედების ცეცხლს უღვივებდნენ მწერალს, სამაგიეროდ ქართველი ხალხის სიღატაკე გულს სტკენდა მას. „ძალზე გავერანებული და დანგრეული ქვეყანაა, თუმცა შეიძლებოდა კი ასეთი არ ყოფილიყო, რადგან აქ ბუნება გულუხვი და მდიდარია“,[90] წერდა ლესია გ. კომაროვას. ლესია უკრაინკამ კარგად იცის ამ სიღატაკის მიზეზი. ქართველი ხალხის მძიმე მდგომარეობა, მშრომელების სიდუხჭირე აგონებს მის დაჩაგრულ მოქალაქეებს და დღენიადაგ მათ უკეთეს მერმისზე ზრუნავს.

„სხვათა შორის, – წერს იგი 1909 წლის 28 აგვისტოს ო.პ. კოსაჩ-კრივინიუკს, – მე სწორედ ახლა მაქვს მრავალგვარი გრანდიოზული ლიტერატურული ჩანაფიქრი და მსურდა კია სრული ინვალიდობის ყავლი გადამეწია.[91]

* * *

ერთ-ერთი პირველი ნაწარმოები, რომელიც ლესია უკრაინკამ 1909 წელს თელავში შექმნა იყო დრამატული ეტიუდი „იოჰანა, ხუსას ცოლი". მოქმედება წარმოებს ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში გალილეაში. ნაწარმოების მთავარი გმირებია იოჰანა და მისი მეუღლე ხუსა. იოჰანას მხატვრული სახე უაღრესად ტრაგიკულია. იგი დაიტანჯა თავისი გარყვნილი ქმრის ხუსას ხელში, რომელიც მხოლოდ ძალაუფლების მოპოვებასა და ფულების მოხვეჭაზე ფიქრობს. ამისათვის იგი ელაქუცება და ეფერება მისი სამშობლოს დამპყრობლებსაც კი. იოჰანა ვერ იტანს ამ მონურ ცხოვრებას, სტოვებს ხუსას მდიდრულ სახლს და გალილე-

---

[90] ლესია უკრაინკა, თხზ., 1956 წ., ტ. V, გვ. 564.

[91] იქვე.

ველ წინასწარმეტყველს, ახალი იდეების მქადაგებელ იესოს გაჰყვება. იესოს დაღუპვის შემდეგ, იოჰანამ დაკარგა სულიერი სიმტკიცე და მიწიერი ბედნიერებისათვის ბრძოლის უნარი. ცხოვრებაზე გულგატეხილი, დაბეჩავებული და თავის დამამცირებელ ბედს დამორჩილებული იგი ბრუნდება ხუსას სახლში.

მოქმედება დრამატიზმის ზენიტს აღწევს ნაწარმოების დასასრულს, როდესაც ბრწყინვალე რომაელი სტუმრები ხუსას სახლში სუფრაზე ჰყვებიან იესოს დასჯის ამბავს, საცინრად იგდებენ მის ფანატიკურად ერთგულ მიმდევრებს, ხოლო იოჰანა იძულებულია მდუმარედ მოისმინოს მისი სათაყვანებელი მასწავლებლის ლანძღვა-გინება და უფრო მეტიც, ღიმილით მოემსახუროს დამპყრობლებს, პატივი სცეს მათ და რითაც შეუძლია ასიამოვნოს ისინი.

ნაწარმოებში სხვა პრობლემასთან ერთად იმ საუკუნის გალილეის ცხოვრების მეტყველი სურათიცაა შექმნილი, რომელიც აგრეთვე მეფის რუსეთის დესპოტური რეჟიმისა და ცხოვრების პირობებსაც რამდენადმე არეკლავს, ხოლო თვით იოჰანას სახით მწერალი გვესაუბრა იმ იდეურად მერყევ რევოლუციონერებზე, რომელთა შეგნებაში რევოლუციის დამარცხების შემდეგ შიშმა და მორჩილებამ დაისადგურა, რომლებიც დაემონენ ბედს და ბოლომდე შესვეს მისი მწარე ფიალა.

ლესია უკრაინკა ამ ნაწარმოებით აკრიტიკებდა იოჰანასეულ განწყობილებებს. მწერალს ღრმად სწამდა, რომ სულ ახლო მომავალში აფრიალდებოდა წითელი დროშა და ადამიანები კვლავ მოისმენდნენ ბედნიერების მაუწყებელ სიმღერებს.

რევოლუციური ტალღების დროებითმა შეჩერებამ, რეაქციის გამარჯვებამ გზა გაუხსნა რენეგატობას. რეაქციის პე-

რიოდში, „ფასეულობათა გადაფასების“, ბურჟუაზიული ინტელიგენციის მიერ რევოლუციური იდეების ღალატის, გაყიდვის დროს, ლესია უკრაინკა განაგრძობდა მშრომელი ხალხისათვის ბედნიერების მოპოვების გზით სვლას. იგი მკაცრად აკრიტიკებდა და ამხელდა რევოლუციის რენეგატებს. 1909 წელს, თელავში, ლესია უკრაინკამ დაწერა დრამატული დიალოგი – „სისხლიან ველზე“, რომელიც აშკარად იყო მიმართული რევოლუციის რენეგატებისა და ლიტერატურაში მათი დამცველების წინააღმდეგ. უკრაინაში ვ. ვინიჩენკო, რუსეთში ლეონიდ ანდრეევი და სხვანი მისთანანი ენერგიულად იცავდნენ იდეურ მოღალატეებს და ცდილობდნენ იუდა ისკარიოტელის რეაბილიტაციას, მისგან წვალებულის გამოყვანას.

თელავში შექმნილ ნაწარმოებში ლესია უკრაინკამ იუდა ისკარიოტელს ჩამოგლიჯა წვალებულის ნიღაბი და გვიჩვენა მისი მოქმედების, საქციელის ჭეშმარიტი მამოძრავებელი ძალა. დიალოგში იუდა სწორედ ამ ვითარებაშია წარმოსახული, როდესაც მან უკვე გააკეთა თავისი შავი საქმე, გასცა მასწავლებელი და საზღაურად მიღებულ 30 ვერცხლად ნაყიდ „სისხლიან ველზე“ მუშაობს. საკუთრება და ძალაუფლება – აი რისკენაც მიილტვოდა იგი. მაღალი მორალური პრინციპი, ადამიანურობა – მისთვის არაფერს ნიშნავს, ფულია მისთვის ყველაფრის საზომი, მასწავლებლის ღალატიც ამან უკარნახა მას. მაგრამ ამიტომაც არის, რომ მშრომელ ხალხს იგი ეჯავრება. „ცოტაა შენთვის სიკვდილი!“ – ზიზღით ეუბნება მას გლეხი. ამ სიტყვებში მოისმის ლესია უკრაინკას განაჩენი გამყიდველი რენეგატების მიმართ და ამავე დროს რევოლუციის გადამყიდველების წინააღმდეგ მებრძოლი მოწინავე საზოგადოებრიობის ხმაც.

ლესია უკრაინკა ხალხის კეთილდღეობისთვის ბრძოლის ვითარებაში ლიტერატურას მებრძოლ ფუნქციებს აკისრებდა. მისი შეხედულებით, მხატვრული სიტყვა მძლავრი იარაღი უნდა ყოფილიყო ხალხთა ბედნიერი მომავლის მოპოვებისათვის ბრძოლაში, საზოგადოებრიობის დარაზმვის საქმეში. ამიტომაც მხილება არა მარტო რევოლუციის გადამყიდველებისა, არამედ იმ შემოქმედებისაც, რომლებიც რეაქციულ ბურჟუაზიას ემსახურებოდნენ, ლესიას აზრით, პროგრესული ლიტერატურის ამოცანას წარმოადგენდა. ამ მხრივ საინტერესოა მგოსნის ნაწარმოები – „მუზის ახირება", რომელიც ასევე 1909 წელს თელავშია შექმნილი.

ლესია უკრაინკა თავის ნაწარმოებში „რუფინი და პრისცილა" ილაშქრებდა ქრისტიანობის ბურჟუაზიული აპოლოგეტების წინააღმდეგ. ამ დრამატული ნაწარმოების წერა ლესია უკრაინკამ დაიწყო კიევში, შემდეგ მასზე მუშაობა განაგრძო ყირიმში და საბოლოო რედაქტირება გაუკეთა თელავში.

ამ თემაზე მწერალს რამდენიმე ნაწარმოები აქვს შექმნილი. „რუფინი და პრისცილა" ლესია უკრაინკას შემოქმედებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებია.

ეპისკოპოსის სახე დრამაში „რუფინი და პრისცილა" დრამატულ პოემაში „კატაკომბებში" წარმოდგენილი ეპისკოპოსის სახის ერთგვარად შემდგომში დამუშავება-განვითარებაა.

ასევე შეიძლება ითქვას დრამის მთავარი მოქმედი გმირის, ყოფილი მონის, ნარტალის მიმართაც. „რუფინსა და პრისცილაში" ეს გმირი თვით ლესია უკრაინკას შეხედულების გამომხატველია.

ნარტალი შეუპოვრად იბრძვის სოციალური და სულიერი მონობის წინააღმდეგ. ნარტალს სიკვდილი ელის, მაგრამ იგი

შეუდრეკელია. ლესია უკრაინკამ ნარტალის სახით თავისუფლებისათვის უშიშარი მებრძოლი გმირები წარმოგვიდგინა.

**„უღრან ტყეში“.** ლესია უკრაინკამ დრამატულ პოემას „უღრან ტყეში“ (თავდაპირველი მისი სათაურია – „მოქანდაკე“) საბოლოო სახე თელავში მისცა.

ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ხელოვანის ტრაგედია ლესია უკრაინკამ დაგვიხატა დრამაში „უღრან ტყეში“. ნაწარმოები აგებულია და გაიაზრება ამერიკის პირველი კოლონისტების ცხოვრების მასალაზე. უფრო კონკრეტულად კი, პურიტანების ყოფა-ცხოვრების მასალაზე, რომლებიც XVII საუკუნის შუა წლებში გადასახლდნენ ინგლისიდან ამერიკაში. მწერალმა სხვა მოვლენებთან ერთად გარკვეული ინტერესი გამოიჩინა იმისადმი, თუ რა წვლილი შეიტანეს კოლინისტებმა ამერიკული საზოგადოებრიობის შექმნაში.

ნაწარმოებში ასახულია XVII საუკუნის ჩრდილოეთ ამერიკა. ინგლისიდან ჩასახლებულთა კოლონია. ჩასახლებულებს თავისი ადათ-წესები შეუნაჩუნებიათ და მას იცავენ. ისინი ფანატიკოსი პურიტანები არიან. კოლონისტებში აღიარებულია პიროვნების თავისუფლების, დამოუკიდებლობის, ადამიანთა თანასწორუფლებიანობის პრინციპები, მაგრამ, ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ ფორმალურად.

დრამის მთავარი გმირი, მოქანდაკე რიჩარდ ჰაირონი, რომელიც თავისუფალ თემში ცხოვრობს, ვენეციაში ეუფლებოდა ხატვის, მოქანდაკის ხელოვნებას. ამერიკაში იგი იმ იმედით ჩავიდა, რომ ამ ქვეყანაში შეხვდებოდა ამაყ და თავისუფალ ადამიანებს. მათ ნაცვლად კი მან იქ იხილა დამცირებული, უუფლებო და დაბეჩავებული ხალხი, რომელიც სიცრუისა და უვიცობის მორევში იხრჩობოდა. რიჩარდ ჰაი-

რონს ჩამორთმეული ჰქონდა ყველა უფლება, რომელიც მას თავისუფლებას ანიჭებდა: მას არ ჰქონდა უფლება მისთვის საყვარელი საქმით, ძერწვით დაკავებული ყოფილიყო, რადგან იგი თემის მოძღვრის განმარტებით: „ეშმაკური საქმეა – ქანდაკულობა", მას შეეძლო მხოლოდ სასანთლეები გამოეძერწა სამლოცველოსათვის, მათთვის ყალიბი დაემზადებინა; მას არ შეეძლო დახმარება გაეწია უმწეო ქალისათვის და მისი შიშველ-ტიტველი ბავშვებისათვის, რადგან მისი ქმარი განუდგა პურიტანობას; მას არ შეეძლო გამოექანდაკებინა, ან რაიმე კონტაქტი ჰქონოდა ინდიელებთან, რადგან „დაბალ" რასას წარმოადგენდნენ და სხვ. ქრისტიანულ თემში არავითარი თანასწორობა არ იყო, ღატაკ მოსახლეობას ჩაგრავდნენ მოძღვარი გოდვინსონი და მისთანანი.

ნაწარმოების პირველი ორი მოქმედება თემის ცხოვრებას აშუქებს, სადაც ინგლისური პურიტანული ტრადიციები ძლიერია, ხოლო მოქმედების განვითარების შედეგად, ბოლო აქტი წარმოგვიდგენს „ნატურალიზებულ" ამერიკელებს, რომლებისთვისაც არაა დამახასიათებელი რელიგიური ფანატიზმი, მაგრამ მათ სამყაროში გაბატონებულია არანაკლებ სასტიკი „ბატონი ფული". ამერიკელების ვაჭრული სული და მომხვეჭელობის სურვილი ნაჩვენებია ბოლო მოქმედებაში.

რიჩარდის კეთილშობილურ სურვილებს – ასწავლოს თავის თანამემამულეებს ხელოვნება, ხელოვნების გაგება და დაფასება – წინ მრავალი დაბრკოლება ელობება. მასაჩუსეტსის მართლმორწმუნე მრევლი მოძღვრის, გოდვინსონის შეგონებით, ზიზღით უყურებს ქანდაკებას. რიჩარდი კი ცდილობს ჭეშმარიტი ხელოვნების მეშვეობით გამოაფხიზლოს გაუნათლებელი ხალხი და აამხედროს ცბიერი გოდვინ-

სონის წინააღმდეგ. მაგრამ მისი ოცნება იღუპება სიცრუისა და უვიცობის ულრან ტყეში.

მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი რიჩარდი აცხადებს:

თუ არა აზრის თავისუფლებისთვის,
რისთვის ვიბრძოდით, მაშინ, არ ვიცი!

*(თარგმნა ალიო მირცხულავამ)*

იგი ეპაექრება გოდვინსონს და ცდილობს დაასაბუთოს თავისი საქმიანობის სამართლიანობა, მაგრამ მოძღვარი ურყევია. იგი ადამიანთა ყოველგვარი თავისუფლების, მათ შორის შემოქმედებითი თავისუფლების წინააღმდეგია და მოქანდაკე რიჩარდს აფრთხილებს და ემუქრება:

თემს აქვს უფლება: ყველა ხორცმეტი
ძირფესვიანად მოჭრას, ამოწვას.
აქ ხელის შეშლას ვერვინ გაბედავს.

უცხადებს იგი რიჩრდს. რიჩარდს არ ეშინია გოდვინსონის მუქარის, იგი პირიქით უტევს გოდვინსონს:

ამგვარ თემში კი მეფობენ მხოლოდ
ფარისევლები.

რიჩარდი ველარ უძლებს ამდენ უსამართლობას, ადამიანთა ჩაგვრას, ცრემლებს, რომლებიც მან უსიტყვოდ უნდა აიტანოს.

მეყო ამდენი უბედურება
კვნესა, წუხილი, გლოვა და ცრემლი.
მეყო ჯავრი და კბილების კრჭენა.
ეს მიწა განა ჯოჯოხეთია?
თვით სიხარულიც ღვთის წყალობაა.

რიჩარდ ჰაირონი შეეჭიდა თემის ცხოვრებას, ჩაიხედა „თავისუფლების“ იმ არსში, რომელიც ადამიანებს ნათელ დღეებსა და მომავალს სთავაზობდა და შეიქმნა გარკვეული აზრი ასეთ ცხოვრებაზე. რიჩარდი თემში ცხოვრებისას ბევრ წინააღმდეგობას წააწყდება, მან მრავალი უსამართლობა იხილა თემში, რაც მთავარია – საშინელი გაჭირვებული ცხოვრება.

ღმერთო, რა ვნახე, რა სიდუხჭირე:
შენ გესმის, ბელა? ვერ წარმოიდგენ,
თუ რა დღეშია როვერსის ცოლი.
სადღაც მიწურში, შიშველ ბავშვებით.
განა ის ერთი... სხვებიც...ურიცხვი!

ნანახით რეტდასხმულია რიჩარდი. ის ნანობს კიდეც, რომ აქამდე არ აქტიურობდა და „გულგრილად ცხოვრობდა“. მას თითქოს ახლა აეხილა თვალები:

მე დღეს პირველად
ახლოს ვიხილე კაცთა ცხოვრება,
მე სიღარიბეს ვიცნობ, არტისტულს,
მომჭირნეობას, უძილო შრომას,
მაგრამ მშიერთა ბრბო მე არ მინახავს,
არ მისმენია მათი გოდებაც.

ამბობს რიჩარდი და თავის თავს კიცხავს გულგრილობისათვის. იგი ფიქრობს, რომ ამგვარი გულგრილობა ნამდვილად ცოდვაა. ხალხს მოწყვეტილი იგი თავისთვის ცხოვრობდა, არ იცოდა მისი მეგობრის, მეზობლის გასაჭირი:

მე ხომ ოცნების ცაში ვცხოვრობდი,
ფიქრების ფრთებით ამაღლებული?
დღეს კი დავეშვი დაბლა, მიწაზე,
ოჰ, იცი, დედა, როგორ დავეცი?
მგონი ორივე ფრთა მოვიტეხე,
სულ დაილეწა ოცნებაც...

რიჩარდ ჰაირონი სულიერად განადგურებულია. მას ვერ წარმოუდგენია ისეთ გარემოში ცხოვრება, როგორიც მან იხილა. ნანახმა რიჩარდი ჩააფიქრა ცხოვრებაზე, მის არსზე, ხელოვანის ბედსა და მის მომავალზე.

ასეთია რიჩარდის დაკვირვების შედეგი. თემში ცხოვრების წესმა და კანონმა სულ დალეწა მისი ოცნება, გამოაფხიზლა შემოქმედი და თემთან საბრძოლოდ დააპირისპირა, ამიტომაც განაცხადა თემის მოძღვარმა გოდვინსონმა: „ეს ბიჭი, ვხედავ, თემს იწვევს ორთაბრძოლაში". მოქანდაკის მეგობრის ჯონათანის სტუმრობის შემდეგ კი უფრო გამწვავდა სიტუაცია. რიჩარდი თავის თავს და ჯონათანსაც ეკამათება და ცდილობს რაღაც გადაწყვეტილებამდე მივიდეს. ორივე იხსენებს იტალიას, ვენეციის მაღალ ხელოვნებას, რომელსაც იქ გაეცნენ, რიჩარდის წარმატებულ მოღვაწეობას ხელოვნებაში და ოცნებობენ იმ დროზე, იტალიაში რომ გაატარეს.

რიჩარდი წუხს, რომ ხელოვნებას წინსვლა არ ეტყობა. „და მე მგონია, რომ ხელოვნებამ სიტყვა თავისი თქვა", მასზე ბევრმა რამემ იმოქმედა, მათ შორის ინკვიზიციებმა. „მშვენიერებაც დაჭკნა, დაკნინდა" და მხატვრებიც სულ გადაშენდნენ.

თუმცა, ორივე მეგობარს სჯერა, რომ „იტალიის მზე ჯერ არ ჩამქრალა“ და მათ იმედი აქვთ, რომ „კიდევ იბრძოლებენ“.

რიჩარდი გულისტიკივილით იხსენებს იმ დროს, როდესაც იტალიამ მას „ხელოვნების ანბანი ამცნო“ და მისი ამერიკაში გამგზავრების ერთაგვარ გამართლებას ეძებს.

მოქანდაკე რიჩარდს, რომელიც არღვევს ქრისტიანული თემის წესებს და კანონებს, უპირისპირდება მოძღვარ გოდვინსონს, თემში აღარ ედგომება. გოდვინსონი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ თემი დაუპირისპიროს მას და არამარტო თემი, მისი ოჯახიც, თავად დედაც აამხედროს მის წინააღმდეგ. გოდვინსონი მოუწოდებს მრევლს დაწვითო რიჩარდის სახლში „ყველაფერი უწმინდურება“. მრევლის გაღიზიანებული წევრები დაერევიან ყველაფერს, რაც კი ხელთ მოხვდებათ, ამტვრევენ, ამსხვრევენ და ცეცხლში ჰყრიან. გოდვინსონი ყვირილით აცხადებს, რომ რიჩრდი გიჟია და მისი ადგილი ულრან ტყეშია, განდევნეთ იგი ულან ტყეშიო. ამაზე რიჩარდის რეაქცია ასეთია:

მე თვითონ წავალ, იქ, ულრან ტყეში,
თქვენ ველურებზე უარესნი ხართ.
შორს, გზა მომეცით...

რიჩარდი კარებისაკენ გზას გაიკვლევს. გოდვინსონი და მრევლი მიმავალ რიჩარდს წყევლიან: „წყეულიმც იყავ!“.

ამ წყევლაზე რიჩარდი შემობრუნდება და ჯავრიანი ხარხარით პასუხობს: „წყევლა თქვენს თავზე“.

მრევლის წევრები წყევლა-კრულვით დაედევნებიან რიჩარდს და უკან თიხის ნატურებს მიაყოლებენ.

ასე დაწყველეს და მრევლიდან გააძევეს რიჩარდი.

რიჩარდ ჰაირონი სტოვებს მასაჩუსეტს და როდ-აილენდში[92] მიდის საცხოვრებლად. იგი თითქოს თავისუფალი მოქალაქე ხდება, შეუძლია კვლავ მოჰკიდოს ხელი საჭრეთელს. მაგრამ ეს მხოლოდ თითქოს. რიჩარდი როდ-აილენდში ვაჭართა და საქმოსანთა სამყაროში მოხვდა. მათ ახსნეს რიჩარდს ინგლისელი პურიტანების მიერ დადებული ბორკილები. ინგლისელმა პურიტანებმა მოქანდაკე რიჩარდს აუკრძალეს შემოქმედებითი მუშაობა, აუკრძალეს გამოექანდაკებინა რაიმე მისი სურვილის მიხედვით. ამერიკელი ვაჭრები და საქმოსნები კი თანახმანი არიან რიჩარდს მისცენ მუშაობის გასაქანი, ოღონდ ერთი პირობით – რიჩარდმა ის უნდა გამოძერწოს, რასაც მოგება მოაქვს – ესაა ჭურჭლის ნიმუშები ადგილობრივი თიხის გადამუშავების საწარმოსათვის. მათ არ აინტერესებთ, ხელს არ აწყობთ რიჩარდის ქანდაკება, მათ თავიანთი მერკანტილური, უტილიტალური ინტერესები აქვთ და მის შესაბამისად მოითხოვენ რიჩარდის ხელოვნების გამოყენებას.

რიჩარდმა უარი განაცხადა, გამხდარიყო ვაჭრების ყურმოჭრილი მონა და უსიტყვოდ აესრულებინა მათი ნება-სურვილი, რიჩარდი აქაც, როდ-აილენდშიც დამარცხდა. მისი ცხოვრება ტრაგიკულად ვითარდება. იგი ჩაიკეტა თავის თავში და გადაწყვიტა იცოცხლოს მხოლოდ ხელოვნებისათვის, მაგრამ ამას სხვა მძიმე შედეგები მოჰყვა. მან დაკარგა კავშირი გარე სამყაროსთან, ცხოვრებასთან, ხალხთან და დაღუპა ხელოვანის ნიჭიც. როგორც თვითონ გრძნობს

---

[92] როდ-აილენდი 1636 წელს დაარსა როჯერ უილიამსმა, რომელიც გაასახლეს მასაჩუსეტსიდან რელიგიური უთანხმოების გამო.

„კვდება, როგორც ხელოვანი“. საქმე ის იყო, რომ სანამ რიჩარდი ებრძოდა უსამართლობას და იცავდა თავის უფლებას, მისი ნაწარმოებები ამ ბრძოლის ცეცხლში იწრთობოდა და მნახველს ხიბლავდა, ხალხი იწონებდა მას. როგორც კი რიჩარდი განერიდა ცხოვრებას და განდეგილი გახდა, მოწყდა მისი შემოქმედების წყაროს – მისი ნიჭიც ჩაქრა. მან იგრძნო და შეიმეცნა, რომ ცხოვრებას, ბრძოლას მოწყვეტილი მოქანდაკე – ხელოვანის ნამუშევარი – მკვდარი ნივთია.

რიჩარდ ჰაირონი პატიოსანი მოქანდაკეა, რომელიც ხელოვნების გაყალბების წინააღმდეგია, მაგრამ იგი მოწყდა საზოგადოებრივ ცხოვრებას, შეწყვიტა ბრძოლა ჭეშმარიტი ხელოვნებისათვის, შეწყვიტა ბრძოლა ამერიკული „უღრანი ტყის“ წინააღმდეგ და ამიტომაც დაკარგა მისი ძლიერების, ნიჭის მასაზრდოებელი წყარო და გამოიფიტა, აღარ შეუძლია შექმნას ჭეშმარიტი ნაწარმოები. ამას თვითონაც გრძნობს, როდესაც ლაპარაკობს, რომ უკეთესი იყო, როდესაც ფანატიკოსები განრისხებულნი ანგრევდნენ ჩემს ქმნილებებსო:

ის არა სჯობდა, როცა ველურებს
უმკლავდებოდა როგორც ცოხცხალი?
ასე თუ ისე ისინი გრძნობდნენ,
რომ ძალა იყო ჩემს ხელობაში,
თუმც „უწმინდური“ , მაგრამ იმათთვის
მეტად დიდი და საშიში ძალა...
მებრძოდნენ და მეც ვუმკლავდებოდი.

რიჩარდი ხვდება, რომ აქტიური ცხოვრების გარეშე, საზოგადოებაში ცხოვრებისა და ბრძოლის გარეშე, მას არ ექნება შემოქმედებითი გზნება. ამ ამოცანის ამოხსნის გასა-

ღებს თვითონ მისი ცხოვრება აძლევდა. რიჩარდს ახსოვდა, რომ იყო დრო, როდესაც იგი ებრძოდა ჩაგვრას, დესპოტიზმს, ფანატიზმს და ეს ბრძოლა მას ძვირად უჯდებოდა, მაგრამ ამ ბრძოლის ცეცხლში შექმნილი მისი ნაწარმოებები, ხელოვნების ნამდვილი სასწაული იყო. აი, ეს იყო ნამდვილი შემოქმედება, ეს იყო ნამდვილი ცხოვრება – სიცოცხლე, ამბობდა რიჩარდი.

ცხადია, რომ დრამაში ლესია უკრაინკა ილაშქრებდა თეორიის „ხელოვნება ხელოვნებისათვის" წინააღმდეგ და მისთვის დამახასიათებელი პოზიციიდან ხელოვნების ამოცანად იგი სახავდა ბრძოლას ხალხის ინტერესებისათვის.

დრამა „უღრან ტყეში" განსაკუთრებული სიმწვავით რეაქციის პერიოდში ახმიანდა. პირველი რუსული რევოლუციის დამარცხების შედეგად მრავალი ინტელიგენტი თუ შემოქმედი განუდგა რევოლუციას და ჩრდილს შეაფარა თავი. სწორედ მათდამიც იყო მიმართული ლესია უკრაინკას ეს ნაწარმოები. იგი უჩვენებდა რევოლუციის ამგვარ რენეგატებს, თუ სადამდე შეიძლებოდა მიეყვანა ადამიანი ადამიანური მეობისათვის ბრძოლაზე უარის თქმას. „უღრან ტყეში" არის დრამა ხელოვანზე, რომელიც იბრძვის თავისი იდეალებისათვის, იბრძვის სულიერი სიღატაკის წინააღმდეგ, მაგრამ დამარცხებული ეცემა ამ ბრძოლის ველზე.

ამერიკულმა „უღრანმა ტყემ" შთანთქა რიჩარდ ჰაირონის ნიჭი, მაგრამ ლესია უკრაინკამ თავის დრამაში არ ჩააქრო იმედის ნაპერწკალი. რიჩარდის დისშვილმა, პატარა დევიმ უნდა აიტაცოს შემდგომ ხელოვანი ბიძის საუკეთესო თვისებები და განახორციელოს თავისუფლებისმოყვარული იდეალები.



ცნობილი ქართველი კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი და კლიმენტი კვიტკა

რკინიგზელთა ქორო

რაც შეეხება ნაწარმოების სათაურს.

როდესაც რიჩარდი ამერიკაში ჩავიდა დასასახლებლად, მას, როგორც ყველა სხვა კოლონისტს, ტყის, ჯაგნარის გაჩეხვა მოუხდა. ულრან ტყეში მოუწიათ მათ დასახლება. მაგრამ სულ მალე გაჩეხილ და გასუფთავებულ ტერიტორიაზე ხელახლა ამოვიდა ტყე, უფრო ხშირი და ძლიერი.

რიჩარდს ეგონა, რომ ახალ მიწაზე, ახალ თემში „უკვდავი მშვენიერების მზეს აანთებდა." მაგრამ, გულისტკივილით ამბობს რიჩარდი: „ეს იყო მწველი ოცნება". ჯონათანის შეკითხვაზე – „მერე რა... ჩაჰქრა?" რიჩარდი პასუხობს:

კი არ ჩამქრალა. ოდნავ დაცხრა.
მე ვხედავ, რომ აქ, ახალ მხარეში
ბევრი ჯირკია ამოსათხრელი,
შემდეგ კოცონი უნდა გაჩაღდეს!

ჯონათანი გარკვეულ პასუხს ელოდება, მან ვერ გაიგო ნათლად რა ჯირკებზე, ტყეზე ლაპარაკობდა რიჩარდი. რიჩარდი უმარტავს ჯონათანს და ამ პასუხში გამოიკვეთება თვით ნაწარმოების სათაურის შერჩევის მიზეზი და მიზანიც:

მე... ტყე ნაკლებ მაშინებს,
თუმც არანაკლებ მსხვერპლს ითხოვს იგიც.
აქ შესაფერი თიხაც არ არის.
ეს წვრილმანია, იქნებ მოვნახოთ.
აქ, ხალხში გაჩნდა, ჯაგი მჩხვლეტავი.

ჯონათანი ბოლომდე მაინც ვერ გაერკვა სიტუაციაში და რიჩარდს სთხოვს დააკონკრეტოს პასუხი – „ვინ არიან ისი-

ნი“, ვის გულისხმობს რიჩარდი? რიჩარდი არ ხსნის ბრჭყალებს, არ აკონკრეტებს მას და ორაზროვნად ეუბნება:

„მიმოიხედავ, თვითონ დარწმუნდები“.

რიჩარდ ჰაირონმა თავის პასუხში უღრან ტყედ თავისი დროის ამერიკა მიანიშნა, მისი აზრით, მონობის, ძალადობის, უსამართლობის ბატონობის ქვეყანა, სადაც ადამიანის შემოქმედებითი ძალების რკინის ბორკილებში ჩაჭედვა და მოთოკვა მტკიცედაა დამკვიდრებული, სადაც ჩაგვრის ყველა სახეა გამოყენებული და თანაც „მაღალი ხელოვნებით“, სადაც ეკონომიკური, რასობრივი თუ სულიერი ჩაგვრა საშინელ, არაადამიანურ ფორმებშია გაბატონებული და, რაც არსებითია, ადამიანების უფლებების ხელყოფა, სუსტის დამონება ძლიერის, კაპიტალის მქონე ბატონების მიერ ხდება ფარისევლური ფრაზებით „თავისუფლების“ შესახებ, სადაც თავისუფლების ლოზუნგს ამოფარებული „ფულის ტომრები“, მშრომელი ადამიანების ექსპლოატატორები მეფობენ.

ლესია უკრაინკამ „უღრან ტყეში“ XVII საუკუნის ამერიკელი პურიტანების სამყაროში მომხდარი ამბის ასახვით ორ ძირითად პრობლემაზე გაამახვილა მკითხველის ყურადღება. მან, ჯერ ერთი, ამხილა და გააშიშვლა ყალბი თავისუფლების ჭეშმარიტი არსი, ხოლო მეორე – ისაუბრა ხელოვანის ადგილზე ცხოვრებაში.

დრამატული პოემა „უღრან ტყეში“ დიდხანს იწერებოდა. ლესია უკრაინკამ მასზე მუშაობა დაიწყო 1890-იანი წლების დასასრულს და საბოლოოდ დახვეწა 1907-1909 წლებში ჯერ ყირიმში, შემდეგ თელავში.

დრამის „უღრან ტყეში“ შემოქმედებითი ისტორია საინტერესოა და, ამავე დროს, მნიშვნელოვანი. დრამამ, სანამ

დღის სინათლეს იხილავდა, რთული პერიპეტიები განვლო. დრამაზე მუშაობა ლესია უკრაინკამ 1897 წელს დაიწყო. პირველი და მეორე მოქმედების პირველი ნახევარი აგრეთვე მესამე მოქმედება ლესია უკრაინკამ დაწერა 1897-1898 წლებში. 1899 წელს ლესია უკრაინკა ლოგინად ჩაწვა, ავადმყოფობამ შეუტია და, რა თქმა უნდა, დრამაზე მუშაობას თავი დაანება 1907 წლამდე. ამის თაობაზე იგი წერდა დედას ოლენა პჩილკას ბალაკლავადან, ყირიმიდან 10.IX.1907 წელს: „სხვადასხვა კრებულების რედაქტორების დაჟინებითი თხოვნით მე შევუდექი მუშაობას არამარტო იმ დრამაზე, წელს რომ დავიწყე („რუფინი და პრისცილა"), არამედ დიდი ხნის წინ დაწყებულ და შორს გადადებულ – დრამაზე მოქანდაკე პურიტანებს შორის... მე ვფიქრობ, ახლა რომ არ დავამთავრო, იგი ასევე დარჩება, მე კი ის მენანება".[93]

ლესია უკრაინკა ყირიმში უკანასკნელად იყო 1907–1908 წლებში. ყირიმს იგი სტუმრობდა თავის ქმართან კლიმენტ კვიტკასთან ერთად. თავდაპირველად ისინი სევასტოპოლში შეჩერდნენ. ეს იყო ადრე გაზაფხულზე, იქიდან ბალაკლავაში ფიქრობდნენ გადასვლას და ზაფხულის იქ გატარებას. სევასტოპოლის ექიმებთან კონსულტაციის შემდეგ ისინი მიბრუნდნენ ალუპკაში და დაბინავდნენ სასტუმრო „იალტაში". მაგრამ მალე დატოვეს სასტუმრო, დაიქირავეს ოთახი როზანოვის აგარაკზე. ამ აგარაკზე დაწერა ლესია უკრაინკამ დიალოგი „აიშა და მუჰამედი" და საბოლოო რედაქცია გაუკეთა დრამატულ პოემას „კასანდრას". მწერალი იქვე, ყირიმში, პარალელურად განაგრძობდა მუშაობას დრამაზე „რუფინი და პრისცილა".

---

[93] ლესია უკრსინკა, თხზ., ტ. V, გვ. 532.

მაისის მეორე ნახევარში ცოლ-ქმარი, ორივე კიევში ბრუნდება და მხლოდ შემოდგომაზე იზამენ პირს ყირიმისკენ. ამჯერად დასასვენებლად მათ აირჩიეს მათთვის ნაცნობი ზონა – ბალაკლავა. ისინი დაბინავდნენ სოკოლოვების სახლში. დაახლოებით ორი თვე გაატარეს მათ ამ სახლში. იქ, ბალაკლავაში ლესია უკრაინკამ საფუძვლიანად გადაამუშავა დრამა „უღრან ტყეში". საბოლოო რედაქცია კი გაუკეთა თელავში.

ავტოგრაფს, რომლის მიხედვითაც ლესია უკრაინკას ნაწარმოებების აკადემიურ გამოცემაშია დაბეჭდილი დრამა, აქვს მიწერილი თარიღი – 1897–1909 წელი.

აქვე შეიძლება აღვნიშნოთ, რომ დრამის სათაურიც განიცდიდა ცვლილებებს. ცნობილია დრამის რვა სათაური. მკითხველი საზოგადოებრიობა ნაწარმოებს იცნობს სათაურით – „უღრან ტყეში". თუ თვალს გადავავლებთ ლესია უკრაინკას მოღვაწეობას თელავში მისი ცხოვრების დროს, ადვილად შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს ხანა შემოქმედისათვის უაღრესად ნაყოფიერი და მნიშვნელოვანი იყო. პოეტმა ქალმა მრავალ გრანდიოზულ ჩანაფიქრთაგან, ეტყობა, მხოლოდ ზოგიერთის განხორციელება შესძლო, მაგრამ ისიც კი, რისი შექმნაც მან თელავში მოასწრო, ჭეშმარიტად ამდიდრებს არა მხოლოდ უკრაინულ, არამედ მსოფლიო კულტურას. ამ დროს შექმნა მან ისეთი ნაწარმოებები, რომლებითაც უპასუხა თანამედროვე ეპოქის აქტუალურ მოთხოვნილებებს, პრობლემებს, საკითხებს და თავისი პოზიცია დაგვანახა იმდროინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის მიმართ.

**ეგვიპტისაკენ.** ავადმყოფობა კი თავისას შვრებოდა. აუცილებელი შეიქნა ლესია უკრაინკას გამგზავრება ეგვიპტეს.

„თუ არაფერმა შემიშალა ხელი, – წერდა იგი ნ.კ. კიბალჩიჩს 1909 წლის სექტემბერში, მაშინ 3(16) XI გავემგზავრებით ბათუმს, ხოლო იქედან ზღვით ალექსანდრიას, შემდეგ კი ვნახოთ საით წავალ, ან ქაიროში, ან უფრო შორს".[94] 1909 წლის ნოემბერში ლესია უკრაინკა, კლიმენტ კვიტკას თანხლებით, ეგვიპტეში გაემგზავრა და ერთხანს იქ დაჰყო, სადაც მან ლექსების ახალი ციკლი „გაზაფხული ეგვიპტეში".

ეგვიპტეში ჩასულ მგოსანს თვალწინ დიდებული სამყარო გადაეშალა. კალმის ორიოდე მოსმით ლესია უკრაინკა ეგვიპტის, ამ დიდი და საიდუმლოებით მოცული სამყაროს ტიპურ სურათებს წარმოგვიდგენს:

ეგვიპტის ღამე უღრმესია და შავზე შავი დ
(აქ მისი მსგავსი გამოხედვა სჩვევიათ ქალებს).

*(„ქარიანი ღამე"*
*თარგმნა ვანო ჩხიკვაძემ)*

მკაცრი და დაუნდობელია ეგვიპტის ბუნება. განსაკუთრებით საშიშია იგი, როდესაც ქარი ამოვარდება და უზარმაზარ უდაბნოს, ზღვა-ქვიშას აატორტმანებს.

გახელებული ხამსინი დაქრის,
ვნებამორევით არბევს ეგვიპტეს,
ფრთათა ნაკვალევს ტოვებს ქვიშაზე
და დამბუგველი ალმურით სუნთქავს.
ქორწილს იხდიან!.. სალამურივით
ამღერდა ქვიშა, უცებ დაძრული

---

[94] ლესია უკრაინკა, თხზ., ტ. V, 1956, გვ. 568.

უკიდეგანო მდუმარებიდან,
ხოლო კენჭები ნაღარას სცემენ.
ვინ მართავს როკვას ყვითელ წყვდიადში
მძლავრი ხამსინის პატივსაცემად?
თხელ პირბადეებს ვინ აფრიალებს
ცეკვა-ციბრუტით თავბრუდასხმული?
ალბათ, მხიარულ ფერხულს აბამენ
კუშტი უდაბნოს ლაღი შვილები.

*(„ხამსინი“ თარგმნა ნია აბესაძემ)*

ლამაზია ეს უცხო ქვეყანა, მაგრამ ეგვიპტეში ჩასულ მგოსანს თვალში ეცემა იქ გაბატონებული უსამართლობა. ამ ქვეყანაში მშრომელი ხალხი ისევე დაჩაგრული იყო, როგორც მის სამშობლოში. ხალხის ოფლით, მისი ხელით მოპოვებული სარჩოთი ლაღობდა მდიდარი მებატონე, მის მიერ აგებულ სახლებში ნებივრობდა გაბატონებული კლასის წარმომადგენელი.

შრომობს ფელახი[95] და მაღლდება მტვრიანი სახლი
მშვიდი სავანე მოგზაურთა, უქნარა ბრბოის.
ფელახისგანვე, შემძლებია რომელიც ყოვლის,
სახლის მახლობლად გაშენდება წარმტაცი ბაღი.
ოაზისები, უდაბნოში საამოდ მდგარი,
იქმნება მისგან, მაგრამ სხვისთვის...და ძალით სავსე,
უკვე ჩუქურთმებს ალამაზებს აივნის თავზე...
ძეხორციელის ტანისამოსს შეარხევს ქარი,
ოფლს შეუმშრალებს... და ისევე გაჰყვება დაბლობს,
და გზა სავალი გაგრძელდება... სუნთქავს უდაბნო.

*(„უდაბნოს სუნთქვა“, თარგმნა ვაჟა ხორნაულმა)*

[95] ფელახი – არაბი მიწათმოქმედი.

მძიმე ავადმყოფი პოეტი შორეულ ეგვიპტეში ერთი წუთითაც არ ივიწყებს სამშობლოს. უცხო მხარეში მას ერთგვარად უმძაფრდება კიდეც მშობელი ხალხისა და ქვეყნისადმი სიყვარულის გრძნობა. ბუნების მოვლენები, თვითონ ბუნების სიმშვენიერე, განსაკუთრებით კი ხალხის მდგომარეობა ახსენებს მას თავის მშობლიურ გარემოს. ასე იგონებს იგი თავის სამშობლოს ლექსში „ქარიანი ღამე“:

გზაზე მიცოცავს კენტი ღრუბლის უღონი ჩრდილი,
ჩემი საწყალი მხარის მკვიდრი დაქრის ანცივით,
წითლად ვარვარებს ჩემი ქარი, როგორც ხამსინი,
უდაბნოს მწველი, სულსწრაფი და თამამი შვილი.
მახსოვს, მრავალჯერ მიბნედილ თოვლს აეკვიატა,
დამძიმებულ და სოველ სამოსს ფენდა ხატასთან.
ღარიბ ქოხებში ზუზუნებდა, წყვდიადს ფანტავდა,
მერე ჭოტივით გაჰკიოდა ველზე ნიადაგ.

*(„ქარიანი ღამე“,*
*თარგმნა ვანო ჩხიკვაძემ)*

სამშობლოს ქარი შეფრინდა მგოსნის სარკმელში, ტყორცნა უდაბნოს ქვიშა, როგორც შხეფები და კვლავ განერიდა, განაგრძო სრბოლა. მგოსანი კი გულდაწყვეტილი დატოვა:

გამოძახილი ჩემი ქვეყნის, მე რომ მოველი,
არ მომიტანე სიყვარულის საგალობელი
ცხელი ქვიშების სამფლობელოს უმღერე მხოლოდ.

*(„ქარიანი ღამე“,*
*თარგმნა ვანო ჩხიკვაძემ)*

დანაღვლიანებულ მგოსანს სულ მალე მისწვდა სამშობლოს ამბები:

ნაცრისფერ ღრუბლებს,
სამშობლოის შემოაქვთ სევდა
და სველ სარკმელზე
წერტილები სხედან ნამისა...

ქარი პასუხად
აშრიალებს ნამიან ფოთლებს,
იგივე ჩურჩულს
იმეორებს ტოტები ხეთა:
„– გამოძახილი
მოგიტანე, რომელიც მთხოვე–
სამშობლო მხარის
სიხარული, ცრემლი და სევდა“.

*(„ამბები ჩრდილოეთიდან“,*
*თარგმნა ვანო ჩხიკვაძემ)*

შუაღამისას მოვლენილმა ჩრდილოელმა სტუმარმა გააახალისა მგოსანი, მაგრამ გულისტკივილი მაინც ვერ მოუხსნა მას. მშობელი ხალხის გაჭირვება, ცრემლი და სევდა თან მოჰყვა სამშობლოს ხსენებას. ამ გაჭირვებასა და ტანჯვას აგონებდა მგოსანს არაბი მიწის მუშა, არაბი მშრომელი, რომელიც შუბლზე ოფლს იწურავდა და თაკარა მზესა თუ ავდარში თავის ძლიერ კუნთებს დაუღალავად ამუშავებდა და მდიდარ ბატონს, „უქნარა ბრბოს“, როგორც ლესია უკრაინკა წერს, სასახლეებსა და წარმტაც ბაღებს უშენებდა.

ეგვიპტეში მყოფ მგოსანს გული სევდით ევსებოდა. ეგვიპტური ყოფა, მშრომელი ხალხის დაბეჩავებული მდგომა-

რეობა, ქვეყანაში გამეფებული სოციალური და ეროვნული ჩაგვრა მას მშობლიურ უკრაინას, თავისი ხალხის გაჭირვებულ ყოფას აგონებდა:

სითბო, სიცხადე... ო, ეგვიპტე, ნუთუ ეს არის?
ეს ეგვიპტეა...
მაღალი ზეცის ლურჯი კარავი
ვხედავ, იცვლება სიკაშკაშით და ელვარებით...
რა სიმაღლეა, რა სილაღე და ნეტარება!
ეს ეგვიპტეა...
მდუმარება და სილამაზე...
ო, უკრაინა ნუთუ ეს არის?
უკრაინა...
აი, ხატა მამისეული,
აი, ბაღნარი და მწვანე მდელო,
აი, გუბურა დუმფარებით და მუქი თხმელა ...
უკრაინაა...

*(„სიზმარი“,*
*თარგმნა ვაჟა ხორნაულმა)*

მგოსანს სურს, იხილოს მშრომელი ხალხი ლაღი და მხიარული, სურს იხილოს ჩაგვრის ავი სენისაგან განკურნებული თავისი ხალხი და სჯერა კიდეც ამისი. მაგრამ მან იცის, რომ თუმცა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლის საათმა უკვე დაჰკრა, ხალხმა ჯერ კიდევ ვერ შემოიგლიჯა მონობის ბორკილი. ამიტომაც წერს ამგვარად მგოსანი:

კარგად იქნება ყველაფერი... სამშობლო ჩემი
გამოჯანმრთელდა ჩემთან ერთად ავი სენისგან.

არ იქუფრება და არ ტირის ცა უტკივილო,
მხიარულება სუფევს ხალხში და ჩემშიც სუფევს...
არ გამაღვიძოთ...
ყველაფერი კარგად იქნება...

*(„სიზმარი", თარგმნა ვაჟა ხორნაულმა)*

საოცრად ბასრი და სიმბოლურია ლექსის ბოლო სტრიქონები – „არ გამაღვიძოთ... ყველაფერი კარგად იქნება". აი, ეს „არ გამაღვიძოთაა" ლექსში დახატული სიმართლისა და სილაღის სურათს ბრჭყალებში რომ აქცევს, გადატანითი მნიშვნელობით ნათქვამ სიტყვებსა და აზრს სიმკვეთრეს აძლევს და ლირიკულ ლექსში მწვავე ინტონაცია შეაქვს. სწორედ სილაღე და სიმხიარულე ხალხისა აღიზიანებდა კაპიტალისტურ წყობილებას, ბურჟუაზიამ ამიტომაც წაუჭირა ყელში ხელი მშრომელ ხალხს და სისხლსა და ოფლს აღვრევინებს მებატონისა და მეპატრონის გამდიდრებისათვის შრომაში. გლეხი მიწათმოქმედის შრომაზე, სხვისთვის გაწეულ შრომაზე ხომ შექმნა კიდეც თავის ეგვიპტურ ციკლში შთამბეჭდავი ტილო ლესია უკრაინკამ.

პოეტმა ამიტომაც მისცა ლექსს ასეთი სათაური – „სიზმარი". მგოსნის სურვილი – იხილოს ქვეყანა განკურნებული ავი სენისაგან, იხილოს ხალხი მხიარული და ლაღი – უსაზღვრო და ძლიერია, რწმენაც იმისა, რომ სამშობლო აყვავდება და ხალხი მოიპოვებს ბედნიერებას, მგოსანში ურყევია, მაგრამ იმ დროისათვის, როდესაც ლესია უკრაინკა ქმნიდა ამ ნაწარმოებებს, ლექსების ციკლს „გაზაფხული ეგვიპტეში", ყოველივე ეს მხოლოდ სურვილი და ოცნება იყო. ამიტომაც არ სურდა მგოსანს გამოღვიძება, ტკბილი სიზმრის დათმობა

და მახინჯ სინამდვილესთან პირისპირ დადგომა. ამიტომაც ითხოვდა იგი – „არ გამაღვიძოთო“.

ეგვიპტეში ჩასულმა ლესია უკრაინკამ ნათლად დაინახა, თუ როგორ დაჩაგრეს ეგვიპტელი ხალხი ინგლისელმა კოლონიზატორებმა. ეგვიპტის დიდებული ბუნება, ზღაპრული ბანანები, პალმები, ნაზი მიმოზები, თითქოსდა ხალხის ბედნიერი ცხოვრების მაჩვენებელი უნდა ყოფილიყო. მაგრამ სინამდვილესთან ახლოს მისვლისას მწერალს თვალწინ წარმოუდგება კოლონიზატორული, იმპერიალისტური ჩაგვრის მთელი სისასტიკე.

მდუმარე სამყაროში, როცა ნიავიც კი არსად იძვრის და „საღათას ძილი შეჰპარვია მიმოზას თვალებს“, დაფდაფების მძლავრმა ხმაურმა დაარღვია მყუდროება:

რა ხმაური მოისმის უცებ?
დოლზე ვინ უკრავს? ვინ აჟღერებს
დაფდაფებს მძლავრად?
კმარა! სიჩუმის დასალეწად ვინ გიხმოთ,
ნეტავ?

*(„მდუმარება“,*
*თარგმნა ნია აბესაძემ)*

ეს, თურმე, ინგლისელი დამპყრობლებია, რომელთაც სურთ თავისი ძალა და ბატონობა კვლავ შეახსენონ ეგვიპტეს:

რა ენაღვლებათ ინგლისელებს!..სურთ, მათი ძალა იგრძნოს უდაბნომ და ეგვიპტე შეძრწუნდეს მეტად.

ინგლისელმა იმპერიალისტებმა სქელლანჩიანი ჩექმებით გადათელეს ეგვიპტის მიწა და რისხვა დაატეხეს მშრომელ ხალხს, ინგლისურმა ხიშტმა ადამიანებს სიმწარე აგემა და დაადუმა:

აჰა, გარდავლეს... მდუმარება დაეშვა ხელად,
ვით ძველ ტაძარში კრეტსაბმელი – დიდი და მძიმე,
პალმის რტოები უხილავმა დაზნიქა ხელმა
და დაიფანტა ქვიშა, როგორც გამწყდარი მძივი.
ცას ხვატი ბუგავს, შერევია ჭაღარა ნასთი,
მზე ჩაიფერფლა, შეღამება მრუმე ფრთებს კეცავს,
ნათელი მწუხრი ექიშპება მიბნედილ ნათელს,
ვარსკვლავთა ჭორფლი ძლივს აჩნია
ფერგამკრთალ ზეცას.
არსად არავინ... ჩიტებიც კი დადუმდნენ შიშით...
დაფარფატებენ ღამურები ბინდბუნდში მხოლოდ,
თითქოს მთელ მხარეს დადუმების აძლევენ ნიშანს
და კაცთ გვამცნობენ, რომ სიჩუმეს არა აქვს ბოლო.

ადამიანები და თვით ბუნებაც დადუმდა. დადუმდა ძველი ეგვიპტე. მაგრამ მოძალადეებისადმი ზიზღი ხალხმა გულში ჩაიგუბა და ხვალინდელი დღის მოლოდინში გაირინდა, მასში დაუმორჩილებელი თავისუფალი სული აბობოქრდა.

დაუმორჩილებლობის, თავისუფლებისაკენ მშრომელი ხალხის სწრაფვის იდეა მსჭვალავს ლესია უკრაინკას ეგვიპტური ლექსების მთელ ციკლს. მგოსანს სჯერა, რომ მშრომელი ხალხი მოიპოვებს თავისუფლებას და ახალ, ბედნიერ სამყაროს ააშენებს. ახდება ძველ ლეგენდებში ბრძენის წინასწარმეტყველება:

ღმერთების შური ტყვეობაში გიმყოფებს შვილებს,
მე სიხარულის უძლეველობას მათ მივანიჭებ,
რომ სულს უღელი ფარაონთა ვერ მოერიოს!
ასე აღუთქვეს ჰატორებმა დასაბამითგან
ნილოსს და მჯერა, მათი სიტყვა საუკუნოა.

*(„საიდუმლო ძღვენი“, თარგმნა ლია სტურუამ)*

„გაზაფხული ეგვიპტეში“ ერთი ძარღვით, ერთი სულისთქმით გაერთიანებული ნაწარმოებების ციკლია, რომელშიც ლესია უკრაინკას ეგვიპტური შთაბეჭდილებებია გადმოცემული. პოეტი გვამცნობს თავის აზრს ეგვიპტის, ეგვიპტელი ხალხის, ეგვიპტის კოლონიზატორების მიმართ. იგი ისევე მართალი, ღრმა და, ამავე დროს, პრინციპულია, როგორც თავისი ქვეყნისა და ხალხის მიმართ მიძღვნილ ლექსებში.

საინტერესოა თვით ქრონოლოგიური თანამიმდევრობა ციკლის ლექსებისა. მგოსანი 5 აპრილს დაწერილ ლექსში „ხამსინი“ გვიხატავს ეგვიპტეს, რომელსაც თავს დაატყდა სამხრეთის ქარი ხამსინი, ევროპელები სამუმს რომ უწოდებენ და რომელმაც „შეძრა უდაბნო ვრცელი“. იმავე დროს პოეტი ქმნის ლექსს „უდაბნოს სუნთქვა“, რომელშიც ეგვიპტის ბუნების აღწერიდან ხალხის მდგომარეობის ჩვენებაზე გადადის და ფელახის, არაბი მიწათმოქმედის მაგალითზე მშრომელების მძიმე ხვედრს გვიხატავს. ეგვიპტეს თავსდამტყდარ სტიქიურ უბედურებას, ქარიშხალს ავტორი სიმბოლურად ხალხის სოციალურ ბედუკუღმართობას, სოციალური სისტემით გამოწვეულ გაჭირვებასა და უბედურებას უკავშირებს.

ამ ლექსებს მოჰყვება „მდუმარება“, სადაც ხალხის უბედურების ერთ-ერთ აშკარა მიზეზად ქვეყნის გარეშე ძალაინგლისური იმპერიალიზმია მხილებული. ასე თანდათან ამძიმებს სურათს ავტორი და ლოგიკურად აყენებს საკითხს მონობის უღლიდან ხალხთა გათავისუფლების შესახებ. მგოსანი ეგვიპტის თემას ორგანულად უკავშირებს სამშობლოს და თავის სურვილებსა და ჩანაფიქრს ხალხთა ბედნიერ ხვალინდელ დღეზე ეგვიპტესთან ერთად უკრაინაზეც ავრცელებს.

მთელ ციკლს მსჭვალავს ავტორის მტკიცე რწმენა – უსათუოდ დადგება ჟამი სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან ხალხთა განთავისუფლებისა.

# ქუთაისის პერიოდი

ეგვიპტიდან გამომგზავრების შემდეგ ლესია უკრაინკა მეუღლესთან ერთად კვლავ საქართველოს დაუბრუნდა და 1910 წლის ივნის-აგვისტო მათ კვლავ თელავში გაატარეს. 1910 წლის შემოდგომაზე კლიმენტ კვიტკა სამუშაოდ ქუთაისში გადაიყვანეს. ოქტომბერში კვიტკები უკვე ქუთაისში არიან. ფიზიკურად სუსტ ცოლ-ქმარს გაუჭირდა გადაბარგება და ერთხანს იავადმყოფეს.

ქუთაისში ლესია უკრაინკა დაბინავდა ხაბურზანიას სახლში, თბილისის ქუჩაზე. კლიმენტ კვიტკა შეუდგა მუშაობას ახალ სამსახურში, მაგრამ ეტყობა იმდენი სამუშაო ჰქონდა, რომ თავს ვერ ართმევდა. „კლიონია აქ ისეთ კატორღაში მოხვდა, – აღნიშნავდა ლესია უკრაინკა, – რომ მე მეშინია რამე არ მოუვიდეს და რითაც შემიძლია ვეხმარები მას“[96] თუმცა თვითონ პოეტი არ არის კარგად („ამ შემოდგომაზე მე ძალიან ცუდად შევიქენი, – წერდა იგი ო. კობილიანსკას – ხოლო ახალ წელს ჩემმა ქმარმა კინაღამ გამომიტირა“), მაგრამ მაინც ცდილობს ხელი შეუწყოს თავის მეუღლეს. ამ მიზნით იგი მანქანაზე ბეჭდვასაც სწავლობს.[97]

მგოსნის ჯანმრთელობის მდგომარეობა თანდათან უფრო გაუარესდა. იგი იძულებული გახდა 1911 წლის იანვარში ეგვიპტეს გამგზავრებულიყო და ორიოდე თვე იქ დაეყო. მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც საქართველოში დათბა, ლესია უკრაინკა დაბრუნდა ქუთაისში. ამჯერად იგი გაჩერდა კაზაკოვის ქუჩაზე, კაზაკოვების სახლში.

---

[96] წერილი მ. კრივინიუკისადმი 1910 წ., 22. XII, კიევის ლიტერატურის ინსტიტუტი, ფ. 2, №86.

[97] წერილი ო. პ. კოსაჩ-კრივინიუკისადმი 1910 წ., 26. XII, იქვე, ფ. 2. №401.

**„ტყის სიმღერა“**. ქუთაისურმა ზაფხულმა, გაცოცხლებულმა წარმტაცმა ბუნებამ, საინტერესო ხალხთან შეხვედრებმა მგოსანში გააღვივეს შემოქმედებითი ნაღვერდალი. ამდენი ხნის დუმილის შემდეგ კვლავ ამეტყველდა პოეტის მუზა და მთელი ხმით იმღერა სიცოცხლისა და სიყვარულის ჰიმნი. 1911 წლის ივლისში, სულ რაღაც თორმეტიოდე დღეში ლესია უკრაინკამ შექმნა უკვდავი დრამატული ნაწარმოები „ტყის სიმღერა“.

ავტორმა მას უწოდა დრამა-ფეერია. ამ ფილოსოფიურ-პოეტურ დრამაში ხდება უჩვეულო მოვლენები, სადაც ადამიანებთან ერთად მოქმედებენ ზღაპრული პერსონაჟები. ფეერია ფრანგული სიტყვაა, რომელიც წარმოიქმნა სიტყვიდან ფეია-ფერია, რაც პირდაპირი გაგებით ნიშნავს თეატრალურ ან საცირკო დადგმას მითურ-ზღაპრულ სიუჟეტზე.

ლესია უკრაინკას დიდი სურვილი ჰქონდა თავის ნაწარმოებებში გამოეყენებინა ხალხური ზნე-ჩვეულებები და თქმულებები, გადმოცემები. „ტყის სიმღერის“ შექმნამდე, ჯერ კიდევ ბავშვობაში მას იზიდავდა ხალხური შემოქმედება, ფოლკლორი. იგი გატაცებით ეცნობოდა ძველ თქმულებებსა თუ ხალხურ თქმებს, ხალხის ცხოვრების სულიერ სამყაროს.

ლესია უკრაინკა ახალგაზრდობაშივე კრებდა და იწერდა ხალხური შემოქმედების ნიმუშებს. კლიმენტ კვიტკასთან დაახლოების შემდეგ მან ეს საქმიანობა უფრო ინტენსიურად წარმართა. 1902 წელს კიევში მათ გამოსცეს კრებული „ბავშვთა თამაშობანი, სიმღერები და ზღაპრები ვოლინის გუბერნიის, კოველის, ლუცკის და ნოვოგრად-ვოლინსკის მაზრებისა, შეკრებილი ლარისა კოსაჩის მიერ. მუსიკა ჩაიწერა კ. კვიტკამ“. ხოლო 1908 წელს ლესია უკრაინკამ მოაწყო

ფოლკლორული ექსპედიცია პოლტავშჩინაში, სადაც ფოლკლორისტმა თ. კოლესმა ფონოგრაფზე ჩაიწერა უკრაინული ხალხური ფიქრები, მათ შორის ცნობილი კობზარის მიხაილო კრავჩენკოს რეპერტუარი. ამ დროისათვის თვით ლესიამ ჩაიწერა კობზარი გნატ გონჩარენკო. ამ მუშაობის შედეგები „უკრაინული ხალხური ფიქრების მელოდიები“ ორ ნაწილად (1910-1913) გამოქვეყნდა ლვოვში.

ლესია უკრაინკა შემდგომაც გულმოდგინედ მუშაობდა ხალხური სიმღერების შეკრებაზე. მოგროვილი მასალა მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ 1917-1918 წლებში გამოქვეყნდა სათაურითდ „ხალხური მელოდიები ლესია უკრაინკას ხმაზე ჩაიწერა და შეადგინა კლიმენტ კვიტკამ.“

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეს პუბლიკაცია დიდი შენაძენი იყო უკრაინული ფოლკლორისტიკისათვის.

აი, ასეთ დიდ ინტერესს იჩენდა მგოსანი უკრაინული ფოლკლორისადმი. ღრმა ინტერესი და გატაცება ემჩნეოდა მას ხალხური გადმოცემების, თქმულებებისა თუ ლეგენდებისადმი. პოეტი იმახსოვრებდა, ისრუტავდა ყოველივეს, რაც ზღაპრულ-რეალურ, საიდუმლოებით მოცულ სამყაროსა თუ მოვლენებთან იყო დაკავშირებული.

ყოველივე ეს დაგროვილი ცოდნა-ინფორმაცია პოეტმა გამოიყენა დრამა-ფეერიის – „ტყის სიმღერა“ – შექმნის პროცესში. „ტყის სიმღერა“ აღიარებული შედევრია ლესია უკრაინკას შემოქმედებაში. ეს ნაწარმოები ჭეშმარიტად ხალხურია, უპირველესად, სილამაზის, სიყვარულის ხალხური გაგებით. ესაა ნაწარმოები სიცოცხლის, სიყვარულის, სილამაზის ჰარმონიულობისა და მწერლის მშობელი უკრაინელი ხალხის უკვდავებაზე.



მიხაილო სტარიცკი

„ტყის სიმღერა“ პოეტის დრამატული შემოქმედების ზენიტია. იგი შთაგონებულია უკრაინული ხალხური შემოქმედებით, უკრაინელი ხალხის გმირული ცხოვრება-სწრაფვით სიმართლისა და სინათლისაკენ.

XX საუკუნის დამდეგს ბევრი მწერალი, და საერთოდ, ხელოვანი ხალხური ხელოვნების სახეებსა და ფორმებს იყენებდა თავის შემოქმედებაში. მითოლოგიით დაინტერესება გამოწვეული იყო ხელოვნების არა მხოლოდ განახლების სურვილითა და მოთხოვნილებით, არამედ თვით ხელოვანების დაინტერესებით „ადამიანთა ფსიქიკის საიდუმლოებათა“ ამოხსნით, ადამიანთა ფსიქიკის საიდუმლო კუნჭულებში ჩაწვდომის სურვილით, უცნობის, ამოუხსნელის გადმოცემის სურვილით.

XX საუკუნის დასაწყისში უკრაინული ლიტერატურა, რომელიც განვითარების დასავლეთევროპული გზით მიემართებოდა, დაინტერესდა მეცნიერებისა და ხელოვნების სფეროში დამკვიდრებული სიახლეებით, ახალი მიმდინარეობებით.

ლესია უკრაინკას დრამა-ფეერია შეიქმნა უკრაინულ ფოლკლორულ-მითოლოგიურ, ხალხურ წყაროებზე დაყრდნობით, შეიქმნა პოეტური და ტრაგიკული დრამა ადამიანების მაღალ და სპეტაკ ოცნებაზე, მათ სწრაფვაზე სილამაზისა და მშვენიერებისადმი, ჭეშმარიტი სიყვარულისადმი.

დრამა-ფეერია „ტყის სიმღერა“ უკრაინული და მსოფლიო ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწარმოებია. მასში აირეკლა მწერლის ფიქრთა კორიანტელი, სახეთა პოეტურობა, რეალურობისა და ფანტაზიის ჰარმონიული ერთიანობა.

დრამაში პოეტი სვამს და ცდილობს გადაწყვიტოს სიკვდილ-სიცოცხლის, სიყვარულისა და სიძულვილის, ერთგულებისა და ღალატის მარადიული პრობლემა. ამავე დროს

დრამა-ფეერიას აქვს კიდევ ისეთი პრობლემა, რომელიც დღეს განსაკუთრებით მწვავედ ჟღერს – ესაა ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის ტრაგიკულობის, ბუნებისადმი ადამიანის დამოკიდებულების პრობლემა.

დრამა-ფეერიის ერთ-ერთი მთავარი კონფლიქტია მარადიული წინააღმდეგობა ადამიანის მაღალ მოწოდებასა და ყოვედღიურობის წვრილმანს შორის, რომელიც ადამიანთა სულის პოეზიას ხშირად ანგრევს.

ამ ფილოსოფიურ-პოეტურ ქმნილებაში მოქმედებენ ორი სამყაროს წარმომადგენლები – ადამიანები და ბუნების, სამყაროს არსებანი. დრამაში მოქმედი გმირების სახეები ავტორს აღებული აქვს ხალხური თქმულებებიდან და რეალური ცხოვრებიდან. თავის მხრივ, ფანტასტიკური სახეები კეთილსა და ბოროტ ძალებს წარმოადგენენ. აქ არიან უკრაინული ხალხური მითოლოგიის გმირები: ტყისა და ველის ფერიები, ტყისკაცი, წყლისკაცი, ქაჯი, „ის, ვინც ანგრევს ჯებირებს“, „ის, ვინც კლდეში ზის“ და სხვები. ეს მითოლოგიური სახეები დრამაში სიმბოლური შინაარსით ივსება. ტყისა და წყლის სამყარო გაცოცხლებულია. ისინი თავისი ცხოვრებით ცხოვრობენ. ესაა მხოლოდ, მათ სიკეთისა და ბოროტების თავისი გაგება აქვთ. ისინი, ამავე დროს, „დაჯილდოებული“ არიან ადამიანების ხასიათის, ბუნების ზოგიერთი თვისებით.

მწერალი იყენებს ხალხურ გადმოცემებს ტყის პერსონიფიცირებული ძალების შესახებ და თავის ნაწარმოებში ამ ძალებს უშუალოდ ახვედრებს, აკავშირებს ცოცხალ ადამიანებს: ჭაბუკ ლუკაშს, ძია ლევს და სხვებს.

„ტყის სიმღერაში“ ორი საწყისის – კეთილი და ბოროტი – ურთიერთბრძოლის, შერკინების სურათია წარმოდგენილი.

დრამის ყოველი მოქმედი გმირი, ცოცხალი ადამიანი თუ თქმულებიდან ამოსული, ორ ერთიმეორის საწინააღმდეგო ძალას წარმოადგენს. ერთი მათგანია თავისუფლების მოყვარული, ნათელი ძალა, რომელიც იმარჯვებს ბნელზე, ბოროტებაზე, კეთილი ძალა რომელიც ამარცხებს ანგარებას და კერძომესაკუთრულ ინტერესებს, ხოლო მეორე – სიავისა და ბოროტების გამომხატველი ძალა, რომელიც ყოველი მშვენიერებისა და ჭეშმარიტად ადამიანურის მოსპობას ლამობს.

ლესია უკრაინკა მისი დიდებული წინამორბედების, პუშკინის, გოგოლისა თუ შევჩენკოს, კოციუბინსკისა თუ სხვათა მსგავსად შესანიშნავად ახერხებს ფანტასტიკურისა და რეალურის ურთიერთშერწყმას, აღწევს რეალური, ადამიანური გრძნობებისა თუ განწყობილებების გადმოცემას.

ფოლკლორულ-მითური, ზღაპრული მასალა ლესია უკრაინკამ ორგანულად გადაამუშავა საკუთარ სულში და ფილოსოფიურად გაიაზრა, განაზოგადა იგი. ამიტომაცაა, რომ „ტყის სიმღერა“ აღიქმება, როგორც ნათელი ჰუმანური იდეალების უკვდავება. დრამა-ფეერიის ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური კონფლიქტი წარმოჩენილია ორი მხარის დაპირისპირებაში – მაღალ პოეტურ ოცნებასა და პრაქტიციზმით შეზღუდული სოფლის მოსახლეობის რეალურ ცხოვრებას შორის.

ბუნების სამყაროს ძალებთან კონტაქტში შედიან ვოლინელი მცხოვრებლები ახალგაზრდა ლუკაში, მისი ბიძა ლევი, ლუკაშის დედა, ახალგაზრდა ქალი კილინა.

ლესია კარგად იცნობდა ვოლინის ბუნებასა და ადამიანებს, რამაც მას საშუალება მისცა შეენიშნა ის საერთო, რაც მათ აერთიანებდათ, აგრეთვე ისიც, რაც მათთვის არ იყო მი-

საღები. ადამიანებსა და ტყის არსებებს შორის ურთიერთდამოკიდებულება ნაწარმოებში იძლევა კონფლიქტის წარმოშობის საბაბს, რაც ლესია უკრაინკამ გამოიყენა დრამა-ფეერიის სიუჟეტში. სწორედ ამ კონფლიქტში იხსნება ორივე მხარის წარმომადგენლების ხასიათები და ამ პროცესში ხდება ავტორის ჩანაფიქრის რეალიზაცია.

რაც შეეხება დრამა-ფეერიის კომპოზიციას. იგი ავტორმა წარმოადგინა პროლოგით და სამი მოქმედებით. ნაწარმოების ღერძი მავკასა და ლუკაშს შორის ინტიმური გრძნობების, მათი ურთიერთობის პროცესია. ნაწარმოების სწორად გაგებაში გვეხმარება ავტორისეული ვრცელი რემარკები, რომლებიც ხელს უწყობს მკითხველებს, უფრო ღრმად ჩაიხედონ მოქმედი გმირების სულში და რეალურად წარმოიდგინონ მათი განცდები.

პროლოგში მოქმედების დრო ადრეული გაზაფხულია, როდესაც ბუნება იღვიძებს. მოქმედების არეა – ვოლინის ტყე-ველი და მის შუაგულში აღმართული საუკუნოვანი მუხა. ტყის ნაპირის გასწვრივ და მინდორზე ამწვანებულია პირველი ოთხკუთხა მცენარე... ჰყვავის ენძელა და იელი. ხეები ჯერ კიდევ შიშველია, მაგრამ მათ უკვე უხვად გამოუღიათ კვირტები, რომლებიც სადაცაა უნდა გაიშალოს. ბუნებას ჯერ კიდევ სძინავს, მაგრამ იგრძნობა, რომ მალე გამოიღვიძებს. გაისმის ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი გმირის, ლუკაშის სალამურის გულში ჩამწვდომი ხმა, „ნაზი, ხუჭუჭა, როგორც ის ვითარდება, ისე ვითარდება ყველაფერი ტყეში".[98]

პროლოგში დახატულია ის გარემო, ადგილი, სადაც უნდა განვითარდეს მოქმედება. პირველ მოქმედებაში ტყიდან პატარა ტაფობზე გამოდიან ძია ლევი და მისი ძმისშვილი ლუ-

[98] „ტყის სიმღერა", ლესია უკრაინკა, რჩეული, თბილისი, 1971, გვ. 472.

კაში. ლევი ხანდაზმული, დარბაისელი კაცია. ლუკაში ლამაზი, ტანადი ახალგაზრდაა, თვალებში რაღაც ბავშვური უციმციმებს.[99]

ასეთი გარემო შეუმზადა ავტორმა თავისი დრამა-ფეერიის მთავარ გმირებს პირველი შეხვედრისათვის, როდესაც პირველი ნაბიჯები უნდა გადადგან ერთმანეთთან დასაახლოვებლად მავკამ და ლუკაშმა. ლესია უკრაინკამ მთელი ბუნება ჩართო, აამოქმედა ამ ახალგაზრდების გრძნობების გასაღვიძებლად და შესანიშნავი ფონი შეუქმნა მათი სიყვარულის დასაწყისს. ამ დროს ჩაისახება მავკასა და ლუკაშის სიყვარული. მკითხველის თვალწინ გადაიშლება მათი სულის, მათი სიყვარულის პოეტურობა.

მავკას ლუკაში შეუყვარდება. სამუდამოდ. იბადება სიყვარული ახალგაზრდებს შორის. ბუნება თავისებურად რეაგირებს ამაზე. სიხარულით ეხმაურება მათ სიყვარულს. „ლუკაშის გაზაფხულის სიმღერას, – წერს თავის რემარკაში ავტორი, – ეხმაურება ჯერ გუგული, შემდეგ ბულბული. უფრო წარმტაცად იფურჩქნება ველური ვარდი. უფრო თეთრად ელვარებს ძახველის ყვავილები. სიწითლე ემატება კუნელს. უფოთლო, შავი გლერძიც კი შლის ნაზ ყვავილებს. მოჯადოებული მავკა ნელა ირწევა, იღიმება, ცრემლიან თვალებში კი სევდა უჭვივის“.[100]

ასე გადაეცემა მავკასა და ლუკაშის განცდები ბუნებას, ასეთი რეაქცია აქვს მას ამ ახალგაზრდებში დაბადებული გრძნობის მიმართ. ბუნება იზიარებს მათ სიხარულს და მიესალმება მას თავისებურად.

---

[99] „ტყის სიმღერა“, ლესია უკრაინკა, რჩეული, თბ., 1971, გვ. 481.

[100] იქვე, გვ. 515.

მავკას ასეთი განცდა არასოდეს ჰქონია. მისთვის ეს უცნაური მოვლენაა. ლუკაშის მიერ გამოთლილი სალამურის ნაზმა ხმამ ზამთრის ძილისაგან გამოაღვიძა მავკა და აუჩქროლა გული. ლუკაშის კოცნაზე მავკა წამოიძახებს – „ოი, ვარსკვლავი ჩამივარდა გულში“. საინტერესოა მავკას მონოლოგი, რომელსაც იგი მოქმედების დასასრულს წარმოთქვამს, როდესაც ლუკაში გადის სცენიდან და მავკა მარტო რჩება:

ნეტავი მალე წახვიდე ღამევ.
არ კი გეწყინოს! ჯერ დღით სიამე
და სიხარული მე ხომ არ ვიცი
ისეთი, შენთან რომ განმიცდია.
ძეწნავ, რადა გაქვს სევდის იერი?
ხედავ, დობილო, ვარ ბედნიერი!

*(თარგმნა რაჟდენ გვეტაძემ)*

მავკა გულს გადაუშლის ბუნებას, იგი ხომ შეყვარებულია, ფიქრობს და ღელავს თავის სიყვარულზე, რომლის მსგავსი მას არ განუცდია. მას აღელვებს ტირიფის ცრემლები:

ტყევ, ჩემო მამავ, მირჩიე რამე,
როგორ შევკვეცო ფრთები ამ ღამეს?
ღამე მოკლეა, ლოდინი გრძელი.
რა მელის: შვება თუ დარდი მწველი?

მავკას მონოლოგები მკითხველს საშუალებას აძლევს ჩაიხედოს ყმაწვილი ქალის გულში, ამოიცნოს მისი შინაგანი სამყარო, იგრძნოს ის მუხტი, რომელიც ღრმა დრამატულ განწყობას ქმნის და გასდევს მთელ ნაწარმოებს.

მავკაში წმინდა სიყვარულმა იფეთქა ახალგაზრდა ვაჟკაცის ლუკაშის მიმართ. ლუკაში უბრალო, სოფლის ჩვეულებრივი მცხოვრებია, ადამიანთა სამყაროს წარმოამდგენელი.

მავკა ლუკაშის სიყვარულის გამო სთმობს ტყის სამეფოს, რომელთანაც მთელი არსებით იყო დაკავშირებული და სადაც მთელი თავისი ცხოვრება გაატარა. მავკა დგამს ამ ნაბიჯს, მიუხედავად იმისა, რომ ბუნება ამის წინააღმდეგია, ამაზე მიანიშნებენ მას ტირიფის ცრემლები თუ ძეწნის სევდის იერი. მავკა მიდის ადამიანებთან. მავკას ჰყავს, როგორც თვითონ უწოდებს, ბაბუა, ტყისკაცი, რომელიც აფრთხილებს მას, რომ ადამიანები სასტიკნი, დაუნდობელნი არიან, ბუნებას უდიერად, უხეშად ექცევიან. ტყისკაცი ცდილობს, შთააგონოს მავკას, რომ მას, ბუნების შვილს, თავისიანად არასოდეს მიიღებენ და აღიარებენ:

ადამიანთა ცქერა, თუნდ შორით,
ტყის ასულთათვის სახიფათოა.

ეუბნება ტყისკაცი მავკას. „გაერთე ქართან, მთისჭაბუკთან, ტყე, წყალი, ქარი, მაღალი მთები ყველა მოხიბლე", მაგრამ გთხოვ, შვილო

ადამიანთა ერიდო გზა-კვალს.
უსიხარულო არის მათი გზა.
იქ ყველა ზიდავს თავის სევდის ტვირთს,
ერიდე ამ გზას. თუ ერთხელ მაინც
შედექი მასზე, დაკარგავ შვებას!

ტყისკაცი ცდილობს შეაგნებინოს მავკას, რომ ადამიანებთან მისვლით იგი ყველაფერს დაკარგავს, მათ შორის თა-

ვისუფლებას. „მე კი მსურს, მიყვარს თავისუფლება“, ეუბნება იგი მავკას. მაგრამ სიყვარული იმდენად ძლიერი გრძნობა აღმოჩნდა, რომ მავკა ყოველგვარი მოსაზრებებისა და დასაბუთების წინააღმდეგ წავიდა. მან არ მიიღო, არ გაიზიარა არავის რჩევა, აზრი და წავიდა ლუკაშთან. ეს იყო მავკას ტრაგიკული ნაბიჯი. იგი განერიდა მის მშობლიურ ტყეს და ადამიანებთან წავიდა, თანაც ცუდ ადამიანებთან, მაგრამ მაინც ადამიანებთან. იქ დაატყდა კიდეც თავს უბედურება, იქ იგემა ცხოვრების სიმწარე.

მეორე მოქმედებაში მძაფრდება მავკას განცდები. უკვე გვიანი ზაფხულია. მან თავისი საზრუნავი მოიტანა, ტყეში მოვიდნენ ადამიანები. ტბასთან ქოხი ჩადგეს. ადამიანების მიერ მოყვანილმა ფრინველებმა, ბატებმა ტბის ანკარა წყალი აამღვრიეს, ადამიანებმა ბალახი მოთიბეს და დაზვინეს. ადამიანები ჩასახლდნენ ბუნებაში და თან მოიტანეს მრავალი საზრუნავი. მათ თან მოჰყვათ ავი სულები. მავკა ადამიანებთან ერთადაა. ბუნების წიაღში ადამიანების მისვლის შემდეგ იკარგება, ქრება პოეზია. მავკა, ისევე როგორც ლუკაში, კარგავს თავისუფლებას, ხდება ყოველდღიური საზრუნავის, ყოფითი წვრილმანების ტყვე: საქონელს მწყემსავს, ქოხში შეშას ეზიდება, ყანას თესავს და სხვა. იგი მთელი გულითა და სულით ცდილობს მოემსახუროს დედამთილს, მაგრამ ლუკაშის ჭირვეული და ნერვიული დედის გული ვერაფრით მოიგო. მას მოქიშპეც მალე გამოუჩნდა, ვითომ თავდადებული, მშრომელი ქალის კილინას სახით.

ტყისკაცი მავკას საყვედურობს მისი საქციელის გამო. „ჩემო ასულო, – მიმართავს იგი მავკას, – შენ დაისაჯე ღალატისათვის“. მავკა გაოცებულია, მან არ იცის ვის უღალა-

ტა. მაშინ ტყისკაცი უხსნის მავკას მიერ ადამინებთან მისასვლელად გადადგმული ნაბიჯის მნიშვნელობას და ეუბნება, რომ მან უღალატა საკუთარ თავს.

დატოვე დიდი შენ მწვერვალები,
და წვრილ ბილიკზე დაეშვი დაბლა.
ვის ჰგავხარ ახლა? უბრალო მსახურს
მსახურს, რომელსაც გარჯით უნდოდა
ეპოვა მცირე ბედნიერება.
მაგრამ ვერ შეძლო. მხოლოდ სირცხვილი
ჯერ კიდევ უშლის იქცეს მათხოვრად.

ტყისკაცი, მიუხედავად ასეთი მკაცრი განაჩენისა, მავკას უხსნის, რომ ჯერ ყველაფერი არ დაღუპულა. „შენ დაგავიწყდა, რომ მწუხარება, სამარადისოდ ვერ სძლევს მშვენებას“. შენ კვლავ შეგიძლია დაიბრუნო ბედნიერება, დაბრუნდე შენს ბუნებაში, ტყეში, იხარო და იზეიმო.

პიესაში მავკა ავტორმა გამოიყვანა, როგორც ყოველივე ამაღლებულის, თავისუფლების მოყვარულის, კეთილისა და ნათელის გამომხატველი. იგი ამავე დროს არის კეთილი სული, რომელიც ადამიანთა საზოგადოების კერძომესაკუთრულმა ინტერესებმა შეიწირეს. მას რაღაც არაჩვეულებრივი მეგობრობა, სიყვარული აკავშირებს ლუკაშთან. გლეხის ოჯახში ტყის ფერიას ბევრი გაჭირვების გადატანა მოუხდება. სიღარიბე, კერძომესაკუთრული ინტერესები ბღალავს და წამლავს წრფელ გრძნობას. ლუკაში ვერ შეძლებს ბოლომდე გაიგოს მავკას ფაქიზი სიყვარული. იგი გადაწყვეტს კილინაზე დაქორწინებას. მავკა გაოგნებულია, მას შეუძლია

ძლიერი სიყვარული, ერთგულება, მაგრამ არ შუძლია იბრძოლოს თავისი სიყვარულისათვის. იგი მას კარგავს.

მაღალი, წმინდა სულიერების სამყარო შეეჩეხება მერკანტილურ სამყაროს. ლუკაშის დედის გავლენით შეიქმნება ისეთი ვითარება, რომელსაც ტრაგიკული მოტივი შემოაქვს დრამა-ფეერიაში. ლუკაშში მინელდება სიყვარულის გრძნობა მავკასადმი. მას გაუცივდება გული მავკას მიმართ. იგი ქორწინდება ქვრივ კილინაზე. ეს ლუკაშის დედის არჩევანიც იყო. მავკამ ძლიერი დარტყმა მიიღო.

გადის ზაფხული და სიყვარულის დასასრულიც მოდის. აღარ გალობს სალამური, აღარ ისმის გულსჩამწვდომი მისი ხმა, არც სიმღერები მისთვის. ლუკაში თითქოს შეიცვალა. მის სულში ქრება პოეზია და მასთან ერთად, რაც ამაღლებული და წარმატებული იყო მასში.

მძიმე დღეები დადგა როგორც მავკასათვის, ისე ლუკაშისთვისაც. მათი ცხოვრება უშინაარსო და დაძაბული გახდა, აზრი დაკარგა. ასეთმა ვითარებამ ადამიანი შეიძლება დაღუპვამდე მიიყვანოს. თავის დროს ლუკაშს ბედნიერება ეწვია. მან გაასხივოსნა და აღაგზნო მისი სული, შთაბერა სიცოცხლის ძლიერი ცეცხლი, მაგრამ, გარემოებათა გამო, მან ვერ შეძლო ბოლომდე დამტკბარიყო მიღებული ბედნიერებით. მან დაკარგა სიყვარული და მაშასადამე, დაკარგა ბედნიერება. უღალატა სიყვარულს და ამით გააღარიბა, გაანადგურა თავისი სული, უმიზნო გახადა საკუთარი სიცოცხლე. არადა, ბედნიერება, რომელიც გაზაფხულზე ეწვია მას მავკას სიყვარულის სახით ხანგრძლივი, მარადიული იქნებოდა უთუოდ.

მავკას უჭირს გაიგოს ადამიანთა ურთიერთობის არსი. ლუკაშის დედას „ტყის მოდგმის არავინ უყვარს“. იგი ავა-

ლებს მავკას, მომკას ყანა. მავკას არ შეუძლია ამ სამუშაოს შესრულება. ნამგლით ხელსაც კი გაიჭრის, რათა მკის დროს არ დაამსხვრიოს მინდვრის ფერიის სილამაზე.

მავკამ ლუკაშში ის შენიშნა, რაც არ ჰქონდათ მის მეგობრებს, იგი ადამიანში აფასებს სულიერ სილამაზეს, შემოქმედებას. მავკასთან საუბარში ლუკაშს ეჭვი ებადება, რომ მას საყვედურობენ, რაზედაც მავკა პასუხობს:

არა, არ გყვედრი, მხოლოდ მაწუხებს,
რომ შენ არ ძალგიძს შენი ცხოვრება,
შენს მოწოდებას გაუთანაბრო.

ლუკაშს არ ესმის მავკას სიტყვების აზრი. ტყუილად უმტკიცებენ მავკას მინდვრის ფერია და მთის ჭაბუკი, რომ „ბედნიერება სწრაფად მდინარებს, კარგია, მარად რაც ჰქრის და ფრინავს!" „ის, ვინც ზის კლდეში" – ბოროტი ძალა, მავკას გაიტაცებს სიბნელის სამყაროში. მავკა მღერის სიმღერას თავისუფლებაზე, მგზნებარე სიყვარულზე, მაგრამ მიწიდან ამომართულმა შავმა, უზარმაზარმა მოჩვენებამ, მავკას წინააღმდეგობის მიუხედავად, იგი წაიყვანა „შორს ქვეყანაში", სადაც

ქარსაც ვერ მოაქვს და იქ ვერ აღწევს
თავისუფლების ამაო ჰანგი.

მაგრამ ავტორის ჩანაფიქრით ფერია არ შეიძლება დაიღუპოს.

განწირული მავკა წარმოთქვამს უდრეკი ქალიშვილის შთამბეჭდავ სიტყვებს:

მე ცოცხალი ვარ! ვიქნები მარად!
გულში მაქვს ის, რაც უკვდავი არის!

მესამე მოქმედებაში მავკამ მიაკვლია იმ სიტყვას, „რომელიც გამხეცებულს აქცევს კაცად“, ადამიანობას უბრუნებს. ძია ლევის გარდაცვალების შემდეგ, ლუკაშისა და მისი ოჯახის ურთიერთობა ბუნებასთან იძაბება. მისმა ოჯახმა ურთიერთობა გაწყვიტა ბუნებასა და მის სამყაროსთან, კონფლიქტში აღმოჩნდა მასთან. ქუცი ამბობს:

ამ ქალებს არ შეუძლიათ,
როგორც წესია, ჩვენთან ცხოვრება,
გაყიდეს თხა და ის მუხაც მოჭრეს
და დაარღვიეს ამით პირობა.

იმის გამო, რომ ადამიანებმა დაარღვიეს პირობა და ზიანი მიაყენეს ბუნებას, მათ სამაგიერო გადაუხადეს. ქაჯმა მათ პირუტყვი დაუხოცა,

წყლისკაცმა თივა აქცია ობად,
უმამოებმა პური დაალპეს,
ხოლო უჟმური მათ აცახცახებს,
რადგან მთელი ტბა აავსეს ძენძით.
ტყეში სიკეთე მათ აღარ ელით.
იქ ზლიდენებიც უკვე დადიან.

ბუნებამ ომი გამოუცხადა არაკეთილ ადამიანებს.

დრამა შედის დაძაბულობის სტადიაში. ლუკაშმა თავის თავს უღალატა და ამით გასწირა თავი. მან ვერ შეძლო

ცხოვრების ისე წარმართვა, რომ მისი მოთხოვნები დაეკმაყოფილებინა.

ნაწარმოებში ალეგორიულად არის წარმოჩენილი, რომ სიცოცხლე არ შეიძლება მოკლა ისევე, როგორც მარადიული სწრაფვა ბედნიერებისაკენ, სილამაზისაკენ, თავისუფლებისაკენ. „ზამთარსაც აქვს დასასრული" და მის შემდეგ მოვა გაზაფხული. ზამთარს შეცვლის გაზაფხული, ასე მთავრდება „შემოდგომის ზღაპარი". გაცოცხლდებიან ახალ სამყაროში პრინცესაც და მავკაც, მავკა მალე გახდება სასურველი შვილი ტყისთვის. მალე ტყე ისევ გაუხსნის თავის გულს მავკას და ისევე გააცოცხლებს, გაახალისებს თავისი სილამაზით.

სიღარიბე და ყოველდღიური წვრილმანი, საზრუნავი დრამაში აქვეითებს და აქრობს კიდეც ოცნების სურვილს, ანელებს სიყვარულის გზნებას. მიუხედავად იმისა, რომ ლუკაში მავკას აღარ აქცევს ყურადღებას, უგულებელყოფს მას, ტყის ფერია მაინც მიდის მის ქოხთან, გარდაიქმნება ძეწნად, თითქმის გამხმარ ძეწნად.

ტყის სამეფოში მიბრუნებული ფერია, ტყის შრიალში თუ სალამურის ხმაში განაგრძობს სიცოცხლეს. მავკა ისევ გაცოცხლდება ლუკაშის სიმღერებში, სალამურის ჟღერაში. იგი მარადიულად ცოცხლობს სიყვარულის მელოდიაში.

კილინას მისი თავიდან მოცილება უნდა და ამ მიზნით ლუკაშს ხელში ნაჯახს მისცემს. ლუკაში ერთი-ორს შემოჰკრავს ხეს და შეჩერდება. „არ შემიძლია, ხელს აღარ ვახლებ... გული მეკუმშვის", ამბობს ლუკაში. კილინა ლუკაშს ხელიდან გამოსტაცებს ნაჯახს და მთელი ძალ-ღონით მოუქნევს ძეწნას. ამ დროს ცეცხლის გველმეტეორის სახით ციდან დაეშვება მთის ჭაბუკი და ძეწნას შემოეხვევა. ხეს

ცეცხლი მოედება. ცეცხლის ალი ხის კენწერომდე მიაღწევს. გადაწვდება ქოხს და ხანძარი მთელ ქოხს მოიცავს.

დედა მიმართავს ლუკაშს – აქ რას უდგახარ, გადაარჩინე შენი ქონებაო. ლუკაშის პასუხი კი ასეთია – „ქონება, მაგრამ იქნებ დაიწვას იქ ბოროტებაც"?.

ლუკაში ძეწნისაგან გამოთლილ სალამურს ააკვნესებს, თავისი ცოდვის, დანაშაულის აღიარება-მონანიების ერთადერთ საშუალებას. ლუკაში გარდაიქმნება. მის თვალებში სულ სხვა სხივი ჩადგება. მის წინაშე წარმოდგება რაღაც გამჭვირვალე, აჩრდილი, რომელიც გარეგნულად მავკას ჰგავს. იგი ლუკაშს სთხოვს:

გულს ხმა გაეცი, ო, დაუკარი,
გულიღა დამრჩა მე სანუკვარი.

აჩრდილი ამშვიდებს ლუკაშს და ახსენებს მას, რომ მან სული მისცა მავკას:

... ძვირფასო, შენ მე მომეცი
სული ისე, ვით აძლევს ხმას დიადს
პირბასრი დანა უხმო ძეწნის ტოტს.

დამწუხრებული ლუკაში მას შეესიტყვება:

სული მოგეცი? ტანი კი მოვსპე!

მავკამ გააღვიძა ლუკაშში სილამაზის შეგრძნება, მუსიკის ნიჭი. მავკას ბრძოლა ადამიანებისთვის – ბუნების სრულყოფილების გვირგვინია. აკი ამბობს ნაწარმოების ერთ-ერთი გმირი ძია ლევი:

ტყის მოდგმა სულაც არაა ბილწი,დ
ტყიდან გამოდის მთელი სიმდიდრე.

ლუკაშის დედა კი მას სარკასტულად შეესიტყვება, რაზეც ძია ლევი მნიშვნელოვანი ფრაზით პასუხობს:

გარწმუნებ და შეიძლება
ტყის ქალი იქცეს ადამიანად.

სამწუხაროდ, მავკას არ მისცეს საშუალება სრულად გამოეჩინა თავისი დამოკიდებულება ადამიანებისადმი და ღირსეულად დაეკავებია მათ შორის ადგილი. მავკას სწრაფვა ლუკაშისაკენ და მაშასადამე ადამიანებისადმი ტრაგიკულად დამთავრდა.

ადამიანურმა სიყვარულმა შთაბერა მავკას სული, დაუსახა მიზანი და მისცა აზრი მის პოეტურ საწყისს. ლუკაშის სიყვარულის გარეშე მას არ შეეძლებოდა ასე გაკეთილშობილება, მაღალ, სპეტაკ იდეალებამდე აღზევება.

სილამაზისა და მშვენიერების განსახიერებას, ტყის ფერიის მავკას მხატვრულ სახეს ლესია უკრაინკამ სოციალურ-ფილოსოფიური დატვირთვა მისცა. მავკა უკვდავია, როგორც თვით ბუნება. იგი ხალხის ოცნების განსახიერებაა ბედნიერებაზე, თავისუფალ ცხოვრებაზე. ტყის ფერია მავკა, ამავე დროს, უწყვეტ კავშირშია ხალხთან.

სხვაგვარი განმარტება, განსახიერება აქვთ მავკებს ფოლკლორში. ისინი ხალხს თავს მოაჩვენებენ კარგ, კეთილ არსებებად. როგორც კი რომელიმე ახალგაზრდა მამაკაცი მავკას თვალს დაადგამს, ფერია მას სიკვდილის პირამდე მიიყვანს ან თავს მოჭრის.

ლესია უკრაინკას დრამაში ტყის ფერია მავკა თვითონ მოიხიბლა ლუკაშით, მისი სალამურის ხმით. როგორც ვხედავთ, მავკა ლესია უკრაინკას მიერ ორიგინალურადაა ინტერპრეტირებული.


მავკას სიყვარულით გაბედნიერებული ლუკაშის ტრაგედია კი ის არის, რომ იგი გაორებულია. მას არ შეუძლია ამაღლდეს კერძომესაკუთრული ოჯახის ინტერესებზე. დედამისი და კილინა არ აძლევენ მას ამის საშუალებას. ისინი თავიანთი მერკანტილური მოთხოვნილებებით, უხეში ინდივიდუალიზმით ლუკაშში ახშობენ კეთილ საწყისს, რომელიც მავკასთან მეგობრობით მას ებადებოდა.

ტყის ფერიის მავკას ნაზი და მომხიბვლელი მხატვრული სახე, თავისი სისპეტაკითა და კეთილშობილური სულისკვეთებით, წარმოადგენს ლესია უკრაინკას ოცნების პოეტიზაციას ბედნიერებაზე.

მავკა იბრძოდა ადამიანისათვის ბუნების სამყაროში. მისი შეჯახება, შებრძოლება ადამიანთა იმ სამყაროსთან ტრაგიკულად დასრულდა. ჩანს, მაშინ ჯერ კიდევ არ იყო მავკას დრო მოსული.

ასეთი იყო ლესია უკრაინკას ლირიკული გმირი ტყის ფერია მავკა და მისი მხატვრულ სახეში მწერალმა ჩააქსოვა მთელი თავისი გრძნობა-ხელოვნება და მასთან ერთად, ნაწილობრივ, თავისი თავიც წარმოაჩინა.

ლესია უკრაინკამ ლიტერატურაში შემოიყვანა გმირთა მთელი გალერეა, ადამიანთა მდიდარი სამყარო, რომელთაც მახვილი გონება და მგზნებარე გული აქვთ, ბრძოლის წყურვილი და ძალა გააჩნიათ, სიმართლისა და ადამიანური ბედნიერებისათვის ბრძოლის სურვილი აქვთ.



„შემოდგომის ზღაპარი“

დრამა-ფეერია ამ მხრივ გამონაკლისი არაა. მწერალმა „ტყის სიმღერაში“ ორი სამყაროს – ადამიანთა და ბუნების სამყაროს – საინტერესო გმირები გამოიყვანა, რომლებსაც თავისი ხასიათი, თავისი ბუნება გააჩნიათ. ყოველი მათგანის მხატვრული სახე დამამახსოვრებელი, შთამბეჭდავია. ასე, მაგალითად ავტორი გულთბილად გვიხატავს ძია ლევს, რომელსაც ესმის ტყის საიდუმლოება, ხედავს მის სილამაზეს. იგი კეთილმეგობრულ ურთიერთობაშია ტყის კეთილ ფანტასტიკურ არსებებთან და იოლად ამარცხებს ბოროტ სულებს.

დრამაში გამოკვეთილი მხატვრული სახეებია ლუკაშის დედის, კილინასი და სხვების. აქ მთავარ გმირთა ხვედრი მძიმე და ტრაგიკულია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მთელ ნაწარმოებში ჟღერს ოპტიმისტური მოტივი ყოველივე მშვენიერების, ადამიანურობის, პოეტურობის უძლეველობის შესახებ.

ლესია უკრაინკას დრამა-ფეერია ჭეშმარიტად ეროვნული ნაწარმოებია, მასში უკრაინული ფოლკლორის მხატვრული სახეები მაღალ ფილოსოფიურ-ეთიკურ გააზრებამდეა აყვანილი. იგი უკრაინული ლიტერატურის უაღრესად პოეტური ქმნილებაა, სადაც მითიურმა პერსონაჟებმა მავკამ, ტყისკაცმა, მთის ჭაბუკმა, ფერიებმა ავტორს საშუალება მისცეს ფართოდ გაეშალა თავისი ფანტაზია ზღაპრულ-ფეერიულ სპექტრში.

დრამა-ფეერიაში ტყე შემოქმედების წყაროა. ბუნებას დრამაში დიდი როლი აქვს დაკისრებული. იგი მოქმედ გმირებთან ერთად განიცდის სიხარულსაც და სიმწარესაც. მათი ეს ერთიანობა თითქმის ყოველ სურათში, აქტში ჩანს და იგი გარეგნულადაც შესამჩნევი ხდება. როდესაც მავკას ბედნიერება ესტუმრება და მის სიხარულს ტყე იზიარებს, ხის ტოტებზე კვირტები გაიშლება, ხოლო თუ მავკას გული სტკივა და რაიმეზე წუხს, მგლის ყმუილი გაისმის ტყეში,

ტყეც დაღვრემილი ჩანს, ტექსტში ჩნდება ფოთლებჩამოყრილი ხეები და სხვ.

ტყე, ბუნება რეაგირებს მავკას, ლუკაშის განცდებზე, მათ სულიერ ძვრებზე. ლესია უკრაინკამ საოცარი ნიჭი გამოავლინა ბუნების დახატვაში. მოქმედი გმირების, მავკასა თუ ლუკაშის სულიერი განწყობის შესაბამისად, დრამაში მოქმედების ხასიათის განვითარების შესაბამისად მწერალი გვიხატავს გაზაფხულის, ზაფხულის, შემოდგომის, ზამთრის ბუნების შთამბეჭდავ სურათებს. იგი, შეიძლება ითქვას, ქმნის ფონს, მოქმედებისა და განწყობის ხასიათის, სურათის შესაქმნელად. იგი ერთგვარად კამერტონია ადამიანის სულის მღელვარებისა. მსგავსი რამ ლესია უკრაინკას შემოქმედებაში სხვა ნაწარმოებებში იშვიათად გვხვდება.

ძია ლევი იცავს ტყეს. მას ესმის ტყის საიდუმლოება, გრძნობს მის სილამაზეს. იგი კეთილმეზობლურ ურთიერთობაშია ტყის კეთილ, ფანტასტიკურ არსებებთან და ამიტომაც იოლად ამარცხებს ბოროტ სულებს. მისი განსაკუთრებული ზრუნვის საგანია გოლიათი ბერმუხა, რომელიც იქვეა მის ქოხთან. ძია ლევს, თუ მერკანტილური თვალით შევხედავთ, შეეძლო გაეყიდა და მასში კარგა ბლომად ფული აეღო. მაგრამ არა, იგი მუხაზე ხელს არავის აკიდებინებს. მუხა და ის ადგილი, სადაც იგი დგას, ძია ლევისათვის წმინდა ადგილია. იგი ამბობს, თითქოს ანდერძს ტოვებდეს, როცა მოვკვდები, აქ დამმარხეთო, მუხის ძირას:

მართალი გითხრა, თქვენი ტყის მოდგმა
მე შემიყვარდა, და სიკვდილის წინ,
ვით მხეცი ისევ მოვალ აქ ტყეში,
რომ ამ მუხის ქვეშ ვპოვო სამარე...

მუხავ! მაშინაც ხომ იდგომები,
როცა სიკვდილი მომიგრეხს კისერს?

ლესია უკრაინკა დრამა-ფეერიის შექმნის დროს უხვად სარგებლობდა როგორც ფოლკლორული, ისე მითოლოგიური და სხვა წყაროებით. მწერალმა ხალხური პოეტური და მითოლოგიური სახეების ტრანსფორმირება მოახდინა და მათზე დაყრდნობით შექმნა არსებითად ავტორისეული მავკა. ასე მოიქცა იგი „კასანდრას“ შექმნის დროსაც. ბერძნული მითოლოგიის მიხედვით კასანდრას ეპიზოდური როლი ჰქონდა გამოყოფილი. ლესია უკრაინკამ კასანდრა თავის ნაწარმოებში მთავარ როლში წარმოადგინა. ეს მოხდა მოძიებული მასალის გადამუშავების შედეგად. ცნობილმა მეცნიერმა ო. ბელეცკიმ აღნიშნა, რომ „ლესია უკრაინკას კასანდრას მხატვრული სახის მზა მასალა არ ჰქონდა“, მან მისი რეკონსტრუქცია მოახდინა სხვადასხვა მითისაგან აღებული მასალის მიხედვით და მათ ბაზაზე შექმნა ორიგინალური სიუჟეტი კასანდრას მეთაურობით.

„ტყის სიმღერა“ მართალია 10-12 დღეში დაიწერა, როგორც ამას თვით ლესია უკრაინკა აღნიშნავს,[101] მაგრამ პოეტი, ამასთან, იმაზეც მიუთითებს, რომ დრამა-ფეერიის იდეას იგი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე მეხსიერებაში, გონებაში ინახავდა და გულში ატარებდა. 1911 წლის 20 დეკემბერს ლესია უკრაინკა დედას, ოლენა პჩილკას ატყობინებდა: „მე... გამახსენდა ჩვენი ტყეები და მომენატრნენ ისინი, – წერდა იგი „ტყის სიმღერის“ შექმნის განწყობილებასთან დაკავშირებით, – მე ხომ დიდი ხანია „ველოლიავები“ ამ

101 ლესია უკრაინკა, თხზულებანი, ტ. III, გვ. 774.

მავკას, ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა შენ ჟაბორიციში მავკაზე რაღაცას მიყვებოდი, როცა ჩვენ რომელიღაც არც თუ ისე დიდ, მაგრამ ძალზე ხშირ ტყეში მივდიოდით... შემდეგ კოლოდიაჟნეში, მთვარიან ღამეს მე მარტო დავრბოდი ხოლმე ტყეში (ამის შესახებ თქვენ არავინ არაფერი იცოდით) და იქ ველოდი, რომ მავკა მომჩვენებოდა... ნეჩიმნიშიც მესიზმრებოდა იგი, როცა იქ გავათიეთ ღამე, გახსოვს? – ძია ლევ სკულინსკისთან. ჩანს, ოდესმე მაინც უნდა დამეწერა მასზე. ჰოდა, აი, ახლა, არ ვიცი რატომ, „დადგა ჟამი“ – მე თვითონ არ შემიძლია, გავიგო, რატომ მომხიბლა ამ სახემ სამუდამოდ“.[102] ასე ესაუბრებოდა საქართველოდან ლესია უკრაინკა თავის დედას და ამგვარად უხსნიდა „ტყის სიმღერის“ შექმნის მიზეზებს. ეს დრამა არა მარტო ვოლინის მცხოვრებლებთან ურთიერთობის, მათთან საუბრის დროს მიღებული შთაბეჭდილების შედეგი იყო, არამედ მითოლოგიის, მსოფლიო ლიტერატურის შესწავლის ნაყოფიც.

უკრაინულ ლიტერატურათმცოდნეობაში ერთ დროს ის აზრიც იყო გავრცელებული, რომ „ტყის სიმღერა“ შეიქმნა მხოლოდ ვოლინდპოლესიეს ფოლკლორულ-მითოლოგიური წყაროების, მოტივების მოშველიებით. პოლესიეს წყაროებზე მიუთითებს ლესია უკრაინკას და ოლგა კოსაჩ-კრივინიუკიც თავის ნაწარმოებებში. ამ საკითხზე საუბრობს პოეტის მეუღლე, კლიმენტ კვიტკა. იგი წერს: „ლესია უკრაინკას უყვარდა პოლესიე, უმღეროდა მას „ტყის სიმღერაში“... დიდი სიყვარულით იხსენებდა ზვიაგელსაც (ნოვოგრად-ვოლინის ძველი სახელწოდება). ლესია უკრაინკას საყვარელ სიმღერებში საკმაოდ იყო ნახსენები ნოვოგრად-ვოლინსკი. მის მი-

[102] ლესია უკრაინკა, თხზულებანი, ტ. 5, 1956 წ. გვ. 607.

ერ ათვისებული და მისი გადიისაგან გაგონილი..."[103] ზოგიერთი სიმღერა ლესიამ გადაიღო სოფლის ბავშვებისაგან სოფელ ჟაბორინციში..."[104] იმ სოფელში ლესიას დედას ექსკურსია მოუწყვია და ლესიაც წაუყვანია. ლესიას განსაკუთრებით ლუცკი და ლუცკში მოსმენილი სიმღერები მოსწონებია.

ლესია უკრაინკამ თავის დრამა-ფეერიაში წარმოაჩინა ფოლკლორული და მითოლოგიური სამყაროს სახეები. რა თქმა უნდა, პოეტმა თავისი გმირების დასახატად მასალა აიღო მითოლოგიიდან ან ფოლკლორიდან, მაგრამ საფუძვლიანად გადაამუშავა და ისე წარუდგინა თავის მკითხველს.

ერთ-ერთი წყარო, სადაც ლესია უკრაინკა თავისი დრამა ფეერიისათვის პოულობდა მასალას, იყო საგალობელთან, ალილოსთან დაკავშირებული სარიტუალო სიმღერები. ეს სიმღერები ჩაიწერა ოლენა პჩილკამ სოფელ ზაპრუდლიში. ეს სიმღერები ლესიამ კარგად იცოდა და კლიმენტ კვიტკასთან ერთად ნოტებზეც გადაუღია. მსგავს თანხვედრას, მოტივაციას ლესია უკრაინკას დრამის ცალკეულ ადგილებსა და მოპოვებულ ფოლკლორულ მასალას შორის, ფოლკლორისტები საკმაოდ ნახულობენ. პოლესიეს ფოლკლორში არაერთი სიმღერა მოიძიება ადამიანის დამოკიდებულებაზე ტყესთან, ხეებს შორის დიალოგზე, მუხის საუბარზე ტირიფთან, სოკოსთან და სხვა.

მავკას სახეს, ფოლკლორულს გარდა, ლიტერატურული ტრადიციაც გააჩნია უკრაინულ ლიტერატურაში. მავკა აქა-

---

[103] კლიმენტ კვიტკა, ლესია უკრაინკას ფოლკლორული მემკვიდრეობა, ლესია უკრაინკა თანამედროვეთა მოგონებებში, მ., 1971, გვ. 252.

[104] იქვე, გვ. 253.

იქ გამოჩნდებოდა ხოლმე უკრაინული ლიტერატურის კლასიკოსების ნაწარმოებებში. მაგალითად, ი. კოტლიარევსკის, ე. გრებინკას, ლ. გლიბოვის, მარკო ვოვჩოკის, ივან ფრანკოს, მიხაილო კოციუბინსკისა და სხვათა შემოქმედებაში. მიუხედავად იმისა, რომ მავკასთან დაკავშირებით ასე უხვია წიგნისმიერი წყარო, ლესია უკრაინკას მავკა მაინც მითოლოგიურ საწყისთან არის დაკავშირებული.

ლესია უკრაინკას დრამატურგია მრავალპლანიანი და პოლიფონიურია. სწორედ ამის მაგალითია დრამა-ფეერია „ტყის სიმღერა“, რომელშიც მაღალმხატვრულად არის გაერთიანებული ფოლკლორული ელემენტები და მითოლოგიური გააზრება. ტყის ფერიის ფოლკლორულ-მითური სახე ლესია უკრაინკამ ღრმად გაიაზრა და შემოქმედებითად გადაამუშავა, პოეტურად აახმიანა.

მავკას ბოლო მონოლოგს დრამა-ფეერიაში ნაღველი დაჰკრავს, თუმცა იგი მაინც ოპტიმისტურია. მწერალს არ სჯერა, რომ მავკა სამუდამოდ განშორდა ამ ქვეყანას, მას არც უნდა რომ ეს ასე მოხდეს, ამიტომაც ნაწარმოების დასასრულს, სადაც მავკა ძეწნის მომღერალ ხედ არის გადაქცეული, იგი თავის სანუკვარ ჩანაფიქრზეც მიგვანიშნებს.

ნაწარმოების დასასრულს პოეტის მტკიცე რწმენაა წარმოჩენილი სულიერების უკვდავებაზე, სილამაზის მარადიულობაზე. მთელ პიესაში ნათლად არის გატარებული აზრი, რომ თავისუფალი სიცოცხლე იმარჯვებს დამონებულ ყოფაზე. „ნუ გენანება შენ ჩემი ტანი, – ეუბნება მავკა ლუკაშს, “– გიზგიზა ცეცხლით იგი გაბრწყინდა“, ცაში ატანილი ფერფლად იქცევა და დაუბრუნდება მიწას, რათა აღდგეს, კვლავ იხაროს:

ნუ გენანება შენ ჩემი ტანი,
გიზგიზა ცეცხლით იგი გაბრწყინდა
და აელვარდა, ვით ღვინო წმინდა,
მწველ ნაპერწკლებად ცად ანატანი.
ის მსუბუქ ფერფლად იქცევა მყისვე,
როს მშობელ მიწას დაუბრუნდება.
ახალ ძეწნის ხედ გაზრდის ბუნება,
შობს ჩემი ბოლო სიცოცხლეს ისევ.
როცა ვიქნები აქ კვლავ დარგული.

ფეერიის დასასრულს მავკა „აელვარდება ძველებური სილამაზით“. ცხოვრების ნათელი ძალები იმარჯვებს ბნელეთზე. ლესია უკრაინკა მღერის სიცოცხლის მარადიულობაზე, უსასრულობაზე. მავკა უკვდავია, უკვდავია როგორც მისი მშობლიური ბუნება. ლესია უკრაინკამ დრამა-ფეერიის უკანასკნელ სურათში თქვა თავისი სიტყვა. მავკა იწვის, ქრება ფიზიკურად, მაგრამ არა, არ ქრება სამუდამოდ. იგი ისევ უბრუნდება მის მშობლიურ სამყაროს, დედამიწას, სადაც მას ახალ ძეწნად გაზრდის ბუნება. ცხოვრების ნათელი ძალები იმარჯვებენ ბნელეთზე.

ასე წარმოაჩინა ლესია უკრაინკამ სულის, სიცოცხლის დიალექტიკა. არაფერი არ ქრება უკვალოდ ამ სამყაროში, ყველაფერი უბრუნდება თავის საწყისს.

ლუკაში ენით გამოუთქმელი სევდით უცქერის მავკას აჩრდილს, რომელიც მას მოევლინა. აჩრდილი – მავკა კი სამყაროდან გაუქრობლობის, თავისი უკვადავების წარმოჩინების შემდეგ სულის თრთოლვით წარმოთქმულ აღსარება-მონოლოგში ისევ და ისევ წარსულის მოსაგონარი მომაჯადოებე-

ლი ჰანგების ახმიანებას შესთხოვს და ევედრება ლუკაშს, მიმღერეო, რაც ჩამაგონე,

რასაც შენ ერთ დროს მე მიმღეროდი,
რასაც გალობდი ძეწნის ღეროთი,
ყველას, რაც ახლა წარსულს მაგონებს...
გთხოვ, ეს ჰანგები კვლავ გამაგონო.

და, ისევ ლესია უკრაინკას რემარკა ასრულებს კონტრაპუნქტის ფუნქციას.

ლუკაში იწყებს დაკვრას. სალამურის ხმა სევდიანია, როგორც ზამთრის ქარი, როგორც სინანული რაღაც დაკარგულის და დაუვიწყარის გამო, ნათქვამია რემარკაში. მაგრამ მალე სევდას გამარჯვებული სიყვარულის ჰანგი ფარავს, და როგორც მოსალოდნელი იყო, ბუნებამ მიიღო გამოწვევა და თანდათან შეიცვალა ზამთრის გარემოც. ძეწნის ხე აშრიალებს ხუჭუჭა ფოთლებს, ახლადაყვავებული ტყე ეხმაურება გაზაფხულის ჰანგს. ზამთრის ნისლიანი დღე ნელ-ნელა ქრება და მის ნაცვლად დგება ნათელი, ზაფხულის მთვარიანი ღამე. სალამურის ნაზმა ხმამ, წარსულის მოგონებამ მავკას სული აუფორიაქა. მავკა უეცრად იფეთქებს ადრინდელი სილამაზით. მის თავზე ვარსკვლავებიანი გვირგვინი გამოჩნდება.

ახალგაზრდებს წარსული დაეუფლათ. ბედნიერებით აღსავსე ლუკაში მიისწრაფვის მავკასკენ. ბუნება კვლავ მათთანაა. ქარი ხეებს გააცვენს ყვავილებს. ყვავილები ეფრქვევა შეყვარებულ წყვილს და ფარავს მათ. ცოტა ხნის შემდეგ ქარი ჩადგება.

ვუბრუნდებით რეალობას. ისევ გამოჩნდება ზამთრის სურათი. ხეების ტოტები თოვლითაა დაფარული. ბუნება

არეკლავს სინამდვილეს, რაც ხდება მავკასა და ლუკაშს შორის. ამიტომაც სრულიადაც არ იყო მოულოდნელი ზამთრის გამოჩენა და იგი გამოჩნდა კიდეც.

ლუკაში მარტოა. ზის ძეწნის ძირას მარტო. ხელში სალამური უჭირავს. მისი ჯადოსნური იარაღი. ახლა უმოქმედო. თვალები დახუჭული აქვს. ტუჩებზე ბედნიერი ღიმილი შერჩენია. მავკასთან საოცარი შეხვედრის ანარეკლი. ძეწნის ხეს ზურგით მიყრდნობილი იგი უძრავადაა. თოვლი ნელ-ნელა ეფინება მის სხეულს. მალე თოვლის საბანში გაეხვია ლუკაში. თოვლი კი არ წყდება. სულ მოდის და მოდის.

დრამა-ფეერიის უკანასკნელ სურათში სამყაროს მატერიალისტური აღქმის ცდაა მოცემული, მატერიის მარადიულობაზეა მითითებული. ნაქვამია, რომ ცხოვრებაში არაფერი ქრება უკვალოდ, ყველაფერი ახლდება და დადგება დრო, როდესაც დამყარდება სრული ჰარმონია ადამიანების ცხოვრებაში.

ნაწარმოებში ყოველივე დამორჩილებულია ძირითადი მოტივისადმი – ადამიანის ბრძოლა თავისუფლებისათვის, ცხოვრების სილამაზისათვის, საუკეთესო სურვილების განხორციელებისათვის.

დრამა-ფეერიაში ლესია უკრაინკამ ჩააქსოვა თავისი სანუკვარი ოცნება ადამიანების ნათლ მომავალზე, ადამიანთა ბედნიერების ზეიმზე, როდესაც პირისაგან მიწისა აღიგვება ბოროტება და ანგარება, სიბინძურე და უმსგავსოება, ეგოიზმი და კაცთმოძულება, როდესაც წარმოუდგენელი იქნება ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა, როდესაც შორეულ გადმოცემად დარჩება ზღაპარი სიშიშვლეზე, შიმშილსა და სიღატაკეზე, როდესაც ადამიანებს შეეძლებათ მთელი თავისი ენერგია, ნიჭი, შესაძლებლობანი, საკეთილდღეო შრომას, კეთილ საქმეს მოახმარონ.

დრამა-ფეერია „ტყის სიმღერა“ ლესია უკრაინკამ საქართველოში, ქუთაისში შექმნა. მან იგი ორიოდე კვირის განმავლობაში გადაიტანა ქაღალდზე: „უნდა გამოვტყდე, – წერდა ლესია უკრაინკა, – რომ ეს ახალი დრამაც (ახლა რომ გიგზავნი – „ტყის სიმღერა“) ჩემთვის რამდენადმე დაბრკოლებად გადაიქცა, თუმცა მე მას ძალზე ცოტა ხნის განმავლობაში ვწერდი, 10-12 დღეს, და არ მეწერა არაფრით არ შემეძლო... მაგრამ მას შემდეგ ავად გავხდი და ძალზე დიდხანს მოვუნდი სულის მობრუნებას“.[105]

ლესია უკრაინკა შეეჩვია ქუთაისსა და ქუთაისელებს. განსაკუთრებით დაუახლოვდა ერთი ცნობილი კულტურული მოღვაწის ოჯახს. იმ დროს ქუთასში ცხოვრობდა ცნობილი პედაგოგი და ლიტერატორი სილოვან ხუნდაძე. ეს ქართველი ინტელიგენტი ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში დაინტერესდა უკრაინითა და უკრაინელებით. მან პირველმა გააცნო მკითხველს ქართულ ენაზე უკრაინელი კლასიკოსის ივან კოტლიარევსკის ნაწარმოები „ქრიან ქარნი“. ს. ხუნდაძემ იმოგზაურა უკრაინაში და თავისი შთაბეჭდილებები ამ ქვეყანასა და მის ხალხზე პრესის მეშვეობით ქართველ მკითხველებს გაუზიარა.

უკრაინელი ხალხითა და კულტურით ამგვარად დაინტერესებულ ქართველ მოღვაწეს რადგან საშუალება მიეცა თავისსავე სამშობლოში, ქუთაისში ეხილა უკრაინული პოეზიის მშვენება, ბუნებრივია, შეეცდებოდა მასთან ახლო კავშირის დამყარებას და ეს ასეც მოხდა. სილოვან ხუნდაძე და ლესია

[105] ლესია უკრაინკა, თხზ., ტ. V, გვ. 607.

უკრაინკა შეხვდენენ ერთმანეთს და ხშირი საუბრებიც ჰქონდათ, უნდა ვივარაუდოთ, თავისი ხალხების, ლიტერატურისა და ხელოვნების ბედზე.

როგორც გადმოგვცემენ, ლესია უკრაინკა ხშირად დაიარებოდა სილოვან ხუნდაძის ოჯახში და ასევე სასურველი სტუმარი იყო მისი სილოვანიც. სწორედ მასთან განაგრძო უკრაინელმა მგოსანმა ქართული ენის შესწავლა.[106]

ლესია უკრაინკას ადგილობრივი გაზეთის „იმერეთის" რედაქციაშიც შეუხედავს, დაინტერესებულა მისი საქმიანობით, გასცნობია ქუთაისის ლიტერატურულ სამყაროს და სხვ.

ის-ის იყო ლესია უკრაინკამ ფეხი მოიკიდა და მკვიდრად დაბინავდა ქუთაისში, რომ ხელისუფლებამ მისი მეუღლე კლიმენტ კვიტკა ხონში გადაიყვანა სამუშაოდ. ეტყობა პოლიციას მოსვენებას უკარგავდა უკრაინელი მგოსნის რევოლუციური განწყობილებანი და ცდილობდა, რაც შეიძლება ჩქარა შეეცვალა ხოლმე მისთვის საცხოვრებელი ადგილი, რათა ადგილობრივ მოსახლეობასთან ფართო და საიმედო კონტაქტების დამყარების საშუალება არ მისცემოდა მას.

1911 წლის სექტემბრისათვის კლიმენტ კვიტკა და ლესია უკრაინკა უკვე ხონში არიან. მიუხედავად იმისა, რომ ხონში გამგზავრებაზე ლესია უკრაინკა ფეხს ითრევდა, ამ ქალაქმა, მისმა მიდამოებმა და იქ შექმნილმა პირობებმა გაახარეს იგი. ხონმა მგოსანს თავისი მშობლიური კუთხე გაახსენა. „ხონი რამდენამდე მივარდნილი ადგილია, – აღნიშნავდა იგი, – მაგრამ არა უშავს რა. უხვადაა ბაღები, ფართო და მწვანე ეზოები, მთები ჰორიზონტზე, თუმცა იგი ველზეა ისე, როგორც რივნო, ანდა როგორც კოლოდიაჟნე. კოლო-

---

106 ლ. ასათიანი, ლესია უკრაინკა, 1953, გვ. 21.

დიაჟნეს მაგონებს ის შოსე გზაც, რომელიც ქუთაისიდან აქეთკენ მოემართება, რადგან ორივე მხარეს ღრმა თხრილებია, თვითონ ხონშიაც ბევრია თხრილი და ჭები. ერთი სიტყვით ეს არის კავკასიური დიდი კოლოდიაჟნე".[107]

ხონის ბუნებრივმა პირობებმა, კლიმატმა ხელი შეუწყო ლესია უკრაინკას გამოჯანმრთელებას. სახლში გაგზავნილ წერილებში პოეტი მრავალგზის აღნიშნავდა, რომ ხონში იგი უკეთ გრძნობს თავს, ვიდრე ქუთაისში, რომ ხონზე არაფერი სამდურავი არ ეთქმის.

ხონში ლესია უკრაინკა ფარცხალაძის სახლში ცხოვრობდა. ჯანმრთელობის გამოკეთებამ, თვით ქალაქის შემოგარენმა, მშობლიურ კოლოდიაჟნესთან ხონის მიდამოების ასოციაციებმა კეთილნაყოფიერად იმოქმედეს მგოსნის პოეტურ სამყაროზე. სწორედ აქ, ფარცხალაძის სახლში, 1911 წლის 25 ივლისს დაუსვა თარიღი ლესია უკრაინკამ თავის უაღრესად მნიშვნელოვან დრამატულ პოემას „ადვოკატ მარტიანს".

ამ ნაწარმოებში ლესია უკრაინკა კვლავ უბრუნდება კერპთაყვანისმცემლობასთან ქრისტიანობის ბრძოლის თემას. „ადვოკატ მარტიანში" მოქმედება წარმოებს ჩვენი წელთაღრიცხვის III საუკუნეში. ამ დროს რომში ქრისტიანობა ჯერ კიდევ არ არის გაბატონებული რელიგია. ქრისტიანები, ეპისკოპოსი, იძულებულნი არიან ფარულად, შენიღბულად იარსებონ და იმოქმედონ.

დრამატული პოემის მთავარი გმირი, ადვოკატი მარტიანი ქრისტიანია, მაგრამ ეპისკოპოსისა და ქრისტიანული თემის გადაწყვეტილებით მას არ აქვს ამის გამჟღავნების უფლება, რადგან ამგვარი მდგომარეობა მას საშუალებას აძ-

[107] ლესია უკრაინკა, თხზულებები, ტ. V, გვ. 600.

ლევს სასამართლოში თამამად დაიცვას ქრისტიანების ინტერესები. მარტიანი, უპირველეს ყოვლისა, მაღალი საზოგადოებრივი მოვალეობის კაცია. მან მთელი თავისი ცხოვრება, ოჯახი ქრისტიანობას შესწირა. ემსახუროს საზოგადოების საქმეს – ესაა მისი ცხოვრების აზრი. მაგრამ არც მის მეუღლეს ტულიას, რომელმაც მიატოვა მარტიანი, წარმართს გაჰყვა ცოლად და ფარული რწმენის სამსახურს ლაღი ცხოვრება ამჯობინა; არც მის ქალიშვილს ავრელიას, რომელიც შეგნებულად აცხადებს პროტესტს ქრისტიანობის, „სულის მონობის“ წინააღმდეგ და სტოვებს მამის სახლს, რათა თავისუფალი და სისხლსავსე ცხოვრებით დატკბეს; არც მის ვაჟს ვალენტს, რომელიც მონურ ყოფას ჯარში წასვლას ამჯობინებს; მარტიანის მთელ ოჯახს ქრისტიანობის მკაცრ მორალზე რომ იყო აღზრდილი – არ სურს გაიგოს მარტიანის ამგვარი თავგანწირულობა.

უბედურება მარტიანს ერთიმეორის მიყოლებით ატყდება თავს: ჯერ ცოლ-შვილმა მიატოვა იგი, შემდეგ მისი მეგობრის შვილს მარტიანის სახლის წინ დაფლეთს ფანატიკოსი რომაელების გამძვინვარებული ბრბო, მისი გაზრდილი გოგონა ადვოკატის თავლწინვე იღუპება. ადვოკატი მარტოდმარტო რჩება. მაგრამ მარტიანი მაინც შეურყეველია. იგი ერთგულია თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობისა.

ისტორიულ თემაზე შექმნილ ნაწარმოებში ავტორი მის თანამედროვე ცხოვრებას ეხმაურებოდა. დრამატული პოემის მხატვრულ სახეებში ლესია უკრაინკამ მისი თანამედროვე რევოლუციონერი მოღვაწეების ზოგიერთი თვისება დაგვანახა.

მარტიანის მხატვრულ სახეში ღრმა ისტორიულ-ფსიქოლოგიური სიმართლეა ჩაქსოვილი. სასტიკი რეაქციის პირო-

ბებში საჭირო იყო საოცარი სულიერი სიმტკიცისა და ნებისყოფის გამოჩენა, რომ ადამიანებს ბრძოლის ველი თავდახრილებს არ დაეტოვებინათ, თავისი იდეისა და საქმისათვის ერთგულად და შეუდრეკლად ემსახურათ. ამ ვითარებაში მრავალი აღმოჩნდა ლესია უკრაინკას გმირის მდგომარეობაში. საკუთარი ტყავის გადარჩენის მიზნით გამცემლურ მოქმედებას, ძლიერი მტრის წინაშე ქედის მოხრას ლესია უკრაინკამ თავის ნაწარმოებში სიმბოლურად დაუპირისპირა რევოლუციის საქმის ერთგულება, გააზრებული თავგანწირვა.

* * *

ლესია უკრაინკას ხონში დიდხანს აღარ მოუხდა ცხოვრება. ხონის მიმართაც იგივე განმეორდა, რაც ადრე ქუთაისისა თუ თელავის მიმართ.

1912 წლის დამდეგს კ. კვიტკა კვლავ ქუთაისს დააბრუნეს. ამ ქალაქში მიბრუნებულ კვიტკებს გაუჭირდათ ერთი მუდმივი ადგილის შერჩევა. მოკლე ხანში მათ რამდენიმე ბინა გამოიცვალეს. ცხოვრობდნენ ჯაიანის შესახვევში, ჯერ ჩხეიძის სახლში (სახლი №8), შემდეგ ჯაიანის (სახლი № 2) და ბოლოს ქიქოძის ბინაში (სახლი №10).

პოეტს მართალია უჭირდა ერთი ადგილიდან მეორეზე ამდენგზის გადასვლა, გადასახლება, მაგრამ ერთხელაც არ დასცდენია საყვედური იმის გამო, რომ საქართველოში, კავკასიაში უმძიმდა ცხოვრება. პირიქით, იგი თავის წერილებში ყოველთვის აღტაცებული ლაპარაკობდა ამ კუთხის სიმშვენიერეზე, ხელუხლებელ სიდიადეზე. იგი ურჩევდა ყველას, ვისაც არ ენახა საქართველო, ერთხელ მაინც შეევლო თვალი მისთვის და დარწმუნებულიყო იმ პოეტების წრფელ გრძნო-

ბებში, რომლებიც აღტაცებულნი უმღეროდნენ მას. „თუ ვინმეს არ უნახავს, – წერდა იგი მ. კრივინიუკს 1912 წლის 3 მაისს, – მისი ნახვა უთუოდ ღირს, რადგან პოეტები სრულიადაც არ სტყუიან, როდესაც „უმღერიან" მის „სილამაზეს".

სწორედ ამ ზღაპრული ბუნების წიაღში, სულ მოკლე დროის განმავლობაში, ლესია უკრაინკამ მოასწრო უკვე მესამე დიდი ნაწარმოების შექმნა. მან 1912 წლის აპრილში ქუთაისში დაასრულა ხონში დაწყებული დრამატული ნაწარმოები „ქვის ბატონის " შექმნა.

**„ქვის ბატონი".** ლესია უკრაინკას ეკუთვნის დრამა „ქვის ბატონი". 1912 წლის აპრილში მწერალმა ქუთაისში დაასრულა ხონში დაწყებული ეს დრამატული ნაწარმოები.

ლეგენდა დონ ჟუანზე მსოფლიოს მხატვრული სიტყვის დიდოსტატებს მოლიერს, მერიმეს, პუშკინსა და სხვებს უკვე ჰქონდათ დამუშავებული. ლესია უკრაინკა შეეცადა თავისებურად მიდგომოდა ამ თემას და ახლებურად გაეშუქებია იგი. ნაწარმოების იდეა, წერდა მგოსანი აგათანგელ კრიმსკის, არის „კომანდორში განსახიერებული ქვის, კონსერვატული პრინციპის გამარჯვება ამაყი, ეგოისტი ქალის, დონა ანას გაორებულ სულზე და მისი მეშვეობით დონ ჟუანზეც- „თავისუფლების რაინდზე".[108]

ლესია უკრაინკამ დონ ჟუანს ძირითადად შეუნარჩუნა საუკუნო ლეგენდით მინიჭებული თვისებები.

პიესის დასაწყისში დონ ჟუანი წარმოგვიდგება ტრადიციული, მსოფლიო ლიტერატურაში მიღებული გმირის სა-

[108] ლესია უკრაინკა, თხზ., 1956 წ. ტ. V, გვ. 619.

ხით. იგი ქალების „მომხიბვლელი შემაცდენელია“. თვითონ ლესია უკრაინკა აღნიშნავდა, რომ მასში „არაფერია ახალი ლიტერატურაში დამკვიდრებული დონ ჟუანის ტიპის მიმართ“,[109] მაგრამ ეს პიესის დასაწყისში. მოქმედების განვითარებასთან ერთად იცვლება დონ ჟუანის მხატვრული სახეც. მწერალი თავის გმირს ახალი თვისებებით აღჭურავს. დონ ჟუანი ოცნებობს თავისუფლებაზე. თავისი თავი მას თავისუფლების რაინდად მიაჩნია. არსებითად, ეს ფრაზები „თავისუფლებაზე“, „სულის თავისუფლებაზე“ ლიტონი სიტყვებია. იგი დონ ჟუანს გულუბრყვილო, მიმნდობი ქალების მოსატყუებლად აქვს გამოყენებული, მათზე მორგებული. ამ სიტყვების მეშვეობით იგი იზიდავს და მახეში აბამს მანდილოსნებს. ისინი ფაქტობრივად მხვერპლნი ხდებიან დონ ჟუანის სატყუარასი და მისი გარყვნილების ჭაობში ეშვებიან.

დონ ჟუანი ლესია უკრაინკასთან სრულიადაც არ არის „თავისუფლების რაინდი“. იგი საკუთარი გრძნობისა და აზრის თავისუფლების კაცია, მას პირადი ქვენა გრძნობების, ველური სურვილების დაკმაყოფილებისათვის ყველასა და ყველაფრის გაწირვა შეუძლია. იგი უმორჩილებდა თავის პირუტყვულ გრძნობებს მოტყუებული ქალების გრძნობებს, მათ სწრაფვას თავისუფლებისაკენ. ამიტომაც იყო, რომ უსახელოდ დაიღუპნენ მოტყუებული და შეურაცხყოფილი ბოშა ქალი, რაბინის ქალიშვილი და სხვები.

დონ ჟუანი ავლენს თავის ნამდვილ ბუნებას ეგოისტი, პატივმოყვარე ადამიანის ბუნებას. იგი თავისი თავისუფლე-

[109] ლესია უკრაინკა, თხზ., 1956, წ. ტ. V.

ბის, თავისი ინდივიდუალისტური ზრახვების განხორციელების დროს არაფრად აგდებს მის ირგვლივ მყოფ ადამიანებს, ფეხქვეშ თელავს მათ პიროვნულ ღირსებებს, მათ ფაქიზ იდეალებს.

ლესია უკრაინკას დრამაში დონ ჟუანის ხასიათში ახალი თვისებები გამოჩნდა გადამწყვეტი და წინა პლანზე წამოწეული. მწერალმა მთავარ გმირს შეუნარჩუნა ტრადიციული დონ ჟუანის ძირითადი თვისებები, მაგრამ დაუნდობლად გააშიშვლა იგი საზოგადოების წინაშე, როგორც უკიდურესი ეგოისტი, რომელიც არავის ინდობს თავის გზაზე. დონა ანას გავლენით „თავისუფლების რაინდი" ძალაუფლების ხელში ჩაგდების ნეტარების განცდაშია.

ნაწარმოების ერთ-ერთი ცენტრალური გმირია დონა ანა, ეგოისტი და ძალაუფლების მოყვარული ქალი. დონა ანას მხატვრულმა სახემ ახალი და საინტერესო გააზრება მიიღო. იგი ლეგენდის მიხედვით გარყვნილი დონ ჟუანის მსხვერპლია, რადგან მას არ შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს „მომხიბვლელ" რაინდს. ლესია უკრაინკამ სრულიად ახალ ასპექტში წარმოადგინა დონა ანა. მწერალმა იგი „დააჯილდოვა" პატივმოყვარეობის, ძალაუფლების სიყვარულის თვისებებით.

ნაწარმოების დასაწყისშივე დონა ანა გვესახება, როგორც მტკიცე ნებისყოფის ქალი, რომელიც შეგნებულად ისკვნის გვირგვინს კომანდორზე საკუთარი მიზნების განხორციელების მიზნით. დონა ანასთვის თავისუფლება უმაღლესი პრინციპია, მაგრამ თავისუფლება, რომლისკენაც მიილტვის იგი, დაკავშირებულია ძალაუფლების მოპოვებასთან. სხვაგვარად, დონა ანას სურს თავისუფლება ძალაუფლების მოპო-

ვების მეშვეობით. იგი აცხადებს „ძალაუფლების გარეშე არ არსებობს თავისუფლება“. ამიტომაც იგი თავისი მიზნის განხორიცლებისას შუაგზაზე არ ჩერდება. ანამ უღალატა გვირგვინს და სურს დონ ჟუანი კომანდორი გახადოს.

დონა ანა თვითონ დაემორჩილა კონსერვატულ პრინციპებს და ამ ქვის კანონის გავლენის ქვეშ სურს მოაქციოს თავისი საყვარელი დონ ჟუანიც. დონ ჟუანი თითქოს თავისუფლების რაინდია, მაგრამ სწორედ ამ „რაინდობის“ ნიღბის ჩამოგლეჯაში გამოიხატა უკრაინელი მგოსნის ნოვატორობა მთავარი გმირის სახის დახატვისას.

მართალია, დონა ანა თავისუფლებაზე ოცნებობს, მაგრამ ეს არის პირად თავისუფლებაზე ოცნება, სხვაზე გაბატონების ოცნება.

დონა ანა კომანდორს გაჰყვა ცოლად და ამით მიაღწია თავისი ოცნების პირველ საფეხურს, მოიპოვა პირადი თავისუფლება.

დონა ანასთვის დამახასიათებელი უკიდურესი ინდივიდუალიზმი, ეგოიზმი კომანდორის კონსერვატიზმისა და მისი უმკაცრესი დესპოტიზმის საყრდენი ხდება.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ანას მხატვრულ სახეში, ანასი, რომელიც თავის თავს თვლიდა რაღაც უმაღლეს არსებად და ამიტომაც ადამიანების მიმართ გულცივი იყო, ლესია უკრაინკამ აჩვენა და ამხილა ნიცშეანური თეორია „ზეკაცისა“, რომელიც ექსპლუატატორთა კლასის ინტერესებს გამოხატავდა.

დრამის ამ ორი მთავარი გმირის – დონა ანასა და დონ ჟუანის სახით ლესია უკრაინკამ გაილაშქრა და ამხილა ნიცშეს კაცთმოძულეობის ფილოსოფია. მწერალმა თავის ნა-

წარმოებში გააკრიტიკა უკრაინული ბურჟუაზიული ლიბერალური ინტელიგენციის ანარქისტული ინდივიდუალიზმი. როგორც ცნობილია, ისინი „პიროვნების თავისუფლებას“ ქადაგებდნენ, ხოლო, ფაქტობრივად, თავიანთი მოღვაწეობით რეაქციას ემსახურებოდნენ.

დონ ჟუანისა და დონა ანას დამახასიათებელი ნიშანდთვისება ძალაუფლების მოსაპოვებლად ბრძოლაა. ეს მათი მოღვაწეობის, მოქმედების უმთავრესი მიზანია. ისინი ცდილობენ თავიანთი მდგომარეობით დადგნენ ყველაზე მაღლა. ამიტომაცაა ერთიანი მიზანსწრაფვით განპირობებული დონა ანასა და დონ ჟუანის შეწყვილება. დონ ჟუანი დათანხმდა დონა ანას წინადადებას გამხდარიყო მისი რაინდი ძალაუფლების მოსაპოვებლად ბრძოლაში, ამ ნაბიჯით იგი მოხვდა კომანდორის ქვის ძალის ქვეშ.

მსგავსი ვითარება იყო ლესია უკრაინკას თანამედროვე ცხოვრებაში. ლიბერალური ბურჟუაზია გაჰკიოდა თავის ლოზუნგს თვითმპყრობელობისაგან დამოუკიდებლობის შესახებ. რეალურად, კი იგი მის მხარეს იყო და მეფის ხელისუფლებას ემსახურებოდა.

„თავისუფლების რაინდის“ გზა ეს იყო თავისუფლების ღალატის გზა. დონ ჟუანი თვითონ ითავსებს კომანდორის ფუნქციას, თვითონ ხდება „ქვის ბატონი“. როგორც ნაწარმოებიდან ჩანს, დონ ჟუანმაც და დონა ანამაც უღალატეს თავისუფლებას და ამიტომაც ორივე დაიღუპა.

ლესია უკრაინკა წერდა ო. კობილიანსკას 1913 წლის 3 მაისს: „ამაყი დონა ანა ბოლოს და ბოლოს დაემორჩილა ცხოვრებაში დამკვიდრებულ ფორმას, ქვის საწყისს, სწო-

რედ მაშინ, როდესაც მას ეგონა, რომ იგი დაეუფლა თავის ბედს“.[110]

ქვის ბატონის მხატვრული სახის გამოძერწვისას ლესია უკრაინკამ გაითვალისწინა მსოფლიო ლიტერატურის გამოცდილება, მაგრამ თავისი გმირის პორტრეტი სრულიად ორიგინალურად ჩამოაყალიბა. მისი გმირი კონსერვატული საწყისის უერთგულესია, მისთვის დამახასიათებელია უმკაცრესი დესპოტიზმი, ოცნება მეფურ გვირგვინზე, სრული ინდიფერენტიზმი ადამიანის ტანჯვისადმი.

ლესია უკრაინკამ თავის ნაწარმოებში გამოიყვანა ერთი საინტერესო გმირი, რომელიც, მისივე თქმით, გარკვეულ სიმპათიებს იწვევდა მასში. ესაა კეთილი და გულწრფელი დოლორესი. თავდაპირველად, მწერალი ნაწარმოების მთავარ გმირად დოლორესის გამოყვანას აპირებდა. „ვწუხვარ – წერდა ლესია უკრაინკა ო. კობილიანსაკს, რომ მე ვერ წარმოვადგინე დოლორესი ისე, რომ იგი დონა ანასთან ფერმკრთალი არ გამოჩენილიყო, ეს არ იყო ჩემი განზრახვა და მე ერთ დროს იმასაც ვფიქრობდი, ვინ უნდა ყოფილიყო დრამის ნამდვილი გმირი ის, თუ დონა ანა, და უპირატესობა მივეცი ანას სიმპათიის გამო კი არა (დოლორესი უფრო ახლოსაა ჩემს სულთან), არამედ სიმართლის გრძნობის გამო, რადგან ასე ხდება ცხოვრებაში, რომ ისეთები, როგორიც დოლორესია, იძულებულნი არიან ანას წინაშე ჩრდილში აღმოჩნდნენ და მსხვერპლნი ხდებიან დონ ჟუანების კი არა, არამედ საკუთრი ზეადამიანური ეგზალტაციისა“.[111] ლესია უკრაინკა განიცდის, რომ ვერ შეძლო დოლორესის შესახებ

---

[110] ლესია უკრაინკა, თხზ., ტ. V, 1956 წ., გვ. 662.

[111] იქვე, გვ. 662.

საკუთარი აზრის სრულად მიწოდება მკითხველისათვის. „სამწუხაროა, აღნიშნავს ლესია უკრაინკა, რომ ვერ შევძელი დოლორესის შესახებ ჩემი ჩანაფიქრის გადაცემა, მიწოდება მკითხველისათვის, ეს სამწუხაროა, მაგრამ ამის გამოსწორება არ შეიძლება, რადგან მე უკვე გამოვედი იმ განწყობიდან, რომლითაც ვწერდი ამ დრამას და იგი მე ახლა უკვე აღარ მექვემდებარება, ეს უკვე „ცალკე ორგანიზმია“ და არ შეიძლება იგი დააბრუნო უკან, დედისეულ წიაღში“.[112]

ლესია უკრაინკამ დრამის გმირებს თვითონვე მისცა მოკლე დახასიათება. თავის ერთ წერილში იგი აღნიშნავდა: „მე არ მიყვარს უხვი მოხატულობა ქანდაკებაზე, ხოლო ამ დრამას უნდა გაეხსენებინა ქანდაკებების ჯგუფი ასეთი იყო ჩემი ჩანაფიქრი. შესრულებაზე კი არ შემიძლია ვიმსჯელო. რაც შეეხება ხასიათებს, მე მხეველობაში არ მქონდა დამემატებინა რაიმე ახალი ლიტერატურაში დონ ჟუანის დამკვიდრებული ტიპისათვის. განა მხოლოდ გამეხაზა მისი ხასიათის ანარქისტულობა, იგი, საკუთრივ, ისეთი უნდა ყოფილიყო, ცოტად თუ ბევრად, როგორც ყველას წარმოედგინა. ხოლო ეს თუ ასეა, რა საჭირო იყო მისი დეტალური აღწერა.“[113]

დონა ანას შესახებ ლესია უკრაინკა აღნიშნავდა, რომ დონა ანამ გაცილებით მეტი ადგილი დაიკავა დრამაში, ვიდრე თავდაპირველად მისთვის იყო განკუთვნილი.

კომანდორის შესახებ ლესია უკრაინკა მიუთითებს, რომ კომანდორი დონ გონზაგო დე მენდოზა „გამოვიდა საკ[ა]ოდ სქემატური ის უფრო სიმბოლოა, ვიდრე ცოცხალი ადამიანი, ეს კი, რა თქმა უნდა, ნაკლია, ოღონდ, თუ იმას გავითვალის-

[112] ლესია უკრაინკა, თხზ., ტ. V, გვ. 663.
[113] იქვე, გვ. 663.

წინებთ, როგორ ექცეოდნენ ამ მნიშვნელოვან პერსონას სხვა ავტორები, მაშინ შეიძლება ითქვას, მე გაცილებით პატივისცემით მოვეპყარი მას და უკიდურეს შემთხვევაში მას მივეცი ასე თუ ისე ლოგიკური პოზიცია და ნამდვილი აზრი არსებობისა დრამაში".[114]

ნაწარმოების ფინალი ლესია უკრაინკას ორიგინალურად აქვს გადაწყვეტილი. დონ ჟუანი კომანდორის ვერაგულად მოკვლის შემდეგ დონა ანასთან საუბრობს. ისინი იხსენებენ ძველ დროს და მომავლის გეგმასაც ადგენენ. დონა ანა არწმუნებს დონ ჟუანს: მე თქვენ მოგიპოვებთ კომანდორის ღირსებას:

> თქვენ მოგიპოვებთ კომანდორის პატივს, ღირსებას
> რადგანაც ჩემი რჩეული ხართ, ასე იქნება
> რაინდთა თვალში. რაინდობდით, ყველამ იცოდეს
> და უშიშარი, გაბედული იყავით ოდეს,
> დევნილიც იყავ, იმ დროს, მაგრამ, მენდე, მერწმუნე,
> ახლა გახდებით მაგალითი რაინდობის ყველა ღირსების
> ეს ადვილია.
>
> *(თარგმნა ნინო ნასყიდაშვილმა)*

დონ ჟუანი პასუხობს:

> ეს იოლია თქვენი აზრით? დამიდასტურეთ
> ზღვაში უძირო, უსასრულო პიფერობისა,
> რას ეწოდება რაინდობის კოდექსი წრფელი?

დონ ჟუანის ამგვარი პასუხი დონა ანას გაღიზიანებას იწვევს. იგი პირდაპირ მიმართავს რაინდს: „კმარა ცარიელი

---

[114] ლესია უკრაინკა, თხზ., ტ. V, გვ. 662.

სიტყვები, ჟუან. აღიარეთ, რომ თქვენ ყოველთვის როდი იყავით გულწრფელი... და თქვენ, თავისუფლების რაინდო, როდესაც დევნილი იყავით, მაშინ ბანდიტიც იყავით“ (პოეტთან ეს სიტყვების თამაშია „თქვენ თავისუფლების რაინდი ხართ, თუმცა როგორი ყაჩაღიც იყავით, ისეთად დარჩით!“). მაშ. „მოიპოვეთ ტახტი!“ მიმართავს იგი დონ ჟუანს. მიდის კარადასთან, გამოიღებს კომანდორის თეთრ მოსასხამს. დონა ანას სიტყვებით მოხიბლული იგი მონუსხული უყურებს, თვალს ვერ აშორებს კომანდორის მოსასხამს.

ჟუან, შეხედეთ, ამ თეთრ მოსასხამს
კომანდორისას სამოსს. უდავოს,
სართავს მშვენების, ალამივით ქრის
თუმც თვის გარშემო სუყველას იკრებს,
ვის არ ეშინის სისხლის, ცრემლების,
სიტყვის მუდმივის, მარადიულის.

დონ ჟუანი გაოგნებულია. იგი აღელვებული ამოილუღლუღებს:

ანა!
თურმე აქამდე არ გიცნობდი. არა ხართ ქალი
და თქვენი მთები მაღალია ქალურობაზე

დონ ჟუანს ერთი სული აქვს მოირგოს კომანდორის მოსასხამი, მაგრამ ყოყმანობს. თითქოს სისხლის კვალიც შენიშნა მოსასხამზე, მაგრამ დონა ანა შეუტევს „ეს მოსასხამი ახალი, ჩაუცმელია და თუნდაც სისხლიანი იყოს, შენ რა, სისხლის გეშინია“?!

დონ ჟუანი გადაწყვეტს:
რად არ ავიღო ეს მოსასხამი?

მე ხომ ვითვისებ მემკვიდრეობას.
აწ მე ვიქნები ბატონი სახლში.

დონ ჟუანი მოირგებს მოსასხმას. დონა ანა კედლიდან ჩამოხსნის მახვილს, კომანდორის კვერთხს, ჩაფხუტს, ფრინველის თეთრი ფრთებით გაწყობილს და დონ ჟუანს აწვდის. ანა შეხედავს კომანდორის ფორმაში გამოწყობილ დონ ჟუანს და კმაყოფილი მიმართავს დონ ჟუანს: „რა დიდებულად გამოიყურებით! ჩაიხედეთ სარკეში"!.

დონ ჟუანი მიდის სარკესთან. ჩაიხედავს სარკეში და თავზარდაცემული შეჰყვირებს. ანას შეკითხვაზე რა მოხდაო, იგი ენის ბორძიკით პასუხობს: „ის არის... მისი ნაკვთებია!" შეშფოთებული დააგდებს მახვილსაც და კვერთხსაც, სახეს ორივე ხელით იფარავს.

სარკიდან გამოდის კომანდორის ფიგურა. სწორედ ისეთი, როგორც ქანდაკებაა. მძიმე, ქვასავით დამძიმებული ნაბიჯებით მიემართება პირდაპირ დონ ჟუანისკენ. ანა დონ ჟუანსა და კომანდორს შორის ჩადგება. კომანდორი მარცხენა ხელით ანას მუხლებზე დააჩოქებს, ხოლო მარჯვენას გულზე ადებს დონ ჟუანს და აქვავებს. დონა ანა შეჰკივლებს და უსულოდ დაეცემა კომანდორის ფერხთით.

დონ ჟუანი და დონა ანა იღუპებიან, რადგანაც მათ თავისუფლება ანაცვალეს ძალაუფლებას.

ლესია უკრაინკამ მსოფლიო ლიტერატურის ტრადიციული თემა გამოიყენა „ქვის ბატონში". ეს ნაწარმოები შეიძლება ჩაითვალოს არა მხოლოდ უკრაინული, არამედ ევროპული მოდერნისტული დრამის ნიმუშად. დრამა „ქვის ბატონი" არის მსოფლიოში მიღებული დონ ჟუანის მოტივის უკრაი-

ნული ვერსია ლესია უკრაინკას მიერ ათვისებული და მხატვრული თავისებურებებით გააზრებული; შეიძლება ითქვას, რომ ლესია უკრაინკამ ისე როგორც ანტიკური, ბიბლიური, შუასაუკუნეობრივი თემატიკიდან ისესხა ეგზოტიკური მხატვრული გმირები, მოტივები და თავისებურად გაიაზრა ისინი, ასევე „ქვის ბატონი“ თავისი გმირებით, სიუჟეტურ-თემატიკური არეალით უკრაინული ეროვნული სამყაროს ყოფის თავისებურ მეტაფორად წარმოაჩინა. რაც მთავარია, ლესია უკრაინკამ დრამის მსოფლიო ფაბულაში ახალი იდეურ-ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური აქცენტები შეიტანა.

ნებისმიერი ისტორიული, კულტურული ეპოქის ყველა თაობის ხელოვანი დონ ჟუანში რაღაც თავისას ხედავდა. XIX საუკუნის დიდმა ხელოვანებმა ვ. გოფმანმა, ა. მიუსემ, მოლიერმა, ა. პუშკინმა და სხვებმა თავის ნაწრმოებებში ასახეს ეს ტიპი.

ვ. ჟირმუნსკის მიხედვით, დონ ჟუანი რომანტიკოსებთან ესაა ახალგაზრდა კაცი, შეყვარებული ქალზე, რომელიც მის სულში ზის და ამ სახეს იგი ეძებს, ხედავს ყოველ ქალში და ყოველი შეხვედრის შემდეგ, განწყობილია ეძიოს და აცდუნოს იგი.

„დონ ჟუანის“ უკრაინულ ვერსიას შესაძლოა უფრო ახლო კონტაქტი ჰქონდეს სლავურ სამყაროში ამ თემაზე შექმნილ ნაარმოებთან, ვიდრე ევროპაში განსახიერებულ დრამებთან. მხედველობაში მაქვს ალექსანდრ პუშკინის „ქვის სტუმარი“. შესაძლოა, ამ შემთხვევაში, გათვალისწინებულ იქნეს ისტორიულ-გენეტიკური რაღაც კავშირი პუშკინისეულ ვერსიასთან, შესაძლოა იგი ლესია უკრაინკას მიერ ახალი, სრულიად ორიგინალური გააზრების ნაწარმოების შექმნის ერთგვარ იმპულსადაც ჩაითვალოს.

ა. პუშკინის „ქვის სტუმარი“ ხელთ ჰქონდა ლესია უკრაინკას. ეს ის დრო იყო, როდესაც პოეტი ხონში იმყოფებოდა და დრამაზე მუშაობას იწყებდა. იგი შესაძლოა მხოლოდ იმპულსი იყო თვითმყოფადი, არაადეკვატურ ტრადიციებთან მიმართებაში მხატვრული გააზრებისათვის.

დონ ჟუანის შესახებ ვერსია მხატვრულად განავითარეს XX საუკუნეში. ამ საუკუნის დამდეგს გამოჩნდა ძველი სიუჟეტის არაერთი მოდერნიზაცია კლასიკური გმირის პირველსახეებით. ესაა ფრანგი მწერლის, ბარიერის ნაწარმოები „ახალი დონ ჟუანი“, სადაც, ტრადიციის მიხედვით წამყვანი გმირი დონ ჟუანი კი არ არის, არამედ მისი მსახური სგანარელია. ამ ნაწარმოებში, შეიძლება ითქვას, როლებს ცვლიან ბატონი და მსახური, პოლონელი მოდერნისტი მწერლის ს. პშიბიშევსკის რომანი – „Homo shazensk“ და სხვა.

ყველა სხვა ნაწარმოებთან, რომლებიც ეძღვნება დონ ჟუანს, ლესია უკრაინკას დრამას აკავშირებდა მხოლოდ ფაბულა. ძველი თემის ინტერპრეტაციის დროს პოეტი მთლიანად დამოუკიდებელი იყო.

ლესია უკრაინკა კარგად იცნობდა დონ ჟუანისეულ ფაბულას. მან ტრადიციული თემა თავისებურად გაიაზრა და შექმნა სრულიად ორიგინალური ნაწარმოები. უდავოა, რომ ლესიას მიერ ნეოკლასიკურ დრამაში ჩადებულ იდეას აქვს თვითმყოფადი ფილოსოფიური ქვეტექსტი, რომელიც ეხმაურება თანამედროვეობის საზოგადოებრივ და მორალურ-ეთიკურ პრობლემებს და ისმის როგორც გაფრთხილება, მომავლის პროგნოზირება.

ლესია უკრაინკა დრამა „ქვის ბატონის“ შესაქმნელად მთელი დატვირთვით მუშაობდა. იგი მთლიანად გადართული

იყო ამ პიესის პრობლემებზე. გამოთიშული იყო მისი თანამედროვე, ქალური გარემოცვიდან, სამყაროდან და გადასახლებული იყო დონ ჟუანისა და ქვის ბატონის სამფლობელოში. დრამაზე მუშაობის დამთავრების შემდეგ, მან შვებით ამოისუნთქა და, ერთგვარად, კმაყოფილების განცდაც შეეპარა სულში. მაგრამ ის მაინც განაგრძობდა ტექსტზე მუშაობას, რათა თხზულებისათვის მეტი ლაკონურობა მიენიჭებია. ო. კობილიანსკასადმი 1913 წლის 3 მაისს გაგზავნილ წერილში იგი იხსენებს დაძაბულ მუშაობას უკვე დასრულებულ დრამაზე. თავაუღებლად ვმუშაობდი. „მოკლე რომ გამეხადა (იგი თითქმის ორჯერ უფრო დიდი იყო, ვიდრე ახლაა), რომ მომეხდინა მისი სტილის კონცენტრირება, ზუსტად როგორც ძლიერი ესენციისა, გამეხადა იგი ლაკონური, როგორც ბაზალტზე წარწერები, გამეთავისუფლებია იგი ლირიკული მოდუნებულობისა და გაწელვისაგან... ჩამესვა სიუჟეტი მოკლე, ენერგიულ ჩარჩოში, მიმეცა მისთვის რაღაც „ქვის მაგვარი“,[115] წერდა ლესია უკრაინკა. ლესია უკრაინკას სჯეროდა თავისი შემოქმედებითი წარმატების, მაგრამ მოუთმენლად ელოდა რეაქციას გარე სამყაროდან.

ლესია უკრაინკას აინტერესებდა საზოგადოების აზრი დრამაზე, ოჯახის წევრების შთაბეჭდილება „ქვის ბატონზე“. იგი მოუთმენლად ელოდა ოჯახის წევრების გამოხმაურებას ნაწარმოების თაობაზე და შეწუხებული იყო იმის გამო, რომ რაღაც სიჩუმე იყო ამ დრამის ირგვლივ. თავის დას ოლგას ლესია ქუთაისიდან წერდა: „...თუ იყო რეცენზია „ტყის სიმღერაზე“ ან შეიძლება დაიბეჭდოს... იქნება „ქვის ბატონზე“,

[115] ლესია უკრაინკა, თხზ., 1956 წ. ტ. V, გვ. 662.

ჰქმენ სიკეთე, შემინახე ჩემთვის".[116] პოეტს განსაკუთრებით აღელვებს დედის, ოლენა პჩილკას, იმ დროს ცნობილი პოეტის დუმილი. „ქვის ბატონის" თაობაზე მე ვკითხე დედას მისი აზრი", – წერს იგი თავის დას. ლესია უკვე ეჭვიანობს – „შესაძლოა, ეს ნაწარმოები არ გამომივიდა და ამიტომაც დედამ დუმილი არჩია, რათა არ უნდოდა ჩემი წყენინება. მაგრამ განა უკეთესი არ არის მოისმინო კრიტიკა და თავი შეიკავო დაბეჭდვისაგან, ვიდრე დაბეჭდო ნაწარმოები, რომელიც არ გამოგივიდა, და ისიც ასეთ საპასუხისმგებლო თემაზე! ეს ხომ სირცხვილი იქნება არა მარტო ჩემთვის, არამედ საერთოდ ჩვენი ლიტერატურისათვის. აჰა, შეუტიეს ხახოლებმა დონ ჟუანს პირველად 300 წლის მანძილზე და ისიც ნაკლებგონივრულად" [117]

ლესია უკრაინკა კრიტიკულად უდგება თავის თავს და სურს, რომ მისი ნაწარმოების შეფასებაში სხვები დაეხმარონ, სხვებმა თქვან თავისი გულწრფელი სიტყვა. ლესია აანალიზებს თავის შემოქმედებით პროცესს და გვეუბნება, რომ იგი არ არის ხოლმე დარწმუნებული კარგად გამოუდის თუ არა მას ესა თუ ის ნაწარმოები. წერის პროცესში პოეტს ისეთი გრძნობა აქვს, რომ სწორი გზით მიდის, ხოლო როდესაც ნაწარმოები დასრულებულია, უკვე ეჭვი ღრღნის – ღირს კი რომ დაიბეჭდოს. „მე თვითონ არასოდეს ვარ დარწმუნებული ჩემს ნაწარმოებში. სანამ ვწერ, მე მეჩვენება, რომ წერა ღირს (სხვა შემთხვევაში, თავს ვანებებ...), ხოლო როდესაც დავამთავრებ – უკვე აღარ ვიცი, ღირს მისი დაბეჭდვა თუ არა".[118]

---

[116] ლესია უკრაინკა, „იმედი", 2007, გვ. 221.
[117] იქვე, გვ. 222.
[118] იქვე, გვ. 220.

„ქატაკომბებში“

„ქვის ბატონი“ ლესია უკრაინკას მიაჩნია თავის პირველ ნამდვილ დრამად.[119] „ქვის ბატონი“ მეჩვენება ჩემი ხელიდან გამოსულ პირველ ნამდვილ დრამად, წერს იგი, ობიექტურ, კონცენტრირებულ, სრულიად ახალ, მის მანერებთან შედარებით, დრამად, „რომელშიც არ არის ლირიკული წიაღსვლები და სრულიად განსხვავებულია ჩემი ჩვეულებრივი მანერისაგან“.[120] აი, ასეთ ვითარებაში მას დედისა და ლუდას დუმილი გაუმართლებლად მიაჩნია. „ნუთუ ყველა ასე იქნება გაჩუმებული“? კითხულობს შეწუხებული ლესია და გულისტკივილით წერს: „ჩვენში ყოველდღე ხომ არ წერენ ასეთ ზოგადსაკაცობრიო თემებზე? თუ ღირსებას ვერ ხედავენ, გამლანძღონ მაინც, მე ხომ კომპლიმენტებს არ მოვითხოვ“.[121]

დრამატულ პოემას „ქვის ბატონს“ ბედნიერება ხვდა წილად. 1914 წლის დასაწყისში, სულ რაღაც ორი წლის შემდეგ მისი შექმნიდან, დაიდგა კიევის თეატრში, იგი წარმოადგინა იმ დროს ცნობილმა მსახიობმა და რეჟისორმა მიკოლა სადოვსკიმ. გაზეთმა „რადამ“ პრემიერის დღეს უწოდა უკრაინული თეატრის „ოქროს დღე“. რეცენზიაში „ქვის ბატონის“ თაობაზე იგი აღნიშნავდა, „შესანიშნავია ლესია უკრაინკას პიესა, ღრმად გააზრებული და მხატვრულად დახვეწილი. ისე ორიგინალურად გაიაზრებს დონ ჟუანის მსოფლიო თემას, რომ ევროპის ნებისმიერ თეატრს დაამშვენებდა“.

„ქვის ბატონი“ ლესია უკრაინკას შემოქმედებაში ახალი მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო. მწერალმა შექმნა ორიგინალური და საინტერესო დრამა, რომელმაც ღირსეული ად-

---

119 ლესია უკრაინკა, „იმედი“, 2007, გვ. 222.

120 იქვე, გვ. 223. თარგმნა რევაზ ხვედელიძემ.

121 იქვე.

გილი დაიკავა კლასიკოსთა მიერ ამ თემაზე დაწერილ მხატვრულ თხზულებათა გვერდით.

დასავლეთ საქართველოში ყოფნისას ლესია უკრაინკამ დაწერა აგრეთვე პოემა „თეთრხელა იზოლდა“, რომლის ძირითადი თემა იყო ერთგული სიყვარული, ადამიანთა გრძნობათა სიფაქიზე, სისპეტაკე.

პოემას საფუძვლად დაედო, როგორც თვითონ ავტორი აღნიშნავს,[122] შუა საუკუნეების დროინდელი რომანი „ტრისტანი და იზოლდა“. როგორც ცნობილია, ეს რომანი ძალიან გავრცელებული იყო ევროპაში, მათ შორის სლავურ სამყაროშიც. რომანის შინაარსს თუ გავიხსენებთ, ნათელი გახდება, თუ საიდან მოდის პოემის სიუჟეტური წარმომავლობა: რაინდ-ვასალის, ტრისტანის საბედისწერო და უბედური სიყვარული ოქროსთმიანი დედოფლის იზოლდასადმი. ტრისტანს სიყვარული უჩნდება უეცრად, ჯადოსნური სასმლის მიღების შემდეგ. რომანის მეორე ვარიანტში არის მეორე იზოლდაც – თეთრხელა იზოლდა, რომელიც ტრისტანს უყვარდება ოქროსთმიან იზოლდასთან განშორების შემდეგ.

პოემა დაიწერა ქუთაისში, 1912 წლის 21 აგვისტოს.

**„ორგია“.** ლესია უკრაინკას უკანასკნელი დრამატული ნაწარმოები იყო „ორგია“, რომელიც ავტორმა 1913 წლის 28 მარტს დაასრულა და რომელიც თავისი იდეური ჩანაფიქრით მის მიერვე ადრე შექმნილ „ბაბილონელ ტყვესთან“ დგას ახლოს..

დრამაში მოქმედება მიმდინარეობს საბერძნეთში, ქალაქ კორინთოში. ამ დროისათვის (II საუკუნეში ჩვენ წელთაღრიცხვამდე) ეს ქალაქი ოკუპირებულია რომის იმპერიის მიერ. უკვე დიდი ხანია, ქალაქის მოსახლეობა რომაელების ბატონობის ქვეშ იმყოფება. ასეთი ფონი შექმნა ლესია უკრაინ-

[122] ლესია უკრაინკა, თხზ., ტ. I, 1951, გვ. 409.

კამ ნაწარმოების სიუჟეტის განსავითარებლად. დრამაში მწვავედაა დასმული ერის კულტურული ტრადიციების ერთგულების, კულტურულ ფასეულობათა დაცვის პრობლემა, ნაჩვენებია შემოქმედების თავისუფლების, სახალხო აღიარებისა და სახელის მოპოვებისათვის ხელოვანთა ბრძოლა.

დრამის („ორგია“) სახელწოდებას ორმაგი გაგება აქვს. დრამას დართული აქვს შენიშვნები სადაც მითითებულია, რომ ორგია ძველ საბერძნეთში ღვინისა და მხიარულების ღმერთის ბახუსის სადიდებლად გამართული საზეიმო დღესასწაულია, ხოლო გადატანითი მნიშვნელობით ორგია აღვირახსნილ, თავაწყვეტილ ღრეობას ნიშნავს.

ამგვარი ორგიის თაობაზე ლესია უკრაინკა უფრო ადრეულ ნაწარმოებში „კატაკომბებში“ (1906) მოგვითხრობს. ნაწარმოების მთავარი გმირი ნეოფიტი მონა რომაელების მიერ გამართულ ორგიას გვიხატავს, სადაც მისი ცოლი – მონა იძულებულია დაესწროს გარყვნილი ბატონების ვნებების დაკმაყოფილებას.

ასე, რომ, რომაელთა ორგიაზე ავტორს უკვე ჰქონდა თავისი სიტყვა ნათქვამი.

რაც შეხება, თავისუფლებისაკენ სწრაფვის პრობლემას, იგი ლესია უკრაინკას შემოქმედების ძირითადი პრობლემა იყო. ჯერ კიდევ მის ადრეულ პოეტურ ნაწარმოებებში („ჩემი გზა“, „განთიადის წინ“, „ცრემლები მარგალიტები“, „ტყვეთა სიმღერები“ და სხვ.) საკმაოდ ნათლად და ენერგიულად, თუ შეიძლება ასე ითქვას, რევოლუციურად არის გამოთქმული და გამოხატული არა მარტო პოეტის, არამედ მთელი ხალხის, ერის განწყობა, სულისკვეთება, სწრაფვა თავისუფლებისაკენ.

უკრაინულ ლიტერატურაში ტარას შევჩენკომ შემოჰკრა ნაბათს და ფრანგული რევოლუციური ჰიმნის „მარსელიოზას“ მსგავსად, თავისი პოემის „ანდერძის“ დასასრულს, ხალხს ბრძოლისაკენ მოუწოდა:

მაშ, დამმარხეთ, წამოდექით,
იწყეთ ბორკილთ მსხვრევა,
სილაღეზე მტარვალების
ბოროტ სისხლის ფრქვევა.

*(თარგმნა სიმონ ჩიქოვანმა)*

შევჩენკოს ტრადიციებმა განვითარება პოვეს ლესია უკრაინკას შემოქმედებაში და მოწოდება თავისუფლებისაკენ, თავისუფლებისაკენ სწრაფვა ერთ-ერთ ძირითად მოტივად იქცა პოეტთან. ასე რომ, ის პრობლემები, რომლებიც დასვა ლესია უკრაინკამ დრამაში, არ ახალი, ძველი იყო პოეტისათვის, მაგრამ სხვა ასპექტში წარმოჩენილი და გადაჭრილი იყო „ორგიაში“.

დრამატულ ნაწარმოებში მოქმედ გმირთა დასახასიათებლად გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორ გაიაზრებენ ისინი ეროვნული ტრადიციების, კულტურულ ფასეულობათა დაცვის პრობლემას, შემოქმედებითი აღიარებისთვის, სახელის მოპოვებისათვის ბრძოლას. მოქმედი გმირების პოზიციის მიხედვით მკითხველს შესაძლებლობა ეძლევა დაახასიათოს ისინი იმისდა მიხედვით, თუ როგორ აფასებენ და იცავენ ეროვნულ კულტურას, ტრადიციულ, ამაღლებულ სულიერ საგანძურს, როგორ პასუხობენ ისინი მათი თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნებს, რომაელი ხელისუფლების მოთხოვნებსა და შეკვეთებს, რომლებიც, ფაქ-

ტობრივად, მშობლიური, ეროვნული, ბერძნული კულტურის, ტრადიციების მაღალ მოთხოვნებს ეწინააღმდეგებოდა.

პატრიოტი ხელოვანის ანთეის ტრაგიკული ბედია ასახული დრამაში. ბერძენი მუსიკოსისა და მომღერლის ცხოვრების ტრაგიზმი განპირობებულია მისი სამშობლოს ოკუპაციით. მისი ქვეყანა რომაელებმა ჩაიგდეს ხელთ. ისინი გაბატონდნენ საბერძნეთში და დაამკვიდრეს თავისი წესი და კანონი. ამითაა გამოწვეული კონფლიქტის ფსიქოლოგიური სიმწვავე. სწორედ ეს ამძაფრებს მოქმედებას.

ანთეი სამშობლოს ერთგული შვილია. იგი რომაელი დამპყრობლებისა და ადგილობრივი რენეგატების ძალდატანების მიუხედავად, არ ღალატობს თავის ხალხსა და ჭეშმარიტ ხელოვნებას, რადგან მისი აზრით, დაპყრობილი ხალხის ხელოვნება უნდა ემსახუროს „უმაღლეს სილამაზეს", „სიმამაცის, ბრძოლის, აჯანყების სილამაზეს".

ანთეი ზრუნავს მშობლიურ კულტურაზე და განიცდის მის დაცემას, რადგან მისი შემქმნელი, ზოგიერთი ხელოვანი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ოკუპანტის სამსახურში მიდის. ნაწარმოების მთავარი გმირის ანთეის ტრაგედია დრამაში თანდათანობით მძაფრდება და აღმავალი გზით ვითარდება. იგი ძლიერ განიცდის მშობლიური ბერძნული კულტურის წარმომადგენლების, მისი მეგობრებისა და მეუღლის მიერ ეროვნული კულტურის ტრადიციების ღალატს, როდესაც ისინი თავისი შეხედულებებით უპირისპირდებიან მას და ერთიმეორის მიყოლებით განუდგებიან და მიატოვებენ მომღერალს. ისინი უარყოფენ ძველბერძნული კულტურის სულიერი საგანძურის ხელშეუხებლობას და დიდების მოპოვებისა და გამდიდრების იმედით

ცვლიან მას მერკანტილურ პოზიციაზე, ვაჭრულ მომგებიანობაზე.

პირველი ტკივილი ანთეის მიაყენა მისმა საყვარელმა ნიჭიერმა მოწაფემ, ხელოვანმა, რომელმაც ფარდის აწევისთანავე დრამაში შემოიტანა ტრაგიკული განწყობა. მან მასწავლებელს განუცხადა, რომ იგი აღარ ივლის მის ბერძნულ სკოლაში. ანთეიმ დიდხანს ვერ გაიგო, ვერ მიხვდა ამის მიზეზს. თავდაპირველად მას ეგონა, რომ მოწაფე უსახსრობის გამო ამბობდა უარს სწავლაზე და უფასოდ სწავლება შესთავაზა. მაგრამ საუბარში მალე გაირკვა, რომ ხილონი უსახსრობის გამო კი არ ანებებს თავს ანთეის სკოლაში სწავლას, არამედ იმის გამო, რომ იგი რომაელ მეცენატთან მიდის სკოლაში, დგება რომაელების სამსახურში, ეწერება პანეგირისტების გუნდში, რადგან არ უნდა, რომ ანთეისავით სილარიბეში იცხოვროს. ამ მწარე სიახლემ ააღელვა ანთეი:

შენ? შენ ჩაები
პანეგირისტთა წყეულ ხროვაში!
ბოროტმოქმედთა და ავაზაკთა,
ტალანტის მტრების წყეულ ხროვაში?
ო, აჯობებდა, რომ სამუდამოდ
ყოფილიყავი დამუნჯებული...
ოღონდ ასე არ დაცემულიყავ!

*(თარგმნა სოფიო ჩხატარაშვილმა)*

როგორ დაეციო ასე, საყვედურობს ანთეი ხილონს.

მოქმედება ვითარდება და კონფლიქტური სიტუაცია მძაფრდება. ანთეის საყვედურობს დედა, რომ ნერისას მოწონებიდან გამოსყიდვის და მისი ცოლად მოყვანის შემდეგ მი-

სი და ევფროზინა დარჩა ხელმოცარული. ამ დროს, ნერისას თაფლობის თვე აქვს. სულ რაღაც ერთი თვეა ანთეის ცოლი გახდა და უკვე გამოავლინა თავისი დაინტერესება რომაული სამყაროს და სიმდიდრის მიმართ. ამასთანავე, მას ვერ დაუვიწყებია და კვლავ იზიდავს მონური ჩვეულებები – ღრეობებში, ზეიმებში რომაელების გასართობად მონაწილეობა, იზიდავს ძვირფასი სამკაულები, სიმდიდრე. მას აღარ აკმაყოფილებს მისი მეუღლის არც ეკონომიური მდგომარეობა, სიღარიბე და ის, რომ მას, ანთეის სახელი და დიდება, როგორც ხელოვანს, არ აქვს მოხვეჭილი რომაელებთან, რაც მისი აზრით, შემოსავლის კარგი წყარო იქნებოდა.

სცენაზე გამოდის ნიჭიერი მოქანდაკე, ანთეის მეგობარი ფედონი. მან გამოაქანდაკა ცეკვის მუზა ტერფსიქორე ანთეის ცოლის ნერისას სხეულის და სახის მიხედვით. სტუმრად მისული ფედონი ანთეის ეუბნება, რომ „სამუშაო მე უკვე დავამთავრე და ახლა პანების ორგიაზე მეცენატთან მივდივარო. შენ, რა, მიწვევა გაქვს? ეკითხება ანთეი. შენთან ერთად“ – პასუხობს ფედონი. იგი პირდაპირ პასუხს გაურბის, მიკიბულ-მოკიბულ საუბარს მიმართავს, უხერხულობას გრძნობს ანთეის წინაშე, მაგრამ იძულებულია აღიაროს, რომ ტერფსიქორეს ეს ქანდაკება, რომელიც შეპირებული იყო და ანთეისთვის უნდა მიეცა, მან მეცენატს მიჰყიდა, რადგან რომაელებთან ურთიერთობას, მათთან კონტაქტს, აღიარება, სახელი მოაქვს ხელოვანისთვის.

ფედონი თვლის, რომ სწორად მოიქცა. „მთელი ჩემი ცხოვრება შენსავით უპუროდ და სახელის გარეშე რატომ უნდა ვიყოო,“ – ეუბნება იგი ანთეის. ფედონს მიაჩნია, რომ თავისი საქციელით არგო მშობლიურ საბერძნეთს.

ფედონმა, მართალია, ეს ნაბიჯი შეგნებულად გადადგა, მაგრამ მაინც რაღაც უხერხულობას გრძნობს და ბოლომდე თავს ვერ იმართლებს ანთეის წინაშე.

ანთეი აღშფოთებული ეკითხება ფედონს:

შენ ნერისა გაყიდე!

ფედონი პასუხობს:

არა, ქალღმერთ ტერპსიქორეს ქანდაკება.

განრისხებული ანთეი პირში მიახლის მეგობარს, უკვე ყოფილს:

შენ თვით ქალღმერთს გაჰყიდდი,
რომ შეგეძლოს რომაულ სახლში მისი შეტანა!

ფედონი ანთეის ელაპარაკება სახელზე, რომელიც ხელოვანმა შეიძლება მოიპოვოს რომაელებთან ურთიერთობის შედეგად, ეს კი მას მოუტანს ფულს, აღიარებას საზოგადოებაში. ფედონის მიერ გამოთქმული მოსაზრება კარგი ცხოვრების აგების თაობაზე რადიკალურად ეწინააღმდეგება ანთეის შეხედულებას. ანთეი მზადაა დარჩეს ულუკმაპუროდ, ღატაკი, მაგრამ მართალი იყოს საკუთარი სინდისის წინაშე.

დაფიქრდი ელინ! პურს და დიდებას
მიიღებ მხოლოდ რომაელთაგან!

ანთეი ფედონთან საუბარში კატეგორიულია. მისი აზრით ფედონის მიერ შექმნილი ტერპსიქორეს ქანდაკება მშვენიერია და მისი მიყიდვა რომაელებისთვის მშობლიური ბერძნული კულტურის ღალატია.

ფედონი ცდილობს დაარწმუნოს ანთეი, რომ მას ანთეისთვის სიკეთე უნდა. იგი ახსენებს ანთეის, რომ ისინი მეგობრები არიან და დარჩებიან მეგობრებად. „მე გამოვისყიდი ჩემს ტერპსიქორეს, ეუბნება იგი ანთეის, შენ კი რას იზამ,

როგორ დაიბრუნებ შენ სალანძღავ სიტყვებს, რომლებითაც მე მომმართეო". რაზედაც ანთეი პასუხობს:

შენ უკან ველარ გამოისყიდი
რაც ჩაიდინე. მოკალი ნიჭი.
ქალღმერთი ნივთად გადააქციე..
თუნდ ტყვეობიდან ტერფსიქორე დღესვე დაბრუნდეს
ქალღმერთი მაინც არასოდეს აღარ იქნება
მარმარილო კი უბრალო ქვად გადაიქცევა.

ლესია უკრაინკამ აქცენტი გააკეთა იმაზე, რომ მოქანდაკემ გაყიდა თავისი ხელოვნება, რომელიც მისი ხალხის საგანძურში უნდა დებულიყო, გაყიდა მისი მასულდგმულებელი შემოქმედებითი ცეცხლი, მისი გზნება. მოქანდაკემ თვითონ ჩააყენა თავისი თავი მკვდარი თიხის ადგილას და ამ თიხისგან რომაელებს შეუძლიათ ის გამოძერწონ, რაც მათ სურთ. შემოქმედიდან, ასკვნის ანთეი, შენ თვითონ გახდი შემოქმედება.

ჯობდა მაშინვე გაგვეთელა ჩვენი ნაღვაწი, ოღონდ მტრის ხელში არ ჩაგვეგდო სამშობლოს განძი.

ანთეი მზად არის ყველაფერი გაანადგუროს, ოღონდ მტრის ხელში არ აღმოჩნდეს ეროვნული კულტურის საგანძური მტრის ხელს ჩაბარდი, როგორც ერთი უსულო თიხა რომლისაგანაც გამოძერწენ ვისაც რა უნდა, ჩამოიფერთხე დიდოსტატის ღვთიური ნიჭი, ერთ დროს დიადი შემოქმედი ახლა ხარ ნივთი.

ანთეის მიაჩნია, რომ ფედონმა გამოუსწორებელი ცოდვა ჩაიდინა და ამით უღალატა თავის სამშობლოს, თავის ხალხს,

ხელოვნებას, უკვდავ პრომეთეს, ლაოკოონს და სხვებს, რომლებმაც ხალხის სამსახურს, თავის რწმენას, ხელოვნებას სიცოცხლე შესწირეს.

ახლა კი წადი შენს მეცენატთან,
გადაივიწყე დიდი ანდერძი,
მოჰკალ პრომეთეს უკვდავი სახე
და შეებრძოლე ღმერთებს შენ ერთი,
სულ აღარ გახსოვს ლაოკოონის
ტანჯვა და ცრემლი.

ორ შემოქმედს შორის გამართული მწვავე კამათი სცილდება ხელოვნების სფეროს და პოლიტიკურ დატვირთვას იძენს. ანთეისათვის ფედონი უკვე აღარ არსებობს როგორც თავისუფალი შემოქმედი, თავისი ქვეყნის, ხალხის სამსახურში მდგარი მოღვაწე. მას იგი მისი სამშობლოს მტრების ბანაკში გადაბარგებულ მოღალატედ მიიჩნევს.

ანთეის მეუღლე ნერისაც ერთგვარად მოქანდაკის პოზიციას უჭერს მხარს. იგი ფიქრობს, რომ ხელოვანები მეცენატის დახმარების გარეშე წარმატებას, სახელს ვერ მოიპოვებენ. ამიტომაცაა, რომ ნერისა ხილონისა და ფედონის მსგავსად პირს რომაელებისაკენ იზამს.

მეორე მოქმედება მთლიანად ეძღვნება ორგიის, რომაელების მიერ მოწყობილი თავაწყვეტილი ღრეობის აღწერას. მეცენატი, პროკურატორი და პრეფექტი, რომლებიც ოფიციალური რომის წარმომადგენლები არიან კორინთოში, ბერძნებსა და საბერძნეთს საერთოდ უპატივცემულოდ, აგდებულად მოიხსენიებენ. ამ სამეულის აზრი კი ოფიციალური რომის პოზიციის გამომხატველი იყო. ისინი ბერძნულ

კულტურას, ენასა და ლიტერატურას არაფრად მიიჩნევენ და ამბობენ, რომ არ არსებობს ბერძნული ენა, არის მხოლოდ „იონური დიალექტი“. აქედან გამომდინარე, თუ ენა არ არსებობს, არ შეიძლება არსებობდეს ბერძნული ლიტერატურა, ხელოვნება. პრეფექტი ამბობს, რომ ბერძნული პოეზია, ჩვენი პოეზიის გვერდით ვერ დადგებაო. იგი ანთეის და სხვათა გასაგონად, თავის კოლეგებთან, მეცენატთან და პროკურატორთან ერთად ცინიკურად მოიხსენიებს ბერძნულ სამყაროს, მის კულტურასა და ხელოვნებას.

ამ სცენაში ავტორმა დაგვიხატა რომაელი დამპყრობლების დამოკიდებულება საბერძნეთის, მაღალი ბერძნული კულტურის მიმართ.

მოქმედება უახლოვდება კულმინაციას. ორგიაზე მიწვეულია და ღრეობას ესწრება მუსიკოსი და მომღერალი ანთეი. იგი წავიდა რომალების მიერ გამართულ ზეიმზე, რათა თავისი გამოსვლით, პოეტისა და მომღერლის ხელოვნებით მიეპყრო მეცენატისა და ხელისუფლების სხვა რომაელი წარმომადგენლის ყურადღება, მოეპოვებია სახელი და აღიარება. ეს სახელი მას მხოლოდ ერთი მიზნისათვის სჭირდებოდა. მას სურდა დახმარებოდა თავის მეუღლეს ნერისას, ნერისას კი უნდოდა მისი მეუღლის აღიარება ე.წ. მაღალ სფეროში, წრეში გასვლა, რათა მისი მეშვეობით ნერისას გახსნოდა გზა დიდებისაკენ. ანთეის სურდა ხელი შეეწყო მეუღლისათვის და ამით აეცდინა იგი დაუფიქრებელი, ქარაფშუტული საქციელისაგან.

ღრეობაზე არიან პანეგირისტების ქოროში ხილონი და ფედონი. ზეიმზე შემოდის ნერისა. ეს მოულოდნელი აღმოჩნდა ანთეისათვის.

ღრეობაზე თავმოყრილია მთელი რომაული გუნდი. პრეფექტი გამოხატავს რომაელი მაღალი ფენების აზრს, თუ ვინ შეიძლება დიდების, თაყვანისცემის ღირსი იყოს და აცხადებს, რომ მხოლოდ რომაელი გენიოსები, რომის მიერ აღიარებული ღმერთები არიან სალოცავნი, ხოლო ის ღმერთები, რომლებიც არ დაემორჩილნენ რომს განდევნილ იქნენ ქვეყნიდან.

ანთეის, რომელიც ამ ღრეობაზე მიწვეულია იმისათვის, რომ დაუკრას და იმღეროს, სულაც არ სურს უმღეროს სხვა, რომის ღმერთებს. იგი სულით ხორცამდე თავისი ხალხის შვილია და მის ბედნიერებაზე ფიქრობს. ანთეი თავის სიმღერაში ბახუსის სადიდებელი დღსასაწაულის შესაბამისი უზნეო ტექსტის ნაცვლად თავის გულისტკივილს აქსოვს:

ჩამოჰკარ სიმებს! ჩამოჰკარ სიმებს!
ყოვლისმომცველო სინათლევ ჩემო.

ხმა მიეც მონებს დამუნჯებულებს !
აგვიჩუხჩუხე ძარღვებში სისხლი
გვიბოძე ძალა ღონემიხდილებს!

ნერისა თვითნებურად მიდის ორგიაზე. მას თავისი მიზანი და ჩანაფიქრი აქვს. მას უნდა როგორმე მიიპყროს რომაელი ხელისუფლების წარმომადგენლების ყურადღება. მას მართლაც მაშინვე შენიშნავენ მეცენატი, პრეფექტი და პროკურატორი, რადგან ნერისა მიმზიდველი, ლამაზი გოგონა იყო. ზეიმზე მისი მისვლით გაოგნებული ანთეი ნერისას სახლში წასვლას ურჩევს, მეცენატი კი მას არ უშვებს ზეიმიდან.

იწყება აღვირახსნილობისა და უზნეობის ზეიმი. იწყება ცეკვა მყვირალა და ხმაურიან მუსიკაზე. ნერისა ჩაერთვება ამ ცეკვაში და თავსაც გამოიჩენს. მისი ლამაზი, მოქნილი სხეული, გამომწვევი, ვნებიანი გამოხედვა და მიხრა-მოხრა იმთავითვე დაიპყრობს სამივე რომაელი დიდებულის ყურადღებას და რაც უფრო რიტმული და ჟინიანი ხდება ცეკვა, მით უფრო იზიდავს ნერისა თავისკენ დიდებულებს. გახურებული ცეკვის დროს ნერისა ცეკვის მაღალი ხელოვნებით დაჩრდილავს სხვა მოცეკვავეებს და ჩამოიცილებს მათ, თანდათან მოცეკვავეთა ცენტრში მოექცევა.

ნერისა ყველას მოხიბლავს თავისი ხელოვნებით. მაგრამ მეცენატს მარტო მისი ცეკვა როდი აინტერესებს, უფრო სწორად, მას მისი სხეული იზიდავს. დუჟმორეული, ვნებააღძრული მეცენატი და პროკურატორი ერთმანეთს ეცილებიან ნერისას ხელში ჩასაგდებად. ნერისა კი უმატებს და უმატებს ცეცხლს თავის ცეკვას, მომაჯადოებელი ღიმილით ბაგეგახსნილი ნელ-ნელა მიირწევა მათკენ. ანთეი ადგილს ვეღარ პოულობს. ნერისა კი თავის სტიქიაშია. იგი სულ ახლახან დაიხსნეს მონობიდან, მისცეს თავისუფალი ადამიანის ცხოვრების საშუალება. მაგრამ მძიმე და მტკიცე ყოფილა ის ბორკილები, მონობის ბორკილები, რომლებიც ნერისას სულ ერთი თვის წინ ჩამოხსნეს. ნერისა ჯერ კიდევ ვერ გამოსულა ძველი სტიქიიდან, როდესაც იგი, როგორც მონა ყოველნაირად ემსახურებოდა ბატონებს და უცხრობდა მათ ვნების ჟინს. ნერისასთვის ახლა აღარ არსებობს, ჩაიძირა მისი ახალი მდგომარეობა – ნიჭიერი მუსიკოსისა და ხელოვანის, თავისუფალი ვაჟკაცის, ანთეის ცოლობა.

ნერისამ დაკარგა რეალობის გრძნობა. აფექტებით გონებადაბინდულმა დაკარგა თავისი დღევანდელი მდგომარეო-

ბაც, დაკარგა თავისი ღირსება. მას დაავიწყდა, რომ იგი ახლა თავისუფალი ადამიანია თავისი ღირსების მქონე. ნერისა გადაეშვა ღრეობის მორევში.


ცეკვავს ნერისა და მის შემყურე რომაელ ბატონებს თავი ზღაპრულ სამყაროში ჰგონიათ, სადაც ფერია დაფრინავს ნერისას სახით, შესცქერიან მას, ტუჩებს ილოკავენ და ოცნებაში ხედავენ თავის მსხვერპლს მათ ფერხთით გართხმულს და დამორჩილებულს. ნერისა ხომ ყოფილი მონაა, ხოლო აღვირახსნილ ღრეობაზე მოყვანილი ყველა მონა-მოცეკვავე ბატონების ნება-სურვილის უსიტყვო შემსრულებელია. ამ თვალით უყურებენ ისინი ნერისასაც.

ცეკვავს ნერისა და ვნებისაღმძვრელი ღიმილით ნელ-ნელა მიცურავს ძვირფასი სამკაულით მისკენ ხელგამოწვდილი მეცენატისაკენ და ცალ მუხლზე დაჩოქილი მის ხელზე ამბორს ცდილობს. მეცენატი კი მას ყელზე ძვირფასთვლებიან ყელსაბამს დაჰკიდებს და ნერისას აალებულ ბაგეებს დააცხრება.

ყოველივე ამის შემყურეა ანთეი, თუმცა ავტორი არ ცდილობს, ამ დროს, ანთეის მდგომარეობის გადმოცემას, მაგრამ მაინც ნათელი უნდა იყოს, თუ რა ცეცხლი წვავს ანთეის გულს.

ამით არ მთავრდება ტრაგედიის კულმინაციური წერტილისაკენ სვლა. ნერისა მეცენატიდან პრეფექტისაკენ გადაინაცვლებს. პრეფექტი, – ნახევრადწამოწოლილი, ცინიკურად სთავაზობს ნერისას მოიკალათოს მის გვერდით.

ანთეი მღერის თავისი ხალხის ხვალინდელ დღეზე, მან იცის, რომ ხალხის სულში „გაქრება სიცივე და შიში“, რომ ხალხს უთუოდ დაუდგება ნათელი გაზაფხული. იგი თავს გასწირავს, მაგრამ არც სამშობლოს ღალატობს და არც თავის ხელოვნებას აყენებს დამპყრობლების სამსახურში.



„ქახანდრა“

ანთეი უკიდურესად შეურაცხყოფილია, იგი თავს ვეღარ იკავებს, ჩამოგლეჯს კანდელაბრზე ჩამოკიდებულ ლირას და მისი დარტყმით კლავს თავის მეუღლეს, შემდეგ მიუბრუნდება თავის ყოფილ მეგობრებს ხილონსა და ფედონს და ეუბნება: „...კარგ მაგალითს გაძლევთ“ და ლირის სიმით თავს იხრჩობს.

ასე შეეწირა ღალატს ნერისა და ასე გაწირა თავი თავისუფლებისათვის ანთეიმ.

ლესია უკრაინკამ დრამაში პრინციპულად დასვა თავისუფლების, სამშობლოსა და მის კულტურულ ფასეულობათა ერთგულების, ადამიანის ღირსების პრობლემა და ასევე კატეგორიულად უპასუხა, გადაჭრა იგი – თავისუფლების ალტერნატივა მხოლოდ სიკვდილია. ასეთია პოეტის ღრმა რწმენით ადამიანთა მიერ ზემოთ ჩამოთვლილ პრობლემათა ღალატის განაჩენი. ამიტომაც დაისაჯა ნერისა.

სამშობლოს ღალატის თემაზე მსოფლიო ლიტერატურაში და ხელოვნებაში არაერთი ნაწარმოებია შექმნილი. ქართულ, უკრაინულ, ფრანგულ თუ სხვა ლიტერატურებში სამშობლოს მოღალატე შვილისათვის თვით მშობლებს, შვილისათვის საკუთარი ხელით მოუსწრაფებიათ სიცოცხლე.

ლესია უკრაინკას დრამის „ორგია“-ს ქვეტექსტი ნათელია. ლესია უკრაინკამ რუსეთის იმპერიისა და მასში შემავალი უკრაინის ურთიერთობაზე, კავშირზე მიუთითა და მასზე დაყრდნობით, მის მაგალითზე ამხილა ველიკოდერჟავული შოვინიზმის გამოვლენა უკრაინელი ხალხისადმი, კულტურისადმი, ენისადმი.

დრამა „ორგია“ აშკარად იყო მიმართული ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკის, ველიკოდერჟავული შოვინიზმის წინააღმდეგ. იგი რენეგატების სასტიკი გაფრთხილება იყო.

დამპყრობელი კოლონიზატორების სამსახურში ხელოვნების ჩაყენება, მწერლის გაგებით, ღალატის ტოლფასი იყო.

ეს შესანიშნავი, თანამედროვე პრესის შეფასებით, დრამატული ნაწარმოები უკანასკნელი იყო, რომელიც პოეტის სიცოცხლეში გამოქვეყნდა.

ლესია უკრაინკამ სიმბოლურად გაავლო პარალელი ძველი საბერძნეთისა და ძველი უკრაინის, მათი ხალხების, კულტურათა იმდროინდელ მდგომარეობას შორის. პრობლემის უცხოურ სამყაროში გაშლა-განვითარების მეშვეობით ლესია უკრაინკამ მისი თანამედროვე უკრაინის, უკრაინელი ხალხის ყოფა-ცხოვრება, მისი ხელოვნებისა და ხელოვანების მდგომარეობა დაგვიხატა.

1913 წლის თებერვლისთვის ეგვიპტეში მყოფმა ლესია უკრაინკამ, ი. ფრანკოს იუბილესთან დაკავშირებით, მოამზადა „ტრიპტიქი". უკვე დაწერილ თავებს „რა მოგვცემს ძალას" და „ორფეის საოცრებას" მან დაუმატა საიუბილეო კრებულისათვის საგანგებოდ დაწერილი ლექსი-ზღაპარი „გოლიათზე". ამ ნაწარმოებში ლესია უკრაინკამ გამოთქვა რწმენა, რომ დადგება ჟამი ხალხთა გათავისუფლებისა, გოლიათი-ხალხი აღსდგება, დალეწავს მონობის ბორკილებს და ააშენებს ახალ სამყაროს, თავისუფალი, ბედნიერი ცხოვრება დაისადგურებს ამ ქვეყანაზე.

დრო მიდის... ყველა იღვიძებს,
სძინავს გოლიათს მხოლოდ,
სძინავს და სჯერა სუყველას,
ის გაიღვიძებს ბოლოს.
ის გაიღვიძებს... მზის დარად
მზის სასახლეში შევა

და დაიწყება ამ ქვეყნად
ყველა ბორკილის მსხვრევა.
*(თარგმნა მორის ფოცხიშვილმა)*

ნაწარმოების დამამთავრებელი სტრიქონები ავტორის სანუკვარი ოცნებებისა და ზღაპარში ჩაქსოვილი ალეგორიის გამომხატველია:

ო, საყვარელო სამშობლოვ,
შორს თუ მიმაფრენს გზები,
როდესაც შენ მახსენდები,
მე სულ ამ ზღაპარს ვყვები.

უაღრესად სიმბოლურია და მრავლისმეტყველი ლესია უკრაინკას უკანასკნელი პოეტური ჩანაფიქრი. საქართველოში სარეცელს მიჯაჭვულ მგოსანს ფიზიკურად აღარ შეეძლო შემოქმედებითი აზრის ქაღალდზე გადატანა, მაგრამ იგი მაინც არ სთმობდა ბრძოლის ველს და გაუნძრევლად მწოლიარე თავის დედას, ოლენა პჩილკას კარნახობდა მომავალი ნაწარმოების სქემას: ჭაბუკი და ქალიშვილი ცდილობენ მამისეული განძის – უძველესი პაპირუსების – ხელისუფალთაგან გადარჩენას. „ღამე თავდება, ცისკარი იწყება. ორივენი მუხლებზე დაიჩოქებენ, დაემხობიან მიწაზე, ევედრებიან ჰელიოსს – დაიცვას მათი განძი. იქნებ დადგეს უკეთესი დრო. იქნებ ვინმემ მოძებნოს ეს განძი და გაიგოს დიადი სიბრძნე. ჰელიოსო! იხსენი ჩვენი განძი! შენ და ოქროს უდაბნოს განდობთ მას“.

მგოსნის უკანასკნელი სიტყვები ამომავალი მზისკენ – ჰელიოსისკენ იყო მიმართული. გენიალური მიხაილო კოცი-

უბინსკის მსგავსად, რომელმაც სულ ნახევარი წლით ადრე, ლესია უკრაინკას გარდაცვალებამდე, სიცოცხლესთან გამოთხოვებისას გედის სიმღერა რომ მიუძღვნა მზის ამოსვლას, ბედნიერ მომავალს ასევე ლოგინად ჩავარდნილი ლესია უკრაინკაც თავის უკანასკნელ სიტყვას სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვებას უძღვნიდა, ბნელეთზე სიკეთის გამარჯვებას, სინათლის გამარჯვებას! იგი მზეს ესალმებოდა, ახალ, ბედნიერ მერმისს ეგებებოდა. უაღრესად სიმბოლური, ცხოვრებისეული იყო მგოსანი ქალის ჭიდილი სიცოცხლისათვის, ამიტომაცაა მზით განათებული, უკვდავი და ახლობელი კეთილი ნების მსოფლიოსათვის ლესია უკრაინკას პოეტური სიტყვა.

1913 წლის ივნისის ბოლოს პოეტის შერყეული ჯანმრთელობა სწრაფად უარესდებოდა. იგი უკვე მობრუნების იმედს აღარ სტოვებდა და ექიმებმა ურჩიეს მეუღლეს – ავადმყოფი სურამში გადაიყვანეთო. შეშფოთებული ოლენა პჩილკა 4 ივლისს ქუთაისში ჩამოვიდა. ლესიამ თითქოს ცოტათი ისევ მოიხედა. ამით ისარგებლეს მისმა ახლობლებმა და 1913 წლის 9 ივლისს იგი მატარებლით სურამში ჩაიყვანეს. სურამში ისინი გაჩერდნენ პაპავების სახლში, რომელიც ზინდისის გორაკზე იყო აგებული.

ლესია უკრაინკას თავს ადგნენ ოლენა პჩილკა, დები – ოლგა და დორა. ექიმ დ.ნ. პაშიკოვს ავადმყოფის მოვლაში ეხმარებოდა აგრეთვე იქაური მცხოვრები სოფიო ცუცქირიძე.

ლესია უკრაინკა გრძნობდა, რომ მისი დღეები დათვლილი იყო, მაგრამ გმირულად იტანდა ტანჯვას.

1913 წლის 19 ივლისს (1 აგვისტოს), გათენებისას ლესია უკრაინკას გულმა შეწყვიტა ბრძოლა სიცოცხლისათვის.



ლესია უკრაინკას უკანასკნელი ფოტო
კიევი 1913 წ.

# უკვდავება პოეტისა

სიმართლისა და თავისუფლებისათვის თავდადებული მებრძოლის გარდაცვალებამ დაამწუხრა ქართველი საზოგადოებრიობა. ქართული გაზეთები დაუყოვნებლივ გამოეხმაურა უკრაინელი მგოსნის გარდაცვალებას, მათ ფურცლებზე დაიბეჭდა წერილები, რომლებშიც ავტორები ქართველ მკითხველს ახსენებდნენ პოეტისა და საზოგადო მოღვაწის განვლილ გზას, ასევე მოკლედ, მაგრამ მაინც საკმაოდ ნათლად ესაუბრებოდნენ ლესია უკრაინკას შემოქმედების ხასიათსა და მნიშვნელობაზე.

„უკრაინულმა ლიტერატურამ უკანასკნელ ხანებში ბევრი თვალსაჩინო მუშაკი დაჰკარგა, – წერდა გაზეთი „სახალხო გაზეთი", – დიდი ხანი არ არის, – რაც გარდაიცვალა უნიჭიერესი თანამედროვე უკრაინელი ბელეტრისტი მ. კოციუბინსკი. ეხლა კიდევ მოსტაცა სიკვდილმა უკრაინას ერთი საუკეთესო შვილთაგანი, უკრაინაში ცნობილი მგოსანი ქალი ლესია უკრაინკა (უკრაინელი)";[123] გაზეთს მიაჩნია, რომ მგოსანი თავის ნაწარმოებებში გამოხატავდა თანამედროვე უკრაინელი პატრიოტი ინტელიგენტების ფიქრებსა და განწყობილებებს.

გაზეთი „თემი" მკითხველებს მოკლედ აცნობდა ლესია უკრაინკას ბიოგრაფიას, შემოქმედების ცალკეულ ეტაპებს, მგოსნის ნაწარმოებებს, მთარგმნელობით მოღვაწეობას თუ პუბლიცისტიკას და აღნიშნავდა, რომ „ლესია უკრაინკა იყო უნიჭიერესი და ხალხის უსაყვარლესი მწერალი".[124]

---

[123] „სახალხო გაზეთი", 1913 წლის 26 ივლისი.

[124] გაზ. „თემი", 1913 წელი, 29 ივლისი.

ქართულმა გაზეთებმა თავის ფურცლებზე გამოქვეყნებულ ნეკროლოგებში გამოხატეს პროგრესული ქართველი საზოგადოებრიობის გულისტკივილი, მწუხარება დიდი უკრაინელი მგოსნის დაკარგვის გამო.

ლესია უკრაინკას გარდაცვალებამ გული დასწყვიტა საქართველოს საზოგადოებრიობას. უკრაინამ ისურვა მშობლიური მიწისათვის მიებარებინა თავისი ტანჯული შვილის ნეშტი. პოეტის ცხედარი საქართველოდან კიევში გადაასვენეს და ბაიკოვოს სასაფლაოზე მიუჩინეს სამუდამო სამყოფელი. გასვენებაში მონაწილეობის მისაღებად ხალხი უშორესი კუთხეებიდან ჩავიდა მწუხარების გამოსახატავად. ზღვა ხალხმა წალეკა პოლიციელთა კორდონები და მძლავრ პოლიტიკურ დემონსტრაციად გადაიქცა. წითელმა ლენტებმა და რევოლუციურმა სიმღერებმა ერთ დიდ ბირთვად შეაკავშირა დემონსტრანტები.

უკრაინულ და ქართულ პრესაში გაისმა ხმა უკრაინელი მგოსნის ჭეშმარიტი დამფასებლებისა. უაღრესად ნიშანდობლივია თვით ფაქტი, რომ რეაქციის პერიოდში ქართულ გაზეთში გამოქვეყნდა ლესია უკრაინკას დასაფლავების დროს გამართული დემონსტრაციის ინფორმაცია. „ლესია უკრაინკა დიდი ამბით დაასაფლავეს, – წერდა ქუთაისის გაზეთი „იმერეთი“, – კიევის სადგურზე, სადაც უნდა მიესვენებინათ მისი გვამი, ბევრი ხალხი დახვდა, იყვნენ დელეგაციები გალიციიდან, ოდესიდან, ეკატერინოსლავიდან, ბაქოდან, ჩერნიგოვიდან, პოლტავიდან, უმანიდან და სხვა ქალაქებიდან. დასაფლავებას დაესწრო უკრაინის ბევრი გამოჩენილი საზოგადო

მოღვაწე. იყო 30 გვირგვინი. გვირგვინებს წითელი ლენტები წარწერებით პოლიციელებმა მოაცილეს.“[125]

მრავალი ზაფხული მიიწურა მას შემდეგ, რაც შეწყდა ლესია უკრაინკას გულის ფეთქვა. მაგრამ სიცოცხლე, რომელიც მან აჩუქა თავის ნაწარმოებებს, არ შემწყდარა. ჩვენი ხალხების დიად საქმიანობაში აირეკლა ის ნათელი ოცნებებიც, რომელთა განხორციელებისათვის ბრძოლას მიუძღვნა მგოსანმა თავისი უბადლო პოეტური ნიჭი თუ მოქალაქეობრივი ცხოვრება, თავისი მგზნებარე სიცოცხლე.

ლესია უკრაინკას შემოქმედება უკვდავია, როგორც თვით ხალხი. დიდმა მგოსანმა აიტაცა მისი წინამორბედების – ტარას შევჩენკოსა თუ ივან ფრანკოს პოეტური სიტყვა, თავისებურად დახვეწა, გაამდიდრა ახალი პოეტური ხერხებითა თუ იდეებით, მიუძღვნა იგი თავის მშრომელ ხალხს, ტყვეობიდან მათი განთავისუფლებისათვის ბრძოლას, გამოაწრთო ხალხის სიყვარულით ანთებულ გულში და გადაულოცა მომავალ თაობას.

ლესია უკრაინკას შემოქმედება ხალხთა ძმობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის, დესპოტიზმზე, კონსერვანტიზმზე ჰუმანური საწყისის გამარჯვების იდეებით არის გამსჭვალული და გამოხატავს მოწინავე საზოგადოებრიობის მისწრაფებებს. მის მაღალმხატვრულ შემოქმედებას ჭეშმარიტი პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი ახასიათებს. პოეტის ლიტერატურული მემკვიდრეობა უკრაინული ლიტერატურის დიდ გამარჯვებად ითვლება და მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო მხატვრულ ქმნილებებს განეკუთვნება.

---

[125] გაზ. „იმერეთი“, 1913, წლის 4 აგვისტო, №117.

მგოსნის პოეტური ტრადიციები აიტაცეს და განავითარეს უკრაინელმა პოეტებმა მაქსიმ რილსკიმ, პავლო ტიჩინამ, მიკოლა ბაჟანმა, ანდრიი მალიშკომ, პლატონ ვორონკომ და სხვებმა.

სახელოვანმა მწერლებმა მ. რილსკიმ, მ. ბაჟანმა, მ. ოლეინიკმა და სხვებმა საგანგებო ნაწარმოებები მიუძღვნეს ლესია უკრაინკას ცხოვრება-მოღვაწეობას. მგოსნის მრავალი ნაწარმოები ახმიანდა მუსიკალურ ენაზე. კომპოზიტორმა მ. ლისენკომ დაწერა ნაწარმოები „სამგლოვიარო მარშის" სიტყვებზე, კომპოზიტორმა ა. შტოგარენკომ შექმნა სუიტა – „ლესია უკრაინკას ხსოვნას". ლესია უკრაინკას მხატვრული ნაწარმოებების გმირები, გახდნენ მხატვრების შემოქმედებითი შთაგონების წყარო.

მრავალი საინტერესო გამოკვლევა თუ სტატია მიეძღვნა ლესია უკრაინკას ცხოვრება-შემოქმედების შესწავლას.

ხალხთა თვისუფლების მომღერალმა თავისი სიცოცხლის მნიშვნელოვანი მონაკვეთი ქართველ ხალხთან და მის მიწა--წყალზე გაატარა. საქართველო პოეტის მეორე სამშობლოდ იქცა.

ქართველი ხალხის ისტორიულ ბედში ბევრი რამ ენიშნა უკრაინელი ხალხის უანგარო შვილს და გამათავისუფლებელი ბრძოლის ქარცეცხლში ჩაბმული ქვეყნის შემართება თავისი ქვეყნისას შეუდარ-შეუწონა. უკრაინელი მგოსანი მოხიბლული იყო საქართველოთი და მისი ხალხით, ამიტომაც წერდა „პოეტები სრულიადაც არ სტყუიან, როდესაც უმღერიან მის სილამაზეს".[126]

---

[126] ლესია უკრაინკას წერილი მ. კრივნიუკს, 1912 წლის 3 მაისი, კიევის ლიტერატურის ინსტიტუტი, ფ. 2, №87.

მისი ნაყოფიერი შემოქმედებითი ცხოვრება აისახა გამოჩენილი ქართველი მწერლისა და მკვლევრის ლევან ასათიანის საყურადღებო ნაშრომებში, უკრაინელი სწავლულის ოლეგ ბაბიშკინის საფუძვლიან მეცნიერულ ნარკვევში და სხვა საინტერესო, შინაარსიან სტატიებსა და გამოკვლევებში. ლესია უკრაინკას დაბადებიდან 100 წლის თავზე საქართველოში გამოიცა ოთარ ბაქანიძის მონოგრაფია პოეტის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ, უნივერსიტეტის კინო-ტელე ლაბორატორიამ შექმნა მხატვრული ფილმი ლესია უკრაინკას ცხოვრების შესახებ და სხვ.

მსოფლიოს ხალხთა ენებზე ამეტყველდნენ უკრაინელი მგოსნის ნაწარმოების გმირები. ქართულ ენაზე 1949 წელს პირველად, ხოლო შემდეგ 1952 და 1971 წლებში გამოიცა ლესია უკრაინკას თხზულებათა ერთტომეულები. კლუბ „უკრაინის" წევრებმა, უნივერსიტეტის სტუდენტებმა და მათთან ერთად უკვე ცნობილმა პოეტებმა ქართულ ენაზე თარგმნეს ლესია უკრაინკას ნაწარმოებები, რომლებიც 1971 წელს უნივერსიტეტის გამომცემლობის მეშვეობით იხილა საზოგადოებრიობამ. უნივერსიტეტის გამომცემლობამ საქართველოში, და არა მარტო საქართველოში, პირველად განახორციელა მწერლის ლექსების ორენოვანი ქართულ-უკრაინული პარალელური ტექსტების გამოცემა. თსუ უკრაინისტიკის ინსტიტუტმა 2007 წელს გამოსცა ლესია უკრაინკას ლექსთა ორენოვანი კრებული „იმედი", სადაც უკრაინელი მწერლის ნაწარმოებებთან ერთად პირველად მოთავსდა საქართველოდან უკრაინაში გაგზავნილი მისი წერილები (ნ. ნასყიდაშვილისა და რ. ხვედელიძის თარგმანი). წიგნში ლექსებისა და წერილების ტექსტი წარმოდგენილია პარალელურად.

პოეტური სამყარო, მსოფლიო საზოგადოებრიობა არასოდეს ივიწყებს „პრომეთეს მემკვიდრეს", დიდ უკრაინელ მწერალსა და მოღვაწეს ლესია უკრაინკას. არაერთი ლიტერატურული საღამო თუ საზეიმო სხდომა, საქართველოში განხორციელებული ფაქტი თუ მოვლენა მიეძღვნა მგოსნის გახსენებას, მის უკვდავყოფას. ასეთი იყო, მაგალითად, სურამში ლესია უკრაინკას ძეგლის დადგმა.

1952 წლის ცხელ ზაფხულში, აგვისტოს თვეში, სურამში გაიხსნა უკრაინის დიდი შვილისა და მოქალაქის ლესია უკრაინკას ძეგლი.

საქართველოში აღიმართა უკრაინელი პოეტის ძეგლი, ხოლო უკრაინაში, მირგოროდში კი – დიდი ქართველის დავით გურამიშვილის ძეგლი, რომელიც ქართველი პოეტისადმი უკრაინელი ხალხის სიყვარულისა და პატივისცემის სიმბოლოდ იქცა. ეროვნული გულისტკივილის გამომხატველი ორივე მგოსანი საუკუნეთა გადაძახილში ჩვენი ხალხების ძმობისა და მეგობრობის განმასახიერებელნი იქნებიან. ლესია უკრაინკა და დავით გურამიშვილი უკრაინელი და ქართველი ხალხების ათასწლოვანი მეგობრობის ხიდის მტკიცე ბურჯებად იდგებიან.

სურამში ძეგლის გახსნასთან დაკავშირებით თბილისის უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ნიკო კეცხოველმა გამოხატა უნივერსიტეტისა და ხალხის ნება და განაცხადა – ლესია უკრაინკას ძეგლს ჩვენი უნივერსიტეტის გვირგვინი უნდა ამშვენებდესო! ლესია უკრაინკას პოეზიის იდეა და პათოსი გულისხმობდა თავისუფლებისაკენ სწრაფვას და ეს ზოგადი იდეა თავისუფლებისა გამოხატული იყო თბილისის უნივერსიტეტის არსებობაშიც. ამიტომაც, ნიკო კეცხო-

ველის აზრით, უნდა დამშვენებულიყო სურამში ლესია უკრაინკას ძეგლი უნივერსიტეტის გვირგვინით.

ეს საპატიო და ისტორიული მისია დაეკისრათ პროფესორებს – აკაკი შანიძეს, დიმიტრი მგელაძესა და სოლომონ ხუციშვილს.

იმ სახლთან, პაპავების სახლთან, რომელშიც ლესია უკრაინკას უცხოვრია და გაატარა სიცოცხლის ბოლო დღეები და რომლის ახლოსაც იდგა ძეგლი, ხალხმრავლობა იყო. საქართველოს ყველა კუთხიდან იყვნენ ჩასული დელეგაციები ასევე სტუმრებიც უკრაინიდან...

ძეგლს თეთრი საბურავი ჩამოხსნეს და გამოჩნდა თამარ აბაკელიას ნატიფი ხელოვნების შედეგი: ლესია უკრაინკას ამაყად აქვს აწეული თავი, როგორც ქვეყნისა და ხალხის წინაშე ვალმოხდილ პოეტსა და მოღვაწეს.

უნივერსიტეტს წილად ხვდა პირველს მიეტანა გვირგვინი კვარცხლბეკთან. ეს სიმბოლურიც იყო.

თბილისის უნივერსიტეტის სახელით მიტანილმა დაფნის გვირგვინმა პირველმა შეამკო ლესია უკრაინკას დიდებული ძეგლი. უნივერსიტეტმა ღირსეული პატივი მიაგო ლესია უკრაინკას ხსოვნას.

ლესია უკრაინკას სახელთან დაკავშირებით ეს და სხვა ასეთი მრავალი საინტერესო და მნიშვნელოვანი მოვლენა თუ ფაქტი მრავლად აღინიშნა საქართველოში. ქართველი ხალხი, საზოგადოება არასოდეს ივიწყებდა და ივიწყებს უკრაინელ მგოსანს, მის ღვაწლს და ყოველთვის გულწრფელად და ღირსეულად იხსენებს მას.

უაღრესად მნიშვნელოვანი იყო, ამ თვალსაზრისით, 1971 წელს გამართული დიდი პოეტის 100 წლის იუბილე.

1971 წელს დიდი ზეიმით აღინიშნა ლესია უკრაინკას დაბადებიდან 100 წელი.

ამ თარიღის აღსანიშნავად საქართველოში შეიქმნა საიუბილეო კომისია. 1970 წლის 11 სექტემბერს გაიმართა, ლესია უკრაინკას იუბილეს მომწყობი რესპუბლიკური კომისიის სხდომა. სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს მწერალთა კავშირის პირველმა მდივანმა გრიგოლ აბაშიძემ.

„ქართველი ხალხი, თქვა მან, განსაკუთრებული სიყვარულით და პატივისცემის გრძნობით ემზადება დიდი უკრაინელი მწერლის ლესია უკრაინკას იუბილეს აღსანიშნავად. უკვე დიდი ხანია ლესია უკრაინკას სახელი უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობის სიმბოლოდ იქცა. ჩვენს რესპუბლიკაში დიდი მოსამზადებელი მუშაობაა გაჩაღებული ამ ღირსშესანიშნავი თარიღის გამო".

გრიგოლ აბაშიძემ კომისიას და დამსწრეებს ზოგადად გააცნო საზეიმო ღონიძიებების ჩატარების გეგმა. მან აღნიშნა, რომ ზაქარია ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართება დიდი საიუბილეო საღამო, სურამში მოეწყობა საქართველოს მწერალთა კავშირის საზეიმო პლენუმი, რომელშიც მონაწილეობას მიღებენ უკრაინისა და რუსეთის მწერალთა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

გარდა ამისა, სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, სამრეწველო საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში მოეწყობა ლიტერატურული საღამოები.

სახელმწიფო გამომცემლობა „მერანი" გამოუშვებს მწერლის ნაწარმოებთა ერთტომეულს ქართულ ენაზე. წიგნში შე-

ვა ქართველი მწერლების მიერ თარგმნილი უკრაინელი მგოსნის საუკეთესო ნაწარმოებები.

ლესია უკრაინკას ცხოვრებას და შემოქმედებას ეძღვნება პროფესორ ოთარ ბაქანიძის მონოგრაფია. მეცნიერულ-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდია მოამზადებს დოკუმენტურ ფილმს პოეტზე. სახელმწიფო გამომცემლობა „ნაკადული“ გამოუშვებს უკრაინელი მწერლის მ. ოლეინიკის ბიოგრაფიულ მოთხრობას ლესია უკრაინკაზე. სხდომამ იმსჯელა დასმულ საკითხებზე და მიიღო გადაწყვეტილება გამოსცენ კრებული „ქართველი პოეტები – ლესია უკრაინკას“.

იქვე ითქვა, რომ საიუბილეო თარიღს ფართოდ აღნიშნავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კლუბი „უკრაინა“. მზადდება მოხსენებები ლესია უკრაინკას ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, თარგმანები პოეტის ნაწარმოებებისა, რომლებსაც წაიკითხავენ უნივერსიტეტში გამართულ დიდ საზეიმო სხდომაზე.

საიუბილეო კომისიის სხდომაზე გამოვიდნენ: საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნები: ბესარიონ ჟღენტი და იოსებ ნონეშვილი, საქართველოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე კარლო გარდაფხაძე, რესპუბლიკის გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორი შალვა ყარყარაშვილი, საქართველოს მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ ახვლედიანი, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი რევაზ მარგიანი, კლუბ „უკრაინას“ პრეზიდენტი პროფ, ოთარ ბაქანიძე, გამომცემლობა „მერანის“ დირექტორი მწერალი კარლო კალაძე, სა-

ქართველოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე შალვა სალარიძე, პროფ. შალვა რადიანი, ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი პროფ. ალექსანდრე ბარამიძე, ხაშურის რაიკომის მეორე მდივანი კ. მურჯიკნელი.

როგორც ვხედავთ, გეგმა ფართო და მრავალპლანიანი იყო. საქართველოში საიუბილეო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ სტუმრები. დიდი უკრაინელი პოეტის ხსოვნის აღსანიშნავად თბილისში 1971 წლის 6 მარტს ჩამოვიდა უკრაინის დელეგაცია. დელეგაციაში შედიოდნენ: საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის მდივანი, აკადემიკოსი ლეონიდ ნოვიჩენკო (დელეგაციის ხელმძღვანელი), ცნობილი უკრაინელი მწერლები – ლ. დმიტერკო, მ. ოლეინიკი, ო. ნოვიცკი, მხატვარი ა. ნიმენკო, კიევის საოპერო თეატრის სოლისტი, უკრაინის სახალხო არტისტი ტ. პონომარენკო, უკრაინის სსრ სახალხო არტისტი, კიევის ფილარმონიის სოლისტი დ. პეტრონენკო, უკრაინის დამსახურებული არტისტი ე. პირადოვი, ლესია უკრაინკას თანამემამულე ლუცკის კულტ. საგანმანათლებლო სასწავლებლის სტუდენტი ლ. ზაბიგაილო, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში მცხოვრები ემიგრანტ უკრაინელთა პროგრესული წრეების აქტიური მოღვაწე – ცნობილი მწერალი, ლესია უკრაინკას დისწული ო. კოსაჩი, საზოგადო მოღვაწე მ. განუსიაკი და ჟურნალისტი მ. სკრიპნიკი. აგრეთვე, კიევის დოკუმენტური ფილმების სტუდიის კინოოპერატორები.

თბილისის აეროპორტში უკრაინელ სტუმრებს დახვდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი გრ. აბაშიძე, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნები: ს. ჭილაია, ბ. ჟღენტი, ი. ნონეშვილი, მწერლები, რ. მარგიანი,

მ. მრევლიშვილი, ხ. ბერულავა, ა. შენგელია, ჯ. ჩარკვიანი, მ. ფოცხიშვილი, ნ. გურეშიძე, ნ. გოგიჩაიშვილი, ლ. სულაბერიძე, გ. ციციშვილი, კლუბ „უკრაინას“ პრეზიდენტი პროფ. ო. ბაქანიძე.

ჩამოსვლის დღესვე, უკრაინის დელეგაციის წევრებმა გვირგვინით შეამკეს დიდი შოთა რუსთაველის ძეგლი.

დელეგაციის წევრები ავიდნენ მთაწმინდაზე, სადაც განისვენებენ ქართული ლიტერატურის კლასიკოსები და ყვავილებით შეამკეს მათი საფლავები.

7 მარტს უკრაინელი სტუმრები გაემგზავრნენ საგარეჯოში. დაათვალიერეს საქართველოს სახალხო პოეტის გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმი, შეხვდნენ საგარეჯოელ მოსახლეობას, ესაუბრნენ ახალგაზრდობას.

8 მარტს ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა სურამში, სადაც თავისი ცხოვრების უკანასკნელი დღეები გაატარა დიდმა უკრაინელმა პოეტმა, დაკეცა თავისი არწივის ფრთები და მოიპოვა უკვდავება. უკრაინელთა დელეგაცია, მათი ხელმძღვანელის, საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის მდივნის, აკადემიკოს ლეონიდ ნოვიჩენკოს მეთაურობით ესტუმრა ლესია უკრაინკას ბიბლიოთეკა-მუზეუმს სურამში, მათთან ერთად იყვნენ ქართველი მწერლები და ქართული საზოგადოების წარმომადგენლები, კლუბ „უკრაინას“ წევრები.

უკრაინული დელეგაციის ხელმძღვანელმა ლეონიდ ნოვიჩენკომ საიუბილეო კომიტეტის სახელით ბიბლიოთეკა--მუზეუმის დირექტორს ლ. ჯანჯღავას გადასცა ლესია უკრაინკას დაბადებიდან 100 წლისთავისთვის ჩამოსხმული პოეტის საიუბილეო მედალი. უკრაინელმა მწერლებმა ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცეს წიგნები ლესია უკრაინკას შესა-

ხებ, ქართველი პოეტების ნაწარმოებების ანთოლოგია, რომელიც უკრაინულ ენაზე გამოიცა კიევში.

შუადღისას, ცნობილი ქართველი ხელოვანის თამარ აბაკელიას მიერ გამოქანდაკებულ ლესია უკრაინკას ძეგლთან თავი მოიყარეს ხაშურის რაიონის მშრომელებმა, საქართველოსა და უკრაინის მწერალთა კავშირების ხელმძღვანელებმა, ქართველმა და უკრაინლემა მწერლებმა, პარტიულმა და საზოგადოებრივმა მუშაკებმა. ისინი მივიდნენ იქ, რათა გამოეხატათ თავისი პატივისცემა და სიყვარული ადამიანისა და შემოქმედისადმი, რომელმაც თავისი სიცოცხლე მიუძღვნა თავისუფლებისათვის, ხალხთა ბედნიერებისათვის ბრძოლას.

ლესია უკრაინკას ხსოვნისადმი მიძღვნილი მიტინგი გახსნა ხაშურის რაიკომის პირველმა მდივანმა დ. ნოზაძემ. „ამ დღეებში, თქვა მან, ქართველი ხალხი საზეიმოდ აღნიშნავს თავისუფლების მგზნებარე მომღერლის ლესია უკრაინკას იუბილეს. საქართველო მრავალგზის იყო უკრაინელი და რუსი პოეტების, მწერლების შთაგონების წყარო, ბევრი მათგანისათვის მეორე სამშობლოდაც იქცა. მათ შორის იყო ჩვენი ლესია უკრაინკა, რომელმაც საქართველოში თავისი შესანიშნავი ნაწარმოებები შექმნა, რომლებიც მსოფლიო ლიტერატურის ფონდში შევიდა. დღეს ჭეშმარიტად საერთო სახალხო ზეიმია და ჩვენი დღევანდელი შეხვედრა – ჩვენი ხალხის ინტერნაციონალური განწყობის დასტურია".

საქართველოს მწერალთა კავშირის სახელით მიტინგზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი, სახალხო პოეტი იოსებ ნონეშვილი, რომელიც მიესალმა სურამელებს და თქვა, ლესია უკრაინკას ღრმად ეროვნუ-

ლი პოეზია დღეს ჟღერს, როგორც მსოფლიოს ხალხების ბედნიერებისათვის ბრძოლისაკენ მოწოდება.

ქართველმა მწერლებმა უკრაინელი პოეტის თაყვანისმცემლებს საჩუქრად ჩაუტანეს მათ მიერ თარგმნილი და გამოცემული ლესია უკრაინკას ლექსების კრებული. შემდეგ ი. ნონეშვილმა წაიკითხა ხალხთა მეგობრობისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი.

ლესია უკრაინკას რესპუბლიკური საიუბილეო კომიტეტის მდივანმა მ. ოლეინიკმა ქართველ ხალხს მთელი უკრაინელი ხალხის სახელით მადლობა მოახსენა. „თქვენმა ქვეყანამ, თქვა მან, მოისმინა უკრაინის დიდი შვილის უკანასკნელი ამოსუნთქვა. ჩვენი ხალხების შვილების მეგობრობამ ახალი მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ჩვენს მეგობრობას“.

პორფ. ა. ბარამიძემ ილაპარაკა ლესია უკრაინკას შემოქმედებაზე. საქრთველოში ლესია უკრაინკა მოწმე გახდა 1905 წლის მშფოთვარე დღეებისა, რომლებმაც კიდევ უფრო გააღვივეს მებრძოლი ინტონაციები და რევოლუციური ჟღერადობა მისი ნაწარმოებებისა. ლესია უკრაინკას ღრმად სწამდა, რომ დადგება დრო და ჩვენი ხალხები, მოიპოვებენ თავისუფლებას. დღეს ქართველი ხალხი დიდად აფასებს პოეტის ნიჭსა და მგზნებარე სიტყვას.

მღელვარე სიტყვა წარმოთქვა ამერიკის შეერთებული შტატების უკრაინული მოძრაობის საზოგადო მოღვაწემ მ. განუსიაკმა. გულახდილი და დიდი პატივისცემის გამომხატველი იყო მისი სიტყვა ქართველი ხალხისადმი, რომელიც ასე წმიდად ინახავს თავის გულებში ლესია უკრაინკას ხსოვნას. უვლის და პატრონობს იმ ადგილებს სადაც ლესია უკრაინკამ გაატარა თავისი ცხოვრების უკანასკნელი დღეები.

პოეტმა ა. გომიაშვილმა აღნიშნა, რომ ლესია უკრაინკა ამ ცხოვრებიდან წავიდა, როგრც ლეგენდა, მარად ცოცხალი და თანამედროვე. ეს ოდა ამ გორაკზე, ქართული მიწა მომავალ თაობას შეუნახავს ხსოვნას დიდი უკრაინელი პოეტისას და მოუყვება მას უკრაინელი მგოსნის ნათელი ცხოვრების შესახებ.

საზოგადოება თბილად შეხვდა უკრაინელ ხელოვანს ა. ნიმენკოს, რომელიც მირგოროდში დადგმული დავით გურამიშვილის ძეგლის ავტორია. „ჩვენ მეგობრობას, თქვა მან, ღრმა ფესვები აქვს. მეგობრობის ხის კენწეროზე ბრწყინავს სახელები – ლესია უკრაინკა და დავით გურამიშვილი. უღრმესი მადლობა ხალხს, რომელიც ამ მეგობრობას ფრთას ასხამს“

ჟურნალ „ცისკრის“ მთავარმა რედაქტორმა ჯანსულ ჩარკვიანმა წაიკითხა ლესია უკრაინკას ნაწარმოების ახალი თარგმანი.

რაიონის მოსწავლეთა სახელით გამოვიდა სურამის ლესია უკრაინკას სახელობის მესამე საშუალო სკოლის მოსწავლე ი. მაჭარაშვილი.

მიტინგის დასასრულს წუთიერმა დუმილმა მოიცვა დამსწრენი. ქართველი საზოგადოებრიობა ქუდმოხდილი მდუმარებდა ლესია უკრაინკას ძეგლის წინ და ისეთი გრძნობა იბადებოდა თითქოს, სწორედ ამ დროს, მირგოროდში დავით გურამიშვილის საფლავთან მისული უკრაინელები თავდახრილნი იდგნენ და ღრმა პატივისცემას გამოხატავდნენ დიდი ქართველის მიმართ.

მიტინგმა ასახა ჩვენი ხალხების ურღვევი მეგობრობა და უკრაინელი პოეტი ქალის ლესია უკრაინკასადმი ღრმა პატივისცემა.



სურამი. სახლი, სადაც ცხოვრობდა და გარდაიცვალა
ლესია უკრაინკა

9 მარტს საქართველოს კომპარტიის ცკ-ს პირველმა მდივანმა ვასილ მჟავანაძემ მიიღო უკრაინის დელეგაცია, რომელიც საქართველოში იმყოფებოდა ლესია უკრაინკას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად.

დარბაზობას ესწრებოდნენ სსრკ მწერალთა კავშირის მდივანი, უკრაინის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ლეონიდ ნოვიჩენკო (დელეგაციის ხელმძღვანელი), ჟურნალ „ვიტჩიზნას" მთავარი რედაქტორი, მწერალი ლ. დმიტერკო, ასევე ლესია უკრაინკას იუბილეს მომწყობი რესპუბლიკური კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი, მწერალი მ. ოლეინიკი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, მოქანდაკე ა. ნიმენკო, უკრაინის მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი თანამშრომელი ს. კოგნიაცკი, კანადის გაერთიანებულ უკრაინელთა საზოგადოების წარმომადგენელი, ჟურნალ „უკრაინიენ კანადიენის" რედაქტორი მ. სკრიპნიკი, ლესია უკრაინკას ძმისწული, ამერიკის შეერთებულ შტატებში უკრაინელთა პროგრესული მოძრაობის მოღვაწე, მწერალი ი.კოსაჩი, ამერიკელ უკრაინელთა ლიგის თავმჯდომარის მოადგილე, საზოგადო მოღვაწე მ. განუსიაკი.

სტუმრებთან ერთად დარბაზობაზე იყვნენ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი გ. აბაშიძე, მწერალთა კავშირის მდივნები ს. ჭილაია და ი. ნონეშვილი.

ვ. პ. მჟავანაძემ ილაპარაკა ქართველი და უკრაინელი ხალხების ისტორიულ მეგობრობაზე, რომელსაც ამშვენებენ ჩვენი ხალხების საუკეთესო შვილთა სახელები. ეს ურღვევი მეგობრობა, აღნიშნა მან, ხელს უწყობს ჩვენი ეროვნული კულტურე-

ბის ურთიერთგამდიდრებას. ვ. პ. მჟავანაძემ დელეგაციის წევრებს უსურვა შემდგომი შემოქმედებითი წარმატებები.

უკრაინის დელეგაციის წევრთა სახელით ლეონიდ ნოვიჩენკომ დიდი მადლობა გადაუხადა ქართველ ხალხს, რომელიც ასე წმიდად ინახავს გულში უკრაინელი ხალხის დიდი შვილის ხსოვნას და დიდი პატივით აღნიშნავს მის იუბილეს. მან მადლობა უძღვნა ქართველ ხალხს მისი გულითადობისათვის, ძმობისთვის.

ამით დასრულდა მიღება ვ. პ. მჟავანაძესთან.

საიუბილეო დღეებში გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩატარდა დიდი უკრაინელი პოეტის, ლესია უკრაინკას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა ინსტიტუტის კათედრის გამგემ, მწერალმა ოთარ ჩხეიძემ. ლესია უკრაინკას ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ისაუბრა კათედრის უფროსმა მასწავლებელმა, უკრაინისტმა შოთა ღოღობერიძემ და თამარ ჟორჟოლაძემ.

ლესია უკრაინკას ლექსების საკუთარი თარგმანები წაიკითხა პოეტმა ჯემალ ინჯიამ.

ახალგაზრდა მწერალმა ჟუჟუნა ვაშაგაშვილმა დამსწრეთ წარუდგინა თავისი ნამუშევარი – ლექსია უკრაინკას პორტრეტი.

თბილისში პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში შედგა სამეცნიერო საბჭოს სხდომა, რომელიც მიეძღვნა გამოჩენილი უკრაინელი პოეტის ლესია უკრაინკას დაბადების 100 წლისთავს.

ლესია უკრაინკას ცხოვრება და შემოქმედებითი მოღვაწეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოსთან, აღ-

ნიშნა სხდომის თავმჯდომარემ. ქართველი ხალხი სათუთად ინახავს მის ხსოვნას.

სხდომაზე მოხსენება ლესია უკრაინკას ცხოვრებასა და შემოქმედებაზე წაიკითხა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. ლოჩოშვილმა. ლესია უკრაინკას შემოქმედებით მოღვაწეობაზე საქართველოში ილაპარაკა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ი. ჩაჩიბაიამ.

საზეიმო სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ დოც. თ. მახარაძე და საქართველოში სტუმრად მყოფი ნეჟინის ნ. გოგოლის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორი ს. კორბაჩი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გაიმართა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭოსა და კლუბ „უკრაინას“ სხდომა მიძღვნილი ლესია უკრაინკას დაბადების 100 წლისთავისადმი.

სხდომის დაწყებამდე იუბილეზე ჩამოსულ უკრაინელ მწერალთა და ხელოვანთა დელეგაცია მიიღო უნივერსიტეტის რექტორმა აკად. ი. ვეკუამ.


სხდომაზე შესავალი სიტყვა წარმოთქვა აკად. ი. ვეკუამ. „ლესია უკრაინკა – თქვა მან, – ყოველმხრივ დიდი პიროვნებაა. იგი შეუპოვრად იბრძოდა სოციალური და ეროვნული ჩაგვრის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ. ხალხთა თავისუფლებისა და ბედნიერი მომავლისათვის. ნამდვილად შემთხვევითი არ იყო ლესია უკრაინკას გატაცება პრომეთეოსით, რომელიც კაცობრიობის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლის ნათელი სიმბოლოა. საკვირველია, ჭეშმარიტად, თუ რა ტიტანურ ძალასა და ენერგიას, გასაო-

ცარ სითამამესა და გაბედულებას ამჟღავნებს როგორც მხატვრული შემოქმედების სფეროში, ასევე საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე ლესია უკრაინკა, ეს ნაზი, უკურნებელი სენით შეპყრობილი ადამიანი" ილია ვეკუამ მოიტანა აკადემიკოს აგათანგელ კრიმსკის სიტყვები: „ლესიას გულწრფელად შეუყვარდა ქართველები, ამბობდა, რომ ისინი ძალიან გვგვანან ჩვენ, უკრაინელებს. ლესია მაშინ მეუბნებოდა, რომ ოდესმე შეიქმნება ხალხთა ფედერაცია, სადაც განსაკუთრებით მჭიდრო კავშირი გვექნება ქართველებთანო" ი. ვეკუამ აღნიშნა: „საბჭოთა ხალხების მეგობრობის ერთადერთი უტყუარი მაგალითია, თუ გნებავთ, დღევანდელი ჩვენი საიუბილეო სხდომა, რომელიც კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა ლესიასადმი საერთო – სახალხო სიყვარულისა"

დამსწრე საზოგადოებამ დიდი კმაყოფილებით შეიტყო, რომ საქართველოს მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსდა ლესია უკრაინკას სახელობის სტიპენდია.

ლესია უკრაინკა და საქართველო – ასეთი იყო საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნის ბესარიონ ჟღენტის გამოსვლის თემა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსებულ კლუბ „უკრაინის" პრეზიდენტმა პროფ. ოთარ ბაქანიძემ გააკეთა მოხსენება ლესია უკრაინკას ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. მან ილაპარაკა უკრაინელი პოეტის შემოქმედებით გზაზე. აღნიშნა, რომ მგოსნის სვლა იდეურ-მხატვრული სრულყოფისაკენ რთული და წინააღმდეგობრივი იყო. მისი გზა პოეზიის მწვერვალისაკენ საქართველოზე გადიოდა. სწორედ საქართველოში შექმნილმა მისმა მხატვრულმა შედევრებმა მას მსოფლიო ლიტერატურაში დაუმკვიდრეს ადგილი.



ლესია უკრაინკას ბიბლიოთეკა-მუზეუმი სურამში

პროფ. ო. ბაქანიძემ აღნიშნა, რომ კლუბმა „უკრაინამ“ მოამზადა და გამოსცა ლესია უკრაინკას ლექსების ქართული თარგმანები. რაც მნიშვნელოვანია, მისი ლექსების თარგმანების უმეტესობა შესრულებული იყო კლუბ „უკრაინის“ წევრების მიერ.

პროფ. გივი გაჩეჩილაძემ წაიკითხა მოხსენება „ლესია უკრაინკა ქართულ ენაზე“.

სტუმრებს მიესალმა საქართველოს კულტურის მინისტრი ოთარ თაქთაქიშვილი, რომელმაც აღნიშნა, რომ ქართველმა კომპოზიტორებმა შექმნეს საყურადღებო ნაწარმოებები ლესია უკრაინკას თემებისა და ლექსების მიხედვით. ასევე შთაგონებით ეკიდებიან ლესია უკრაინკას თემებს ქართული მუსიკის შემსრულებლები, მხატვრები, აღნიშნა მინისტრმა.

უკრაინელი პოეტის შემოქმედებაზე ისაუბრეს აგრეთვე პროფ. ალ. ბარამიძემ და კრიტიკოსმა გ. ასათიანმა. სტუმრებს უკრაინულ ენაზე მიესალმა პროფ. ლ. ხატიაშვილი, ხოლო სტუდენტმა მ. ნაცვლიშვილმა უკრაინულ ენაზე წაიკითხა ლესია უკრაინკას ლექსები.

შემდეგ გამოვიდნენ უკრაინელი პოეტები. საქართველოსადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხა ცნობილმა უკრაინელმა პოეტმა ვიტალი კოროტიჩმა. პოეტის ლექსების ახალი საკუთარი თარგმანები წაიკითხეს პოეტებმა გ. გორგაძემ და ჯ. ჩარკვიანმა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა მრავალათასიან კოლექტივს გულთბილი შეხვედრისათვის დიდი მადლობა გადაუხადეს ჟურნალ „ვიტჩიზნას“ მთავარმა რედაქტორმა ლეონიდ

დმიტერკომ და კანადის გაერთიანებულ უკრაინელთა საზოგადოების წარმომადგენელმა, ჟურნალ „უკრაინიენ კანადიენის“ რედაქტორმა მ. სკრიპნიკმა.

სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა და უკრაინის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ლეონიდ ნოვიჩენკომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გადასცა ლესია უკრაინკას საიუბილეო მედალი.

რექტორმა, აკად. ი. ვეკუამ უკრაინელ მწერალთა დელეგაციას გადასცა სამახსოვრო საჩუქრები, მათ შორის კლუბ „უკრაინას“ მიერ ქართულ და უკრაინულ ენებზე დაბეჭდილი ლესია უკრაინკას ლექსების კრებული – „სინათლე! სინათლე!“, აგრეთვე უნივერსიტეტის კინო-ტელე სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიაში შექმნილი ორნაწილიანი დოკუმენტური ფილმი „ლესია უკრაინკა“ (ავტორები თ. ქვარიანი, მ. კვაჭაძე).

საქართველოს მწერალთა კავშირის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კლუბ „უკრაინას“ გაერთიანებული სხდომა მაღალ დონეზე ჩატარდა.

დიდი პოეტი ქალის ლესია უკრაინკას დაბადებიდან 100 წლისთავისადმი საქართველოში მიძღვნილი ყველა ზეიმის დაგვირგვინება იყო საიუბილეო საღამო, რომელიც 9 მარტს გაიმართა ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

თეატრის დარბაზში შეიკრიბნენ საქართველოს დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, პოეტის ნიჭის თაყვანისმცემლები.

პრეზიდიუმში დაიკავეს ადგილები საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნებმა: გრ. აბაშიძემ, ს. ჭილაიამ, ბ. ჟღენტმა, ი. ნონეშვილმა, უკრაინის დელეგაციამ, მისი ხელმძღვანელის

ლ. ნოვიჩენკოს მეთაურობით, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებმა, პარტიულმა და საბჭოთა მუშაკებმა.

ქართველი ერი, თქვა საღამოს გახსნისას პოეტის იუბილეს მომწყობი რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარემ გრ. აბაშიძემ, – „განსაკუთრებული სიყვარულით იგონებს უკრაინული ლიტერატურის კლასიკოსს. დღეს ჩვენ შევიკრიბეთ ქართველი და უკრაინელი ხალხების ძმობის დღესასწაულზე, ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ხალხთა ურღვევი მეგობრობის დღესასწაულზე“.

ლესია უკრაინკას შემოქმედებითი გზის თაობაზე მოხსენება გააკეთა ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქტორმა, მწერალმა მ. ბარათაშვილმა.

უკრაინის დელეგაციისა და მთელი ხალხის სახელით დელეგაციის ხელმძღვანელმა ლეონიდ ნოვიჩენკომ დიდი მადლობა გადაუხადა ქართველ ერს, მოძმე ერს ლესია უკრაინკასადმი გულწრფელი სიყვარულისათვის.

საზოგადოება გულთბილად შეხვდა ლესია უკრაინკას ძმისწულს მწერალ ი. კოსაჩის გამოსვლას, რომელმაც ასევე გულთბილი მადლობა გადაუხადა ქართველ ხალხს.

საიუბილეო საღამოზე ლესია უკრაინკას თანამემამულეთა სახელით ილაპარაკა ლუცკელმა სტუდენტმა ლ. ზაბიგაილომ.

უკრაინელმა სტუმრებმა სხდომის პრეზიდიუმს გადასცეს დიდი საიუბილეო მედალი, რომელიც ლესია უკრაინკას 100 წლისთავის აღსანიშნავად იყო დამზადებული.


ასევე გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს კიევისა და თბილისის სცენის ოსტატებმა. კონცერტზე პირველი შესრულდა კომპოზიტორ შ. მილორავას სიმღერა ლესია უკრაინკაზე პოეტ მორის ფოცხიშვილის ლექსებზე.

ლესია უკრაინკას საიუბილეო საღამო გადაიქცა ხალხთა მეგობრობის ნამდვილ დღესასწაულად.

საიუბიულეო საღამოს ესწრებოდნენ საქართველოს პარტიისა და მთავრობის ხელმძღანელები, ვასილ მჟავანაძის მეთაურობით.

საზეიმო დღეებში საქართველოს პრესაში გამოქვეყნდა სტატიები ლესია უკრაინკას ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, უკრაინელი პოეტის ნაწარმოებების თარგმანები ქართულ ენაზე. მათი რიცხვი საკმაოდ დიდია. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ გიორგი ჯიბლაძის („უკრაინის დიდება“), გრიგოლ აბაშიძის („თავისუფლების მომღერალი“), რევაზ ხვედელიძის („ლესია უკრაინკა და საქართველო“), ნაზი კილასონიას („დიდებული ლესია“), გივი გვენეტაძის („საქართველო შთაგონების წყარო“), გივი გაჩეჩილაძის („ლესია ქართულად მეტყველებს“), ნადეჟდა შალუტაშვილის („მარად ცოცხალი და ახლობელი“), ოთარ ბაქანიძის („პოეტის უკვდავება“) და სხვათა უაღრესად საინტერესო, არასაიუბილეო სტილში შესრულებული სტატიები.

ქართულ გაზეთებში უხვად დაიბეჭდა როგორც უკვე ცნობილი, ისე დამწყები ქართველი პოეტების მიერ თარგმნილი ლესია უკრაინკას ლექსები. ასე აახმიანეს ქართულ ენაზე ლესია უკრაინკა გრიგოლ აბაშიძემ, ჯანსუღ ჩარკვიანმა, ტარიელ ჭანტურიამ, იოსებ ნონეშვილმა, ნია აბესაძემ, ამირან ასანიძემ, ალეკო შენგელიამ, თეიმურაზ ჯანგულაშვილმა, აკაკი გელოვანმა, მურმან ლებანიძემ, შოთა ნიშნიანიძემ, ვასო გორგაძემ, ოთარ ჭელიძემ, ჯემალ ინჯიამ, თამაზ ჭილაძემ, ლადო სულაბერიძემ, რაულ ჩილაჩავამ და სხვებმა და სხვებმა.



ლესია უკრაინკას ძეგლი სურამში
მოქანდაკე თ. აბაკელია

უკრაინელ მგოსანს ლექსები მიუძღვნეს შალვა ამისულაშვილმა, აკაკი გეწაძემ, ვახტანგ გორგაძემ და სხვებმა, მოთხრობა დაწერა ნინო აბაშიძემ.

საქართველოს მთელი პრესა ლესია უკრაინკათი იყო ახმიანებული.

რამდენიმე სიტყვა უკრაინაზე.

უკრაინაში ჭეშმარიტად სახალხო დღესასწაულად გადაიქცა ლესია უკრაინკას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე. საიუბილეო ზეიმმა რამდენიმე დღეს გასტანა. ამ ხნის განმავლობაში კიევსა და სხვა ქალაქებში მოეწყო პოეტი ქალისადმი მიძღვნილი მრავალი ღონისძიება – სამხატვრო გამოფენები, სამეცნიერო სესიები, საზეიმო სხდომები და მრავალი სხვა ღირსშესანიშნავი ღონისძიება.

ზეიმის აპოთეოზი გახდა დიდი საიუბილეო საღამო, რომელიც გაიმართა კიევში ტარას შევჩენკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

პრეზიდიუმში გამოჩნდნენ საიუბილეო ზეიმზე ჩასული მრავალრიცხოვანი დელეგაციები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებიდან, დემოკრატიული ქვეყნებიდან, უცხოეთის პროგრესული წრეების წარმომადგენლები, მათ შორის საქართველოს მწერალთა კავშირიდან იყო გიორგი ციციშვილი, ოთარ ბაქანიძე, მაყვალა მრევლიშვილი.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა რესპუბლიკური საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ, უკრაინის მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ ოლეს გონჩარმა.

საიუბილეო საღამოზე საქართველოს მწერალთა კავშირის სახელით სიტყვა წარმოთქვა გიორგი ციციშვილმა (ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიას“ მთავარი რედაქტორი).

მეორე დღეს სტუმრები და უკრაინელი მწერლები გაემგზავრნენ ლესია უკრაინკას მშობლიურ ვოლინში. მიტინგი გაიმართა ქალაქ ნოვოგრად-ვოლინსკში. სტუმრებმა დაათვალიერეს ლესია უკრაინკას სახლ-მუზეუმი, ლუცკის პედაგოგიური ინსტიტუტი და მწერლის მშობლიური სოფელი – კოლოდიაჟნე.

კოლოდიაჟნეში, კულტურის სახლში გაიმართა ზეიმი. დარბაზი ხალხს ვერ იტევდა. ზეიმზე სიტყვები წარმოთქვეს უკრაინის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ა. ტრონკომ, უკრაინის მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ ო. გონჩარმა, ლესია უკრაინკას ძმისწულმა ი. კოსაჩმა, საქართველოს, დემოკრატიული ქვეყნებისა და უცხოეთის რამდენიმე წარმომადგენელმა.

ზეიმმა ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით ჩაიარა. გამორჩეული დამოკიდებულება შეინიშნებოდა ქართული დელეგაციის მიმართ, იმ ქვეყნის წარმოგზავნილების მიმართ, რომელმაც დიდი პოეტი ქალი ღირსებით შემოსა.

ასე გაიხსენა ხალხმა „პრომეთეს მემკვიდრე" ლესია უკრაინკა მისი დაბადების დღეს.

ლესია უკრაინკას ღვაწლს ხალხი არასოდეს ივიწყებდა და ივიწყებს. უკრაინასა თუ საქართველოში ყოველ ჟამს ახსოვთ და იხსენებენ დიდი მგოსნის მოღვაწეობას იქნება ეს პოეტის ნაწარმოებების გამოცემა, ორენოვანი კრებულები თუ ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციები, რომლებიც პერიოდულად იმართებოდა ორივე ქვეყანაში და საზოგადოებას ახალ-ახალ ინფორმაციებს, შეფასებებს აწვდიდა უკრაინელი მწერლის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. ყოველივე ეს მეტყველებდა იმ ინტერესზე, რომელიც გააჩნდათ

მკვლევრებსა და მათთან ერთად ფართო საზოგადოებრიობას დიდი უკრაინელი შემოქმედის მიმართ.

ერთი ასეთი საინტერესო და ფართომასშტაბიანი ღონისძიება ჩატარდა 2013 წლის ივლის-აგვისტოში საქართველოში. 2013 წლის 1 აგვისტოს შესრულდა უკრაინელი პოეტის და დრამატურგის ლესია უკრაინკას გარდაცვალებიდან 100 წელი. სიცოცხლის ბოლო ათი წელი (1903-1913) დიდმა პოეტმა ძირითადად საქართველოში გაატარა. საქართველოში შექმნა მან მსოფლიო მნიშვნელობის ლიტერატურული ნაწარმოებები.

უკრაინისტიკის ინსტიტუტმა განიზრახა ამ თარიღის აღსანიშნავად რამდენიმე საინტერესო ნაბიჯი გადაედგა: გამოეცა მონოგრაფია ლესია უკრაინკას ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, ჩაეტარებია საჯარო სხდომები და სამეცნიერო კონფერენცია.

სამეცნიერო კონფერენცია, გადაიზარდა საერთაშორისო კონფერენციაში. უკრაინელმა ლიტერატურათმცოდნეებმა და ლინგვისტებმა, დიდმა სამეცნიერო ცენტრებმა, უნივერსიტეტებმა გამოთქვეს სურვილი – მონაწილეობა მიეღოთ კონფერენციასა და იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებებში.

შედეგად ამისა, საქართველოში დაიგეგმა საერთაშორისო კონფერენცია, რომლის ორგანიზატორები იყვნენ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უკრაინისტიკის ინსტიტუტი და ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის ნაციონალური უნივერსიტეტი.

უკრაინელი სტუმრები საქართველოში ჩამოფრინდნენ 31 აგვისტოს. ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროდრომზე დაეშვა ვერცხლისფერი ლაინერი, რომელმაც უკრაინის მეცნიერთა დელეგაცია ჩამოიყ-

ვანა. უკრაინის ხუთმა (კიევის, ყირიმის, ვოლინის, ჟიტომირის, რივნოს) უნივერსიტეტმა ითავა, მთელი უკრაინის სახელით, საქართველოში დიდი მგოსნის, ლესია უკრაინკას ხსოვნის აღნიშვნა ქართველ კოლეგებთან, მეგობრებთან ერთად.

ქართველი მასპინძლების სურვილი იყო, რომ საქართველოში უკრაინიდან ჩამოსულ დელეგაციას დაეთავლერებია, მათ შორის ქუთაისში, ლესია უკრაინკას ცხოვრება-მოღვაწეობასთან დაკავშირებული ადგილები, კუთხეები და მასთან ერთად გაცნობოდა ქართული კულტურის ძეგლებს, ხელოვნებას, კიდევ ერთხელ გადაევლო თვალი ისტორიისათვის, შეხვედროდა ადგილობრივ მცხოვრებლებს, ხალხს, რათა უფრო ნათლად წარმოესახა ის გარემო, ის ვითარება, რამაც ნაყოფიერი ნიადაგი შეუქმნა უკრაინელ პოეტს შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის.

დელეგაციამ იმავე დღეს მოინახულა ბაგრატის ტაძარი და გელათის მონასტერი. სტუმრებზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა როგორც ბაგრატის ტაძარმა, ასევე გელათის მონასტერმა, უძველესმა აკადემიურმა ცენტრმა, ქართული განმანათლებლობის უძველესმა და ძლიერმა კერამ. სტუმრები მუდმივად ადარებდნენ ერთმანეთს ქართულ და უკრაინულ კულტურას და ქართული ხელოვნების, კულტურის მათთვის აქამდე უცნობი ასპექტები უკრაინელი სტუმრებისთვის სასიამოვნო მოულოდნელობა იყო.

საქართველოს ერთ-ერთ უძველეს ქალაქში მიღებული შთაბეჭდილებები დააგვირგვინა ქართულმა სტუმართმოყვარეობამ. უკრაინელები მიიწვიეს ცნობილი საზოგადო მოღვაწეების ჯულაყიძეების ოჯახმა, პროფ. ემზარ ჯულაყიძემ, მისმა მეუღლემ ქალბატონმა ზეინაბმა, მათმა ვაჟიშ-

ვილმა პროფ. შალვა ჯულაყიძემ. მათ, სტუმრების თქმით, დაუვიწყარი შეხვედრა მოუწყვეს ქართულ ოჯახში, ქართული, ნამდვილი ქუთაისური მასპინძლობა გაუწიეს უკრაინელებს. შემდეგ დელეგაციამ განაგრძო ქალაქის იმ ადგილების დათვალიერება, სადაც მოუხდა ცხოვრება უკრაინელ პოეტს. საღამოს სტუმრები გაემგზავრნენ სურამში, რათა 1 აგვისტოს იქ შეგებებოდნენ.

უკრაინულმა დელეგაციამ დაათვალიერა სურამი, მოინახულა თამარ აბაკელიას მიერ გამოქანდაკებული ლესია უკრაინკას ძეგლი. სტუმრების ჩამოსვლის მიზანი იყო მათი ცნობილი პოეტის, ლესია უკრაინკას გარდაცვალებიდან ერთი საუკუნის აღნიშვნა იმ ქვეყანაში, სადაც აღესრულა იგი. შესაბამისად, ლესია უკრაინკასთან დაკავშირებულ გარემოსა და ფაქტებს მათთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. გარდა იმისა, რომ ეს ადამიანები პოეტის თანამემამულეები იყვნენ, ისინი, უპირველესად, მისი შემოქმედების დაუღალავი მკვლევარ-მეცნიერებიც იყვნენ.

სტუმრები მთვარიან ღამეს ავიდნენ სურამის ტყეში, რათა იქ, სადაც უყვარდა ლესია უკრაინკას დიდხანს განმარტოება და თავის ფიქრებში ჩაძირული გასცქეროდა ხეთა კენწეროებში მოციმციმე სხივებს, წარმოესახათ და შეეგრძნოთ დიდი მგოსანი. მართლაც, 1 აგვისტოს, განთიადისას, უკრაინელი სტუმრები სურამულ ალიონზე შეხვდნენ ლესია უკრაინკას გარდაცვალებიდან ერთ საუკუნეს. შეიძლება ზოგმა ისიც იფიქროს, რომ ეს ყველაფერი სენტიმენტალური იყო თუ ამას იმასაც დავუმატებთ, რომ უკრაინელმა სტუმრებმა სურამიდან სამახსოვროდ პატარა ქვებიც წაიღეს, რათა თავის უნივერსიტეტში სტუდენტებისათვის პირველივე ლექციაზე ეჩვენებინათ და ასე დაეწყოთ ახალი სასწავლო

წლის პირველი ლექცია, – მათ მეტი საფუძველი ექნებოდათ ასე ეფიქრათ.

ასეა თუ ისე, უკრაინელი სტუმრების ამგვარ მოქმედებას ჰქონდა საფუძველი და პოეტური ბუნების ადამიანისათვის, შემოქმედისათვის აქ მოულოდნელი და გასაკვირი არაფერი უნდა იყოს. 1 აგვისტოს, დილით, თბილისელი მასპინძლები, უკრაინისტიკის ინსტიტუტის თანამშრომლები და უკრაინელი სტუმრები ლესია უკრაინკას ძეგლთან შეიკრიბნენ, უკრაინელი მგოსნის ძეგლი გვირგვინებით და უკრაინიდან ჩამოტანილი პატარა დროშებით შეამკეს.

ლესია უკრაინკას ძეგლთან საზეიმო სხდომა გაიმართა. სიტყვებით გამოვიდნენ და ლესია უკრაინკას ღვაწლი გაიხსენეს უკრაინისტიკის ინსტიტუტის თანამშრომლებმა, მასპინძლებმა და სტუმრებმა, წაიკითხეს ლესია უკრაინკას ლექსები. შემდეგ გადაინაცვლეს სახლ-მუზეუმში.

სახლ-მუზეუმის დირექტორმა ქალბატონმა ლია სადრაძემ და თანამშრომლებმა დელეგაციის წევრებს გააცნეს მუზეუმის ფონდები, იქ დაცული ექსპონატები. უკრაინიდან ჩამოსულმა სტუმრებმა მუზეუმს საჩურქები გადასცეს (უკრაინული ხელსახოცი, წიგნები და სხვადასხვა უკრაინული სუვენირები).

მუზეუმის დათვალიერების შემდეგ, ქალბატონ ლია სადრაძის თანხლებით, დელეგაციამ მოინახულა სურამის ციხე და ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. სურამის ციხის შესახებ არსებულმა ლეგენდამ, ქართველი მწერლის, დანიელ ჭონქაძის ნაწარმოების „სურამის ციხის“ გახსენებამ (კედელში ცოცხლად ჩატანებული ზურაბის შესახებ) მასში ასახულმა ტრაგედიამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა უკ-

რაინელებზე: განსაკუთრებით თაკარა მზის გულზე სურამის ციხის კედლის სისველემ განაცვიფრა უკრაინელები.

სურამიდან წამოსული დელეგაცია გორში შეჩერდა. მოინახულა ი. სტალინის სახლ-მუზეუმი. გორიდან თბილისისკენ გამომგზავრებულმა დელეგაციამ საუკუნეთა საოცრება, მცხეთის ჯვრის ტაძარი დაათვალიერა. მასპინძლებმა მოუთხრეს მათ ამ ტაძრის ისტორია და, ზოგადად, მცხეთის სულიერი და კულტურული დანიშნულება საქართველოს ისტორიაში.

საღამოს სტუმრები დაბინავდნენ თბილისში.

2 აგვისტოს უკრაინელთა დელეგაცია ესტუმრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უკრაინისტიკის ინსტიტუტს, სადაც დანიშნული იყო ლესია უკრაინკას გარდაცვალებიან 100 წლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია.

კონფერენცია გახსნა უკრაინისტიკის ინსტიტუტის დირექტორმა პროფ. ოთარ ბაქანიძემ. თავის შესავალ სიტყვაში მან ისაუბრა ქართულ-უკრაინული კულტურული და ისტორიული ურთიერთობებისა და ჩვენს ხალხებს შორის დღევანდელ მდგომარეობაზე.

კონფერენციის მონაწილეებმა წაიკითხეს თავისი მოხსენებები. გაიმართა დისკუსია სხვადასხვა პრობლემებზე.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ და მოხსენებები წარადგინეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა პროფ. დარეჯან თვალთვაძემ, უკრაინისტიკის ინსტიტუტის დირექტორმა პროფ. ოთარ ბაქანიძემ. კონფერენციაზე მოხსენებები წარმოადგინეს უკრაინისტიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებმა: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ნინო ნასყიდაშ-

ვილმა, ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებმა ივანე მჭედელაძემ და დოქტორანტმა სოფიო ჩხატარაშვილმა.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს და მოხსენებები წარმოადგინეს ხალხთა ლიტერატურისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა ცნობილმა მკვლევრებმა პროფ. ნანა გაფრინდაშვილმა, პროფ. მაია მირესაშვილმა, პროფ. ეკატერინე ნავროზაშვილმა, პროფ. ნინო წერეთელმა, ფილოლოგიის დოქტორმა რუსუდან ჭანტურიშვილმა.

საერთაშორისო კონფერენციაში ჩართული იყვნენ ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის ნაციონალური უნივერსიტეტი, ყირიმის ჰუმანიტარული, ვოლინის ნაციონალური, ჟიტომირისა და რივნოს სახელმწიფო უნივერსიტეტები. ცნობილმა პროფერსორებმა და ლესია უკრაინკას მკვლევრებმა: ლ. გრიციკმა (კიევის უნივერსიტეტი), ს. კოჩერგამ, ო. ვისიჩმა. ლ. სტაროდუბცევამ (ყირიმის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი), ნ. კოლოშუკმა, მ. მოკლიციამ (ვოლინის ნაციონალური უნივერსიტეტი), ლ. ლევჩენკომ (ჟიტომირის სახელმწიფო უნივერსიტეტი), რ. ტხორუკმა (რივნოს სახელმწიფო უნივერსიტეტი) კონფერენციაზე წარმოადგინეს მოხსენებები.

კონფერენციის დაწყების წინ მომხსენებლებსა და დამსწრე საზოგადოებას დაურიგდათ სტამბური წესით დაბეჭდილი და წიგნად შეკრული მოხსენებათა თეზისები, ხოლო თვით მოხსენებები გადაეცა უკრაინისტიკის ინსტიტუტს შრომების კრებულის სახით ცალკე წიგნად გამოსაცემად.

სამეცნიერო კონფერენციამ და საჯარო სხდომებმა დიდი ინტერესი გამოიწვიეს სამეცნერო წრეებსა და ფართო საზოგადოებაში.

საიუბილეო თარიღისათვის ინსტიტუტმა შეასრულა თავისი ჩანაფიქრი. პროფ. ო. ბაქანიძემ მოამზადა მონოგრაფია

დიდ პოეტზე, ლესია უკრაინკას ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, საჯარო სხდომები დაიგეგმა და ჩატარდა უკრაინისტიკის ინსტიტუტის თანამშრომლების – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ნინო ნასყიდაშვილის, ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკების ივანე მჭედელაძისა და სოფიო ჩხატარაშვილის ხელმძღვანელობით.

კონფერენციის შემდეგ სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი და მისი ბაღი. სტუმრები გაეცნენ უნივერსიტეტის პანთეონის ისტორიას და ქართველი მეცნერების კორიფეების საფლავები მოინახულეს, რამაც წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა სტუმრებზე. უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინელი პროფესორები აღტაცებულნი დარჩნენ თსუ პირველი კორპუსის არქიტექტურით, მისი შიდა სივრცით და ერთხმად განაცხადეს, რომ ასეთი დიდი სივრცე, საოცარი გარემო ნამდვილად არ არის უკრაინის უმთავრეს უნივერსიტეტში, ტარას შევჩენკო სახელობის კიევის ნაციონალური უნივერსიტეტის მთავარ კორპუსში.

ამ ყველაფრის შემდეგ, მასპინძლებმა სტუმრებს დაათვალიერებინეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი, ფუნიკულიორზე ავიდნენ და იქედან გადმოხედეს დედაქალაქს, რომელიც ზევიდან კიდევ უფრო მომხიბვლელი აღმოჩნდა დამთვალიერებლებისთვის. მოიარეს ძველი თბილისი, დაათვალიერეს საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ოქროს ფონდი და იქ დაცული უნიკალური ნივთები, ქრისტიანული ხანის ოქროს შედევრები-ბედიის ბარძიმი, ხახულის კარედი, ანჩისხატის ხელთუქმნელი ხატი, თამარ მეფის საოცრად დახვეწილი ოქროს ჯვარი, უნიკალური ქართული ტიხრული მინანქარი და ასევე წინარექრისტიანული ხანის ოქროს სამკა-

ულები და ნივთები, ეს იყო გვირგვინი იმ დიდი სიამოვნებისა, რაც ექსკურსიების შედეგად მიიღეს დიდი პოეტის თანამემამულეებმა. სიონის და სამების საკათედრო ტაძრების მონახულებამ არნახული ემოცია გამოიწვია სტუმრებში, ისინი გაოცდნენ როგორც ძველი ქართული ტაძრების, ისე ახალი სამების, XXI საუკუნის ქართული არქიტექტურით.

რასაკვირველია, ეს ფაქტი კულტურის, ხელოვნებისა და ტურიზმის პროპაგანდის შემცველიცაა, რადგან სტუმრები თბილისიდანვე ეხმიანებოდნენ ნაცნობ-მეგობრებს და უყვებოდნენ ზღაპრულ ქალაქსა და ადამიანებზე, მათ უნიკალურ კულტურაზე.

ასეთივე პროპაგანდა იყო უკრაინული ხელოვნებისა და კულტურისა, როდესაც თბილისის უნივერსიტეტიდან კიევის უნივერსიტეტში სტაჟირებაზე გაგზავნილმა სტუდენტთა ჯგუფმა, კიევის ღირსშესანიშნაობების დათვალიერების შედეგად მიღებული დიდი შთაბეჭდილება მთელ საზოგადოებას ამცნო და ახლა უკვე უკრაინისტიკის ინსტიტუტის მიერ მიმდინარეობს უკრაინული კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების უწყვეტი კვლევა და პროპაგანდა. როგორც ვხედავთ, კულტურულმა კავშირებმა შეუქცევადი სახე მიიღო და დღითი დღე უფრო და უფრო იხვეწება. კულტურულ კონტაქტებს ხომ სახელმწიფოთა ურთიერთობაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა საუკუნეების წინათ და უკავია ახლაც.

3 აგვისტოს სტუმრებმა და მასპინძლებმა მოინახულეს გიორგი ჩიტაიას სახელობის ქართული ხალხური ყოფისა და რეწვის მუზეუმი. უკრაინელებმა უფრო ახლოს გაიცნეს ქართული ეთნოგრაფიული კულტურის სხვადასხვა სახეობა – აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ყოფის ელემენტები.



ლესია უკრაინკა
Леся Українка

ლესია უკრაინკას ძეგლი თელავში

კვირას, დილის შვიდ საათზე, უკრაინული დელეგაცია კვლავ ქუთაისს გაემგზავრა, ახლა უკვე საკუთარ სამშობლოში დასაბრუნებლად.

მთელი ამ ხნის განმავლობაში უკრაინისტიკის ინსტიტუტის თანამშრომელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ნინო ნასყიდაშვილი, მეცნიერ-მუშაკები – დოქტორანტი სოფიო ჩხატარაშვილი და ივანე მჭედელაძე უკრაინელ სტუმრებს მეგზურობას უწევდნენ. ამ ახალგაზრდებმა გაუწიეს ორგანიზება საქართველოში უკრაინული დელეგაციის მიღებას, შეხვედრებს, ექსკურსიებს.

უკრაინელ სტუმრებს უკრაინისტიკის ინსტიტუტის წარმომადგენლებთან ერთად ახლდა პროფ. შალვა ჯულაყიძე. მან მათთან ერთად სტუმრებს მოატარა ის ადგილები თბილისში, ქუთაისში, სურამში, სადაც ლესია უკრაინკა ცხოვრობდა და მოღვაწეობდა.

2013 წლის 4 აგვისტოს ხუთი უნივერსიტეტის წარმომადგენლებისგან შემდგარი სრულიად უკრაინის დელეგაცია გაფრინდა სამშობლოში. მათ თან წაიღეს მითიური აღმოსავლეთისა და ევროპული კულტურის ნაზავი, მომნუსხველი ქართული სურნელი და აქ საფუძველჩაყრილი მეგობრობისა და ურთიერთთანამშრომლობის სურვილი.

ასე გასრულდა ლესია უკრაინკას გახსენებასთან დაკავშირებით საქართველოში უკრაინელი თანამოძმეების სტუმრობა.

უკრაინასა და საქართველოში სხვადასხვა დროს ბევრი რამ გაკეთდა ლესია უკრაინკას უკვდავსაყოფად. მისი სახელი ეწოდა თეატრებს, სკოლებს, ბიბლიოთეკებს, ქუჩებს. გა-

იხსნა მგოსნის მემორიალური მუზეუმები, აღიმართა მისი ძეგლები.

თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ლესია უკრაინკას სახელი მიენიჭა. სურამში გაიხსნა მისი სახელობის ბიბლიოთეკა და მუდმივი გამოფენა, აღიმართა თამარ აბაკელიას მიერ შესრულებული ლესია უკრაინკას დიდებული ძეგლი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაწესდა მგოსნის სახელობის სტიპენდია და სხვ.

ადამიანებმა დააფასეს უკრაინელი მგოსნის სწრაფვა სინათლისაკენ, მისი ბრძოლა ხალხთა ბედნიერებისათვის, მომავალი ნათელი, მზიანი დღისათვის.

საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა ლესია უკრაინკა, მაგრამ მის მიერ აჟღერებული ლირა დღესაც ხმიანებს და ადამიანების სულს წვდება და ათრთოლებს.

ერთ დროს თელავში ყოფნისას გაელვებული ოცნება პოეტისა – დავბრუნდებიო ამქვეყნად – ლეგენდად აღსრულდა.

ჭეშმარიტად, ლესია უკრაინკა ცოცხლობს ადამიანთა გულებში, თიხაში, ბრინჯაოში, ქვაში გამოკვეთილ-განსახიერებული, ფერწერულ ტილოებზე დატანილი თუ სხვაგვარად. რაც მთავარია, ლეგენდად დაბრუნებული ცოცხლობს მისი ლექსების სტრიქონებში, მის სიტყვაში.

პრომეთეს მემკვიდრემ ხალხს უძღვნა თავისი სიცოცხლე და სწორედ ხალხის გულებში, მის ოცნებაში ცოცხლობს იგი და როგორც ხალხია მარადიული და უკვდავი, ასევე უკვდავია მისი მომღერალი პოეტი – ლესია უკრაინკა.

# ოთარ ბაქანიძის მონოგრაფიები

1. ოთარ ბაქანიძე, ლევ ტოლსტოი, გამ. „ცოდნა“, 1960
2. ოთარ ბაქანიძე, გლებ უსპენსკი, გამ. „ცოდნა“, 1962
3. ოთარ ბაქანიძე, რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, გამ. „საბჭოთა საქართველო“, 1962
4. ოთარ ბაქანიძე, რუსული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თსუ გამ., 1962 (თანაავტორი)
5. ოთარ ბაქანიძე, ალექსანდრე სერაფიმოვიჩი, თსუ გამ., 1963
6. ოთარ ბაქანიძე, რუსული ლიტერატურის ისტორია, ტ. III, თსუ გამ., 1963 (თანაავტორი)
7. ოთარ ბაქანიძე, ნარკვევები უკრაინული ლიტერატურიდან, თსუ გამ., 1965
8. ოთარ ბაქანიძე, უკრაინული თეატრი თბილისში, თსუ გამ., 1967
9. ოთარ ბაქანიძე, ნარკვევები ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობიდან, გამ. „მერანი“, 1969
10. ოთარ ბაქანიძე, ლესია უკრაინკა, გამ. „მეცნიერება“, 1971
11. ოთარ ბაქანიძე, გრიგორი სკოვოროდა, გამ. „მერანი“, 1972
12. ოთარ ბაქანიძე, მიკოლა ბაჟანი, გამ. „საბჭოთა საქართველო“, 1974
13 ოთარ ბაქანიძე, ხალხთა მეგობრობის მომღერალი. მაქსიმ რილსკი, გამ. „ნაკადული“, 1975

14. ოთარ ბაქანიძე, ლევ ტოლსტოი საქართველოში, თსუ გამ., 1978
15. ოთარ ბაქანიძე, მიკოლა ბაჟანი, გამ. „ცოდნა“, 1979
16. ოთარ ბაქანიძე, ქართულ-უკრაინული ლიტერატურული და თეატრალური ურთიერთობანი, გამ. „განათლება“, 1982
17. ოთარ ბაქანიძე, ქართულ-უკრაინული ლიტერატურული და თეატრალური ურთიერთობანი, გამ. „დნიპრო“, 1984
18. ოთარ ბაქანიძე, ნარკვევები უკრაინული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. I, თსუ გამ., 1985
19. ოთარ ბაქანიძე, მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურა. დამხმარე სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლების ფილოლოგიის სპეციალობის სტუდენტებისათვის. მოსკოვი, გამ. „ვისშაია შკოლა“, 1986 (თანაავტორი),
20. ოთარ ბაქანიძე, ივან ფრანკო, თსუ გამ., 1986
21. ოთარ ბაქანიძე, ილია ჭავჭავაძე და უკრაინა, გამ. „ცოდნა“, 1987
22. ოთარ ბაქანიძე, ოლეს გონჩარი, გამ. „საბჭოთა საქართველო“, 1988
23. ოთარ ბაქანიძე, ტარას შევჩენკო, გამ. „საბჭოთა საქართველო“, 1989
24. ოთარ ბაქანიძე, მეგობრობის გზით, გამ. „მერანი“, 1989 (რუსულ ენაზე)
25. ოთარ ბაქანიძე, უკრაინული ლიტერატურა, ტ. II, თსუ გამ., 1997
26. ოთარ ბაქანიძე, უკრაინული კულტურის პირველი დეკადა საქართველოში, თსუ გამ., 2000
27. ოთარ ბაქანიძე, მზიური დეკადა, თსუ გამ., 2000
28. ოთარ ბაქანიძე, ხსოვნა გულისა, თსუ გამ., 2000

29. თარგმანის ლექსიკონი, თსუ გამომცემლობა, 2001 (თანაავტორი)
30. ოთარ ბაქანიძე, ოქროს ქნარებით, თსუ გამ., 2003
31. ოთარ ბაქანიძე, უკრაინული ლიტერატურა, ტ. III, თსუ გამ., 2004
32. ოთარ ბაქანიძე, კიევის უნივერსიტეტი ქართველი ახალგაზრდების განათლების კერა, თსუ გამ., 2004
33. ოთარ ბაქანიძე, ლალი ნემსაძე, ეროვნულ ლიტერატურათა, ლიტერატურულ ურთიერთობათა და თარგმანის კათედრა, თსუ გამ., 2005
34. ოთარ ბაქანიძე, სილამაზისა და პოეზიის მხარე (საქართველო ოლეს გონჩარის ცხოვრებასა და შემოქმედებაში), თსუ გამ., 2008
35. ოთარ ბაქანიძე, მეგობრობის მატიანის ფურცლები (ქართული ლიტერატურის დეკადა უკრაინაში), გამ. „უნივერსალი", 2009
36. ოთარ ბაქანიძე, სიბრძნის ტაძარი. კიევის უნივერსიტეტი – ქართველი სტუდენტების მოძღვარი, თსუ გამ., 2009
37. ოთარ ბაქანიძე, უკრაინული დრამატურგიის კორიფეები, თსუ გამ., 2010
38. ოთარ ბაქანიძე, პრომეთეს მემკვიდრე, თსუ გამ., 2013

## МОНОГРАФІЇ ОТАРА БАКАНІДЗЕ

1. Отар Баканідзе. Лев Толстой у Грузії. Вид. «Цодна», 1960
2. Отар Баканідзе. Гліб Успенський. Вид. «Цодна», 1962
3. Отар Баканідзе. З історії грузинських литературних взаємин. Вид. «Сабчота Сакартвело», 1962
4. Отар Баканідзе. Історія російської літератури, т. II. Вид. ТДУ, 1962 (співавтор)
5. Отар Баканідзе. Олександр Серафимович. Вид. ТДУ, 1963
6. Отар Баканідзе. Історія російської літератури, т. III. Вид. ТДУ, 1963 (співавтор)
7. Отар Баканідзе. Нариси з української литератури. Вид. ТДУ, 1965
8. Отар Баканідзе. Український театр у Тбілісі. Вид. ТДУ, 1967
9. Отар Баканідзе. Нариси з грузинсько-українських літературних зв'язків. Вид. «Мерані», 1969
10. Отар Баканідзе. Леся Українка. Вид. «Мецніереба», 1971
11. Отар Баканідзе. Григорій Сковорода. Вид. «Мерані», 1972
12. Отар Баканідзе. Микола Бажан. Вид. «Сабчота Сакартвело», 1974
13. Отар Баканідзе. Співець дружби народів. Максим Рильский. Вид. «Накадулі», 1975
14. Отар Баканідзе. Лев Толстой. Вид. ТДУ, 1978
15. Отар Баканідзе. Микола Бажан. Вид. «Цодна», 1979
16. Отар Баканідзе. Грузинсько-українські літературно-мистецькі взаємини. Вид. «Ганатлеба», 1982

17. Отар Баканідзе. Грузинсько-українські літературно-мистецькі взаємини. Вид. «Дніпро». К., 1984
18. Отар Баканідзе. Нариси історії української літератури, т. І. Вид. ТДУ, 1985
19. Отар Баканідзе. Іван Франко. Вид. ТДУ, 1986
20. Отар Баканідзе Багатонаціональна література. Вид. «Висша школа». М., 1986 (соавтор)
21. Отар Баканідзе. Ілля Чавчавадзе і Україна. Вид. «Цодна», 1987
22. Отар Баканідзе. Олесь Гончар. Вид. «Сабчота Сакартвело», 1988
23. Отар Баканідзе. Тарас Шевченко. Вид. «Сабчота Сакартвело», 1989
24. Отар Баканідзе. Шляхами дружби. Вид. «Мерані», 1989
25. Отар Баканідзе. Українська література, т. ІІ. Вид. ТДУ, 1997
26. Отар Баканідзе. Перша Декада української культури в Грузії. Вид. ТДУ, 2000
27. Отар Баканідзе. Сонячна Декада. Вид. ТДУ, 2000
28. Отар Баканідзе. Пам'ять серця. Вид. ТДУ, 2000
29. Перекладацький словник. Вид. ТДУ, 2001
30. Отар Баканідзе. Арфами золотими. Вид. ТДУ, 2003
31. Отар Баканідзе. Українська література, т. ІІІ. Вид. ТДУ, 2004
32. Отар Баканідзе. Київський університет – осередок освіти грузинської молоді. Вид. ТДУ, 2004
33. Отар Баканидзе, Лалі Немсадзе. Кафедра національних літератур, літературних взаємозв'яків і перекладу. Вид. ТДУ, 2005
34. Отар Баканідзе. Край краси й поезії. (Грузія в житті й творчості Олеся Гончара). Вид. ТДУ, 2008

35. Отар Баканідзе. Сторінки літопису дружби (Декада грузинської літератури в Україні). Вид. «Універсал», 2009
36. Отар Баканідзе. Собор мудрості. Київський університет – просвітитель грузинських студентів. Вид. ТДУ, 2009
37. Отар Баканідзе. Корифеї української драматургії. Вид. ТДУ, 2010
38. Отар Баканідзе. Нащадок Прометея, Вид. ТДУ, 2013

## კლუბ „უკრაინის“, ეროვნულ ლიტერატურათა, ლიტერატურულ ურთიერთობათა და თარგმანის კათედრისა და უკრაინისტიკის ინსტიტუტის მიერ გამოცემული ორენოვანი კრებულები

1. ლესია უკრაინკა, სინათლე! სინათლე!, თბ., 1971.
2. გრიგორი სკოვოროდა, კვალი კეთილი, თბ., 1972.
3. მიკოლა ბაჟანი, მზის შადრევნები, თბ., 1974.
4. პავლო ტიჩინა, ერთიანი ოჯახის გრძნობა, თბ., 1979.
5. მაქსიმ რილსკი, მოახლოება გაზაფხულისა, თბ., 1980.
6. პავლო ტიჩინა, საქართველოს, თბ., 1981.
7. ივან ფრანკო, ქვისმტეხელნი, თბ., 1981.
8. ხე იმედისა, თბ., 1981.
9. გალაკტიონ ტაბიძე, მთაწმინდის მთვარე, თბ., 1982.
10. თერგის საჩუქარი, თბ., 1983.
11. ბედნიერი დღე, თბ., 1983.
12. ტარას შევჩენკო, კავკასი, თბ., 1989.
13. გამარჯობა უკრაინავ!, უკრაინელი პოეტების ლექსები (თარგმნა ნია აბესაძემ), თბ., 1989.
14. ღვთის წყალობა, დავით გურამიშვილისა და ლესია უკრაინკას ლექსები, თბ., 1996.
15. გმადლობ, სიყვარულო!, თბ., 1998.
16. ადამ მიცკევიჩი, კურთხევა, (საქართველოს პოლონელთა კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირ „პოლონიასთან“ ერთად), თბ., 1998.
17. იულიუშ სლოვაცკი, ჩემი ანდერძი, (საქართველოს პოლონელთა კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირ „პოლონიასთან“ ერთად), თბ., 1999.

18. ალექსანდრე პუშკინი, მე თქვენ მიყვარდით..., (რუსული ლიტერატურის კათედრასთან ერთად), თბ., 1999.
19. მიკოლა ბაჟანი, წყარო, თბ., 2004.
20. ფრანგულ-ქართული ანთოლოგია, თბ., 2004.
21. დავით გურამიშვილი, პოეზია, თბ., 2005.
22. VOCO AMICOS (სლავური პოეზია), თბ., 2006.
23. ტარას შევჩენკო, მთების იქით მთები..., თბ., 2007.
24. ლესია უკრაინკა, იმედი, თბ., 2007.
25. ილია ჭავჭავაძე, მამულო საყვარელო, თბ., 2007.
26. პეტრო კონონენკო, საქართველო, თბ., 2009.
27. ვაჟა-ფშაველა, არწივი, თბ., 2011.
28. ანდრიი მალიშკო, სიმღერა სულისა, თბ. 2012

**Двомовні збірки видані кафедрою національних літератур, літературних взаємозв'язків та перекладу, клубу «Україна» та інститута українознавства**

1. Леся Українка. Світла, світла. Тб., 1971.
2. Григорій Сковорода. Щасливий слід. Тб., 1972.
3. Микола Бажан. Зливи сонця. Тб., 1974.
4. Павло Тичина. Чуття єдиної родини. Тб., 1979.
5. Максим Рильский. Ознаки весни. Тб., 1980.
6. Павло Тичина. Грузії. Тб., 1981.
7. Іван Франко. Каменярі. Тб., 1981.
8. Дерево надії (збірка литовської поезії XVIII-XIX ст.). Тб., 1981.
9. Дари Терека (збірка російської і грузинської поезії). Тб., 1983.
10. Щасливий день (збірка білоруської поезії). Тб., 1983.
11. Галактіон Табідзе. Місяць Мтацмінди. Тб., 1984.
12. Добридень тобі, Україно (вірші українських поетів). Тб., 1989.
13. Тарас Шевченко. Кавказ. Тб., 1989.
14. Божа благодать (вірші Давида Гурамішвілі та Лесі Українки). Тб., 1996.
15. Дякую, Любов! (збірка італянської поезії XIV-VI в.). Тб., 1998.
16. Адам Мицкевич. Благословення. Тб., 1998.
17. Олександр Пушкін. Я вас кохав. Тб., 1999.
18. Юлюсь Словацький. Вірши. Тб., 2000.

19. Микола Бажан. Джерело. Тб., 2004.
20. Французько-грузинська антологія. Тб., 2004.
21. Давид Гурамішвілі. Вірши. Тб., 2005.
22. VOCO AMICOS. Тб., 2006.
23. Тарас Шевченко. За горами гори.... Тб., 2007.
24. Леся Українка. Надія. Тб., 2007.
25. Ілля Чавчавадзе. Вітчизно кохана. Тб., 2007.
26. Петро Кононенко. Сакартвело. Тб., 2009.
27. Важа-Пшавела. Орел. Тб., 2011.
28. Андрій Малишко. Пісня Душі. Тб.,2012

# ОТАР БАКАНІДЗЕ

Доктор філологічних наук, професор, завідувач кафедри національних літератур, літературних взаімозв'язків і перекладу Тбіліського державного університету (1976–2005), керівник Науково-дослідного центру славістики (1997–2006), директор інституту російськоі мови, слов'янознавства і міжкультурноі комунікації (2005–2006), директор інституту україністики (з 2007), академік, президент Академіі літературознавства Грузіі, заслужений діяч науки Грузії, президент клубу «Україна», президент асоціації «Грузія – Україна», заслужений діяч культури України, лауреат державноі премії ім. Павла Тичини, почесний доктор Київського національного університету ім. Тараса Шевченка, кавалер грузинського ордену «Честі» і чотирьох українських орденів.

Автор 38 монографій, серед них: «З історії російсько-грузинських літературних взаімозв'язків», «Лев Толстой», «Гліб Успенський», «Нариси українськоі літератури», «Український театр в Тбілісі», «Тарас Шевченко», «Іван Франко», «Григорій Сковорода», «Арфами золотими», «Максим Рильський», «Микола Бажан», «Олесь Гончар», «Грузинсько-українські літературні і театральні взаімозв'язки», «Українська література» тт. I, II, III, та ін. Монографії О. Баканідзе відрізняються глибоким знанням матеріалу, широкою ерудицією, в них враховані нові досягнення філологічноі науки. Дослідження обгрунтовані архівними матеріалами, епістолярною спадщиною.

О. Баканідзе — викладач, редактор і автор вступних статей 28 двомовних збірок творів українських, російських, польських,

білоруських, литовських письменників; засновник серійної збірки «НАУКОВІ ПРАЦІ», які друкуються в ТДУ разом із Петербурзьким державним університетом (видано 13 томів).

Окремо потрібно відзначити праці О. Баканідзе, присвячені російсько-грузинським літературним взаєминам. Серед них виділяються монографічні дослідження, присвячені взаєминам з грузинською громадськістю Гліба Успенського, Льва Толстого, Антона Чехова. У роботах досконально вивчені аспекти взаємин російських письменників з Грузією.

Українська література і грузинсько-українські літературні і театральні взаімозв'язки і одним з найважливіших напрямів у науковій діяльності О. Баканідзе. З його іменем пов'язаний початок різнобічного, систематичного вивчення в Грузії української літератури. Він вніс значний вклад у розвитку даної галузі науки.

Книги проф. О. Баканідзе знайомлять грузинського читача з багатовіковою українською літературою.

Особливу увагу звертає на себе «Українська література» в трьох томах. За своїю масштабністю це перша спроба досліджень української літератури в Грузії та й не лише в Грузії.

Фундаментальне дослідження «Нарис з української літератури» має велике значення для вивчення української літератури. Книга була відмічена літературною премією імені Павла Тичини. У ній осмислена творчість класиків української літератури. Переваги монографії полягають і в тому, що при розгляді творів окремого письменника або драматурга, автор виділяі питання теорії літератури і мистецтва.

Переконливо можна сказати, що в даних роботах вперше дається цілісне переосмислення історичного процесу зближення

двох народів і культур. Автор збагачує розповідь чудовими фактами співпраці двох народів. Ці монографії стали настільними книгами для тих, хто займається проблемами міжнаціональних культурних взаємин.

У співавторстві з О. Баканідзе були опубліковані перші посібники для ВНЗ – «Багатонаціональна література», «Література народів СССР» (російською мовою), «історія російської літератури» в трьох томах (грузинською мовою). Книги О. Баканідзе видані в Росії, Україні та інших країнах.

Під керівництвом О. Баканідзе здійснюється обмін студентами між Тбіліським і зарубіжними університетами. Серед них – університети України, Росії, Білорусії, Литви, Латвії, Естонії. Метою обміну і підготовка як місцевих кадрів, що здобули освіту за кордоном, так і підготовка іноземних фахівців, які знають грузинську мову, літературу, культуру.

Із 1985 року О. Баканідзе був заступником голови Ради президії вищої філологічної методологічної Ради Міністерства освіти СРСР, головою секції рідної мови та літератури.

Упродовж років О. Баканідзе був головою дисертаційної ради філологічного факультету ТДУ.

О. Баканідзе – член Спілки письменників і Спілки журналістів Грузії, протягом років був головою Ради засідачіів Верховного суду Грузії.

В праці вивчений і досліджений процес організації і проведення Декади грузинської літератури в Україні. Проаналізовано великий фактичний матеріал про цю історичну подію та про величезне значення Декади в житті українського та грузинського народів.

# შინაარსი

წინათქმა ..... 5
*** 7
ბავშვობა 12
სიმღერების ფრთებზე ..... 32
ფიქრები და ოცნებანი ..... 60
გამოძახილი ..... 91
საქართველოსკენ ..... 112
თბილისის პერიოდი ..... 131
თელავის პერიოდი ..... 211
ქუთაისის პერიოდი ..... 242
უკვდავება პოეტისა ..... 307

| | |
|---|---|
| რედაქტორი | მარინე გიორგობიანი |
| გარეკანის დიზაინი | თინათინ ჩირინაშვილი |
| კომპ. უზრუნველყოფა | ეკატერინე თეთრაშვილი |

| | |
|---|---|
| Editor | Marine Giorgobiani |
| Cover Designer | Tinatin Chirinashvili |
| Compositor | Ekaterine Tetrashvili |

0179 თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 1
1 Ilia Tchavtchavadze Avenue, Tbilisi 0179
Tel 995 (32) 225 14 32, 995 (32) 225 27 36
www.press.tsu.edu.ge